




# ეთნიკური უმცირესობები უსაფრთხოების გზარის ქვეშ კონსტრუქციის პრაქტიკები ჯავახეთსა და დგანისში



ეთნიკური უმცირესობები უსაფრთხოების მზერის ქვეშ:

კონტროლის პრაქტიკები ჯავახეთსა და დმანისში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი  
2025



**ევროკავშირი  
საქართველოსთვის**



**სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი**



**კავასისი კლავიტი  
რეზონანსი ცენტრი**

კვლევითი კრებული შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის, „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით“, ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

**პასუხისმგებელი პირი:** თეონა ფირანიშვილი, თამთა მიქელაძე

**ავტორები:** ელის ბაქრაძე, სოფო როსტიაშვილი, ანი ისაკაძე, ქეთი ჩუთლაშვილი

**ყდის დიზაინი:** როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

*ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ელის ბაქრაძე, სოფო როსტიაშვილი, ანი ისაკაძე, ქეთი ჩუთლაშვილი, “ეთნიკური უმცირესობები უსაფრთხოების მზერის ქვეშ: კონტროლის პრაქტიკები სამცხე ჯავახეთში და დმანისში”, 2025*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

[www.socialjustice.org.ge](http://www.socialjustice.org.ge)

[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

# სარჩევი

მოკლე მიმოხილვა .....	5
მეთოდოლოგია .....	6
<b>ნაწილი I: სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კონტროლის შესახებ თეორიული ჩარჩო.....</b>	<b>8</b>
სახელმწიფოებრივი კონტროლი და მეთვალყურეობა .....	8
1. საზღვრისპირა ტერიტორიების სეკურტიზაცია და ეთნიკური უმცირესობები .....	12
2. საპოლიციო რეჟიმები და ეთნიკური უმცირესობები .....	16
<b>ნაწილი II: საპოლიციო სისტემებისა და ეთნიკური უმცირესობების ურთიერთდამოკიდებულების დინამიკა- ნდობისა და სამართლიანობის თეორია .....</b>	<b>20</b>
1. კავშირი რელიგიურ დინამიკასა და უსაფრთხოების საკითხებს შორის .....	23
2. საერთაშორისო სამართლის მოწესრიგება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საპოლიციო საქმიანობის სტანდარტების შესახებ .....	25
2.1. საერთაშორისო სამართლის წყაროები ეთნიკური მიკუთვნებულობის ნიშნით პირის ვიქტიმიზაციის აკრძალვის შესახებ .....	25
2.2. საერთაშორისო სამართლის წყაროები ეთნიკური უმცირესობების მიმართ სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ (Police misconduct) .....	28
2.3. კანონის აღსრულებისა და ადამიანის უფლებების დაცვისაგან მიზანმიმართული თავშეკავების პრაქტიკა .....	31
2.4. საერთაშორისო სამართალი- ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის სტრატეგიის შესახებ .....	32
3. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები მულტიეთნიკურ საზოგადოებებში საპოლიციო საქმიანობის შესახებ.....	35
4. დასკვნა.....	39
<b>ნაწილი III: კონტროლი და დევნა დმანისში .....</b>	<b>41</b>
1. მცირე ისტორიული ექსკურსი - აზერბაიჯანული თემი დმანისში .....	41
2. დმანისის კვლევის სირთულე და რესპოდენტები, როგორც ამხსნელები .....	43
3. ზევით და ქვევით გარჩეული დმანისის ამბები და კონტროლის ინფრასტრუქტურა .....	45
4. ქვემოდან-ზემოთ მიმავალი კონტროლი (bottom-up) .....	47
5. ზემოდან ქვემოთ წამოსული კონტროლი დმანისში.....	50
6. კამერები .....	52
7. კონტროლი საზღვრისპირა სოფლებში.....	53
8. სოციალური მოწყვლადობის ინსტრუმენტალიზება და კონტროლი.....	59

9.	კონტროლის ეთნიკური ჩტრიხები .....	63
10.	კონტროლის პრაქტიკა წინა ხელისუფლებების დროს.....	65
<b>ნაწილი IV: კონტროლი და დევნა ჯავახეთში .....</b>		<b>68</b>
1.	მცირე ისტორიული ექსკურსი - სომეხი თემი ჯავახეთის რეგიონში .....	68
2.	უნდობლობა - ველში შეღწევის სირთულე.....	70
3.	კონტროლის და თვალთვალის ინფრასტრუქტურა.....	71
4.	კონტროლის და თვალთვალის პრაქტიკები .....	75
4.1.	პოლიცია.....	75
4.2.	სუს.....	82
5.	ჯავახური სეპარატიზმის მითი თუ რეალობა- ისტორიული ექსკურსი.....	87
6.	პოლიტიკური ძალაუფლების ინსტრუმენტალიზაცია და უსაფრთხოების თანაკვეთა 89	
7.	მოქალაქეობა და კონტროლის გადაკვეთა .....	93
8.	კონტროლის გავლენა მოქალაქეებზე - უჩინრობის სტრატეგიები .....	94
9.	მოქალაქეობა საზღვრისპირა სოფლებში .....	96
<b>ნაწილი V: უმცირესობის რეგიონებში სამოქალაქო სექტორის კონტროლის არაფორმალური პრაქტიკები.....</b>		<b>99</b>
1.	შესავალი .....	99
2.	ვის და რატომ აკონტროლებს სუსი? .....	101
3.	კონტროლის ფორმები - გადაბირება და დასჯა.....	104
4.	სუს-ის არაფორმალურ კონტროლში მონაწილე აქტორები .....	109
5.	შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი არაფორმალურ კონტროლში .....	113
6.	სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების დამოკიდებულება არაფორმალურ კონტროლის მიმართ.....	116
7.	დასკვნა.....	119
<b>დასკვნითი ანალიზი და ძირითადი მიგნებები .....</b>		<b>121</b>
1.	სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - ჯავახეთის და დმანისის მაგალითი .....	121
1.1	საზღვრისპირა რეგიონების სეკურიტიზაცია .....	121
1.2.	საპოლიციო რეჟიმი, მეთვალყურეობა და კონტროლი: .....	123
1.3.	სახელმწიფო უსაფრთხოება: პირადი ინტერესების და ძალაუფლების სადარაჯოზე .....	126
1.4.	საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიურობა: უნდობლობა და წინააღმდეგობა .....	126
2.	ძირითადი მიგნებები .....	130

## მოკლე მიმოხილვა

კვლევითი ანგარიში წარმოადგენს სიღრმისეული ანალიზის შედეგებს საქართველოს ორ, ეთნიკური უმცირესობით კომპაქტურად დასახლებულ, საზღვრისპირა რეგიონში (ჯავახეთი და დმანისი) სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის, საპოლიციო კონტროლისა და მეთვალყურეობის პრაქტიკების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური გამოცდილებების შესახებ. კვლევა ჩატარდა ეთნოგრაფიულ დაკვირვებებისა და სიღრმისეულ ინტერვიუების მეთოდით, ასევე თეორიული და სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ კრიტიკული ლიტერატურის სიღრმისეული შესწავლით. კვლევის ფარგლებში გამოკვეთილია, თუ როგორ ფუნქციონირებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო უსაფრთხოებისა და პოლიციის სისტემები და როგორ აღიქმება იგი ეთნიკური უმცირესობების მიერ.

დოკუმენტი შედგება ხუთი ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს ლიტერატურის მიმოხილვას, სადაც წარმოდგენილია სახელმწიფო კონტროლის თეორიული ჩარჩო, სეკურიტიზაციის კონცეფცია და უსაფრთხოების მიდგომები. ამ ნაწილში ავტორები მიმოხილავენ იმას, თუ როგორ ახდენს სახელმწიფო სივრცეების სეკურიტიზაციას, როგორ მუშაობს ზემოდან ქვევით და ქვემოდან ზევით კონტროლის რეჟიმები და როგორ ხდება ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურად „სხვა“-დ, და შესაძლო საფრთხედ წარმოსახვა. მიმოხილვაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიტიკული სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური მიდგომების წარდგენას, რომლებიც ეხმარება მკითხველს გააზრებაში, თუ როგორ გადაჯაჭვულია ძალაუფლება, ზედამხედველობა და სოციალური მოწყვლადობა ერთმანეთთან.

მეორე ნაწილში მიმოხილულია საერთაშორისო სამართლის მექანიზმებისა და მათ შორის, რბილი სამართლის წყაროები იმისათვის, რომ გამოარკვიოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საპოლიციო საქმიანობის შესაბამისი სტანდარტები და მათი როლი, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სისტემების შენების პროცესში. ამავე თავში გაანალიზებულია თუ როგორ აწესრიგებს საერთაშორისო სამართალი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საპოლიციო საქმიანობის შესახებ სტანდარტებს.

მესამე ნაწილი ეძღვნება დმანისის რეგიონს და იქ არსებულ კონტროლის მექანიზმებს. აღწერილია, როგორ ყალიბდება უსაფრთხოების რეჟიმი, რომელიც ფორმალური ინსტიტუტების (პოლიცია, სუსი) და არაფორმალური მმართველობის (სოფლის რწმუნებულები, ადგილობრივი ელიტები) ერთგვარი კომბინაციაა. მკვლევარები სავსე კვლევის შედეგებში ასახავენ კონტროლის ჰიბრიდულობას და დაკვირვების პრაქტიკებს ყოველდღიურ ცხოვრებაში — დაწყებული გადაადგილების კონტროლიდან, დამთავრებული ე.წ. ინფორმატორთა ქსელით. ყურადღება გამახვილებულია დმანისში მიმდინარე ეთნიკური დაძაბულობების მართვაზე, რომელსაც უსაფრთხოების სტრუქტურები



სათავეში დგანან და ხშირად, ამ პროცესში, თვითონვე ჰქონდათ კონფლიქტის წარმომშობის, ვიდრე გამნეიტრალებლის როლი.

მეოთხე ნაწილი ფოკუსირებულია ჯავახეთის რეგიონზე. აქ წარმოდგენილია კონტროლის სპეციფიკური სტრუქტურები, რომლებიც მოქმედებენ ისტორიულად ჩამოყალიბებული უნდობლობის ფონზე სომხურ თემსა და ქართულ სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. ასევე აღწერილია პოლიტიკური ლოიალობის მოდელები და ის კოორდინაცია, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების, სასულიერო პირებსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებს შორის ჩანს. აღწერილია, როგორ ხდება კონტროლის სივრცეების კონსტრუირება - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიდან დაწყებული სკოლებით და მედიის გამოყენებით დამთავრებული. მკვლევარები ხაზს უსვამენ, რომ კონტროლი ხშირ შემთხვევაში ეფუძნება არა ფიზიკურ ძალას, არამედ შიშის, კვალის დატოვებისა და სიჩუმის კულტურის დამკვიდრებას.

მეხუთე ნაწილი ეხება უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო სექტორის კონტროლის ფორმებს. ეს თავი წარმოაჩენს, თუ როგორ ფუნქციონირებს სახელმწიფო აპარატის მიერ მართული კონტროლი იქ, სადაც დემოკრატიული მონაწილეობა და პლურალიზმი ისედაც მორყეულია. მოცემული თავში წარმოდგენილი კვლევის შედეგები აჩვენებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სუს-ის მუშაობის მეთოდებს, მის არაფორმალურ გავლენებს სამოქალაქო პროცესებზე და ამ პროცესში ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, კრიტიკულად განწყობილ პირებზე, კონტროლის, და დასჯის მექანიზმებს.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევითი ანგარიშის თითოეული ნაწილი შემუშავებულია კომპლექსური მეთოდოლოგიის გამოყენებით, იმ მიზნით რომ შეგვესწავლა უმცირესობების რეგიონებში გადაჭარბებული სეკურიტიზაციისა და კონტროლის სისტემური პრაქტიკები. პირველი თავი სამაგიდე კვლევის გზით მიმოიხილავს ლიტერატურას, სადაც ახსნილია ის თეორიული ჩარჩო და პრაქტიკული ინსტრუმენტები, თუ როგორ აკონტროლებს სახელმწიფო მოწყვლად რეგიონებს, უმცირესობებს, და საზღვრისპირა ტერიტორიებს, სადაც მცხოვრები მოსახლეობა დანახულია როგორც პოტენციური საფრთხე. თეორიული ჩარჩოს ახსნა მნიშვნელოვანია კვლევითი ანგარიშის შემდეგი ორი თავის უკეთ გასაგებად და აღსაქმელად, თუ რა მეთოდებს და ინსტრუმენტებს იყენებს სახელმწიფო აპარატი უმცირესობებით დასახლებული ორი რეგიონის-ჯავახეთის და დმანისის კონტროლის მიზნით.

რაც შეეხება ანგარიშის მეორე და მესამე ნაწილებს, სადაც წარმოდგენილია ჯავახეთსა და დმანისში ჩატარებული კვლევის შედეგები - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებში არსებული სპეციფიკური გარემოს შესასწავლად საჭირო გახდა სივრცის

მრავალგანზომილებიანი შესწავლა, კერძოდ, „მრავალადგილიანი ეთნოგრაფიის“ კონცეპტი<sup>1</sup> (Marcus 1995) დაგვეხმარა ადგილობრივების ავთენტური ხმების წარმოჩენასა და რეგიონში არსებული სოციალური და პოლიტიკური აფექტებისა და ეფექტების სიღრმისეულ ანალიზში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეპრეზენტაციის და მისი აფექტის შესასწავლად, შეირჩა დმანისის და ჯავახეთის რეგიონის ძირითადი ქალაქები: დმანისი, ახალქალაქი და ნინოწმინდა. ქალაქების შერჩევა მოხდა მიზნობრივ-შეფასებითი შერჩევის საფუძველზე. კერძოდ, შეირჩა ის ქალაქები, სადაც სახელმწიფო უსაფრთხოების, ძალაუფლების წარმომადგენელ სამსახურებსა და მოქალაქეებს შორის აქტიური სოციალური ურთიერთობები იყო მოსალოდნელი. ხოლო რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციის შედეგად, კვლევის არეალი გაფართოვდება და დაემატება საზღვრისპირა სოფლები და ის სოფლები, სადაც სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგია და კონტროლის მექანიზმები თვალსაჩინოდ ვლინდებოდა. დმანისის შემთხვევაში სავლელ სამუშაოები ჩატარდა შემდეგ სოფლებში: ზემო ოროზმანი, ქვემო ოროზმანი, ვაკე, ამამლო, მამიშლო, გუგუთი, იაყუბლო, ხოლო ჯავახეთში - შემდეგ სოფლებში: განძანი, კარწახი, ოკამი, სამება, სპასოვკა და ჩამძვრალა (ჩამდურა) და ქალაქებში - ნინოწმინდა, ახალქალაქში.

მეთოდოლოგიური ჩარჩო მოიცავდა თვისებრივი კვლევის ორ მეთოდს: ეთნოგრაფიულ კვლევას (ჩართულ დაკვირვებას) და სიღრმისეულ ინტერვიუს. ეთნოგრაფიული კვლევა ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე, პასიური დაკვირვების შედეგად, შესაძლებელი გახდა დომინაციის ზოგადი სურათის, ძალაუფლების პრაქტიკების, სოციო-პოლიტიკური ტენდენციების აღწერა; რეგიონში ძირითადი სოციო-პოლიტიკური აქტორების და ინსტიტუტების გამოვლენა; ადგილობრივ დონეზე ძალაუფლების წარმომადგენელთა (პოლიცია, სუს და ა.შ.) გავლენის შეფასება; მათი ფუნქციების და მნიშვნელობის განსაზღვრა; რიგით მოქალაქეებისა და „ადგილობრივ ავტორიტეტებს“ შორის სოციალური ურთიერთობების აღწერა და ანალიზი. ეთნოგრაფიული კვლევის მეორე ეტაპზე, აქტიური დაკვირვების მეთოდით, სოციალურ სივრცე ინდივიდუალურ დონეზე იქნა შესწავლილი, კერძოდ შესწავლილ იქნა ადგილობრივი აზერბაიჯანელი და სომეხი მოქალაქეების გამოცდილებები. სავლელ სამუშაოების მთავარ ეთიკურ პრინციპს წარმოადგენდა - კვლევის მონაწილეების ზიანისგან დაცვა. კვლევის მონაწილეთა დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე მონაწილეთა კონფიდენციალობა დაცული იქნა.

უსაფრთხოების საკითხებზე ინდივიდების რეფლექსიების გასააზრებლად, გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. ინტერვიუებისთვის შემუშავდება ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც სადისკუსიო გეგმის ფუნქციას ასრულებდა. ორივე რეგიონში, მთლიანობაში, ჩატარდა 34 ინტერვიუ (17-17 თითოეულში). დმანისში, 17 რესპოდენტიდან, 3 - იყო ქართველი და 14 - აზერბაიჯანელი. ხოლო ჯავახეთში გამოკითხული 17 რესპოდენტიდან, 6

<sup>1</sup> Marcus, George. 1995. Ethnography in/of the World System: The Emergence of Multi-cited Ethnography. Annual Review of Anthropology, Vol. 24. pp. 95-117.



იყო - ქართველი, 11 კი ეთნიკურად სომეხი. ორივე რეგიონში რესპონდენტების უმრავლესობა მამრობით სექსს წარმოადგენდა. რესპონდენტთა შერჩევა მოხდა მიზნობრივ-შეფასებითი შერჩევის საფუძველზე. კერძოდ, რესპონდენტები იყვნენ ის მაცხოვრებლები, რომლებსაც უსაფრთხოების სამსახურის, თუ რეგიონში ძალაუფლების სხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდათ.

ინტერვიუს დაწყებისას, რესპონდენტებს განემარტათ, რომ კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. ინტერვიუები განხორციელდა ინფორმირებული თანხმობის მოპოვების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების უსაფრთხოებისა და მათი ნდობის მოპოვების მიზნით, ზოგიერთი სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა აუდიო ჩანაწერის გარეშე, ზოგიერთი კი ტრანსკრიპტის მომზადების შემდეგ განადგურდა. ყველა ჩანაწერში დაცული იყო ანონიმურობა. რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, როგორც არის სახელები, საცხოვრებელი თუ სამუშაო ადგილები და სხვა, ან შეიცვალა, ან სრულად იქნა ამოღებული. ჩანაწერების დამუშავების საფუძველზე, მომზადდა ტრანსკრიპტები, განხორციელდა მონაცემთა კოდირება-კატეგორიზაცია და აღიწერა კატეგორიებს შორის ურთიერთმიმართებები.

გარდა ამისა, უმცირესობების რეგიონებში სამოქალაქო ორგანიზაციებზე და მედიის წარმომადგენლებზე სუს-ის კონტროლის პრაქტიკების შესასწავლად ჩატარდა ინტერვიუ (ჯამში 23 ადამიანთან) ეთნიკურად სომეხ, ქისტ და აზერბაიჯანელ აქტივისტებთან/ჟურნალისტებთან (4 ქისტი, 10 ეთნიკურად სომეხი, ხოლო 9 ეთნიკურად აზერბაიჯანელი). ინტერვიუს პროცესში რესპონდენტებს დაესვათ 20 შეკითხვა. შეკითხვები შეეხებოდა მათ საქმიანობას სამოქალაქო აქტივიზმში, მათი ან მათი ნაცნობების მიმართ სუს-ის მხრიდან გამოვლენილი არაფორმალური კონტროლის ფორმებს, მიზეზებს, ზეგავლენის მოხდენის მცდელობებს, გადაბირების, დარწმუნებისა და დასჯის მეთოდებს, სუს-ის არაფორმალურ კონტროლში ჩართულ უწყებებს, საჯარო მოხელეებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს როლს და პოლიციის მეშვეობით აქტივისტების კონტროლის მეთოდებს.

## ნაწილი I: სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კონტროლის შესახებ თეორიული ჩარჩო

სახელმწიფოებრივი კონტროლი და მეთვალყურეობა

სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის კონტროლის საკითხი, საუკუნეების განმავლობაში, დებატების წყაროს წარმოადგენდა. სოციალური კონტრაქტის თეორიაზე მსჯელობას, ძლიერი სუვერენული ძალაუფლების არსებობის საჭიროების გაცნობიერება მოჰყვა, რომელიც ინდივიდებისგან თავისუფლების დათმობას, აპრიორულად, მოითხოვდა, ვინაიდან ადამიანების „ბუნებრივი

მდგომარეობად“ ძალადობა და დაუცველობა მოიაზრებოდა.<sup>2</sup> სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის შესწავლისთვის, ჯ. ბენტამმა „პანოპტიკონის“ კონცეპტი შეიმუშავა. ავტორი აღწერდა, ციხის მსგავსი თეორიულ კონსტრუქტს, რომელიც პატიმრების ყოველმხრივი კონტროლის შესაძლებლობას ჰქმნიდა.<sup>3</sup> „პანოპტიკონის“ კონცეპტი, მიშელ ფუკომ „დისციპლინასა და სასჯელში“, განავრცო. ფრანგი ფილოსოფოსის მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებაში სანახაობაზე ორიენტირებული კონტროლი ქმედითი აღარ არის. კონტროლმა ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტში შეაღწია და ის მეთვალყურეობის სისტემებსა და დისციპლინას მოიცავს.<sup>4</sup> თანამედროვე ერი-სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად, სახელმწიფოებრივი კონტროლის მექანიზმები გაფართოვდა.<sup>5</sup>

დღეს, სახელმწიფოებრივი კონტროლი მოიცავს მექანიზმებს, რომელიც: განსაზღვრავს, გავლენას ახდენს, აკონტროლებს და ზღუდავს ადამიანთა ქცევას.<sup>6</sup> ამავდროულად, კონტროლის მექანიზმები ვარირებს, მაგალითად, კანონი და კანონის დამცველი ინსტიტუტები კონტროლის აშკარა მექანიზმს წარმოადგენენ.<sup>7</sup> ხოლო მეთვალყურეობა,<sup>8</sup> პროპაგანდა<sup>9</sup> და სოციალური ინჟინერია<sup>10</sup> ის დახვეწილი საშუალებებია, რომელიც კონტროლის ლატენტურ მექანიზმს წარმოადგენს. ამასთანავე, კანონის დაცვას არამხოლოდ სასჯელის შიში, არამედ კანონების შემუშავებელი ინსტანციის ლეგიტიმურობის აღიარება განაპირობებს.<sup>11</sup> შესაბამისად, ეფექტური სახელმწიფო კონტროლი, როგორც ნორმატიული ძალაუფლებით, ისე იძულებითი მუქარის მეშვეობით, ოპერირებს.<sup>12</sup>

მოდერნული სახელმწიფოები კონტროლისთვის სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ. ესენია: საინფორმაციო კონტროლი და პროპაგანდა,<sup>13</sup> ეკონომიკური კონტროლი,<sup>14</sup> პოლიტიკური კონტროლი<sup>15</sup> და სამეთვალყურეო სისტემების

<sup>2</sup> Hobbes, T. (1651). *Leviathan*. Oxford University Press.

<sup>3</sup> Bentham, J. (1791). *Panopticon: or, the inspection-house*. T. Payne.

<sup>4</sup> Foucault, M. (1975). *Discipline and punish: The birth of the prison*. Pantheon Books.

<sup>5</sup> Giddens, A. (1985). *The nation-state and violence*. University of California Press.

<sup>6</sup> Garland, D. (2001). *The culture of control: Crime and social order in contemporary society*. Oxford University Press; Rose, N., & Miller, P. (1992). *Political power beyond the state: Problematics of government*. *British Journal of Sociology*, 43(2), 173-205.

<sup>7</sup> Hart, H. L. A. (1961). *The concept of law*. Oxford University Press; Bittner, E. (1970). *The Functions of the Police in Modern Society*. National Institute of Mental Health.

<sup>8</sup> Lyon, D. (2007). *Surveillance studies: An overview*. Polity.

<sup>9</sup> Jowett, G. S., & O'Donnell, V. (2018). *Propaganda & Persuasion (7th ed.)*. SAGE Publications; Ellul, J. (1965). *Propaganda: The Formation of Men's Attitudes*. Vintage Books.

<sup>10</sup> Alexander, J. C., & Smith, P. (2010). *The Strong Program in Cultural Sociology: Elements of a Structural Hermeneutics*. In J. R. ; Sunstein, C. R., & Thaler, R. H. (2008). *Nudge: Improving Decisions About Health, Wealth, and Happiness*. Yale University Press.

<sup>11</sup> Tyler, T. R. (1990). *Why people obey the law*. Yale University Press; Beetham, D. (2013). *The Legitimation of Power (2nd ed.)*. Palgrave Macmillan.

<sup>12</sup> Tyler 1990; Weber, M. (1978). *Economy and Society: An Outline of Interpretive Sociology*. University of California Press.

<sup>13</sup> Herman, E. S., & Chomsky, N. (1988). *Manufacturing consent: The political economy of the mass media*. Pantheon Books; Castells, M. (2009). *Communication Power*. Oxford University Press.

<sup>14</sup> Harvey, D. (2005). *A Brief History of Neoliberalism*. Oxford University Press; Stiglitz, J. E. (2002). *Globalization and Its Discontents*. W. W. Norton & Company.

<sup>15</sup> Foucault, 1975; Agamben, G. (2005). *State of exception*. University of Chicago Press.

გამოყენება.<sup>16</sup> სახელმწიფოებრივი კონტროლის მექანიზმების გამოყენება დემოკრატიულ, ჰიბრიდულ და ავტორიტარულ რეჟიმებს ერთმანეთისგან მიჯნავს.<sup>17</sup> მნიშვნელოვანია თითოეულის განხილვა.

საინფორმაციო არხების და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების კონტროლს სახელმწიფო კონტროლის აპარატი საკუთარი იდეოლოგიის გასატარებლად მიმართავს.<sup>18</sup> ამავდროულად, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის, საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით, სახელმწიფოები პროპაგანდას იყენებენ.<sup>19</sup> მაგალითად, დემოკრატიულ სახელმწიფოებში, პირდაპირი ცენზურის ნაცვლად, მიკერძოებული მედია საშუალებები და ინფორმაციის გამავრცელებელი დაწესებულებები მმართველი ძალის ინტერესებს ემსახურება, რაც „პროპაგანდის მოდელს“ წარმოშობს.<sup>20</sup> ეს მოდელი, მოსახლეობაში „თანხმობის წარმოებაზე“ არის ორიენტირებული, რაც თავის მხრივ, ოპოზიციურად განწყობილი პოზიციების ჩახშობას ემსახურება. ხოლო, ავტორიტარული რეჟიმები ინფორმაციის პირდაპირ კონტროლს ახორციელებენ. კრძალავენ რა ყველა სახის ინფორმაციას, რომელსაც სახელმწიფოს წინააღმდეგ მოსახლეობის აზრის მობილიზება შეუძლია.<sup>21</sup>

ეკონომიკის პოლიტიკის წარმოება სახელმწიფოებრივი კონტროლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. უკიდურეს შემთხვევებში, სახელმწიფოს ეკონომიკური რესურსების და შესაძლებლობების პირდაპირი კონტროლი შეუძლია.<sup>22</sup> საზოგადოებრივ ქცევაზე გავლენის მოსახდენად მთავრობის წარმომადგენლები სოციალური კეთილდღეობის პროგრამებს იყენებენ, საგადასახადო სისტემას განკარგავენ და ეკონომიკურ სანქციებს აწესებენ. ამავდროულად, კორპორაციული და პოლიტიკური ელიტებისადმი სახელმწიფოს მიკერძოებული პოლიტიკა სიმდიდრის უთანასწორო განაწილებას ხელს უწყობს.<sup>23</sup>

პოლიტიკური კონტროლის განსახორციელებლად სახელმწიფოები საკანონმდებლო მექანიზმებს მიმართავენ. შეუძლიათ გამოიყენონ კანონები, რომელიც სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას, შეკრებისა და პოლიტიკური მონაწილეობის უფლებებს ზღუდავს. თუმცა, უსაზღვრო კონტროლის განხორციელება დემოკრატიულ სახელმწიფოს მხოლოდ „საგანგებო მდგომარეობის“ გამოცხადებით შეუძლია.<sup>24</sup> ვინაიდან, თეორიულად

<sup>16</sup> Lyon, 2007; Zuboff, S. (2019). *The Age of Surveillance Capitalism: The Fight for a Human Future at the New Frontier of Power*. PublicAffairs.

<sup>17</sup> Levitsky, S., & Way, L. A. (2010). *Competitive authoritarianism: Hybrid regimes after the Cold War*. Cambridge University Press; 38. Diamond, L. (2002). Thinking About Hybrid Regimes. *Journal of Democracy*, 13(2), 21-35; Schedler, A. (2013). *The Politics of Uncertainty: Sustaining and Subverting Electoral Authoritarianism*. Oxford University Press.

<sup>18</sup> Althusser, L. (1970). *Ideology and ideological state apparatuses*. Monthly Review Press.

<sup>19</sup> Lasswell, H. D. (1927). *Propaganda technique in the World War*. Knopf.

<sup>20</sup> Herman, E. S., & Chomsky, N. (1988). *Manufacturing consent: The political economy of the mass media*. Pantheon Books.

<sup>21</sup> King, G., Pan, J., & Roberts, M. E. (2013). How censorship in China allows government criticism but silences collective expression. *American Political Science Review*, 107(2), 326-343.

<sup>22</sup> Stokes, S. C., Dunning, T., Nazareno, M., & Brusco, V. (2013). *Brokers, voters, and clientelism: The puzzle of distributive politics*. Cambridge University Press.

<sup>23</sup> Piketty, T. (2013). *Capital in the twenty-first century*. Harvard University Press.

<sup>24</sup> Agamben, 2005.

დემოკრატიული სახელმწიფო სახელმწიფოებრივი კონტროლის შეზღუდულ და მოსახლეობისადმი ანგარიშვალდებულ ფორმას ფლობს. „პოლიარქიის“ კონცეპტის მიხედვით, სამოქალაქო თავისუფლება, კონკურენტუნარიანი არჩევნები და ბალანსის ინსტიტუციური კონტროლი სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას ზღუდავს.<sup>25</sup> მთლიანობაში, დემოკრატიული წყობა, ავტორიტარულ რეჟიმებთან შედარებით, მოქალაქეების ცხოვრებას ნაკლებად აკონტროლებს.<sup>26</sup> თუმცა, აქ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დემოკრატიები სულ უფრო ხშირად მიმართავენ „საგანგებო მდგომარეობას“, რომელიც მათ აღმასრულებელ ძალაუფლებას უსაზღვროს ხდის.<sup>27</sup>

თანამედროვე სამყაროში, არაერთი ჰიბრიდული რეჟიმი ჩამოყალიბდა, რომელიც დემოკრატიული და ავტოკრატიული სისტემებისთვის დამახასიათებელ კონტროლის მექანიზმებს იყენებს. ავტორიტარიზმში დადანიშნულებისგან თავის ასარიდებლად, სახელმწიფოები „მანიპულაციის მენიუს“ ფლობენ. ეს არის ტექნიკები, რომელიც, კონტროლის მეშვეობით, ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოიყენება.<sup>28</sup>

სამეთვალყურეო სისტემები კი სახელმწიფოებრივი კონტროლის განხორციელების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ისინი მოიცავს, როგორც ადამიანურ რესურსს (მონიტორინგის განმახორციელებელ ინსტიტუტებს, პოლიციას, უსაფრთხოების და მართლწესრიგის დამცველ სამსახურებს), ისე თვალთვალის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.<sup>29</sup> მოდერნულ საზოგადოებაში, ტექნოლოგიების დახვეწას სახელმწიფო კონტროლის საშუალებების გაუმჯობესება მოჰყვება. დღეს, თვალთვალისთვის იყენებენ სახის ამომცნობ ინტელექტუალურ კამერებს, ბიომეტრიულ იდენტიფიკატორებს და ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შექმნილ ანალიტიკურ სისტემებს.<sup>30</sup> თუმცა, მეთვალყურეობის სისტემების დახვეწასთან ერთად, გაიზარდა ადამიანის უფლებების ხელყოფის რისკი. განსაკუთრებით, სასაზღვრო ზონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებიც ხშირად დისკრიმინაციის და მარგინალიზაციის ფაქტებს აწყდებიან (Guild, 2009; Jones, 2016).<sup>31</sup>

შესაბამისად, მოდერნულ სამყაროში, მეთვალყურეობა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ვრცელდება. წარმოიქმნება „თვალთვალის საზოგადოება“, სადაც მოქალაქეებისთვის „დასამალი“ ადგილი აღარ რჩება.<sup>32</sup> ამასთანავე, თვალთვალის ობიექტად ყოფნის შიში და აფექტი, არამხოლოდ პოლიტიკურ დისკურსს აწარმოებს, არამედ ყოველდღიურ აქტივობებს

<sup>25</sup> Dahl, R. A. (1971). *Polyarchy: Participation and opposition*. Yale University Press.

<sup>26</sup> Diamond, L. (1999). *Developing democracy: Toward consolidation*. Johns Hopkins University Press.

<sup>27</sup> Agamben, 2005

<sup>28</sup> Schedler, 2002.

<sup>29</sup> Foucault, 1975; Lyon, 2015.

<sup>30</sup> Bigo, D. (2014). The (in)securitization practices of the three universes of EU border control: Military/Navy – border guards/police – database analysts. *Security Dialogue*, 45(3), 209-225. Topak, Ö. E. (2014). The biopolitical border in practice: Surveillance and death at the Greece-Turkey borderzones. *Environment and Planning D: Society and Space*, 32(5), 815-833.

<sup>31</sup> Guild, E. (2009). *Security and migration in the 21st century*. Polity.

<sup>32</sup> Lyon, D. (2001). *Surveillance society: Monitoring everyday life*. Open University Press.

განსაზღვრავს.<sup>33</sup> წარმოიქმნება თვით-კონტროლის, თვით-მეთვალყურეობის კულტურა, რომელშიც ინდივიდები და ჯგუფები, სახელმწიფოებრივი კონტროლის თავიდან არიდების მიზნით, ქცევის რეგულირებას ცდილობენ. ეს ეხმიანება მიშელ ფუკოს არგუმენტს, იმის შესახებ, რომ მეთვალყურეობის საბოლოო მიზანი - თვით-დისციპლინირებული საზოგადოების შექმნაა, სადაც პირდაპირი იძულების ნაცვლად, ინდივიდებში ინტერნალიზებული კონტროლის მექანიზმები მოქმედებს. კერძოდ, ინდივიდები ითვისებენ კონტროლის მექანიზმებს და მათ შესაბამისად მოქმედებენ.<sup>34</sup>

## 1. საზღვრისპირა ტერიტორიების სეკურიტიზაცია და ეთნიკური უმცირესობები

გლობალიზაციასა და უსაზღვრო მსოფლიოს იდეების მიუხედავად, ცივი ომისა და 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, უსაფრთხოების თეორიებმა ტრანსფორმაცია განიცადა. შედარებით ღია საზღვრის იდეა, მაქსიმალურად მილიტარიზებულმა და დაცულ საზღვარმა ჩაანაცვლა, რაც ტრადიციული სამხედრო საფრთხეების გარდა, ტრანსნაციონალურ პრობლემებით იყო განპირობებული.<sup>35</sup> ამასთანავე, დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ანტი-ტერორისტულმა საკანონმდებლო ინიციატივებმა სახელმწიფო კონტროლისა და მეთვალყურეობის შესაძლებლობები გააფართოვა.<sup>36</sup> საკანონმდებლო ჩარჩომ კი „ნაციონალური სამეთვალყურეო სახელმწიფოს“ არსებობის შესაძლებლობა წარმოქმნა.<sup>37</sup> შედეგად, სასაზღვრო ზონა გამძაფრებული მეთვალყურეობის და კონტროლის ადგილად ხშირად იქცევა. განსაკუთრებით, შეიარაღებული კონფლიქტების, მიგრაციის ტალღების, ტრეფიკინგის შემთხვევების და ტერორიზმის საფრთხის ფონზე.<sup>38</sup> მოცემული ქვეთავი სასაზღვრო რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიურობაზე, კონტროლის მექანიზმების და სეკურიტიზაციის პროცესის გავლენას განიხილავს.

დასაწყისისათვის, მნიშვნელოვანია საზღვრის სოციალური ფუნქციის გააზრება. მიშელ ფუკოს მიხედვით, საზღვარი დისციპლინური ძალაუფლების ადგილია. საზღვრების დადგენით, ტერიტორიულ დემარკაციასთან ერთად, „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის სივრცე განისაზღვრება. წარმოიქმნება სივრცული დაყოფა, რომელიც არამხოლოდ აკონტროლებს ადამიანთა გადაადგილებას, არამედ ადამიანების ქცევასა და თვით-აღქმაზე გავლენას ახდენს. საზღვარი ფუნქციონირებს, როგორც თვალთვალის, იდენტიფიკაციის და კატეგორიზაციის

<sup>33</sup> იგივე.

<sup>34</sup> Foucault, 1975.

<sup>35</sup> Andreas, P. (2009). *Border games: Policing the U.S.-Mexico divide*. Cornell University Press.

<sup>36</sup> Bigo, D., & Tsoukala, A. (Eds.). (2008). *Terror, insecurity and liberty: Illiberal practices of liberal regimes after 9/11*. Routledge.

<sup>37</sup> Balkin, 2008

<sup>38</sup> Andreas, P. (2003). Redrawing the line: Borders and security in the twenty-first century. *International Security*, 28(2), 78-111; Parker, N., & Vaughan-Williams, N. (2012). Critical border studies: Broadening and deepening the 'lines in the sand' agenda. *Geopolitics*, 17(4), 727-733.

მექანიზმი, რომელიც მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიურობის მონიტორინგსა და კონტროლს ახდენს.<sup>39</sup>

საზღვარი სიმბოლური, დისკურსული და პერფორმატიული სივრცეების მქონე სოციალური კონსტრუქტია, რომელიც პოლიტიკური პროცესებისა და ძალაუფლების ურთიერთობების მეშვეობით ყალიბდება. ის სხვადასხვა სასაზღვრო პრაქტიკის, მეთვალყურეობის, დოკუმენტირების და ფიზიკური ბარიერების მეშვეობით განუწყვეტლივ მყარდება.<sup>40</sup> ეს დავისა და მოლაპარაკებების ადგილია. ამიტომ ის სახელმწიფოებისა თუ სხვა აქტორების მიერ, კონტროლის, ექსკლუზიის და დომინაციის ინსტრუმენტად გამოიყენება.<sup>41</sup> ამასთანავე, საზღვარი არამხოლოდ სუვერენულ ტერიტორიებს შორის სადემარკაციო ხაზს აღნიშნავს, არამედ პროცესების, პრაქტიკების და მოქმედებების ერთობლიობას წარმოადგენს.<sup>42</sup>

საზღვრის დაცვა სახელმწიფოს დღის წესრიგისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ვინაიდან, საზღვარი, მისი თანდაყოლილი კომპლექსურობით და წინააღმდეგობებით, სპეციფიკურ სოციო-პოლიტიკურ და კულტურული რეალობას ჰქმნის. სახელმწიფოებრივ დონეზე, საზღვარი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და ეროვნული ინტერესებისადმი მსახურების იდეებს აერთიანებს.<sup>43</sup> ის უსაფრთხოების პოლიტიკისა და სეკურითიზაციის (Securitization)<sup>44</sup> ერთგვარი მექანიზმია. საზღვრისპირა რეგიონები კი კომპლექსურ სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეებს წარმოადგენენ, ვინაიდან უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა, სახელმწიფო ძალაუფლება და ადამიანის უფლებების დაცვის საჭიროება არაერთ გამოწვევას წარმოშობს.

სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკა საზღვრისპირა სივრცის დინამიკასთან იკვეთება.<sup>45</sup> სახელმწიფოებრივი აქტორები, ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული უსაფრთხოების ხელშეუხებლობაზე აპელირებით, ხშირად საზღვრისპირა ზონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიურ ცხოვრებაში იჭრებიან და კონტროლის მეთოდებისა და სათვალთვალო ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს

<sup>39</sup> Foucault, M. (2003). *Society must be defended: Lectures at the Collège de France, 1975-1976*. Picador.

<sup>40</sup> Newman, D. (2006). The lines that continue to separate us: Borders in our 'borderless' world. *Progress in Human Geography*, 30(2), 143-161; van Houtum, H. (2010). Human blacklisting: The global apartheid of the EU's external border regime. *Environment and Planning D: Society and Space*, 28(6), 957-976.

<sup>41</sup> Paasi, A. (2009). Bounded spaces in a "borderless world": Border studies, power and the anatomy of territory. *Journal of Power*, 2(2), 213-234.

<sup>42</sup> Johnson, C., Jones, R., Paasi, A., Amoore, L., Mountz, A., Salter, M., & Rumford, C. (2011). Interventions on rethinking 'the border' in border studies. *Political Geography*, 30(2), 61-69; Parker, N., & Vaughan-Williams, N. (2012). Critical border studies: Broadening and deepening the 'lines in the sand' agenda. *Geopolitics*, 17(4), 727-733.

<sup>43</sup> Buzan, B., Wæver, O., & de Wilde, J. (1998). *Security: A new framework for analysis*. Lynne Rienner.

<sup>44</sup> პროცესი, რომლის დროსაც სახელმწიფო აქტორები, რეგულარული პოლიტიკური დღის წესრიგის საკითხებს „სახელმწიფო უსაფრთხოების“ საკითხებად გადააქცევენ. უტირიებულად, მექანიზმი, რომლის მეშვეობით ყველა ვინც ძალაუფლების მქონე ჯგუფისთვის „დევიანტურ თვისებებს“ ფლობს, უსაფრთხოებისთვის სამიმ ძალად შეიძლება შეირაცხოს.

<sup>45</sup> Bigo, D. (2002). Security and immigration: Toward a critique of the governmentality of unease. *Alternatives*, 27(1), 63-92.



ზღუდავენ.<sup>46</sup> ხოლო რასის კრიტიკული თეორიის მიხედვით, საზღვრისპირა რეჟიმები კოლონიალური მემკვიდრეობის და რასობრივი მიკუთვნებულობის იერარქიის კვლავწარმოებას და გახანგრძლივებას ახდენენ.<sup>47</sup> ამავდროულად, უსაფრთხოების დაცვის მოტივი, მოქალაქეების ყოველდღიური ცხოვრების მონიტორინგისა და ოპოზიციური აზრების დახშობისთვის გამოიყენება. უსაფრთხოების პოლიტიკა, საზღვარს, კონტროლისა და თვალთვალის სისტემებით გაჯერებულ, სპეციფიკურ რეალობად აქცევს.<sup>48</sup> მაგალითად, ძალაუფლებასა და დისციპლინაზე მსჯელობისას, მიშელ ფუკო საზღვარს, სუვერენულ ტერიტორიაზე, სახელმწიფოს ძალაუფლებისა და კონტროლის მექანიზმად მოიხსენიებდა. ფუკოს მიხედვით, სახელმწიფო სათვალთვალო ტექნოლოგიებს და რეგულაციებს ხშირად საკუთარი მიზნებისა და ინტერესებისთვის იყენებს.<sup>49</sup>

მნიშვნელოვანია უსაფრთხოების კრიტიკული კვლევების განხილვა. ისინი უპირისპირდება ტრადიციულ, სახელმწიფოზე ორიენტირებულ პარადიგმას, რომელიც უსაფრთხოებისადმი მილიტარისტულ მიდგომას ეყრდნობოდა. კერძოდ, კოპენჰაგენის სკოლის სეკურითიზაციის თეორია<sup>50</sup> ქმნის საფუძველს იმის დასადგენად, თუ როგორ იქცევა საზღვარი და ამ საზღვრის გადამკვეთი პირი, პოლიტიკური დისკურსების და პრაქტიკების მეშვეობით, უსაფრთხოების პრობლემად. სეკურითიზაციის თეორია იკვლევს, თუ როგორ იქცევა კონკრეტული პრობლემა, ექსტრარდინალური ზომების მომთხოვნ, ეგზისტენციურ საფრთხედ, რომელსაც ჩვეული პოლიტიკური შეზღუდვების გადალხვა შეუძლია.<sup>51</sup>

ამასთანავე, უსაფრთხოების ნარატივი იზოლაციის პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირშია. არა-დომინანტური ჯგუფები სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველად მოიაზრებიან.<sup>52</sup> საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებ უმცირესობებს საკუთარი იდენტობის გამოხატვა ფიზიკურად და სიმბოლურად კონტროლირებად სივრცეში უწევთ, რაც მათ, სხვა მოქალაქეებთან შედარებით, ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად არათანაბარ პირობებში აყენებს. ხოლო სასაზღვრო კონტროლი, თვალთვალის ტექნოლოგიები და უსაფრთხოებაზე აქტიური დისკუსიები სივრცეში დაეჭვებისა და უნდობლობის ატმოსფეროს ჰქმნის, რაც ხშირად სოციალურ ექსკლუზიას იწვევს.<sup>53</sup> ამასთანავე, სეკურითიზაციის პოლიტიკა ეთნიკურ ჯგუფებში დაუცველობისა და გაურკვეველობის განცდას აჩენს.<sup>54</sup>

<sup>46</sup> Huysmans, J. (2006). *The politics of insecurity: Fear, migration and asylum in the EU*. Routledge.

<sup>47</sup> Goldberg, D. T. (2002). *The racial state*. Blackwell; Razack, S. H. (2008). *Casting out: The eviction of Muslims from Western law and politics*. University of Toronto Press.

<sup>48</sup> Scott, J. C. (2009). *The art of not being governed: An anarchist history of upland Southeast Asia*. Yale University Press.

<sup>49</sup> Foucault, M. (2007). *Security, territory, population: Lectures at the Collège de France, 1977-1978*. Palgrave Macmillan.

<sup>50</sup> Buzan et al., 1998; Wæver, O. (1995). *Securitization and desecuritization*. In R. D. Lipschutz (Ed.), *On security* (pp. 46-86). Columbia University Press.

<sup>51</sup> Balzacq, T. (2011). *Securitization theory: How security problems emerge and dissolve*. Routledge.

<sup>52</sup> Sharma, N., & Gupta, A. (2006). *The anthropology of the state: A reader*. Blackwell Publishing.

<sup>53</sup> Paasi, 2009.

<sup>54</sup> Malkki, L. (1995). *Purity and exile: Violence, memory, and national cosmology among Hutu refugees in Tanzania*. University of Chicago Press.

სეკურიტიზაციის თეორიაზე დაყრდნობით, ბიგომ ჩამოაყალიბა „სახელმწიფოებრივი წუხილის“ და „ბან-ოპტიკონის“ (Ban-opticum) კონცეპტები, რომლის მიხედვით უსაფრთხოების და ტექნოლოგიების სპეციალისტები ჰქმნიან კონტროლის რეჟიმებს, რომელიც საგანგებო ზომების ნორმალიზებას და ლეგიტიმაციას ემსახურება.<sup>55</sup> ბიგოს დაკვირვებით, მეთვალყურეობა და კონტროლი ხშირად ეთნიკური უმცირესობებსა და მიგრანტებს უკავშირდება.<sup>56</sup> საყურადღებოა, რომ საზღვრისპირა რეგიონებში კონტროლი ხორციელდება რუტინული პროცედურების, თანამედროვე ტექნოლოგიების და პროფესიული ჰაბიტუსის მეშვეობით.<sup>57</sup> ეს პერსპექტივა შესაძლებელს ხდის განისაზღვროს თუ როგორ შეუძლიათ საზღვრის კონტროლის, ერთი შეხედვით, ნეიტრალურ პრაქტიკებს დისკრიმინაციული პოლიტიკის წარმოება.

საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გამოწვევების გასააზრებლად, აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონის შესახებ კვლევები, თვალსაჩინო მაგალითებს გვათავაზობს. პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ეთნიკური უმცირესობების სისტემურ ჩაგვრას და ინსტრუმენტალიზებას, სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც სათავეს საბჭოთა კავშირში იღებს.<sup>58</sup> ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახლად წარმოქმნილმა სახელმწიფოებმა საზღვრების (რე)ფორმირების პროცესი წამოიწყეს, როდესაც ყოფილი სსრკ-ს შიდა ადმინისტრაციული საზღვრები გამიჯნეს.<sup>59</sup>

მოსახლეობის მართვისა და კონტროლის საბჭოთა ნაციონალურმა პოლიტიკამ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ახლად წარმოქმნილი სასაზღვრო რეჟიმებისთვის, მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების მხრივ, რომლებიც ახალი, საერთაშორისო, საზღვრის „არასწორ მხარეს“ აღმოჩნდნენ. საზღვრის დემარკაციის საკითხი სუვერენულობის, ისტორიული საზღვრებისა და სადაო ტერიტორიების შესახებ კამათის წყაროდ იქცა. წარმოიშვა „დაუსრულებელი საზღვრები“, რომლებიც მკაცრ კონტროლსა და მონიტორინგს საჭიროებდა.<sup>60</sup> შედეგად, საზღვრის კონტროლი ერი-სახელმწიფოს ფორმირების პროცესთან გადაიკვეთა, რასაც სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობებისადმი უნდობლობა მოჰყვა. მაგალითად, კავკასიის რეგიონში, კერძოდ ყარაბაღში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტებმა მილიტარიზებული საზღვრების და კომპლექსური მოქალაქეობის წარმოქმნას

<sup>55</sup> Bigo, 2002.

<sup>56</sup> Bigo, D. (2014). The (in)securitization practices of the three universes of EU border control: Military/Navy – border guards/police – database analysts. *Security Dialogue*, 45(3), 209-225.

<sup>57</sup> Bigo, D., & Guild, E. (Eds.). (2005). *Controlling frontiers: Free movement into and within Europe*. Ashgate; Huysmans, J. (2006). *The politics of insecurity: Fear, migration and asylum in the EU*. Routledge.

<sup>58</sup> იუნგე, მ., ბონვეტი, ბ., & მიულერი, დ. (2015). ეთნოსი და ტერორი საქართველოში. [https://www.researchgate.net/publication/283637573\\_etnosi\\_da\\_terori\\_sakartveloshi](https://www.researchgate.net/publication/283637573_etnosi_da_terori_sakartveloshi)

<sup>59</sup> Reeves, M. (2014). *Border work: Spatial lives of the state in rural Central Asia*. Cornell University Press.

<sup>60</sup> Saparov, A. (2018). Re-negotiating the boundaries of the permissible: The national(ist) revival in Soviet Armenia and Moscow's response. *Europe-Asia Studies*, 70(6), 862-883; Toal, G., & O'Loughlin, J. (2013). Inside South Ossetia: A survey of attitudes in a de facto state. *Post-Soviet Affairs*, 29(2), 136-172.

განაპირობებდა.<sup>61</sup> კონფლიქტის ზონების ბორდერიზაციის პროცესმა, სათვალთვალ ინფრასტრუქტურის წარმოქმნას და ადამიანებს ეთნო-ტერიტორიალური ნიშნით გამიჯვნის პრაქტიკას ხელი შეუწყო.<sup>62</sup>

აგრეთვე, საინტერესოა ლიტვისა და ლატვიის მაგალითები, სადაც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები, ბიუროკრატიული ბერკეტებით, სოციალურ თუ პოლიტიკურ სივრცეებში, საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის რეპრეზენტაციის შეზღუდვას ენობრივი და ეთნიკური განსხვავებულობის ხარჯზე ცდილობენ. რაც ლატვიის შემთხვევაში, ქვეყნის მაცხოვრებელთათვის მოქალაქეობის მინიჭების შეზღუდვით გამოიხატა.<sup>63</sup>

დღეს, უსაფრთხოების კრიტიკული კვლევები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ უსაფრთხოების დომინანტურ კონცეფციას და აქცენტს რეფორმირების აუცილებლობაზე სვამენ. უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებისას, მნიშვნელოვანია ადამიანებზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება.<sup>64</sup> უსაფრთხოება უნდა განიხილებოდეს ადამიანების დაცვად და არა ადამიანებისგან დაცვად.<sup>65</sup> რაც ეთნიკური უმცირესობების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

## 2. საპოლიციო რეჟიმები და ეთნიკური უმცირესობები

როდესაც ვსაუბრობთ პოლიციური რეჟიმის განხორციელებაზე და სხვადასხვა სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობაზე, თავისთავად, ვგულისხმობთ ძალაუფლებას, იერარქიას და მის რეპრეზენტაციას, რომელთა წაკითხვაც სხვადასხვა პრაქტიკების თუ სუბიექტების მიღმა შეიძლება. პოლიციისა და ძალოვანი სტრუქტურების, საქმიანობის ერთ-ერთი მიზანი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ხოლო, ძალაუფლება უსაფრთხოების განხორციელების საშუალებაა, თავის მხრივ უსაფრთხოება ძალადობის არარსებობასთან ასოცირდება.<sup>66</sup> ამავე დროს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ უსაფრთხოებისთვის თავდასხმები სხვადასხვა უმცირესობებზე არ აღიქმება მნიშვნელოვან პრობლემად, სანამ ისინი გადაწყვეტილების მიმღებთა დღის წესრიგში არ მოხვდებიან.<sup>67</sup>

ქორეკა ფილიფსი და ბენ ბოულინგი საპოლიციო პრაქტიკის ორ ფორმას გამოყოფენ: „ზეწოლა“ და „მსახურება“, რომლებიც თანადროულად

<sup>61</sup> Broers, L. (2019). Armenia and Azerbaijan: Anatomy of a rivalry. Edinburgh University Press; De Waal, T. (2019). The Caucasus: An introduction. Oxford University Press.

<sup>62</sup> Toal, G., & Merabishvili, G. (2019). Borderization theatre: Geopolitical entrepreneurship on the South Ossetia boundary line, 2008-2018. *Caucasus Survey*, 7(2), 110-133.

<sup>63</sup> Krauniasukas, L. (2001). Minorities' ethnicity: Two different cases of legislation, political struggle and cultural practices. *Polish Sociological Review*, 134, 193-207.

<sup>64</sup> Booth, K. (2005). *Critical security studies and world politics*. Lynne Rienner.

<sup>65</sup> Newman, D. (2006). The lines that continue to separate us: Borders in our 'borderless' world. *Progress in Human Geography*, 30(2), 143-161.

<sup>66</sup> Shameer, M. (2017). *Power maximisation and state security*. Kapur Surya Foundation.

<sup>67</sup> Ayoob, 1986.

დამახასიათებელია და მიუხედავად რომელი ფორმა ხორციელდება, ის არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ან უთანასწორო.<sup>68</sup> ასევე, პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა უნდა იყოს რელევანტური, ზომიერი და გამომდინარეობდეს აუცილებლობიდან.<sup>69</sup> მიუხედავად ამისა, შედეგად ეთნიკურად არადომინანტურ ჯგუფებთან მიმართებით საპირისპირო მიდგომებს ვიღებთ, რაც შემდგომში, ამავე ჯგუფის სოციალური კონტროლის მექანიზმებად იქცევა.<sup>70</sup>

სამართალდამცავი სტრუქტურები, ეთნიკური კუთვნილების მიმართ, გაჯერებულია სტერეოტიპული და პერვერსული აღქმებითა და ქმედებებით. აქვთ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორები არიან ისინი და როგორ უნდა მოექცეს მათ პოლიცია.<sup>71</sup> რაც არ არის გასაკვირი იმის გავითვალისწინებთ, რომ პოსტკოლონიალური კონტექსტისთვის დამახასიათებელია ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმი.<sup>72</sup> თავის მხრივ, მემარჯვენე კულტურალიზმი მომხრეების მოზიდვას, ქსენოფობიასა და რასიზმზე დაყრდნობით ახერხებს.<sup>73</sup>

პოლიციის მიერ ხშირად, წინასწარ შემუშავებულია წარმოდგენა იმაზე თუ როგორი უნდა იყოს, ამა თუ იმ ეთნიკური, მიგრაციული, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ჰაბიტუსი. თუ როგორ უნდა იქცეოდეს ის და, შესაბამისად, როგორი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს პოლიციურ თუ სხვა ძალოვან სტრუქტურას.<sup>74</sup> გადაწვეტილებების მინიჭების პროცესში, პოლიციისა და იქ მომუშავე ძალოვანების მიერ წინასწარ ფორმირებული სახე-ხატი მნიშვნელოვან როლს ასრულებს.<sup>75</sup> სტერეოტიპული და დიფერენცირებული ხედვა ახალისებს დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით და ლეგიტიმურობას სძენს მას, რაც პოლიციელების მიერ ქუჩაში მოქალაქეების შემოწმების, დაკითხვის და დაკავების პრაქტიკებში ჩანს.<sup>76</sup> საყურადღებოა, რომ საჯარო სივრცეებში შემოწმება გარკვეულ სიტუაციებში ისტერიულ ხასიათს იღებს და მსგავს შემთხვევებში წნებს, სწორედ, ეთნიკური უმცირესობები განიცდიან, როგორც პოტენციური კანონდამრღვევები, რაც დომინანტურ ჯგუფებს არ ეხებათ და ეს მიდგომა დისპროპორციული ხდება.<sup>77</sup> ამდენად ეს პრაქტიკა მეტად პრობლემატურია, რამდენადაც ამ მეთოდით დამნაშავეს გამოვლენის შანსი საკმაოდ დაბალია.<sup>78</sup> ზოგიერთ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოები თავად უწყობენ ხელს ეთნიკური უმცირესობების მიმართ მტრის ხატის შექმნას. იმისთვის, რომ მოხდეს ამ ჯგუფის თარგეთირება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები და

<sup>68</sup> Phillips, C., & Bowling, B. (2003). Racism, ethnicity and criminology: Developing minority perspectives. *The British Journal of Criminology*, 43(2), 269-290. <https://doi.org/10.1093/bjc/43.2.269>

<sup>69</sup> იგივე.

<sup>70</sup> იგივე.

<sup>71</sup> იგივე.

<sup>72</sup> Antweiler, C. (2015). Ethnicity from an anthropological perspective. In University of Cologne Forum "Ethnicity as a Political Resource" (Ed.), *Ethnicity as a Political Resource: Conceptualizations across Disciplines, Regions, and Periods* (pp. 25-38). Bielefeld: transcript Verlag. <https://doi.org/10.1515/9783839430132-003>

<sup>73</sup> Eriksen, J. M., & Stjernfelt, F. (2009). Culturalism: Culture as political ideology. *Eurozine*.

<sup>74</sup> FitzGerald, M. (1993). *Ethnic minorities in the criminal justice system*. London: HMSO; Phillips & Bowling, 2003

<sup>75</sup> იგივე.

<sup>76</sup> Phillips & Bowling, 2003; Shankley, W., & Williams, P. (2020). *Minority ethnic groups, policing and the criminal justice system in Britain*. Bristol University Press.

<sup>77</sup> იგივე.

<sup>78</sup> იგივე.

ძალაუფლების მქონე ჯგუფები ახდენენ ამ ცრურწმენების და სტერეოტიპების კვლავ წარმოებას, იმისათვის, რომ ყველა სოციალურ შრეში მოხდეს ეთნიკური უმცირესობის პრობლემურ ჯგუფად დამკვიდრება.<sup>79</sup>

აქვე, მნიშვნელოვანია, თუ ვინ მუშაობს იმ ტერიტორიული ერთეულების სამართალდამცავ ორგანოებში, რომლებიც დასახლებულია ეთნიკური უმცირესობებით. მაგალითად, ბრიტანეთში მსგავს რეგიონებში, როგორც მათ ავტორი უწოდებს „საშინაო კოლონიებში“ დაასაქმეს მანამდე აფრიკისა და ინდოეთის კოლონიებში ნამსახური პირები.<sup>80</sup>

პოლიციური კონტროლის განხორციელების მნიშვნელოვანი ველია საჯარო სივრცეები, ეს სივრცეები, ასევე არის მნიშვნელოვანი შეზღუდვის შრეები, სადაც პოტენციურად ყველაზე მეტად ხილვადები და მისაწვდომი არიან ეთნიკური უმცირესობები.<sup>81</sup> იმ შემთხვევაში, კონკრეტული ჯგუფის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს სახელმწიფო ენა, ეს ჯგუფი ავტომატურად მოინიშნება მარგინალურ სოციალურ გარემოში და ხორციელდება ზეწოლა, რათა მათ შეიტანონ ეჭვი საკუთარი კულტურული იდენტობის ვალიდურობაში.<sup>82</sup>

ეთნიკური უმცირესობების მიმართ, პოლიციური და სამართალდამცავების საქმიანობა და სოციალური ექსკლუზია ამ სტრუქტურებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის და დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობაში ვლინდება. დომინანტურ საზოგადოებაში იშვიათობას წარმოადგენს ამგვარ სტრუქტურებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დასაქმება.<sup>83</sup> ასევე, გარდა იმისა, რომ საპოლიციო სისტემა დისკრიმინაციულია სოციალური ჯგუფების მიმართ, შესაძლოა, განხორციელოს მსგავსი დამოკიდებულება მის წიაღში დასაქმებული უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართაც. მაგალითად, გამოიყენონ სტერეოტიპული, დამამცირებელი პრაქტიკები და ენა.<sup>84</sup> ამგვარად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამართალდამცავმა ორგანოებმა საქმიანობის განხორციელებისას გამოიყენონ ისეთი ლინზები, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს დაინახონ და თანასწორად აღიქვან ეთნიკური უმცირესობები.<sup>85</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილი მავნე დისკრიმინაციული პრაქტიკები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეთნიკური უმცირესობების სოციალურ ცხოვრებაზე. პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადამეტებასა და არაპროპორციულ კონტროლს, ეთნიკური უმცირესობების

<sup>79</sup> Hall, S., Critcher, C., Jefferson, T., Clarke, J., & Roberts, B. (1978). *Policing the crisis: Mugging, the state and law and order*. London: Macmillan.

<sup>80</sup> Sivanandan, A. (1982). *A different hunger: Writings on Black resistance*. London: Pluto; 49. Fryer, P. (1984). *Staying power: The history of Black people in Britain*. London: Pluto; Howe, D. (1988). *From Bobby to Babylon: Blacks and the British police*. London: Race Today Publications.

<sup>81</sup> FitzGerald, M., Sibbitt, R., & Rae. (1997). *Ethnic monitoring in police forces: A beginning*. London: Home Office.

<sup>82</sup> Kraniuskas, 2001.

<sup>83</sup> Phillips & Bowling, 2003

<sup>84</sup> იგივე.

<sup>85</sup> იგივე.

მხრიდან, პოლიციისადმი ნდობის შემცირება თან სდევს.<sup>86</sup> ეს ჯგუფები საპოლიციო სტრუქტურებთან თანამშრომლობის სურვილს მომავალში აღარ გამოთქვამენ.<sup>87</sup> ხოლო, რიგ შემთხვევებში ეთნიკური უმცირესობების მიერ მათი დისკრიმინაციისა და ჩაგვრის გაცნობიერება პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის საფუძვლად იქცევა.<sup>88</sup>

---

<sup>86</sup> იიგვე.

<sup>87</sup> იიგვე.

<sup>88</sup> Kraniauskas, 2001.



## ნაწილი II: საპოლიციო სისტემებისა და ეთნიკური უმცირესობების ურთიერთდამოკიდებულების დინამიკა- ნდობისა და სამართლიანობის თეორია

პოლიტიკურ ცხოვრებაში სუსტი მონაწილეობა, სოციალური ექსკლუზია, მარგინალიზაცია და კულტურული არაღიარება ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიურობის ნაწილია. თუმცა, მათთვის დამატებით ტვირთად იქცევა ის სტიგმა, რომლითაც სისტემა, მათ უსაფრთხოებრივ რისკად მონიშნავს და კრიმინალური ვიქტიმიზაციის სამიზნედ აქცევს. ცენტრალური ქალაქების მაცხოვრებლებთან შედარებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, საპოლიციო სისტემები როგორც წესი უფრო აგრესიულად აწარმოებენ კონტროლს, მათ შორის ჩხრეკის, შემოწმების, დაპატიმრებისა და ეთნიკური უმცირესობების მიზანში ამოღების მიზანმიმართულ პროცედურებს.<sup>89</sup>

მულტიეთნიკური რეგიონები მაღალი მობილურობით ხასიათდება. ეთნიკური უმცირესობების დიდი ნაწილი ხშირად ორმაგი მოქალაქეობით სარგებლობს ანდა სასაზღვრო რეგიონებში ცხოვრობს, რის გამოც, ხშირია მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის ცვლაც, რაც სახელმწიფოების მიერ მათ საფრთხედ მონიშვნას განაპირობებს. უმცირესობების უსაფრთხოების პრიზმიდან დანახვის პრაქტიკა, საპოლიციო სისტემების ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობაში ვლინდება.<sup>90</sup>

აღიარებულია, რომ ქვეყნის მოსახლეობასა და სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა საშუალებას აძლევს ინდივიდს, თავი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ აღიქვას და გააცნობიეროს სახელმწიფო მოწყობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის თავისებურებები, რაც მეტ ნდობას აჩენს როგორც საკუთრივ ადმინისტრაციულ ორგანოთა დაპირებების, ისე საჯარო მოხელეების მიმართაც. თუმცა, მაშინ, როდესაც, დომინანტური ჯგუფები და სახელმწიფო უწყებები და საპოლიციო სისტემები, არადომინანტური თემის წევრებს დისკრიმინაციულად და არასამართლიანად ეპყრობიან, სახელმწიფოსა და უმცირესობებს შორის არსებული საზიანო უნდობლობა კიდევ უფრო მწვავედება.<sup>91</sup>

ნდობისა და სამართლიანობის თეორიის მიხედვით, თუკი მოქალაქეები იგრძნობენ, რომ საპოლიციო სისტემები, მათთან ერთად, საერთო ინტერესებისა და კეთილდღეობის მისაღწევად ზრუნავენ, ისინი თავს საზოგადოების ღირებულ და სრულფასოვან წევრებად აღიქვამენ, რითაც განმტკიცდება დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო მოქალაქეობრივი კავშირები. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საპოლიციო საქმიანობა უმცირესობებს მიკუთვნებული

<sup>89</sup> Allen E. Liska, „Social Threat and Social Control“

<sup>90</sup> იქვე.

<sup>91</sup> იქვე.

ჯგუფების სტიგმატიზაციის, ინდივიდების მარკირების და გარიყვის გზას ირჩევს, ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება, რომ სახელმწიფო სისტემებმა, მით უფრო პოლიციამ, დემოკრატიულობის პრინციპი დაიცვას.<sup>92</sup>

უდავოა, რომ პოლიცია მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის დე ფაქტო არბიტრის როლს ითავსებს, ვინაიდან, მათი საქმიანობა იმთავითვე, ინდივიდებსა და სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის ყოველდღიურ შუამავლობას გულისხმობს, რაც არსებითია, რომ ნდობასა და სამართლიანობის პრინციპებს ეფუძნებოდეს. თუმცა, მაშინ, როდესაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები პოლიციის მიერ განხორციელებულ დისკრიმინაციულ საქმიანობასა და ძალადობას უჩივიან, ერთი მხრივ, ისინი აღარ ენდობიან საპოლიციო სისტემებს, ხოლო მეორე მხრივ, პოლიცია დისკრიმინაციული თარგეთირების გზით, მათ არასანდო და არაკეთილსაიმედო მოქალაქეებად მონიშნავს. ფესვადგმული ორმაგი უნდობლობის გამო კი, საბოლოოდ სრულად ანულირდება საზოგადოებრივი ხელშეკრულებით, მოქალაქეებისა და სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ნაკისრი ვალდებულებები.<sup>93</sup>

იმ რეგიონებში, სადაც საპოლიციო სისტემებსა და მოქალაქეებს შორის, ნდობისა და სამართლიანობის პრინციპები ირღვევა, მიჩნეულია, რომ ხელისუფლება გაძლიერებული საპოლიციო კონტროლის (high policing) ფორმებს იყენებს, რაც საპოლიციო სისტემაში თვითნებობის მაღალ რისკებს ქმნის. ასეთ პირობებში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე, პოლიციელების საქმიანობა ძირითადად ექვმიტანილებისა და დამნაშავეების შექმნაზეა ორიენტირებული. ამასთან, გაძლიერებული საპოლიციო მანდატის პირობებში, ეთნიკური უმცირესობებით განსახლებულ რეგიონებში, პოლიცია სრულ კონტროლს ფლობს სოციალური წესრიგის, დანაშაულის აღქმისა და მათ შორის, სენსიტიური პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების კუთხით.<sup>94</sup>

გაძლიერებული კონტროლის მქონე საპოლიციო სისტემები შემდეგ არალეგიტიმურ ფორმებს იღებს:

- პოლიციის საქმიანობის მთავარი მიზანი, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, კონკრეტული პოლიტიკური რეჟიმის ანდა ხელისუფლების ინტერესების გატარება ხდება;
- საპოლიციო სისტემები საჯარო ლეგიტიმაციის გარეშე ფუნქციონირებენ;
- არაეფექტიანია პოლიციის ანგარიშვალდებულების შემოწმების მექანიზმები;
- ფაქტობრივად შეუძლებელია პოლიციის მიერ ჩადენილი დანაშაულებისა თუ დისკრიმინაციული ფაქტების გამოვლენა;
- უსაფრთხოების სამსახურების საქმიანობა „მტრის ხატის“ შექმნასა და მოსახლეობაში შიშის კულტივირებას ემსახურება;

<sup>92</sup> James F. Albrecht, Garth den Heyer, Perry Stanislas, “Policing and Minority Communities”

<sup>93</sup> Paul Knepper, Anja Johansen, “The Oxford Handbook of the History of Crime and Criminal Justice”

<sup>94</sup> Otwin Marenin, “Policing Change, Changing Police”, გვ.10

- პოლიტიკური კონტროლის მიზნებისათვის საპოლიციო სისტემების ინსტრუმენტალიზება, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ თემში არ არსებობს დანაშაულის პრევენციის პრაქტიკა;<sup>95</sup>

კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული მმართველობის შესუსტება მნიშვნელოვნად აზიანებს პოლიციის, სასამართლო სისტემისა და უსაფრთხოების სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობას, განსაკუთრებით კი, მარგინალიზებულ და ღარიბ საზოგადოებებში. ამ თემის წარმომადგენლები, დაუცველად და გარიყულად, მეტიც, მსხვერპლადაც კი გრძნობენ თავს, რაც შემდგომში მნიშვნელოვნად განაპირობებს უმცირესობების მხრიდან პოლიციისადმი ნდობის კლებას.<sup>96</sup>

აღსანიშნავია, რომ ბევრმა სახელმწიფომ გაიაზრა წარსულში, მათი საპოლიციო სისტემებში არსებული ხარვეზები, რის გამოც, ახალი საპოლიციო საქმიანობის შესახებ მიდგომები, შეცდომების გამოსწორების იდეას დაეფუძნა. ამრიგად, გაძლიერებული საპოლიციო კონტროლის თანმდევი უარყოფითი შედეგების საპირწონედ, შეიქმნა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის (Community policing) კონცეფცია, რაც, უმთავრესად, საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ საპოლიციო სისტემას გულისხმობს. ბოლო წლებში საზოგადოებრივი პოლისინგის მიდგომა არაერთმა ქვეყანამ დანერგა, მათ შორისაა, შვედეთი, ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, კანადა და სხვ.<sup>97</sup>

თუმცა, გეოგრაფიულ ფაქტორებთან დაკავშირებული გამოწვევები, მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, თუ რამდენად ეფექტიანად ხდება საზოგადოებრივი საპოლიციო საქმიანობის კონცეფციის ეროვნულ დონეზე იმპლემენტირება. საპოლიციო სისტემათა მუშაობა, ურბანულ და რურარულ რეგიონებში განსხვავებულ სპეციფიკას საჭიროებს. მეტროპოლიებსა და ურბანულ ცენტრებში მომუშავე პოლიციელებს მეტად აქვთ წვდომა უახლეს საკომუნიკაციო სისტემებსა და ტექნოლოგიებზე, რაც მათ საქმიანობას საგრძნობლად ამარტივებს, თუმცა ნიშანდობლივია, რომ დიდ ქალაქებში მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე, შესაბამისად მათი საქმიანობა დანაშაულთა ფართო სპექტრის პრევენციასა და მრავალათასობით მოსახლეობის ყოველდღიურობის დინამიკის შესწავლას და მათთან აქტიურ კომუნიკაციას მოითხოვს.<sup>98</sup>

თავის მხრივ, ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს ორგანიზაციის მიერ მომზადებულ გზამკვლევაში ხაზგასმულია, რომ სპეციფიკურ გამომწვევებთანაა დაკავშირებული რურარულ რეგიონებში საპოლიციო საქმიანობაც. აღიარებულია, რომ სოფლის დასახლებები, დიდი ქალაქებისაგან განსხვავებით, რასობრივი და ეთნიკური თვალსაზრისით, ჰომოგენურობით

<sup>95</sup> Rachel Neild, Human rights NGOs, „police and citizen security in transitional Democracies“, გვ.279

<sup>96</sup> იქვე.

<sup>97</sup> The Rand Center On Quality Policing, “Selected International Best Practices in Police Performance Measurement”, p.1-3

<sup>98</sup> United Nations Office on Drugs and Crime, Introductory Handbook on Policing Urban Space, P.4-8

გამორჩევა, რაც უდავოა, რომ საპოლიციო საქმიანობის დინამიკაზეც აისახება. ჰომოგენური დემოგრაფიული შემადგენლობა განაპირობებს, იმას, თუ რა მოლოდინები აქვს საზოგადოებას სამართალდამცავი ორგანოებისადმი. სოფლის რეგიონებში არსებულ საპოლიციო დეპარტამენტებს ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ, ადამიანურ რესურსებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მწირია მათი ბიუჯეტიც. აქ ასევე დეფიციტურია პოლიციის განყოფილებათა რაოდენობაც. პრობლემურია ისიც, რომ ისეთ, საზოგადოებებში, რომლებსაც ხელისუფლებისა და პოლიციის მიმართ უნდობლობისა და მარგინალიზაციის ისტორიული გამოცდილება აქვთ, აუცილებელია, პოლიციის თანამშრომელთა რეგულარული გადამზადება და ინტერკულტურული სენსიტიურობის კონცეფციის დანერგვა, თუმცა სოფლად მომუშავე საპოლიციო დეპარტამენტები უმეტესად გამორიცხულნი არიან ამგვარი სწავლებებისაგან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს რურარულ დასახლებებში პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობას.<sup>99</sup>

უდავოა, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განხორციელებული საპოლიციო კონტროლი, განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება, ამდენად, ეს თავი მიზნად ისახავს განსხვავებული საერთაშორისო სამართლის მექანიზმებისა და მათ შორის, რბილი სამართლის წყაროთა მიმოხილვის გზით, გამოარკვიოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საპოლიციო საქმიანობის შესაბამისი სტანდარტები და მათი როლი, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სისტემების შენების პროცესში.

## 1. კავშირი რელიგიურ დინამიკასა და უსაფრთხოების საკითხებს შორის

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, სახელმწიფოებს თითოეული ადამიანისა და სარწმუნოებრივი ჯგუფის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვა ევალებათ.

ხშირად, რელიგიის თავისუფლებას, მისი ბუნებიდან გამომდინარე, „განმვრცობ უფლებას“ უწოდებენ, რადგან რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მჭიდროდაა კავშირში, სხვა უფლებებით, მათ შორის, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, გარანტიებთან.<sup>100</sup> უდავოა, რომ არაერთ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც, ჯერ კიდევ არსებობს ლანდშაფტი, სადაც დომინანტური ჯგუფები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ხილვადობასთან თანმხლებ მრავალფეროვნებას, ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ მიმართულ გამოწვევად აიდენტიფიცირებენ და ამდენად, მათ მიმართ შიშითა და სიფრთხილით განეწყობიან, რაც სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი საბაზი ხდება იმისა, რომ უმცირესობების ჯგუფებისაკენ

<sup>99</sup> United Nations, "Community Policing In rural areas" second edition, p.4-9

<sup>100</sup> დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, „რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და უსაფრთხოება პოლიტიკის გზამკვლევი“, გვ.21.

უსაფრთხოებისა და საპოლიციო სისტემების გაძლიერებული კონტროლი მიმართოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულია პრეცედენტული პრაქტიკა, რომ ადამიანის მიერ რელიგიის ან რწმენის თავისუფლებით სარგებლობა, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად, ადამიანის წარუვალი უფლებაა. შესაბამისად, დაუშვებელია ამ უფლებით სარგებლობა იყოს პირობითი ანდა სახელმწიფოს კეთილ ნებაზე დამოკიდებული.<sup>101</sup>

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ უმცირესობების რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების, ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილები, სახელმწიფოსა და უმრავლესობის მიერ, ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან ახალი წევრების გადაბირების ხელშემწყობ გარემოდაა აღქმული და ამდენად რელიგიური უმცირესობები უსაფრთხოების მხრივ გამოწვევად არიან მონიშნულნი, რის საპასუხოდაც, სახელმწიფოები, სამართალდამცავებს, ღვთისმსახურების ადგილებში მლოცველთა მონიტორინგს ავალეებენ და მომეტებულ საპოლიციო კონტროლს ახორციელებენ.<sup>102</sup>

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია რელიგიური უმცირესობების უსაფრთხოებრივი პრიზმიდან შეფასების პრაქტიკას, უარყოფითად აფასებს და მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული განსაკუთრებული კონტროლი, რელიგიური სტერეოტიპიზაციისა და სტიგმატიზაციის მკაფიო გამოვლინებაა, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს სახელმწიფოს, ღვთისმსახურების და შეკრების ადგილას დამსწრე პირებს შორის უნდობლობის გაჩენას, რის შედეგადაც, რელიგიური თემის წევრებს შესაძლოა ლეგიტიმურად გაუჩნდეთ უკმაყოფილების განცდა და სულ უფრო ნაკლები სურვილი გამოთქვან სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობაზე. ამგვარი უნდობლობა, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა კონტრპროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს და ორმაგად დააზიანოს სახელმწიფო უსაფრთხოება.<sup>103</sup>

ამდენად, ცალსახაა, რომ ის ჯგუფები, რომლებიც ერთდროულად რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ, სახელმწიფოს მიერ გაძლიერებული საპოლიციო კონტროლის ქვეშ ექცევიან.

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ჭარბი საპოლიციო კონტროლი და სეკურითიზაცია სოციალური ერთობის დარღვევის გზით, ანაწევრებს საზოგადოებას და სამომავლოდ, საზოგადოებრივი დაპირისპირების შანსებს აჩენს. ამგვარ ჰომოგენურ რეგიონებში უსაფრთხოებისა და საპოლიციო ძალების გაზრდილი ხილვადობა, აძლიერებს სტიგმას, რომელიც უმცირესობებს უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ აფასებს.

<sup>101</sup> Case of Metropolitan Church of Bessarabia v. Moldova

<sup>102</sup> იქვე. გვ.78

## 2. საერთაშორისო სამართლის მოწესრიგება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საპოლიციო საქმიანობის სტანდარტების შესახებ

### 2.1. საერთაშორისო სამართლის წყაროები ეთნიკური მიკუთვნებულობის ნიშნით პირის ვიქტიმიზაციის აკრძალვის შესახებ

ეთნიკური პროფილირება გონივრული დასაბუთების გარეშე განხორციელებული საპოლიციო კონტროლია, რა დროსაც პირის ვიქტიმიზაცია მისი კანის ფერის, ენის, რელიგიის ანდა ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ხდება.<sup>104</sup>

ეთნიკური ნიშნით პროფილირებისას, საპოლიციო სისტემის წარმომადგენლები მიზეზის გარეშე, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის გაუთვალისწინებლად, მხოლოდ პირის ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ირჩევენ სავარაუდოდ დამნაშავეს. თავის მხრივ, ეთნიკურ პროფილირებას ხელს უწყობს, როგორც სახელმწიფოს მიერ არჩეული მივიწყებისა და გარიყვის სისტემური პოლიტიკა, ისე კონკრეტული სამართალდამცავის პირადი მიკერძოება და განწყობა კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური პროფილირებით დამნაშავეების ამორჩევის პრაქტიკა, დროთა განმავლობაში საპოლიციო საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად იქცა, რაც უდავოდ დისკრიმინაციული პრაქტიკაა.<sup>105</sup>

ადამიანის ერთ-ერთი ბაზისური უფლება სწორედ დისკრიმინაციისაგან დაცვაა. ამდენად, არაერთი საერთაშორისო სამართლის წყარო ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ ერთი მხრივ, თავად არ განახორციელოს დისკრიმინაციული ქმედებები, ხოლო მეორე მხრივ, დაიცვას ინდივიდები დისკრიმინაციისაგან და უზრუნველყოს სახელმწიფოს და კერძო პირების მიერ ჩადენილი დისკრიმინაციული ქმედებების ეფექტიანი და საფუძვლიანი გამოძიება.<sup>106</sup>

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის მიხედვით: „*პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, მისი ტერიტორიის ფარგლებსა და იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი, უზრუნველყოს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებებით, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებათა მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.*“<sup>107</sup> პაქტის მიზნებისათვის, დისკრიმინაცია განმარტებულია, როგორც ჩამოთვლილი ნიშნების საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა,

<sup>104</sup> ECRI, General Policy Recommendation No 11 on combating racism and racial discrimination in policing (29 June 2007), para.1

<sup>105</sup> AMNESTY INTERNATIONAL DUTCH SECTION Police and Human Rights Programme, POLICE AND MINORITY GROUPS, გვ.35

<sup>106</sup> იქვე, გვ. 7.

<sup>107</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილი.



შეზღუდვა ანდა უპირატესობა, რომელიც ხელს უშლის პირს გარანტირებული უფლებებით სარგებლობაში.<sup>108</sup> თავის მხრივ, პაქტის მე-7 მუხლით პირის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაა განმტკიცებული, რაც ამასთანავე ხელშემკვრელ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, რომ აღკვეთოს საჯარო მოხელისა თუ კერძო პირის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც ინდივიდის უსაფრთხოებისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლებას უქმნის საფრთხეს.<sup>109</sup>

პოლიციის მიერ დისკრიმინაციული ქმედების ჩადენის აკრძალვა დაცულია, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლითაც, რომლის მიხედვითაც: „სახელმწიფოებმა უნდა მოახერხონ, პირის მიერ მისი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას ყოველგვარი სახის დისკრიმინაციის აკრძალვა, განურჩევლად, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების თუ სხვა ნიშნისა.“<sup>110</sup> ამასთან, საყურადღებოა კონვენციის მე-12 პროტოკოლიც, რომელიც კატეგორიულად კრძალავს საჯარო მოხელის, მათ შორის, საპოლიციო სისტემის წევრის მიერ ჩამოთვლილი ნიშნით, პირის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.<sup>111</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ სამართალდამცავების მიერ ინდივიდთა გაჩერებისა და ჩხრეკის (*stop and search*) უფლებამოსილების გამოყენება დასაბუთებული უნდა იყოს მკაფიო და მყარი ობიექტური მიზეზით. დაუშვებელია აღნიშნული პროცედურის გამოყენება ადამიანის პირადი ცხოვრებისა და თანასწორობის უფლებებს დარღვევის ფონზე ხდებოდეს. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „Gillan and Quinton v. the United Kingdom“ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო და ბრიტანეთში მოქმედი განუჭვრეტადი კანონი, რომელიც პოლიციელს ინდივიდების თარგეთირების შეუზღუდავ დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებდა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებთან შეუსაბამოდ მიიჩნია. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მხრიდან, პოლიციის მიერ პირთა გაჩერებისა და ჩხრეკის გზით საპოლიციო სისტემებზე მომეტებული კონტროლისა და ძალაუფლების გადაცემის წახალისება, მნიშვნელოვნად ზრდის საპოლიციო კონტროლის დისკრიმინაციული გამოყენების რისკს.<sup>112</sup> ევროპულმა სასამართლომ მსგავსი დასაბუთება გამოიყენა საქმეზე „Timishev v. Russia“. სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია საპოლიციო სისტემები ადამიანებს მათი ეთნიკური წარმომავლობით განასხვავებდეს და მის მიერ გამოსაყენებელ ზომებსა და მექანიზმებს ადამიანის ეთნიკური იდენტობის გათვალისწინებით არჩევდეს.<sup>113</sup>

<sup>108</sup> Human Rights Committee, General Comment 18, UN Doc. HRI/GEN/1/Rev.1 at 26 (1994), para. 7

<sup>109</sup> Human Rights Committee, General Comment 31, UN Doc. CCPR/C/21/Rev.1/Add.13 (2004), para. 8

<sup>110</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი.

<sup>111</sup> European Convention on Human Rights, Protocol N12, 2(1)

<sup>112</sup> Eur. Ct. Hum. Rts., Gillan and Quinton v. the United Kingdom, Application no. 4158/05, judgment of January 12, 2010, at 87

<sup>113</sup> Case of Timishev v. Russia (Applications nos. 55762/00 and 55974/00), Judgement, 13 March 2006, para. 58.

ნიშანდობლივია, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის შეფასება პოლიციელთა დისკრიმინაციული საქმიანობის შესახებ. კომისარი დაუშვებლად მიიჩნევს, ეთნიკური ნიშნით ადამიანების ვიქტიმიზაციის პრაქტიკას, თუნდაც მაშინ, როდესაც აღნიშნული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივითაა ახსნილი. კომისრის აზრით, უსაფრთხოებაა ესაა საბაზი, რომელსაც სახელმწიფოები მომეტებული საპოლიციო კონტროლის ლეგიტიმაციისა და ნორმალიზებისათვის იყენებენ. ეთნიკური პროფილირებისას, არ არსებობს არანაირი საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სამიზნე ჯგუფები სავარაუდო დამნაშავეებს წარმოადგენენ. კომისარმა ასევე ეჭვქვეშ დააყენა ეთნიკური პროფილირების ეფექტიანობა და გააფრთხილა პოლიციაცა და საზოგადოებაც, ეთნიკურ უმცირესობებზე მისი მავნე ზემოქმედების შესახებ. კომისარი სახელმწიფოებს ურჩევს, რომ პოლიციას დამნაშავეთა აღმოჩენის რეალური მეთოდების შემუშავებაში დაეხმაროს, ეთნიკური პროფილირება დამნაშავეთა ამოცნობის მცდარი და ზედაპირული მექანიზმია, რითაც რეალური საფრთხეები და დამნაშავენი სახელმწიფოს კონტროლისა და ყურადღების მიღმა რჩებიან.<sup>114</sup>

კომისარი ეთნიკური და რელიგიური ნიშნით მოქალაქეების გაჩერებისა და ჩხრეკის მეთოდს არაპრაქტიკულს უწოდებს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მხოლოდ „მსუსხავი ეფექტის“ გამყარებასა და უმცირესობების დაშინებას ისახავს მიზნად. კომისარმა მოუწოდა საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, რომ დაუშვებლად ცნონ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის გამოყენების გარეშე ადამიანების გადამოწმების პრაქტიკა და გასცა რეკომენდაცია, რომ, ინდივიდების ჩხრეკაცა და გაჩერებაც, მხოლოდ განჭვრეტადი სამართლებრივი საფუძვლის გამოყენებით იქნას საპოლიციო სისტემებისათვის შესაძლებელი.<sup>115</sup>

საგულისხმოა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ არ დაუშვას საჯარო ფუნქციის შემსრულებელი პირების მიერ რასობრივი დისკრიმინაციის პრაქტიკების დანერგვა. კონვენცია ყურადღებას ამახვილებს, საჯარო ხელისუფლებისა და მისი წარმომადგენლების პასუხისმგებლობაზე, რომ დროულად აღკვეთონ და საფუძვლიანად შეისწავლონ თითოეული დისკრიმინაციული შემთხვევა.<sup>116</sup>

გაერთიანებული ერების რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის შეფასებით, აუცილებელია, სახელმწიფოები პროაქტიულად ებრძოდნენ ეთნიკური პროფილირების ნიშნით, განხორციელებულ არაპროპორციულ საპოლიციო კონტროლის, მათ შორის, დაკითხვის, დაკავებისა და ჩხრეკის მანკიერ

<sup>114</sup> Council of Europe Commissioner for Human Rights. “Stop and searches on ethnic and religious grounds are not effective” (viewpoint), July 20, 2009.

<sup>115</sup> Council of Europe Commissioner for Human Rights. “Address by Thomas Hammerberg, Council of Europe Commissioner for Human Rights, before the Committee on Justice of the Dutch Senate” (speech), September 28, 2010;

<sup>116</sup> International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination, Art. 2a

პრაქტიკას, ვინაიდან ეთნიკური ანდა რასობრივი პროფილირება ეჭვის ქვეშ აყენებს პოლიციელთა საქმიანობის ლეგიტიმურობას.<sup>117</sup>

ცხადია, ეთნიკური ნიშნით პროფილირება დამაზიანებელია საკუთრივ ეთნიკური უმცირესობათა ჯგუფებისათვის, მათი კრიმინალური ვიქტიმიზაცია, მათ წინააღმდეგ არსებულ ნეგატიურ განწყობებსა და სტიგმებს აძლიერებს. თავად, თემი კი სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობას კარგავს.<sup>118</sup>

იმავეზე მიუთითებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც, რომლის მიხედვითაც: *„ინდივიდზე, ეთნიკური მახასიათებლის ნიშნით განხორციელებული საპოლიციო კონტროლი ერთი მხრივ, უარყოფითად მოქმედებს ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა ღირსებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს ქსენოფობიური და დისკრიმინაციული სტიგმების გაღრმავებას, რასაც მხოლოდ და მხოლოდ დამაზიანებელი შედეგები შესაძლოა ჰქონდეს სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის.“*<sup>119</sup>

ამდენად, საერთაშორისო სამართალი სისტემურად ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ საპოლიციო საქმიანობისას არ დაუშვას დისკრიმინაციული პრაქტიკების გამოყენება და ამავდროულად, საპოლიციო სისტემებმა შეასრულონ მათზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება და პროაქტიულად აღკვეთონ დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულები.

## 2.2. საერთაშორისო სამართლის წყაროები ეთნიკური უმცირესობების მიმართ სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ (Police misconduct)

აღიარებულია, რომ სახელმწიფოს მიერ არჩეული დისკრიმინაციული პოლიტიკა, ახალისებს საპოლიციო სისტემების მიერ ჩადენილ დამამცირებელ მოპყრობას, გადამეტებული ძალის გამოყენებასა და სხვა სამოხელეო დანაშაულებს. ვინაიდან, მოქალაქეები, რომლებსაც სახელმწიფოები საფრთხედ განიხილავენ, სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულების მიმართ განსაკუთრებული მოწყვლადობით გამოირჩევიან.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლით, რომელიც სიცოცხლის უფლებას განამტკიცებს, დგინდება, რომ „თითოეულ ადამიანს გააჩნია სიცოცხლის განუყოფელი უფლება. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე.“ კონვენციის მიზნებისათვის განმარტებულია, რომ სიცოცხლის უფლების დაცვის კონტექსტში, სახელმწიფოების ვალდებულებაა, მიიღონ სპეციალური ზომები იმ პირთა, მათ

<sup>117</sup> CERD, General recommendation XXXI on the prevention of racial discrimination in the administration and functioning of the criminal justice system, para. 20.

<sup>118</sup> იქვე.

<sup>119</sup> Williams v Spain, 17 August 2009, CCPR/C/96/D/1493/2006, para. 7.2.

შორის, ეთნიკური უმცირესობების, უფლებრივი მდგომარეობის დასაცავად, რომლებიც იმთავითვე დაუცველნი არიან და რომელთა სიცოცხლესაც, სხვადასხვა სტიგმისა და ძალადობრივი პატერნის გამო, განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება.<sup>120</sup>

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან ერთად, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლითაცაა დაცული. აღნიშნული ნორმა, სახელმწიფოს, მათ შორის სამართალდამცავების, მიერ ლეტალური ძალის გამოყენების მკაცრ სტანდარტს ადგენს და საპოლიციო სისტემებს მაქსიმალურ თავშეკავებასა და საქმიანობის დროს, პროპორციულობის პრინციპების დაცვას ავალდებულებს, მით უფრო, ეთნიკური უმცირესობების მიმართ განხორციელებული საპოლიციო კონტროლის დროს, ვინაიდან, აღიარებულია, რომ უმცირესობების უფლებრივი კონტექსტიდან გამომდინარე, ისინი განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან.<sup>121</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მე-2 მუხლის საფუძველზე ეკისრებათ კანონისმიერი ვალდებულება იმისა, რომ სამართალდამცავთა მიერ მოქალაქეთა სიცოცხლის მოსპობის ანდა საფრთხეში ჩაგდების ფაქტები განსაკუთრებულად ეფექტიანად გამოიძიონ, მით უფრო, მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული ეჭვი იმისა, რომ პოლიციელის მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედება, სამართალდამცავი პირის რასობრივი ანდა ეთნიკური მიკერძოებით იქნა გამოწვეული. ამავდროულად, სასამართლო განმარტავს, რომ თითოეულ სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებაა, რომ პროაქტიული ქმედებებით გააცხადოს სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მკაცრად გმობს და ემიჯნება, კონკრეტულ სამართალდამცავთა მიერ გამოვლენილ რასიზმსა და ეთნიკურ სიძულვილს, რადგან სასამართლოს აზრით, მხოლოდ ასე შეძლებს საპოლიციო სისტემაცა და საკუთრივ სახელმწიფოც, უმცირესობათა ნდობის მოპოვებას, შენარჩუნებასა და დისკრიმინაციული ძალადობისაგან მათ ეფექტიან დაცვას. პრეცედენტულია სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომა საქმეზე *Nachova and Others.v. Bulgaria*, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავების მხრიდან ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისადმი გამოვლენილი არასათანადო ქცევა (Police misconduct) განსაკუთრებულად დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეულა, რადგან ეთნიკური უმცირესობების მიმართ ჩადენილი დანაშაულების კუთხით მაღალია რისკი იმისა, რომ მხედველობის მიღმა დარჩეს შესაძლო დისკრიმინაციული მოტივაციის არსებობა.<sup>122</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულების, განსაკუთრებით კი, ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოქალაქეების მიმართ გამოყენებული

<sup>120</sup> International Covenant on Civil and Political Rights, Human Rights Committee General comment No. 36 Article 6: right to life, P.5

<sup>121</sup> The European Convention on Human Rights and Policing, p.24-25

<sup>122</sup> Case of *Nachova and Others.v. Bulgaria*

გადამეტებული ძალისა და სიცოცხლის მოსპობის შემთხვევებში, სახელმწიფო სტრუქტურებს დამატებითი ვალდებულება ეკისრებათ, იმისა, რომ ამხილონ და გამოიძიონ, ნებისმიერი რასისტული ანდა ეთნიკური სიძულვილის გამოხატულება, რამაც მნიშვნელოვანი როლი იქონია, საპოლიციო სისტემის წარმომადგენლის მიერ სამოხელეო დანაშაულის ჩადენისას. სასამართლო მიიჩნევს, რომ რასობრივი ანდა ეთნიკური ნიშნით მოტივირებული დანაშაულში ეთნიკური ნიშნით განხორციელებული სიძულვილისა და დისკრიმინაციის ნიშნების უარყოფა და გამორიცხვა, დამღუპველია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვისათვის.<sup>123</sup>

საქმეზე *Ciorcan and others v. Romania*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა არგუმენტი იმის შესახებ, რომ 2006 წლის 7 სექტემბერს, სამძებრო სამუშაოებისას, რუმინელმა სამართალდამცავებმა გამოიყენეს არაპროპორციული და გადამეტებული ძალა- მრავალჯერ ესროლეს საკუთარ ეზოში მყოფ ქალს, რომელიც არ ყოფილა შეიარაღებული და არც წინააღმდეგობა გაუწევია სპეციალური ოპერაციების ძალებისათვის. სასამართლომ გაითვალისწინა რა რუმინეთის პოლიციის რასისტული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება ბოშების მიმართ, განმარტა, რომ პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენება, მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედება იყო. ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო იმ გარემოებასაც, რომ სახელმწიფომ ვერ დაადასტურა, რომ მსგავსი მასშტაბის ოპერაციები, დომინანტური ეთნიკური ჯგუფით დასახლებულ რეგიონებსა და რაიონებშიც ტარდებოდა. სასამართლომ გამოარკვია, რომ სამართალდამცავთა მიერ გამოყენებული იქნა გადამეტებული ძალა, რამაც მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა პირის სიცოცხლეს და არაადამიანური მოპყრობა გამოიწვია. ამდენად, ევროპულმა სასამართლომ, კონვენციის მე-2, მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევა დაადგინა.<sup>124</sup>

საგულისხმოა, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიდგომა, რომელიც საპოლიციო სისტემა, სახელმწიფოს წარმომადგენლად მოიაზრებს და ამრიგად, სასამართლო სწორედ საპოლიციო ძალების პასუხისმგებლობად ხედავს თანასწორობის პრინციპის დაცვასა და დისკრიმინაციის პრევენციას. იქიდან გამომდინარე, რომ პოლიციას მეტწილად უფლებადაცვითი საქმიანობაც ევალება, უმნიშვნელოვანესია, რომ იგი თავადვე არ ახორციელებდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.<sup>125</sup>

საყურადღებოა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია, რომელიც პოლიციის მიერ განხორციელებულ რასობრივ და ეთნიკურ დისკრიმინაციას შეეხება. რეკომენდაციის მე-9 თავით

<sup>123</sup> Case of Shanaghan v. the United Kingdom

<sup>124</sup> Case of Ciorcan and others v. Romania

<sup>125</sup> According to the European Commission of Human Rights, discrimination based on race can in certain circumstances of itself amount to degrading treatment (East African Asians v. the United Kingdom, Report adopted by the Commission on 14 December 1973, para. 207.

აღნიშნულია, რომ: „სახელმწიფოები ვალდებული არიან, ადეკვატურად გამოიძიონ და შემდგომში პროპორციული სასჯელი შეუფარდონ, იმ პოლიციელებს, რომლებიც რასობრივი დისკრიმინაციის ანდა რასობრივად მოტივირებულ სამოხელეო დანაშაულს ჩაიდნენ“.<sup>126</sup> რეკომენდაციის მიზნებისათვის, რასობრივ დანაშაულად ნაგულისხმებია, სამართალდამცავი პირის მიერ გამოყენებული არაპროპორციული ძალა, რაც უმთავრესად მსხვერპლის რასის, კანის ფერის, რელიგიის, ეროვნების ანდა ეთნიკური წარმომავლობით იქნა გამოწვეული.<sup>127</sup>

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის მსგავსად, საპოლიციო სისტემის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციული სამოხელეო დანაშაულების მიმართ მკაცრი და მყისიერი რეაგირებისაკენ, მოუწოდებს გაერთიანებული ერების რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტიც. მათი შეფასებით: „კრიტიკულად მნიშვნელოვანია, უმკაცრესად დაისაჯონ ის სახელმწიფო მოხელეები, განსაკუთრებით კი ის სამართალდამცავები, რომლებიც მხილებულნი არიან ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა ძალადობის, წამების, არაადამიანური მოპყრობისა და გადამეტებული ძალების გამოყენების ფაქტებით.“<sup>128</sup>

### 2.3. კანონის აღსრულებისა და ადამიანის უფლებების დაცვისაგან მიზანმიმართული თავშეკავების პრაქტიკა

აღიარებულია, რომ იმ რეგიონებში, სადაც საპოლიციო სისტემებსა და მოქალაქეებს შორის, ნდობისა და სამართლიანობის პრინციპები ირღვევა, მეტად მძაფრდება ფესვგადგმული ორმაგი უნდობლობა, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს, საზოგადოებრივი ხელშეკრულებით, მოქალაქეებისა და სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. დამატებით, მოქალაქეთა ეთნიკური პროფილირების პრაქტიკა, განამტკიცებს სტერეოტიპს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები არ არიან სანდონი და რომ, ისინი არათანმიმდევრულნი არიან სამართალდამცავებთან ურთიერთობისას, რაც მნიშვნელოვნად ართულებს, კანონის აღსრულებისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესაძლებლობებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით განმტკიცებულია თითოეული ინდივიდის, უსაფრთხოებისა და დაცულობის უფლება, რაც ჩანასახშივე გულისხმობს იმას, რომ დეკლარაციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების

<sup>126</sup> ECRI, General Policy Recommendation N11 on Combating Racism and Racial Discrimination in Policing, adopted on 29 June 2007, Paragraph N9.

<sup>127</sup> იქვე. Paragraph N1.

<sup>128</sup> CERD, General recommendation XXXI on the prevention of racial discrimination in the administration and functioning of the criminal justice system, from A/60/18 (2005), para. 21.

კანონისმიერი ვალდებულებაა, თითოეულ მოქალაქეს შეუქმნან უსაფრთხოებისა და ძალადობისაგან დაცვის გარანტიები.<sup>129</sup>

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიცია მიზანმიმართულად იკავებს თავს ცალკეული დანაშაულების გამოძიებისაგან, რაც საპოლიციო საქმიანობისას გამოჩენილი უგულბელებიერების მკაფიო გამოვლინებაა.

საერთაშორისო სამართლის პერსპექტივიდან, უსაფრთხოებისა და დაცულობის უფლება, ეფექტიანი გამოძიების ვალდებულებასთან ერთად, ის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია, რომელთა უგულბელებიერებაც საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულ ბაზისურ სტანდარტებს არღვევს. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, პოლიციის გულგრილობა და დანაშაულთა იგნორირების ტენდენცია, უმთავრესად დამკვიდრებული დისკრიმინაციული მიდგომებითაა გამოწვეული. საპოლიციო სისტემის მიერ, ეთნიკური უმცირესობების თემში მომხდარ დანაშაულზე ადეკვატური რეაგირებისაგან მიზანმიმართული თავშეკავება, განსაკუთრებულად ამწვავებს უმცირესობათა დაუცველობისა და მარგინალიზების განცდას, რაც მათ კიდევ უფრო მეტად მოწყვლადსა და გარიყულს ხდის.

საპოლიციო უწყებები ვალდებულნი არიან ეთნიკურ უმცირესობებს ძალადობისაგან დაცვის ეფექტიანი გარანტიები შესთავაზონ და უმცირესობების წინააღმდეგ გამოთქმული მუქარაცა და ძალადობრივი მოწოდებები დროულად გამოიძიონ. ამავდროულად, საერთაშორისო სამართლის წყაროებით დადგენილია, რომ უმცირესობათა რეგიონებში პოლიციის დეპარტამენტთა სიჭარბეცა და ხილვადობაც, კი არასაკმარისი იქნება იმისათვის, რომ უმცირესობების უფლებათა დაცვისათვის საჭირო გარანტიები შეიქმნას, თუ კი პოლიცია განზრახ შეიკავებს თავს უმცირესობათა თემთან აქტიური თანამშრომლობისა და კოორდინაციისაგან, შესაძლო დაპირისპირებებისა აცილების მიზნით.<sup>130</sup>

#### 2.4. საერთაშორისო სამართალი- ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის სტრატეგიის შესახებ

საპოლიციო სისტემების მიერ ჩადენილ დამამცირებელ მოპყრობასთან, გადამეტებული ძალის გამოყენებასა და ცალკეული დანაშაულების გამოძიებისაგან მიზანმიმართულ თავშეკავებასთან ერთად, პრობლემურია ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის ერთიანი პრაქტიკის არარსებობაც.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია აიხსნას თუ რა იგულისხმება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში. ერთი მხრივ, აღნიშნული ტერმინის უნივერსალური

<sup>129</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, მე-3 და მე-9 მუხლები.

<sup>130</sup> Amnesty International Police and Human Rights Programme, Police and Minority Groups, გვ.25

დეფინიცია არ არსებობს, თუმცა საერთაშორისო სამართლით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ინდივიდის წინააღმდეგ ჩადენილი ისეთი დანაშაულს გულისხმობს, რა დროსაც მსხვერპლი დანაშაულის სამიზნედ, მისი, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის ანდა გენდერული იდენტობის ნიშნით იქცა.<sup>131</sup> ამავდროულად, დადგენილია, რომ ამგვარი დანაშაული, იმაზე მეტ ზიანს აყენებს მსხვერპლს, ვიდრე დისკრიმინაციული მოტივის გარეშე ჩადენილი დანაშაულები, ვინაიდან სიძულვილით მოტივირებული ძალადობა, გამოვლენილი სიძულვილის ადრესატის იდენტობის უარყოფასა და დაკნინებას ისახავს მიზნად, რაც უკიდურესად მძიმედ აისახება მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და იმთავითვე გამორიცხავს, გრძელვადიან პერსპექტივაში, საზოგადოებისათვის ღირებულ და სრულფასოვან წევრად პირის თვითიდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ამასთან, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სპეციფიკურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მისი საზიანო შედეგები, არა მხოლოდ მსხვერპლზე, არამედ იმ ჯგუფზეც ვრცელდება, რომელზე მიკუთვნების გამოც, დანაშაულის ადრესატი მსხვერპლად იქნა შერჩეული.<sup>132</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, ერთი მხრივ, სახელმწიფოზე დაკისრებული ნეგატიური ვალდებულების ხაზგასმის გზით, დაუშვებლად ცნობს საჯარო მოხელეებისა და სახელმწიფოს წარმომადგენელი პირების მიერ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენას,<sup>133</sup> ხოლო მეორე მხრივ, მოუწოდებს კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, ადასრულონ მათ მიერ ნაკისრი პოზიტიური ვალდებულება და დროულად უზრუნველყონ იმგვარი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა და იმპლემენტირება, რომელიც მოქალაქეებს ამგვარი დანაშაულებისაგან დაიცავს.<sup>134</sup>

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის კუთხით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ: *„სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, სახელმწიფოებმა სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, პროაქტიულად უნდა გამოიძიონ, რათა მათ, მხედველობიდან არ გამორჩეთ, რასიზმისა და ეთნიკური შეუწყნარებლობის დანაშაულებრივი ნიშნები. სწორედ, გამოვლენილი სიძულვილის მიზეზებზე ხაზგასმითა და მკაფიო დაგმობით, შეძლებენ სახელმწიფოები, უმცირესობების თემში ნდობის მოპოვებასა და შემდგომში, ამგვარი დანაშაულების პრევენციას.“*<sup>135</sup>

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ რასისტული და ეთნიკური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების გამოძიებისას, სახელმწიფოებმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეამოწმონ, დანაშაული სიძულვილის ნიშნით ხომ არ იქნა ჩადენილი. იმ შემთხვევაში, თუ კი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისას,

<sup>131</sup> იქვე.გვ.21

<sup>132</sup> იქვე.

<sup>133</sup> Case of Hristozov and Others v. Bulgaria, § 111.

<sup>134</sup> Case of X and Others v. Bulgaria § 178.

<sup>135</sup> Case of Antayev and Others v. Russia, § 110.



სახელმწიფო გამოვლენილი სიძულვილის მიზეზებს არ გამოიკვლევს, ნაგულისხმები იქნება, რომ სახელმწიფო რასობრივი და ეთნიკური შეუწყნარებლობით მოტივირებულ ძალადობას, ორდინალურ დანაშაულებს უტოლებს და ამდენად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სპეციფიკურ ხასიათს უგულებელყოფს, რაც განსაკუთრებულად დამაზიანებელია მოწყვლადი ჯგუფის მიერ მისი ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობის კუთხით.<sup>136</sup>

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირების მანდატი იმთავითვე სისხლის სამართლის სისტემაზეა დამოკიდებული და ამდენად, ამ პროცესში სამართალდამცავი პირები, განსაკუთრებით კი პოლიციელები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. ამგვარ დანაშაულზე რეაგირებისა და პრევენციის შესაძლებლობა ერთიორად იზრდება მაშინ, როდესაც, პოლიცია, პროკურატურაცა და სასამართლო სისტემაც შეთანხმებულად მუშაობენ. აღნიშნულია, რომ დანაშაულის ადგილას უპირველესად საპოლიციო სისტემის წარმომადგენლები ხვდებიან, ამდენად, პოლიცია ის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტია, რომელსაც დანაშაულის ეთნიკური მარკერით გაზომვა და ამდენად, ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამოვლენა შეუძლია.<sup>137</sup>

მიჩნეულია, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მონიტორინგის, აღრიცხვისა და პრევენციის კუთხით, საპოლიციო სისტემებში შემდეგი გამოწვევები არსებობს:

- ერთიანი პოლიტიკის არარსებობა (*Policy gaps*)- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის მოტივაციების აღმოჩენის შესახებ ერთიანი პოლიტიკისა და პროცედურების არარსებობა მნიშვნელოვნად ართულებს მტკიცებულებების მოპოვებასა და შემდგომში დეტალების აღრიცხვისა და მონიტორინგის პროცესს.
- შეტყობინების ერთიანი სისტემის არარსებობა (*Reporting gaps*)- იმ შემთხვევაში, თუკი საპოლიციო უწყებებს არ გააჩნიათ რასიზმისა და ეთნიკური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შესახებ შეტყობინებისა და რეპორტირების ერთიანი სისტემა, ერთიორად იზრდება რისკი იმისა, რომ დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციული მოტივაცია სამართალდამცავ სისტემებს ყურადღების მიღმა დარჩეთ.
- პრიორიტეტული ხარვეზები (*Priority gaps*) - ხშირად, სახელმწიფო წარმომადგენლებსა და კონკრეტულ სამართალდამცავები საჭირო მნიშვნელობას არ ანიჭებენ, იმ გარემოებას, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რის გამოც, ისინი მიზანმიმართულად არ იკვლევენ დისკრიმინაციულ, ქსენოფობიურ და

<sup>136</sup> Case of Abdu v. Bulgaria, § 44.

<sup>137</sup> OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), “PROSECUTING HATE CRIMES-a practical guide”, p.87.

რასისტულ მოტივებს და ამდენად, არც შესაბამის ორგანოებს, მათ შორის, პროკურატურასა და სასამართლოს აწვდიან მიუკერძოებელ ინფორმაციას რასიზმისა და ეთნიკური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შესახებ.

- ტრენინგის ნაკლებობა (*Lack of training*)- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სპეციფიკის შესახებ პოლიციელთა არასაკმარისი ინფორმირება, საგრძნობლად ამცირებს შანსს იმისა, რომ პრაქტიკასა და ყოველდღიურ საქმიანობაში ისინი სწორად შეძლებენ სიძულვილის ნიშნების იდენტიფიცირებასა და მტკიცებულების მიუკერძოებელ და სწორ შეგროვებას დანაშაულის მოტივებთან დაკავშირებით.
- რეპორტინგის თანმხლები შესაძლო ნეგატიური შედეგების შიში (*Concern about the repercussions of reporting*)- ზოგიერთი პოლიციელი შესაძლოა განზრახ არ აკეთებდეს ოფიციალურ შეტყობინებას მომხდარი დანაშაულის რეალური მოტივის შესახებ, რადგან, ფიქრობდეს, რომ თუკი საზოგადოება დაუშვებს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები მართლაც ხდება მათ ირგვლივ, უმრავლესობა საპოლიციო სისტემებს უმოქმედობასა და არაეფექტიან მუშაობაში დაადანაშაულებს, რის გამოც, არაერთი პოლიციელი მიზანმიმართულად არ იკვლევს დანაშაულის რეალურ მოტივებს.
- ცრურწმენა (*Prejudices*)- ხშირად, პოლიციის პერსონალი თავადვე იზიარებს მოძალადეთა განწყობებს კონკრეტული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ, რის გამოც, ისინი არასათანადოდ ასრულებენ მათზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, არ იკვლევენ დანაშაულში სიძულვილის ელემენტებს და შესაბამისად არც სწორ რეპორტინგს ახორციელებენ.<sup>138</sup>

ამრიგად, უდავოა, რომ ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამომიებისა და პრევენციის სტრატეგიის კუთხით, სახელმწიფოს გააჩნდეს ერთიანი პოლიტიკა, აწარმოებდეს პოლიციელთა რეგულარულ გადამზადებასა და ინფორმირებას იმ სტრუქტურული ჩავჯვრის შესახებ რომელსაც კონკრეტული თემი განიცდის რის შედეგადაც, თითოეულ პოლიციელს ეცოდინება, თუ როგორ აღმოაჩინოს და რეაგირების რა სისტემა გამოიყენოს სიძულვილის მოტივირებული დანაშაულების შემთხვევაში.

### 3. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები მულტიეთნიკურ საზოგადოებებში საპოლიციო საქმიანობის შესახებ

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით განსახლებულ რეგიონებში საპოლიციო საქმიანობას შეეხება, საერთაშორისო გამოცდილებასა და

<sup>138</sup> OSCE's Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), "Preventing and responding to hate crimes", p.28

საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული და სახელმწიფოებს საერთაშორისო მოწესრიგებისა და სტანდარტების შესაბამის მიდგომებს სთავაზობს.

- სახელმწიფოს პოლიტიკა- ზოგადი პრინციპები რეკომენდაციების პირველი თავი, სამ ზოგად პრინციპს აერთიანებს. რომელთა მიხედვითაც, უმნიშვნელოვანესია, სახელმწიფოებს გააჩნდეთ დეკლარირებული პოლიტიკა, რომლითაც მკაფიოდ იქნება გაცხადებული, ინტერეთნიკური ურთიერთობის განმტკიცების პროცესში პოლიციის როლი. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი, უნდა იყოს სახელმწიფოს ფართო პოლიტიკისა და პროგრამების ნაწილი, ვინაიდან, დეკლარირებული მიდგომების ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე თანაბარი იმპლემენტირება მოხერხდეს. ამასთან, სახელმწიფოების ვალდებულებაა, იზრუნონ პოლიციის პროფესიონალიზებასა და სერვისზე ორიენტირებულ მიდგომაზე, რათა თითოეული სამართალდამცავის მიერ უზრუნველყოფილი იყოს, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქმიანობა, განსაკუთრებით უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებების დაცვის კუთხით.<sup>139</sup>

ამასთან, სახელმწიფოების პასუხისმგებლობაა, აღადგინონ ნდობა პოლიციასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის. აუცილებელია სახელმწიფომ ნათლად აჩვენოს, რომ პოლიცია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს უჭერს მხარს და რომ მეტიც, სწორედ პოლიციის კანონისმიერი ვალდებულებაა, ამ პროცესში მათი მონაწილეობა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მეტი სიცხადისათვის, მნიშვნელოვანია, პოლიტიკურიცა და პოლიციის ლიდერებიც, საჯაროდ აფიქსირებდნენ ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერას.<sup>140</sup>

მესამე რეკომენდაცია ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპს შეეხება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმებიცა და იმპლემენტირების პროცესიც, სახელმწიფო ორგანოებსა და პოლიციასთან ერთად, უმცირესობების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით უნდა იქნას შექმნილი.<sup>141</sup>

- რეკრუტირება და წარმომადგენლობა საპოლიციო სისტემებში

საყურადღებოა, რომ პოლიციის თანამშრომელთა და ოფიცერთა უმცირესობათა თემიდან შერჩევის პრაქტიკას, დადებითი გრძელვადიანი შედეგები აქვს. ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მსგავსად, საპოლიციო სისტემის შემადგენლობაც, მრავალფეროვანი და მულტიეთნიკური საზოგადოებების საჭიროებებზე მორგებული უნდა იყოს.<sup>142</sup>

<sup>139</sup> OSCE, Recommendations on Policing in Multi-Ethnic Societies, General Principles, Section 1.

<sup>140</sup> იქვე, Section 2.

<sup>141</sup> იქვე, Section 3.

<sup>142</sup> Recommendations on Policing in Multi-Ethnic Societies, Commentary, გვ.9

ამდენად, შემდეგი რეკომენდაციაა რომ პოლიციის შემადგენლობა როგორც ადგილობრივ და რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეზე მრავალფეროვანი იყოს. ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები საპოლიციო სისტემებში უნდა ყველანაირ პოზიციებს უნდა იკავებდნენ, მათ შორის, მაღალი და დაბალი რანგის წოდებებს. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოებმა სტატისტიკური მონაცემები უნდა აწარმოონ, რითაც უნდა მოწმდებოდეს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის ზრდისა თუ მატების ტენდენციები.<sup>143</sup>

ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია, მუდმივად შეიმუშავოს ახალი ინიციატივები და წინადადებები უმცირესობათა რეკრუტირების გაზრდის მიზნით, რაც, თავის მხრივ, მსურველთა წახალისების სპეციალურ ზომებსაც უნდა მოიცავდეს. უპირობოა, რომ უმცირესობები, საპოლიციო სისტემებში დასაქმების პროცესში არ აწყდებოდნენ პირდაპირი ანდა არაპირდაპირი სახის დისკრიმინაციულ ბარიერებს.<sup>144</sup>

დამატებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნას საპოლიციო სისტემების შიგნით, თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული მიდგომები, რაც ნეიტრალური სამუშაო გარემოს შექმნითა და კარიერაში წინსვლის თანაბარი შესაძლებლობებით უნდა იქნას გამოხატული.<sup>145</sup>

საპოლიციო სისტემებში უმცირესობების ინტეგრირება, გაამარტივებს უმცირესობებსა და პოლიციელებს შორის ნდობის შენებისა და კომუნიკაციის პროცესს, იმდენად, რამდენადაც, უმცირესობათა წარმომადგენელი პირების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას მათივე თემის წარმომადგენელი პირები აიღებენ. სწორედ იმავე პრინციპს ეფუძნება საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის (Community policing) იდეაც, რომლითაც ნაგულისხმებია, მაშინ, როდესაც პოლიცია მეტი გულისხმიერებითა და სენსიტიურობით ეკიდება თემის საჭიროებებსა და შიშებს, ამ საზოგადოებაში, მნიშვნელოვნად იზრდება პოლიციის ლეგიტიმაცია. თუმცა, აუცილებელია, რომ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები მხოლოდ უმცირესობებით განსახლებულ რეგიონებში არ ეწეოდნენ პოლიციურ საქმიანობას. პირიქით, ისინი პროფესიონალი პოლიციელები უნდა იყვნენ, რომლებსაც საზოგადოების თითოეულ წევრთან ექნებათ მუშაობის შესაძლებლობა.<sup>146</sup>

- პოლიციის ყოველდღიური საქმიანობის ბაზისური პრინციპები

მულტიეთნიკურ საზოგადოებებში საპოლიციო საქმიანობის მოწესრიგება მხოლოდ რეკრუტირებისა და კომუნიკაციების მეთოდების შემუშავებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. აუცილებელია, არსებობდეს სტანდარტი, რომლითაც

<sup>143</sup>OSCE, Recommendations on Policing in Multi-Ethnic Societies, მე-2 თავის 1-ელი სექცია.

<sup>144</sup> იქვე, მე-2 თავის მე-2 სექცია.

<sup>145</sup> იქვე, მე-2 თავის მე-3 სექცია.

<sup>146</sup> Recommendations on Policing in Multi-Ethnic Societies, Commentary, გვ.9

მრავალეთნიკურ რეგიონებში პოლიციელთა ყოველდღიური საქმიანობა იქნება მოწესრიგებული. <sup>147</sup>

უპირველესი მოთხოვნაა, რომ უმცირესობებით განსახლებულ რეგიონებში სამართალდამცავები კანონის უზენაესობისა და არადისკრიმინაციული წესებით ახორციელებდნენ ყოველდღიურ საქმიანობას. დაუშვებელია, უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე მომეტებული საპოლიციო კონტროლისა (over-policing) და ეთნიკური ნიშნით ვიქტიმიზაციის ტენდენციების კულტივირება. <sup>148</sup>

ამასთან, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება, ცენტრალური ქალაქების მაცხოვრებლებთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, პოლიციის მიერ ადამიანების ეთნიკური ნიშნით გაჩერების, ჩხრეკის, მანქანის შემოწმებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გადამოწმების მომეტებულ და არამიზნობრივ პრაქტიკას, ვინაიდან, აღიარებულია, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გადამეტებული საპოლიციო კონტროლი მხოლოდ და მხოლოდ კრიმინალური ვიქტიმიზაციას ისახავს მიზნად. <sup>149</sup>

თავის მხრივ, კრიმინალური ვიქტიმიზაციის, როგორც საპოლიციო პრაქტიკის, თავიდან არიდების მიზნით, სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, იმისათვის, რომ პოლიციელი კანონს მიუკერძოებლად და არადისკრიმინაციული წესით აღასრულებდეს. ამასთან, აუცილებელია, აღმოფხვრილი იყოს, საპოლიციო სისტემის მიერ ეთნიკური პროფილირება. ამ მიზნებისათვის, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ განჭვრეტადი სამართლებრივი მოწესრიგება საპოლიციო საქმიანობის შესახებ, რომელიც, დეტალურად ჩამოთვლის ინდივიდთა შეჩერებისა და ჩხრეკის საფუძვლებს და რაც, პოლიციელზე დელეგირებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას მნიშვნელოვნად შეამცირებს. <sup>150</sup>

აუცილებელია პოლიციამ გადადგას ქმედითი ნაბიჯები, მათ შორის დანაშაულის შეტყობინების შემდგომ პროაქტიული მოქმედებები, რითაც უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მიერ შესაძლო დანაშაულის შეტყობინების პრაქტიკას წახალისებს. <sup>151</sup> იქიდან გამომდინარე, რომ ნდობის არარსებობის პირობებში უმცირესობათა წარმომადგენელი პირები მეტად ნაკლებად ატყობინებენ სახელმწიფო სტრუქტურებს შესაძლო დანაშაულის შესახებ, პოლიცია ვალდებულია, დანაშაულის შესახებ შეტყობინების განხორციელების შემდგომ, სათანადოდ გამოიძიოს, ამასთან მუდმივად მოახდინოს დაზარალებულები და მოწმეები პროგრესისა და შედეგების შესახებ ინფორმირება. ვინაიდან, იმ

<sup>147</sup> იქვე. გვ. 13

<sup>148</sup> იქვე.

<sup>149</sup> იქვე.

<sup>150</sup> OSCE, Recommendations on Policing in Multi-Ethnic Societies, V. OPERATIONAL PRACTICES, Section 16.

<sup>151</sup> იქვე. Section 17

შემთხვევაში თუკი, უმცირესობებს ექნებათ რწმენა იმისა, რომ მათ პატივისცემით ეპყრობიან და რომ მათი შიშები შესაძლო დანაშაულის შესახებ, სერიოზულად იქნება მიღებული, მათ მეტი სურვილი შეიძლება გაუჩნდეთ როგორც უშუალოდ უსაფრთხო გარემოს შენების პროცესში ჩართვის, ისე საზოგადოებასთან ინტეგრაციის კუთხითაც.<sup>152</sup>

მულტიეთნიკურ რაიონებში პატრულირებისას, საპოლიციო ჯგუფები ეთნიკურად შერეული პირებისაგან უნდა დაკომპლექტეს, რათა შემდგომში, არ გართულდეს საზოგადოების ნდობის მოპოვების პროცესი და პოლიციელთა საქმიანობის ეფექტიანობა. ამასთან, პოლიცია ვალდებულია, შეამოწმოს ხომ არ იწვევს მისი ვიზუალი ანდა ტაქტიკა (მაგ: საპოლიციო ნომრები და ნიშნები, იარაღის ხილვადობა) თემში ზედმეტ შიშსა და დაძაბულობას.<sup>153</sup>

პოლიციამ უნდა უზრუნველყოს ანტიდისკრიმინაციული კანონის პროაქტიული აღსრულება კერძოდ, პოლიცია ვალდებულია, მიიღოს ზომები, რათა წახალისოს ანგარიშგების შესახებ ეთნიკური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ შეტყობინება და ანგარიშგება და შემდგომი გამოძიება.<sup>154</sup>

დამატებით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, მსხვერპლებისათვის, განსაკუთრებით კი ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებისათვის, დანაშაულის გამოძიებისა და აღსრულების თანაბრად ხელმისაწვდომი და ეფექტიანი მექანიზმები შექმნას.<sup>155</sup>

#### 4. დასკვნა

საერთაშორისო სამართლის წყაროთა სისტემური ანალიზი ცხადჰყოფს, რომ საპოლიციო საქმიანობისას ეთნიკური პროფილირების გამოყენების რისკი განსაკუთრებით მაღალია, მაშინ, როდესაც განუჭვრეტადი კანონმდებლობა სამართალდამცავს შეუზღუდავ დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს. მნიშვნელოვანია, რომ საპოლიციო მანდატი ანგარიშვალდებულების პრინციპსაც მოიაზრებდეს და ამდენად, არსებობდეს პოლიციის მიერ ჩატარებული ღონისძიებების მონიტორინგის მექანიზმები.

წარმატებულ პრაქტიკადაა შეფასებული ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი პოლიციისა და კრიმინალური მტკიცებულებების აქტი (PACE), რომელიც, თითოეულ პოლიციელს აკისრებს კანონისმიერ ვალდებულებას, იმისა რომ საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისას დეტალურად აღწეროს და მკაფიოდ დაასაბუთოს, თუ რატომ და რა საფუძვლით გადაწყვიტა კონკრეტული პირის

<sup>152</sup> Recommendations on Policing in Multi-Ethnic Societies, Commentary, გვ.12

<sup>153</sup> OSCE, Recommendations on Policing in Multi-Ethnic Societies, V. OPERATIONAL PRACTICES . Section 18

<sup>154</sup> იქვე, Section 19

<sup>155</sup> იქვე, Section 20.

გაჩერების, ჩხრეკის, დაკითხვისა და საპოლიციო რეიდის ჩატარების გადაწყვეტილება.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუკი ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული პირი შესაბამის სტრუქტურებს მიმართავს პოლიციის მიერ განხორციელებულ დისკრიმინაციული ქცევის შესახებ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. რომ საპოლიციო სისტემის მიერ განხორციელებული შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობა სათანადოდ, მყისიერად და საფუძვლიანად იქნება გამოძიებული და რომ საკუთრივ საპოლიციო სისტემები არ იქნებიან ჩართულნი გამოძიებაში.

ამდენად აუცილებელია:

- არ მოხდეს ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა გარიყვა და სტიგმატიზაცია, რაც სახელმწიფოებს დაეხმარება არასაჭირო ესკალაციებისა და პოლიციელების მიერ მომეტებული ძალის გამოყენების ალბათობის შემცირებაში;
- სახელმწიფოებმა მკაცრად დაარეგულირონ საპოლიციო მანდატის გამოყენების საფუძვლები და შექმნან საპოლიციო ძალის გამოყენების ლეგიტიმური კრიტერიუმები;
- სახელმწიფოები ვალდებულნი არიან არ დაუშვან, საპოლიციო სისტემის მიერ ეთნიკურ უმცირესობებზე მუქარის, ზეწოლის ანდა დაშინების უკანონო ფორმები;
- სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პოლიციელთა მიერ ჩადენილი დისკრიმინაციული ქმედებები მხოლოდ წაახალისებს დაუსჯელობის კულტურას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვან რისკებთანაა დაკავშირებული, ამიტომ სავალდებულოა, რომ დისკრიმინაციული ქმედებების განმახორციელებელი საპოლიციო პირები კანონის სრული სიმკაცრით აგებდნენ პასუხს თავიანთ ქმედებებზე;
- მნიშვნელოვანია არსებობდეს ანგარიშვალდებულების ერთიანი მექანიზმი, რითაც პოლიციელთა მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერება შემოწმდება. შესაბამისი განხილვის მექანიზმების, კონკრეტულ სამართალდამცავთა მიერ განხორციელებული სამოხელეო გადაცდომის შესახებ საჩივრების ანალიზითა და გენერალური ინსპექციის კონტროლით, შესაძლებელი გახდება თითოეული პოლიციელის საქმიანობის ეფექტიანობისა და კანონიერების გადამოწმება.

## ნაწილი III: კონტროლი და დევნა დმანისში

### 1. მცირე ისტორიული ექსკურსი - აზერბაიჯანული თემი დმანისში

ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ქვემო ქართლში, მათ შორის დმანისში, ცხოვრების მრავალ საუკუნოვანი ისტორია აქვთ. ისინი ქვემო ქართლში მე-16 საუკუნეში ჩამოსახლეს, ოსმალური მიგრაციის დროს, თუმცა, ამ ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ მე-11, მე-12 საუკუნეში ვხვდებით მცირე, თურქმენულ, მომთაბარე ტომებს.<sup>156</sup> ასევე, საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში აზერბაიჯანული მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ ის ჯგუფები, რომლებიც მე-19-ე საუკუნის დასაწყისში, რუსეთთან შეერთების შედეგად, გამოეყვნენ სპარსეთს.<sup>157</sup>

საბჭოთა კავშირის პერიოდში, ქვემო ქართლში, პერიფერიებში მცხოვრები აზერბაიჯანელები გამოირჩეოდნენ დაბალი სოციალური მდგომარეობით და არასაკმარისი ინტეგრაციის დონით, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით.<sup>158</sup> აღსანიშნავია, რომ მათ წინაშე იმ დროიდან იდგა წერა-კითხვისა და ეკონომიკური კეთილდღეობის პრობლემა (იქვე).

ამის შემდგომ, დმანისში მცხოვრები აზერბაიჯანელების მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა 1987 წლიდან მიმდინარე ეკომიგრანტების გეგმიური გადასახლების პრობლემაში, რასაც თან დაერთო ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოებული ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის კამპანია “საქართველო ქართველებისთვის”.<sup>159</sup> ამასთან, 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა, შექმნილმა პოლიტიკურმა თუ სოციალურმა მდგომარეობამ მრავალი ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე იძულებული გახადა დაეტოვებინა საცხოვრებელი და ქვეყანა.<sup>160</sup> ზოგიერთი აზერბაიჯანული სოფელი დმანისში თითქმის სრულად დაიცალა, განსაკუთრებით, სომხეთის საზღვართან ახლოს მდებარე აზერბაიჯანული დასახლებები<sup>161</sup>. ამასთან ერთად, 90-იანებში მიმდინარე სამოქალაქო ომის პერიოდში ქვემო ქართლში მხედრონის მიერ შექმნილმა მძიმე კრიმინალურმა სიტუაციამ და სახელმწიფოს სისუსტემ, განეხორციელებინა ლეგიტიმური ძალაუფლება კრიმინალის აღმოფხვრისთვის, გაამძაფრა და გაზარდა

<sup>156</sup> დუნდუა, აბაშიძე, 2009.

<sup>157</sup> იუნგე, მ., ბონვეჩი, ბ., & მიულერი, დ. (2015). ეთნოსი და ტერორი საქართველოში. [https://www.researchgate.net/publication/283637573\\_etnosi\\_da\\_terori\\_sakartveloshi](https://www.researchgate.net/publication/283637573_etnosi_da_terori_sakartveloshi)

<sup>158</sup> იგივე.

<sup>159</sup> ტრიერი, ტ., & ტურაშვილი, მ. (2007). ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება არსებული პრობლემების გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა? ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006. ფლიენსბურგი: უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI).

<sup>160</sup> იგივე.

<sup>161</sup> იგივე, 45.



ადგილობრივებში არსებული შიში და საქართველოდან მათი იძულებითი მიგრაცია.<sup>162</sup> უნდა ითქვას, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ დმანისში განხორციელებული ტერორის დასრულება მხოლოდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.<sup>163</sup>

ვარდების რევოლუციის შემდეგ, სააკაშვილმა ერთის მხრივ, პოლიტიკის დონეზე პოზიტიური ნაბიჯები გადადგა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და გაძლიერების კუთხით, 2009 წელს შეიქმნა 5 წლიანი სამოქმედო დოკუმენტი და სხვა.<sup>164</sup> ასევე, მის მმართველობას უკავშირდება ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ მადისკრიმინირებელი და შეურაცხმყოფელი სახელის “თათრების” ჩანაცვლება.<sup>165</sup> მიუხედავად ამისა, ქვემო ქართლში პროცესები სხვაგვარად განვითარდა, თუ შევარდნაძის დროს ეთნიკური უმცირესობების საკითხი სრულიად ექსტრემისტული შინაარსის პროპაგანდას ეფუძნებოდა, სააკაშვილი გახდა ის ლიდერი, რომელმაც ქვემო ქართლში, მათ შორის დმანისში, ზედაპირული პოზიტიური ცვლილებების განხორციელება დაიწყო.<sup>166</sup> ამას გარდა, რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მოწყვლადობა საარჩევნო ხმებში გადააკონვერტირა და საფუძველი ჩაუყარა სისტემურ ჩაგვრასა და ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების ინსტრუმენტალიზებას.<sup>167</sup> აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო ხმები იყო მანიპულაციის წყარო შევარდნაძის დროსაც.<sup>168</sup> უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილმა მოსყიდვის და დაშინების გზით დაიქვემდებარა საჯარო სამსახურებში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობები ქვემო ქართლში და ამ გზით გაიჩინა დაქვემდებარებული ჯგუფები.<sup>169</sup>

ქართული ოცნების ხელისუფლებში მოსვლის შემდეგ კი ძალაში დარჩა მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩამოყალიბებული მართვის სისტემა ეთნიკური უმცირესობების მიმართ; კვლავ მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობების დაქვემდებარება და ინსტრუმენტალიზება, არჩევნები ქვემო ქართლში კვლავ მანიპულაციის და დამატებითი ხმების მოპოვების საშუალებაა (მამედლი, 2024; მამედლი 2020).<sup>170</sup>

<sup>162</sup> Scott, J. C. (2009). The art of not being governed: An anarchist history of upland Southeast Asia. Yale University Press.

<sup>163</sup> ტრიერი და ტურაშვილი, 2007; ლაილი, 2012

<sup>164</sup> სორდია, გიორგი., ეროვნულ უმცირესობათა მართვის ინსტიტუტები საქართველოში, მიმოხილვა: ECMI, სამუშაო მოხსენება, #43. 2009.

<sup>165</sup> ზვიადაძე, ს., & ჯიშკარიანი, დ. (2018). იდენტობის პრობლემატიკა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებში და მისი პოლიტიკური და სოციალური განზომილებები. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

<sup>166</sup> მამედლი ქამრან, დომინანტური მზერა საქართველოს აზერბაიჯანული თემის მიმართ, რადიო თავისუფლება, 2019.

<sup>167</sup> ჰაინრიხ ბიოლის ფონდი (2008). ეთნიკური უმცირესობები: არჩევნები.

<sup>168</sup> იქვე.

<sup>169</sup> იქვე.

<sup>170</sup> მამედლი ქამრან, არჩევნები და ეთნიკური უმცირესობები: მიმართა პოლიტიკურ პარტიებს, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2024. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/archevnebi-da-etnikuri-umtsiresobebi-mimartva-politikur-partiebs>; მამედლი ქამრან, საჯარო სამსახურში დასაქმება - ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული

ამჟამად, სახელმწიფო თანასწორობის პოლიტიკა დმანისში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ ყალბია და მათი მარგინალიზაციისკენ არის მიმართული.<sup>171</sup>

ამავე ისტორიული ექსკურსის ნაწილია 2021 წელს დმანისში მომხდარი მასშტაბური დაპირისპირება სვანებსა და ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ არსებულ ინსტიტუციონალიზებულ უთანასწორობასა და ინტეგრაციის დაბალ დონეს. შემთხვევას სახელმწიფოს მხრიდან არ მოჰყოლია სისტემური ნაბიჯები, რათა დასჯილიყვნენ დამნაშავეები და მომავალში მსგავსი შემთხვევების პრევენცია მომხდარიყო. თუმცა, ამ შემთხვევის შემდეგ, სახელმწიფო პოლიციური ინსტიტუტების მხრიდან, განსაკუთრებით გაიზარდა კონტროლის მექანიზმები, აზერბაიჯანელების მიმართ.

## 2. დმანისის კვლევის სირთულე და რესპოდენტები, როგორც ამხსნელები

დმანისში მიმდინარე პროცესები, ადგილობრივი ჯგუფების, ეთნიკურად აზერბაიჯანელებისა და ქართველების, მათ შორის სვანების, ერთმანეთისგან გარიყულობა და სოციალური მოწყვლადობა და მიმდინარე მოვლენები თავიდანვე მიანიშნებდა რაიონში არსებულ ძლიერ კონტროლს. სწორედ, ამიტომ კვლევისთვის თავდაპირველადვე ცხადი იყო მოსალოდნელი სირთულეები საველე სამუშაოების მიმდინარეობისას.

საველე სამუშაოების პირველი ეტაპი სრულად დაეთმო ნაცნობ რესპოდენტებთან შეხვედრას და ახალი კონტაქტების დამყარებას, რამდენადაც, რესპოდენტები თავს არიდებდნენ კონტროლთან და ინსტიტუციონალიზებულ ჩაგვრაზე არაპირდაპირ საუბარსაც კი. რესპოდენტები ასევე უარს აცხადებდნენ ინტერვიუს ჩატარებაზე აუდიო ჩანაწერის გაკეთების შემთხვევაში, რადგან მათთვის ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი მასალის შექმნა, სადაც ისინი ადგილობრივ პრობლემებზე ისაუბრებენ, მათი აზრით, საფრთხის შემცველია.

*“თუ შეიძლება, რომ ინტერვიუ არ ჩავიწეროთ, რადგან მერე, შეიძლება ვინმემ ჩემი ხმა ამოიციოს, მიხვდეს, რომ მე ვიყავი და არ მიღირს” - ამბობს აზერბაიჯანელი რესპოდენტი, რომელიც საჯარო სამსახურშია დასაქმებული.*

ამდენად ინტერვიუების სრული უმრავლესობა არასტრუქტურირებული სახით ჩატარდა, რათა რესპოდენტები ყოფილიყვნენ გახსნილები. მიუხედავად ამისა, დასაწყისში ძნელი იყო კვლევისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანი ნდობის

---

პოლიტიკის ლაკმუსის ტესტი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/archevnebi-da-etnikuri-umtsiresobebi-mimartva-politikur-partiebs>

<sup>171</sup> მამედლი ქ. & ჩაჩიბაია კ. (2021). დმანისის კონფლიქტი - ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები. სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

მოპოვება, ზოგიერთი ადგილობრივი ინტერვიუს ანდა გასაუბრების წინააღმდეგ კი იყო.

კვლევის შედეგის ანალიზისთვის, საყურადღებოა გავითვალისწინოთ თუ რაზე და როგორ საუბრობენ ადგილობრივები, როცა მათ წინაშე მდგარ სისტემურ და ინსტიტუტიციონალიზებულ პრობლემებზე გარეშე პირები ელაპარაკებიან. ეს, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ამხსნელია იმისა, თუ როგორ უნდა გავანალიზოთ ტერორისა და კონტროლის მუშაობის თავისებურები ინდივიდუალურ დონეზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორია თვითცენზურა, რაც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი იყო საველე სამუშაოების მიმდინარეობისას. თვითკონტროლი, ძირითადად, მუშაობს იმ მოქალაქეებში, რომლებიც არ ფლობენ რაიმე ტიპის განათლებას, პოტენციური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.

ველზე მუშაობის პერიოდში ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა მეტ-ნაკლებად თავისუფლად საუბრობდა მათ წინაშე მდგარ ეკონომიკურ პრობლემებზე, სიღარიბეზე, უმუშევრობაზე, გაზრდილ ფასებზე, საუბრობდნენ წყლისა და გზის პრობლემებზე. თუმცა რესპონდენტების დიდი ნაწილს არ სურდა ესაუბრა ან სიფრთხილით ეკიდებოდნენ კონტროლის, ძალაუფლებისა და სოციალური ჩაგვრის საკითხებს, რაც არსებულ გამოწვევებს სიღრმისეულად აშიშვლებს. საერთო პრობლემებზე საუბრით, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის კარგად ნაცნობია და ყურადღების მიღმა იმის დატოვება, რაც კონკრეტულად რომელიმე ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი, რიგ შემთხვევებში თავდაცვის მექანიზმია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ვისაც ძალაუფლება და ცვლილების ბერკეტები არ გააჩნია და თავს დაუცველად გრძნობენ. აღნიშნული ტენდენცია აქამდეც შესამჩნევი იყო ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მუშაობის დროს, როცა არსებობდა მცდელობა სიღრმისეულად შესწავლილიყო კონტროლის და ძალაუფლების პრაქტიკები უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. მოცემული კვლევა, სწორედ, ამის გაცხადებული მცდელობაა, დადგინდეს სისტემური ჩაგვრისა და დომინაციის ტექნიკები და მექანიზმები.

*“კიდევ ის იყო, ვიღაც ქალი იყო მოსული, რაღაც კითხვებს მისვამდა აქაურ პრობლემებზე. მე კიდევ არ ვიცოდი ვისი მხრიდან იყო. ან ვისი მხრიდანაც გინდა ყოფილიყო, რაში მაწყობდა პრობლემები და ვუთხარი რომ კარგად ვცხოვრობთ.*

*წყალი გვაქვს, დენი და გაზი გვაქვს. კარგი ცხოვრებაა. რო ჩვენი გამგეობაც ყველაფერს აკეთებს რაც შეუძლიათ, მეტი რა ქნან. ხოდა ესე, სულ კარგი რაღაცეები ვთქვი(იცინის). მე რა ვიცი სად წავიდოდა, ვის მხარეს იყო. არა, ისიც ვთქვი, რო ცხოვრება გართულდა, ყველაფერი გაძვირდა, ფასებმა მოიმატა(იცინის). მერე რომ წავიდა უკან გაყვევი, მაინტერესებდა ვისთან შევიდოდა და არავისთან შესულა. ისე წავიდა..”( ქალი, სოფელი ქვემო ოროზმანი)*

სრულფასოვანი ნდობის მოპოვების შემდეგ, მას შემდეგ, რაც დარწმუნდებიან, რომ მათ მიერ გაჟღერებულ მოსაზრებებს არავინ იწერს და ვინმე ამას ნებით თუ

უნებლიედ მათ წინააღმდეგ არ გამოიყენებს, რესპოდენტები იწყებენ გულახდილად საუბარს.

*“აქ პრობლემებზე გულწრფელად არავინ დაგელაპარაკება, რადგან ეშინიათ, რაც აქვთ, იმასაც დაკარგავენ.” (აზერბაიჯანელი, მამაკაცი)*

ასევე, კვლევისთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა ამავე კვლევის ავტორის მიერ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც საველე სამუშაოების დაწყების პერიოდში გამოქვეყნდა დმანისის შესახებ. არსებობდა ალბათობა, რომ ის ადგილობრივი ხელისუფლებაში უკმაყოფილებას გამოიწვევდა და მოსალოდნელი იყო ხელის შეშლის მცდელობები. ამიტომ სტატია ანონიმურად გამოქვეყნდა, ხოლო უარყოფითი რეაქციები ადგილობრივ ხელისუფლებაში, მართლაც გაჩნდა, რასაც თან მოჰყვა მათ მიერ ადგილობრივ სტრუქტურებში ისეთი მესიჯების გავრცელება, რომელიც თავშივე გააჩნდა შიშს სტატიის მიმართ და უარყოფითად განაწყობდა ადგილობრივ საზოგადოებას შემდეგი არგუმენტით, რომ სტატია ემსახურებოდა კონფლიქტის გაჩენას აზერბაიჯანელ და სვან ადგილობრივებს შორის. ამას გარდა, განხორციელდა დაშინებისა და ტერორის მცდელობა, როგორც მკვლევარზე, ისე დმანისის მერიის მიმართ კრიტიკულად განწყობილი აქტივისტის და მისი ოჯახის წევრების მიმართ. მის მიმართ განხორციელებული ზეწოლა, მიდგომით *“იცოდე, ეს სტატია ზემოთ გაირჩა”*, ეფუძნებოდა მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების ვარაუდს და არა რეალურ ფაქტებს, სინამდვილეში მისი წვლილი სტატიაში გამოყენებული ინფორმაციის შეგროვებისას იყო მინიმალური და უმნიშვნელო. ხოლო, ავტორის შემთხვევაში, სწორედ, ერთ-ერთი ყოფილი რესპოდენტი დამიკავშირდა, რომელიც მეტ-ნაკლებად იცნობდა ჩემს წინა პუბლიკაციას, თუმცა დაზუსტებული არც ინფორმაცია ჰქონდა და არც დასტური ჩემგან, მითხრა *“წავიკითხე შენი სტატია. [...] იცოდე გამგეობაში ყველა ავტორის ვინაობის დადგენას ცდილობს. [...] რატომ იგდებ თავს საფრთხეში აზერბაიჯანელების გამო?! [...] იცოდე, დმანისში პრობლემები შეგექმნება”*. მოცემული სტატიის შემთხვევაში მიმდინარე პროცესმა კარგად გამოაჩინა ადგილზე სუსისა და ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის, ტერორისა და დაშინების მეთოდების მუშაობის თავისებურებები, რაც ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული.

არსებული ვითარების ფონზე, საველე სამუშაოები ჩატარდა განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა რესპოდენტების უსაფრთხოება დაცული ყოფილიყო. მონაცემები წარმოდგენილია სრული ანონიმურობის დაცვით.

### 3. ზევით და ქვევით გარჩეული დმანისის ამბები და კონტროლის ინფრასტრუქტურა

*“სუს-ი ხელს უწყობს ხალხში ნარატივების გაჩენას, მესიჯების გავრცელებას, მათთვის სასარგებლო მესიჯბოქსის გავრცელებას” (კაცი, ქართველი საჯარო მოხელე)* - ასე განისაზღვრება ამ სტრუქტურის მუშაობის არსი მოკლედ

რესპოდენტის მიერ. პოლიციური ძალაუფლება და კონტროლი სუსისა და პოლიციის ხელშია, “პოლიცია არის, უშიშროება არის, ესენი მუშაობენ” ამბობს ერთ-ერთი რესპოდენტი, რომელიც საჯარო სამსახურშია დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ სუს-ი, როგორც აქტორი მოსახლეობისთვის, ჩვეულებრივ, უხილავი რჩება, თუმცა ორივე შემთხვევაში ის მართავს პროცესს და ადგილობრივებმა მუდმივად იციან, რომ ამა თუ იმ გზით მათი ქცევა შეუმჩნეველი არასდროს რჩება. სისტემის უხილავობას თან ერთვის ისიც, რომ ის მეტად ჩაკეტილი სტრუქტურაა და მასში ჩართული პირებისთვისაც, რთული ხდება სტრუქტურულიდან გამოსვლა. “მაგ სისტემაში თუ შევიდა ადამიანი, მერე იქიდან თავს ვეღარ დააღწევს, ძნელია ძალიან” ამბობს ერთ-ერთი რესპოდენტი.

სუს-ის კონტროლისა და დაშინების ინტენსივობა ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2021 წლის კონფლიქტის შემდეგ გაიზარდა. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ 16 მაისს მომხდარმა კონფლიქტმა და მისმა ძალადობრივმა მასშტაბებმა, სახელმწიფოს უბიძგა მეტი კონტროლის განხორციელებისაკენ. ამასთან, ყველა ადგილობრივი რესპოდენტი თანხმდება, რომ ამ მოვლენის შემდეგ კონტროლიზებრად გაძლიერდა და უფრო ფართო მასშტაბები მიიღო. ამას გარდა ისინი აღნიშნავენ რომ სხვადასხვა სახელისუფლებო რგოლი მეტი ინტენსივობით ჩაერთო კონტროლის პროცესში, რათა ხელისუფლებას აღარ გამოეპაროს მსგავსი მოვლენის განვითარების ალბათობა. აღსანიშნავია, რომ როგორც აზერბაიჯანელი, ისე ქართველი მოსახლეობის ნაწილისთვის მისაღებია კონტროლიდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტიური ჩართულობა მსგავსი მასშტაბის კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფომ უნდა შეძლოს და მსგავს შემთხვევებში უზრუნველყოს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება.

*“ამ ბოლო ჩხუბის მერე პოლიცია მეტ ყურადღებას იჩენდა და ალბათ, დღესაც უფრო უკეთ მუშაობენ, ვიდრე მანამდე, სანამ ეს მოხდებოდა რომ აღარ განმეორდეს”. (მამაკაცი, ქართველი საჯარო მოხელე, 1)*

სუს-ი კონტროლის განსახორციელებლად დმანისში აქტიურად იყენებს ყველა შესაძლო რესურსს, როგორცაა ადგილობრივი ხელისუფლება, საჯარო სამსახურებში დასაქმებული პირები, პოლიცია. ასევე კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენენ კრიმინალური ავტორიტეტები და ადგილობრივი მოსახლეობა. კვლევამ აჩვენა, რომ გადაწყვეტილებები მიიღება მუნიციპალიტეტის დონეზე მყოფ მაღალი რანგის პირებს შორის. გამოიკვეთა, რომ სუს-ის კონტროლს დმანისში ახასიათებს იერარქიულობა და მუშაობს ორი მიდგომა, რომელიც დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი გავლენის მქონე მონაწილეობს კონტროლისა და დაშინების პრაქტიკაში. ესენია ქვემოდან-ზემოთ მიმავალი (bottom-up) და ზემოდან-ქვემოთ წამოსული კონტროლის (top-down) პრინციპები. კონკრეტული მოდელის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე თუ, რა ტიპის პროცესი მიმდინარეობს, ვინ არიან ჩართულები, რა მასშტაბის გავლენა შეიძლება იქონიოს ადგილობრივ პროცესზე, ეს არის მონიტორინგის თუ რეაგირების პროცესი. გასათვალისწინებელია, რომ ქვემოდან წამოსული მოდელი კოლექტიურად

მოიცავს ადგილობრივ მოსახლეობას და მისი მიზანი ადგილობრივი პროცესების მუდმივი კონტროლი და მოსახლეობის დაშინებაა. ამისგან განსხვავებით, ზემოდან წამოსული კონტროლი შერჩევითია და მოიცავს კონკრეტულ პირებს, შემთხვევებს ანდა ინსტიტუტებს. ასევე, ამ უკანასკნელს ახასიათებს რეაქციულობა ისეთ მოვლენებთან კავშირში, როგორც არჩევნებია.

ორივე დონის კონტროლის პრაქტიკისთვის თავშივე ნათელია, რომ რეგულირდება სუსის მიერ, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს კონტროლის მექანიზმის უმაღლეს რგოლს.

წინამდებარე ქვეთავებში აღწერილია დმანისის მუნიციპალიტეტში სუს-ის მუშაობის ორივე მიდგომის თავისებურებები და პრაქტიკები.

#### 4. ქვემოდან-ზემოთ მიმავალი კონტროლი (bottom-up)

ქვემოდან წამოსული კონტროლის მოდელი გულისხმობს ადგილობრივების ინდივიდუალურ დონეზე კონტროლსა და მიმდინარე პროცესების მუდმივ მონიტორინგს, ამიტომ მას მეტად უფრო მასშტაბური ხასიათი აქვს. კონტროლის ეს მიდგომა იწყება აგენტების რგოლიდან, ისეთი მოქალაქისგან, რომელსაც არანაირი ფორმალური გავლენა ან როლი არა აქვს ადგილობრივ მმართველობაში და მის მოვალეობაში მხოლოდ საცხოვრებელ არეალში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და ინფორმაციის შეუმჩნეველად შეგროვება შედის; ამის შემდეგ უკვე პროცესში აქტიურად ერთვებიან რწმუნებულები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაშინებისა და კონტროლის განხორციელებაში; მხოლოდ ამის შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში, თუ საკითხი მოითხოვს ფორმალურ მიდგომას, პროცესში ერთვება პოლიცია.

“ყველა სოფელში სუს-ს ჰყავს, გინდა აგენტი დაარქვით და გინდა კაცი, ვიღაც ვინც აწვდის ინფორმაციას. კიდევ არის რწმუნებული, რომელიც რეაგირებს მიმდინარე პროცესებზე. რამე ჩხუბი თუ მოხდება იწყება იმის გამოძიება რწმუნებულისგან რა მოხდა, რატო მოხდა ეთნიკური ხო არაა რამე. მერე თუ რამე დიდია მართო მაშინ ერთვება პოლიცია. ესე პოლიციაზე კონტროლი დიდია ევროკავშირიდან და ცენტრიდანაც. რწმუნებულების მოვალეობაშია რომ აკონტროლონ სოფლის სიტუაცია. რა ხდება სოფელში. რამე კონფლიქტი თუ ხდება ან შეიძლება მოხდეს.”(მამაკაცი, აზერბაიჯანელი საჯარო მოხელე, 1)

დმანისის აზერბაიჯანული მოსახლეობა აქტიურად საუბრობს დასმენების პრაქტიკაზე და მეზობლების მიმართ უნდობლობაზე.

“მე აქ ყველაფერი ვიცი და ყველაფერს ვხედავ მაგრამ ხო არ ვილაპარაკებ. არ შეიძლება. აქ მეზობლებთანაც ისე ვარ, რამე რო არ მომწონს ვერ ველაპარაკები, იცი რატო? შპიონები ყველგან ყავთ და გვეშინია. ეს ენების მიტან-მოტანა, რაღაცა და რატო ჩავიგდო თავი საფრთხეში. თორე მშვენივრად ვხედავ ყველაფერს და ბევრი რამეც არ მომწონს”. (ქალი, სოფელი ქვემო ოროზმანი)

*“უშიშროება და პოლიცია ჩვენ არ გვეტყვიან როგორი აგენტურა ჰყავთ და ვინ არიან, მაგრამ ჩვეულებრივი მეთოდები, რაც იყო საპოლიციო ორგანოებში ადრიდანვე, ჩვეულებრივი აგენტურა ხალხში” (ქართველი საჯარო მოხელე, 1)*

ადგილობრივი რწმუნებულების როლი ადგილზე კონტროლისა და დაშინების პროცესებში მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, რომ როცა მოსახლეობა სუსისა და უშიშროების მუშაობაზე საუბრობს, ხშირ შემთხვევაში, ისინი რწმუნებულების ჩართულობაზე საუბრობენ. ასევე, აღსანიშნავია, რომ მათი ჩართულობა ერთ-ერთი საკვანძო, თუმცა არაფორმალურ რგოლს წარმოადგენს. ოფიციალურად, სოფლის რწმუნებულის მოვალეობაში არ შედის კონტროლი, მითუმეტეს, არა აქვს უფლება დააშინოს ადგილობრივი მოსახლეობა. თუმცა, მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიმღები პირების წინაშე ადგილობრივი ხელისუფლების ძალაუფლების შენარჩუნებაზე.

*“რწმუნებულების მოვალეობაშია, რომ აკონტროლონ სოფლის სიტუაცია. რა ხდება სოფელში. რამე კონფლიქტი თუ ხდება ან შეიძლება მოხდეს”. (აზერბაიჯანელი, საჯარო მოხელე 1)*

რწმუნებულების მუშაობა გულისხმობს სოფელში მიმდინარე მოვლენების მონიტორინგს და ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ დონეზე პროცესების დალაგებას. თუ სოფელში რაიმე ხდება, მაგალითად, მცირე მასშტაბის ჩხუბი, რომელიმე აქტივისტური ჯგუფის მუშაობა, ამ სიტუაციის გარკვევა, სხვადასხვა მეთოდით მოგვარება ეხება რწმუნებულს.

*“აზერბაიჯანელებში, ეგენი [რწმუნებულები] თავიანთ როლს თამაშობენ, რა საკვირველია. პასუხი მაგათ მოეთხოვებათ, თუ რაღაცა იქნება”. (ქართველი საჯარო მოხელე, 1)*

რესპონდენტების თქმით, რწმუნებულებს მათი შესრულებული საქმის სანაცვლოდ გარკვეული პრივილეგიები ენიჭებათ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო კონკრეტული პირების მიმართ მეტ ლმობიერებას იჩენს, ენიჭებათ წვდომა სხვადასხვა ადმინისტრაციულ რესურსზე, როგორც შეიძლება იყოს მიწა, საძოვრები და სხვა საჯარო რესურსი.

*“უპირატესობა აქვთ, თავისი სიტყვა გაიტანონ, ინტერესები გაატარონ, [...] რაღაცა რესურსებია რისი გამოყენებაც შეიძლება, სათიბებია, რაც არ არის განაწილებული.” (ქართველი, საჯარო მოხელე, 1)*

რწმუნებულების გარდა კონტროლის პროცესში ჩართული არიან რაიონული საკრებულოში მომუშავე სოფლის დეპუტატები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში სხვა პოზიციასაც ითავსებენ, მაგალითად არიან სკოლის მასწავლებლები ან დირექტორები.

*“დეპუტატები არიან საკრებულოს მუნიციპალიტეტში და დიდი კონკურენცია არის ამისთვის. ზოგი სკოლაში მუშაობს და თან დეპუტატია” (ქართველი, საჯარო მოხელე, 1)*

რწმუნებულების შემდეგ ქვემოდან ზემოთ წამოსულ კონტროლის პროცესში პოლიციაც მონაწილეობს, “თუ რამე დიდია მარტო მაშინ ერთვება პოლიცია” ამბობს ერთ-ერთი რესპოდენტი. ამ რგოლის მიმართ ცენტრალური, თუ საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ არსებული მონიტორინგის მექანიზმები გარკვეულწილად არეგულირებს პოლიციის ქცევას, რაც უბიძგებს თავი აარიდონ სისტემურ დაშინებას. სწორედ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რამაც განაპირობა რწმუნებულებისთვის მიენიჭებინათ ასეთი როლი კონტროლისა თუ დაშინების პროცესებში.

*“პოლიციაც უფრო ფრთხილადაა. ადრე პირდაპირ პოლიციისგან მიდიოდა დაშინება ეხლა მაგას რწმუნებულები აკეთებენ.” (აზერბაიჯანელი, საჯარო მოხელე, 1)*

“პოლიციას მარტო ერთი როლი აქვს თუ ვინმე იჩხუბებს მოდის და წაიყვანს ერთი დღე აჩერებენ და მერე უშვებენ” - ამბობს, ერთ-ერთი რესპოდენტი. პოლიცია მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ ნაკლებად მონაწილეობს ღიად დაშინების პროცესებში, ისინი სარგებლობენ ადგილობრივ აზერბაიჯანელებში უფლებების შესახებ დაბალი ცოდნით, რადგან ადგილობრივებმა არ იციან მათი უფლებები პოლიციასთან ურთიერთობაში, ამ სტრუქტურაში მომუშავე ადამიანებს უფრო მეტი თავისუფლება აქვთ სხვადასხვა შემთხვევაში ადგილობრივები დასაკითხად გადაიყვანონ პოლიციის შენობაში, სადაც შეუძლიათ დაკითხვის მეთოდები და მიდგომებიც გამოიყენონ. გარდა ამისა, არც პოლიცია ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და არ უხსნის დასაკითხად წაყვანილ პირს სუბიექტს მის უფლებებს, დაკითხვის პროცედურას და ა.შ.

*“დაკითხვებზე აზერბაიჯანელები როცა მიდიან, იქ არავინ უხსნის მათ უფლებებს, არ იციან როგორ უნდა ჩატარდეს დაკითხვა, არც პოლიცია იწუხებს თავს ახსნისგან. იციან რო კი უნდა უთხრან მაგრამ სინამდვილსში არავინ უხსნის მათ. მერე ისე ატარებენ დაკითხვებს როგორც თავად გადაწყვეტენ” (აზერბაიჯანელი, საჯარო მოხელე, 1).*

გარდა ამისა, პოლიცია აქტიურად იყენებს მანქანების გაჩერების, ადამიანებისთვის ფოტოების გადაღების პრაქტიკას, რაც კანონით დაუშვებელია, თუმცა ისინი წლებია აგრძელებენ ამ მიდგომას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მექანიზმი, ძირითადად, გამოიყენება ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ.

*“დმანისში პოლიციას შეუძლია გააჩეროს მანქანები, სურათები გადაუღოს [მძღოლებს]. რისი უფლებაც არ აქვთ, მაგრამ მაინც აკეთებენ.” (აზერბაიჯანელი, საჯარო მოხელე, 1)*



## 5. ზემოდან ქვემოთ წამოსული კონტროლი დმანისში

წინა ქვეთავში განხილული იყო კონტროლი, რომელიც იწყება საზოგადოების ქვედა რგოლიდან და მოიცავს დმანისში მცხოვრებ მოქალაქეებს, ყველა ადგილობრივ ჯგუფს კოლექტიურად, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურ დონეზე ფოკუსირდება და პროცესში ადგილობრივი ე.წ. აგენტურის კომპონენტიდან ნელ-ნელა გავლენის სფეროებშიც ვრცელდება. ამას გარდა, დმანისში სუს-ის კონტროლი ხორციელდება კონკრეტული მოვლენების, სამსახურებისა და პირების მიმართაც, რომლებიც გამოირჩევიან გარკვეული აქტიურობით და პოტენციურად წარმოადგენენ საფთხეს არსებული ძალაუფლებისა და კონტროლის შესუსტებაში ან დასაქმებული არიან კონკრეტულ სამსახურებში. ზემოდან წამოსული კონტროლი მომდინარეობს უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან და ეტაპობრივად, დაბალ რგოლებსაც მოიცავს. ეს მიდგომა, უმეტესად ეხებათ აქტივისტებს ან ღიად ოპოზიციური განწყობის მქონე პირებს ან ჯგუფებს. ამ თავში დეტალურად არის აღწერილი თითოეული რგოლის მუშაობის პრინციპი.

დმანისში სუს-ის სამიზნე ხდება ნებისმიერი პირი, რომელიც გარკვეულ აქტიურობას გამოავლენს. მათ მიმართ ეს უწყება ინდივიდუალურად მუშაობს, რათა შეაგროვოს მონაცემები.

*“აქ ხალხზე, ვინც აინტერესებთ, აგროვებდნენ ინფორმაციას, ყველაფერი იციან”.* (კაცი, ქართველი საჯარო მოხელე 2)

სხვადასხვა შემთხვევის ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი სუს-ის სამსახური რაიონში მიმდინარე პროცესებს დეტალურად აკვირდება. სუსთან არის შეთანხმებული საჯარო სამსახურში კადრის აყვანის ან გაშვების საკითხი. კონკრეტულ სამსახურში, სკოლაში კადრის შერჩევის შემდეგ, ინფორმაცია გადაეცემა სუსს, რომელიც ამოწმებს ამ პირის პოლიტიკურ შეხედულებებს, წარმოადგენს თუ არა საფრთხეს რაიონში ძალაუფლების და კონტროლის შენარჩუნებისთვის. მას შემდეგ, რაც სუს-ი მონაცემებს გადაამოწმებს, გასცემს რეკომენდაციას, რაც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია. ზოგჯერ ისეთი სიტუაციაც იქმნება, როცა სუს-ი დადებით რეკომენდაციას გასცემს, თუმცა შემდგომში უფრო დეტალური გადამოწმების შემდეგ, გადაწყვეტილება იცვლება და აყვანილი პირის დაკავებული პოზიციიდან გაშვება ხდება საჭირო, რაც დამსაქმებელი პირისთვის უხერხულ და უსიამოვნო გარემოს ქმნის, თუმცა ამ რეკომენდაციის გათვალისწინების ვალდებულება აქვთ.

ადგილობრივი ინსტიტუტები და საჯარო სამსახურები აქტიურად მონაწილეობენ ტერორის განხორციელებაში. დაშინების პროცესში ჩართული არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და აიპების თანამშრომლები, რომლებიც აჟღერებენ სუს-ის მიერ შემუშავებულ მესიჯბოქსებს. ამის ნათელი მაგალითია ველის ჩატარებისას წარმოშობილი სირთულეები. გარდა ამისა, საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები პირადად ხვდებიან და დაშინების მიზნით ურჩევენ მოქალაქეებს ჩამოშორდნენ ადგილზე მომუშავე სამოქალაქო

აქტივისტებს. აღსანიშნავია, რომ თავად საჯარო სამსახურებში დასაქმებული პირების მიმართაც მუშაობს კონტროლის მექანიზმები. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა საჯარო მოხელეები საკუთარ არასრულწლოვან შვილებს უკრძალავენ აქტივისტების მიერ განხორციელებულ პროექტებში ჩართვას.

გარდა ამისა, ის ადგილობრივები, რომლებიც შემჩნეული არიან აქტივისტებთან თანამშრომლობაში, რწმუნებულებისგან და საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისგან ხდებიან შეფარული დაშინების სამიზნეები, “რა ძალა გადგა, ხო იცი ეგ ნაციონალია”.

კონტროლის ამავე მიდგომაში ე.წ. კანონიერი ქურდები იკავებენ ერთ-ერთ საკვანძო ადგილს. როგორც ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა, კრიმინალური ავტორიტეტები მნიშვნელოვან ძალაუფლებას ფლობენ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ერთვებიან პროცესებში, რადგან რომ მათი ჩართულობა ძვირი ჯდება.

*სოფლებში ავტორიტეტების თემა არ არის. აქ ღარიბები არიან და ავტორიტეტები დიდ ფულზე მუშაობენ. ჩვენთან 1000-2000 ლარზე ხდება ამბები [დაპირისპირება/კონფლიქტები], ავტორიტეტები მაგამი არ ერევიან. ჩვენთან მარტო ჩხუბზე თუ ჩაერევიან. სოფელში როცა ერთი ჩხუბი მოხდება. (კაცი, სოფელი ამამლო)*

ამის გამო, რომ ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს აქვთ ნდობა ადგილობრივ მოსახლეობაში, რომლებიც იჩენენ პატივისცემას და დადებითად აფასებენ მათ როლს არაერთ შემთხვევაში, კონტროლისა და ზეწოლის განხორციელებისას სახელმწიფოსთვის კრიმინალური სამყაროს წევრები მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენენ მოსახლეობაზე გავლენის მოხდენის კუთხით. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ სახელმწიფო პოლიციის საშუალებით ხალხში მეტად ხისტ პოლიტიკას ატარებს, შესაბამისად, ნაკლები ნდობაც აქვს.

*“სულ ყველამ [კრიმინალური ავტორიტეტებმა] თავისი ხალხის ენა იციან, როგორ უნდა ელაპარაკო, ამიტომ ამათთვის მარტივია. პოლიცია მოვა და გეტყვის დაგიჭერ. მაგრამ ჩვენმა ქურდმა იცის, რო მოვა რა უნდა გვითხრას, რომ დავუჯეროთ”. (კაცი, სოფელი ამამლო)*

ქურდული სამყაროს წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 2021 წლის დმანისის კონფლიქტის მოგვარებაში. სწორედ, ეს იყო ერთ-ერთი თვალსჩინო მაგალითი თუ როგორია ადგილზე ეთნიკურად აზერბაიჯანელი და ქართველი ავტორიტეტების გავლენები და მუშაობის სტრუქტურა. დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლები, ამ შემთხვევაში სვანი და აზერბაიჯანელი კრიმინალური ავტორიტეტები, პროცესში სახელმწიფოსთან თანამშრომლობით ჩაერთნენ, მათ ერთობლივი მოლაპარაკების შემდეგ იმუშავეს საკუთარი თემის წარმომადგენლებთან და შეძლეს მხარეების მორიგებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

“მაშინ[2021 წლის მაისში] ქურდებმა ჩვენიდანაც[აზერბაიჯანული თემი], სვანებიდანაც ილაპარაკეს ერთმანეთთან და წავიდნენ ყველა თავის ხალხს ელაპარაკა, პასუხისმგებლობა აიღეს რა...”(კაცი, სოფელი ამამლო)

რესპონდენტების თქმით, ხშირად ქურდული ავტორიტეტები პოლიციასთანაც თანამშრომლობენ და საკუთარი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა პრობლემური საკითხების გადაჭრაში. მიუხედავად ამისა, ეს კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს სრული ხელშეუხებლობის გარანტიას ვერ აძლევს და შესაძლებელია ისინი დააკავოს და პასუხისმგებლობა მისცეს. გარდა ამისა, შესაძლოა ეს თანამშრომლობა ხელისუფლების მხრიდან დაშინებასაც ეფუძნება.

*“ზოგი ქურდია და ჩაჭერილი ყავთ, მაგით დააშინებენ, ზოგი-ისე, ზოგი-ესე.”(კაცი, ქართველი, საჯარო მოხელე).*

*“ქურდები ხშირად ეხმარებიან პოლიციას და რაღაც კონფლიქტებს ერთდაც აგვარებენ, მაგრამ მერე შეუძლიათ რომ ეს ქურდი დაიჭირონ, რის გულიზე ოღონდ არ იცი.”(კაცი, სოფელი ამამლო)*

ამდენად, ზემოდან ქვემოთ წამოსული სუსის კონტროლი და დაშინება სისტემურად შერჩევითია და კონკრეტულ პირებს და მოვლენებს უკავშირდება. ამისათვის კი ყველა შესაძლო რესურსი გამოიყენება, როგორცაა საჯარო სამსახურებში დასაქმებული პირები თუ არაფორმალური წრეები. საყურადღებოა, რომ ამ სისტემაში ჩართული დაბალი და საშუალო რგოლის წევრების მიმართაც, სწორედ, დაშინება გამოიყენება, როგორც მათი შენარჩუნებისა და მუშაობის გარანტია. ადგილობრივი ინსტიტუციონალური ბერკეტების გარდა, კონტროლის განსახორციელებლად გამოიყენება აქ არსებული ინფრასტრუქტურაც, როგორცაა საგზაო კამერები.

## 6. კამერები

როგორც კი ბოლნისიდან დმანისი-ნაქალაქარის დამაკავშირებელი გზით დმანისისკენ გადაუხვევ, მაშინვე კამერა გაფიქსირებს, რომელიც აკონტროლებს ორივე მხარეს მიმავალ მანქანას. უღელტეხილის შემდეგ, პერიოდულად თითქმის, ყველა სოფლის გადასახვევთან შეხვედრებით ანალოგიურ კამერებს. ასევე, ორმხრივად კონტროლდება დმანისის შესასვლელი, ცენტრალური ადგილები ქალაქში, რაც უფრო მეტად უახლოვდება ქალაქის ცენტრს, ადმინისტრაციულ შენობებს, მით უფრო მეტი მეთვალყურეობის ქვეშ ექცევი. ქალაქიდან აზერბაიჯანული სოფლების მიმართულებით გასვლის დროს კამერების რაოდენობა იკლებს, ავტოსადგურთან ქალაქიდან გასვლელი ორივე გზა ქალაქიდან გასვლისა და შესვლის მიმართულებით გაკონტროლებულია. საინტერესოა, რომ შემდეგ უკვე მათი რაოდენობა იკლებს და თვალსაჩინო ხდება, რომ მხოლოდ იმ გადასახვევებთან არის დამონტაჟებული, საიდანაც სხვადასხვა მიმართულებიდან გზა დმანისისკენ მიდის. აღსანიშნავია, რომ ყურადღება მსგავსი

მასშტაბით საგზაო კამერების განთავსების ჭრილში სასაზღვრო სოფლებზეც კი არ არის გამახვილებული და მხოლოდ ორგანჩაიდან ამამლოსთან შემაერთებელ გზაზეა კამერა განთავსებული, ხოლო გუგუთიდან სოფელ საფარლოსთან მდებარე პოლიციის შენობასთან. თუმცა, სრულად კონტროლდება ნებისმიერი შესაძლო მიმართულებიდან დმანისისკენ მიმავალი მანქანები, ყველა, ვინც დმანისში შედის. ასევე, დაკვირვებამ აჩვენა, რომ კამერების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს ვიდეო კონტროლის მანიშნებელი საგზაო ნიშანი დამონტაჟებული და როგორც ადგილობრივები ამბობენ, განთავსებული კამერების უმრავლესობას ჯარიმა არასდროს დაუწერია. □ესაბამისად, ამ კამერების დანიშნულება ქალაქთან მიმართებით კონტროლის განხორციელებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კამერები და განსაკუთრებით, საინფორმაციო ნიშნულის გარეშე განთავსებული კამერები, მოსახლეობის ყურადღებას ნაკლებად იქცევს და თითქმის შეუმჩნეველიც კი რჩება. ამდენად, რაიონის მასშტაბით არსებული კამერები ისე ახორციელებს ყოველდღურ მონიტორინგს, რომ ეს ადგილობრივებისთვის, ფაქტობრივად, შეუმჩნეველი რჩება. ასევე, საინტერესოა, თუ ვის აქვს წვდომა აღნიშნულ კამერებზე. ერთის მხრივ, კანონით გათვალისწინებულია, რომ საგზაო კამერებზე წვდომა აქვს პოლიციას. მეორეს მხრივ, კი, სავარაუდოდ, ხელი მიუწვდება მუნიციპალიტეტის მერსაც. ამის თქმის საფუძველს იძლევა აქტივისტების მონაცემები, რომლებიც სხვადასხვა შეხვედრების დროს თავად შეესწრნენ მერს კაბინეტში ჩართული ქალაქის კამერებს და თავადაც აღუნიშნავს პირად საუბრებში, რომ ის მუდმივად ფლობს ინფორმაციას რაიონში აქტივისტებისა და მკვლევრების ჩამოსვლის შესახებ.

საგზაო მონიტორინგის კამერების გარდა, ქალაქში შეხვედრებით სხვადასხვა მცირე ზომის კამერებსაც, რომლებიც კონკრეტული შენობებისა და ამ შენობის მიმდებარე ტერიტორიის კონტროლს უზრუნველყოფს. კამერებით აღჭურვილია სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული შენობების შიდა და გარე პერიმეტრი: მერია, კულტურის სახლი, პოლიცია, სკოლა, ბაღი.

## 7. კონტროლი საზღვრისპირა სოფლებში

ამ თავში წარმოდგენილია დმანისის ორ საზღვრისპირა სოფელში ირგანჩაისა და გუგუთში, რომლებიც საქართველი-სომხეთის სასაზღვრო ზოლში მდებარეობენ, სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებზე დაკვირვების და შესწავლის შედეგები,

ირგანჩაიში და გუგუთში კონტროლი ადგილობრივების ყოველდღიურობის ნაწილია და განსაკუთრებით თვალსაჩინოცაა. ორივე სოფელში მისვლისთანავე თვალშისაცემია დასახლებული პუნქტის გარშემო შემალლებულ ლოკაციებზე მოწყობილია ფოტოკამერები, რომლებიც დამონტაჟებულია მაღალ ბოძებზე. მათი საშუალებით მესაზღვრეები სრულად აკონტროლებენ დასახლებულ პუნქტებსა და მათ შემოგარენს. ამას ემატება მესაზღვრეების მხრიდან კონტროლი, რომელიც ტერორის ელემენტებსაც შეიცავს. ორივე სოფლის შემთხვევაში, ადგილობრივები

საუბრობენ, რომ მუდმივ ციფრულ კონტროლსა და მესაზღვრეების პატრულირებას უკვე შეეჩვივნენ, თუმცა სულ იციან, რომ მათზე კონტროლი და ზედამხედველობა მიმდინარეობს. ამაზე მოსახლეობას განსხვავებული შეფასებები აქვთ. როგორც ამბობენ, ზოგისთვის ცხოვრება გუგუთსა და ირგანჩაიში უფრო გამარტივდა, რადგან თავს მეტად დაცულად გრძნობენ; ზოგისთვის კი, ეს რეჟიმი მუდმივი დაშინებისა და შევიწროვების წყაროა, რომელიც მათ თავისუფალ გადაადგილებას უშლის ხელს.

*“სულ პოლიცია მოძრაობს, კამერებია და ვიცით რომ დაცულები ვართ. [...] ადრე ასე არ იყო და შიშიც მეტი გვქონდა იმიტომ, რომ საზღვარია და ქურდობები ხდებოდა”. (სოფელი გუგუთი, ქართველი, ქალი)*

*“თქვენ რომ შეგიძლიათ უბანში გამოხვიდეთ, მანქანა დააყენოთ, სტუმარი მიიღოთ, როგორც თქვენ გინდათ, ჩვენთან ეგრე არ არის. (სოფელი გუგუთი, ქართველი, კაცი 2)*

საქართველოსა და სომხეთის საზღვრის ეთნოგრაფია სოფელ ირგანჩაიში აჩვენებს, რომ საქართველოს პოლიტიკა ორიენტირებულია სოფელში ბარიერების განმტკიცებასა და თვალსაჩინო კონტროლის, შეზღუდვის წარმოებაზე. ირგანჩაი სომხეთისგან გამოყოფილია, როგორც გეოგრაფიული მარკერით, ისე მავთულხლართის მეშვეობით. სოფელი გამოყოფილია მდინარის საშუალებით, რომელსაც საერთაშორისო საზღვარი გასდევს სოფლის მიმდებარედ. ამას გარდა, მოსახლეობის თქმით, ბოლო წლებია საზღვარი სოფლის გარშემო მავთულხლართით შემოიღობეს. სოფლის ტერიტორიისა და საძოვრების გასწვრივ, ბუნებრივ, გეოგრაფიულ საზღვართან, მაღალი ღობეა გავლებული. როგორც ადგილობრივები ამბობენ, სახელმწიფოს მიზანი იყო საქონლის მიერ საზღვრის დარღვევის ფაქტების აღკვეთა, რადგან ხშირად ხდებოდა მსგავსი შემთხვევები. ასეთ დროს, უმეტესად ქართველი მესაზღვრეები, სომეხ მესაზღვრეებთან კომუნიკაციის შედეგად, აბრუნებდნენ “საზღვრისდამრღვევ ცხოველებს”, თუმცა ზოგჯერ ეს ვერ ხერხდებოდა. როგორც ირგანჩაის მაცხოვრებლები ამბობენ, ამჟამად შესაძლებელია ამ შემოღობილი ტერიტორიის საძოვრებად გამოყენება. Google-ის რუკაზე აღნიშნულია გზა რომელიც სომხეთის მიმართულებით მიდის, თუმცა ამჟამად ეს გზა არ ფუნქციონირებს. მოსახლეობის თქმით, ეს გზა ჩვეულებრივ გამოიყენებოდა, როგორც სომხეთთან არაოფიციალურად დამაკავშირებელი გზა სომხეთთან. თუმცა, ყარაბაღის კონფლიქტის და მასთან სასაზღვრო კონტროლის დაწესების შემდეგ, ეს გზაც აღარ ფუნქციონირებს და მკაცრად კონტროლდება მესაზღვრეების მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ გზასთან, სოფლის გასასვლელში, მოწყობილია სასაზღვრო კუნძუტი, შემადგენელი საკონტროლო პოსტით.

სოფელში კონტროლისა და გამუდმებული ზედამხედველობის ზეგავლენა თვალშისაცემია. ირგანჩაისთან მიახლოებისთანავე შესამჩნევია სასაზღვრო კამერები და მავთულხლართები. შემადგენელ ლოკაციებზე დამონტაჟებული

კამერები სოფელს სრულად აკონტროლებს, რომელიც თვალისთვის ადვილი შესამჩნევია “სადაც გაიხედავ, ყველგან კამერებია” - ამბობს ადგილობრივი მამაკაცი.

მოსახლეობა, ძირითადად პოზიტიურად აფასებს მესაზღვრეების ყოფნა სოფელში, ამბობენ, რომ მათ ადგილობრივებთან კარგი დამოკიდებულება აქვთ.

*“ხშირად მოდიან ჩვენს მაღაზიაში, კარგი ხალხია”(სოფელი ირგანჩაი, აზერბაიჯანელი, მამაკაცი).*

აღსანიშნავია, რომ ისინი კომუნიკაციას ერიდებიან და მათი უმრავლესობა უარს აცხადებს საუბარზე, რთულია მათთან კონტაქტის დამყარება. ამაზე დიდი ხანია საუბრობენ აქტივისტები და ქვემო ქართლში აზერბაიჯანულ თემთან მომუშავე ორგანიზაციები. ის ვინც საუბარზე დათანხმდება, უმეტესად, მოკლე პასუხებით შემოიფარგლება და ამბობენ, რომ სოფელში პრობლემები არ არის. მიუხედავად ამისა, ისინი, ვინც პრობლემებზე საუბრობენ ღიად აფიქსირებენ სოფელში არსებულ გამოწვევებს: სოფელში წყლის პრობლემაა, არ მიეწოდება საკმარისი რაოდენობის სასმელი წყალი, ონკანი მხოლოდ რამდენიმე ადგილას არის და მოსახლეობას თავად უწევს სასმელი წყლის მომარაგება. ასევე, პრობლემურია გზის და ტრანსპორტირების საკითხი. სოფელთან მისასვლელი გზა, რომელიც რამდენიმე წლის წინ გამგეობამ დააგო, უკვე მნიშვნელოვნად დაზიანდა და ადგილობრივი ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარებას არ ჩქარობს. ადამიანები კი ყოველდღიურად დაზიანებულ გზაზე გადაადგილდებიან, ხოლო უსაფრთხოებისთვის საჭიროა განსაკუთრებულად ნელა მოძრაობა.

რაც შეეხება ტრანსპორტირებას, წლების განმავლობაში დმანისის მუნიციპალიტეტში შიდამუნიციპალური ტრანსპორტი არ ფუნქციონირებდა და მოსახლეობისთვის ერთადერთი საშუალება რაიონულ ცენტრში მოსახვედრად პირადი მანქანით სარგებლობა იყო, ხოლო მათთვის კი ვინც მანქანას არ ფლობს, სოფლის გასასვლელთან მოცდა და სოფლიდან რაიონის მიმართულებით მიმავალი ტრანსპორტისთვის დამგზავრება იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის იანვარში დმანისის მუნიციპალიტეტმა 3 ავტობუსი შეიძინა, რომელთაგან ერთი დმანისი-თბილისის, ორი კი სხვადასხვა სოფლებს მოემსახურება. მათ შორის, კვირაში ერთი რეისი შესრულდება ირგანჩაი-დმანისის მიმართულებით. ამ გადაწყვეტილების მიღება მას შემდეგ მოხდა, რაც 11 ოქტომბერს პლატფორმა სალამმა და შეხვედრის ადგილმა ერთობლივი პეტიცია დაარეგისტრირა მუდმივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოთხოვნით. აქვე, ხაზგასასმელია, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება ამსუბუქებს ადგილობრივების წინაშე მდგარ პრობლემას, თუმცა ვერ ანაცვლებს საზოგადოებრივ ტრანსპორტს.

წყალთან და გზასთან დაკავშირებული გამოწვევები და გადაადგილების პრობლემურობა, გამვლელისთვის საათობით ლოდინი მოსახლეობას ღირსეული

ცხოვრების შესაძლებლობას ართმევს და დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ამყოფებს.

სოფელ გუგუთის მაგალითის განხილვა ნათელ წარმოდგენას ქმნის როგორც კონტროლის ინფრასტრუქტურა სასაზღვრო სოფელში. სოფლისგან მოშორებით საქართველო-სომხეთის ოფიციალური სასაზღვრო გამშვები პუნქტია. შესაბამისად, საზღვარზე შემომსვლელი და გამსვლელი თითოეული მანქანა და პირი კონტროლდება, ამასთან გუგუთში სომხეთიდან საქართველოში შემომსვლელი მანქანების დაზღვევისათვის რეგისტრაცია ხორციელდება. ისევე როგორც ირგანჩაიში, მოსახლეობას აქაც ერთმანეთისგან განსხვავებული გამოცდილებები თუ აღქმები აქვთ სოფლის გეოგრაფიული, სიმბოლური თუ პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ სახელმწიფო საზღვართან და მის კონტროლთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, საზღვრის კონტროლის ეთნოგრაფია მეტ-ნაკლებად მსგავსია. აღსანიშნავია, რომ გუგუთის შემთხვევაშიც კონტროლი ხორციელდება შემადლებულ მონაკვეთებზე დამონტაჟებული კამერებითა და მესაზღვრეების მიერ პატრულირებით, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ სოფელს, საძოვრებს, სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და სრულად სასაზღვრო ზოლს.

*“ამ კამერებით და სასაზღვრო პოსტებიდანაც სულ გვიყურებენ და ჩამოდიან ჩვენთან როცა უნდათ, მოდიან, დაკითხვას გვიწყობენ”. (სოფელი გუგუთი, ქართველი მამაკაცი 1)*

*სულ პოლიცია მოძრაობს, კამერებია და ვიცით რომ დაცულები ვართ” (სოფელი გუგუთი, ქართველი ქალი 1)*

როგორც ადგილობრივები ამბობენ, სოფელში მხოლოდ 30 ოჯახი დარჩა, სახლების უდიდესი ნაწილი კი მიტოვებულია. უნდა ითქვას, რომ სოფელი 1990-იან წლებში განსახლების სახელმწიფო გეგმის ფარგლებში დაარსდა 2 აზერბაიჯანული სოფლის გაერთიანების შედეგად, მას შემდეგ, რაც სოფლები მუდალად და საათლო თითქმის სრულად დაიცალა (ტრიერი და ტურაშვილი, 2007). მიუხედავად სოფელში მოსახლეობის სიმცირისა, თითოეული ადგილობრივი საკუთარ თავზე განიცდის კონტროლსა და ტერორს. ადგილობრივებს გადაადგილებისა და მოქმედების თავისუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდული აქვს. სოფელში გადასაადგილებლად მათ ესაჭიროებათ ოფიციალური დოკუმენტი, “ვიზასავით”- ასე უწოდებენ ისინი ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც მათ სასაზღვრო ზოლში გადაადგილების უფლებას აძლევს და მისი განახლება საჭიროა რამდენიმე თვეში ერთხელ. ისინი ყვებიან, რომ ამჟამად სახელმწიფო პოლიტიკა შედარებით გამკაცრდა და აღნიშნული დოკუმენტის მოქმედების ხანგრძლივობა შემცირდა, რაც მათთვის დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან უნდობლობასთან. მეორეს მხრივ, კი სასაზღვრო პოლიცია აქტიურად პატრულირებს, აკონტროლებს ადგილობრივებს და აღნიშნულ დოკუმენტს შანტაჟისა და დაშინებისთვის იყენებს, რასაც მუდმივი ხასიათი აქვს. მესაზღვრეები ადგილობრივებს სთხოვენ ნებისმიერ სიტუაციაში წარუდგინონ აღნიშნული მოწმობა. მოსახლეობაში კი არსებული პოლიტიკა და კონტროლის პრაქტიკები უარყოფით განწყობებს იწვევს

და დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ამყოფებს მოსახლეობას. გარდა ამისა, ხშირად სასაზღვრო პოლიცია ადგილობრივების მიმართ კეთილგანწყობილი არ არის და ცდილობს დაწეროს შიში და ტეტორი.

*“მე ჩემს ქვეყანაში, სოფელში მჭირდება რაღაც დოკუმენტი, ვიზასავით, რომ ვიმოდრო, სხვანაირად ვერც სოფელში და ვერც ჩემ მიწაზე ვერ წავალ. [...] კიდევ იცი რაზე ვბრაზობ? ყველას ხომ გვიცნობენ აქ, სულ 30 ოჯახი ვცხოვრობთ, მაგრამ ნაკვეთში რომ წავალ მაშინაც ჯიბეში უნდა მედოს ეს რაღაც, რადგან მესაზღვრე მოვა და შემამოწმებს. [...] ეგ ჩემთვის დამცირებაა”. (სოფელი გუგუთი, მამაკაცი 1, ქართველი)*

გარდა გადაადგილების კონტროლისა, სასაზღვრო პოლიცია ასევე აკონტროლებს სოფელში ჯგუფურ შეკრებებს. თუ პოლიცია შენიშნავს რამდენიმე ადამიანის შეკრებას, ისინი მიდიან და უსვამენ შეკითხვებს, შეკრების მიზანზე და ასე შემდეგ. ეს თავის მხრივ, ზღუდავს შეკრებასა და გადაადგილებას სოფელში, ადგილობრივებისთვის მსგავსი დამოკიდებულება კი დამამცირებლად აღიქმება.

*“მე არ შემიძლია ისე გამოვიდე თავისუფლად უბანში და დავდე, აი როგორც აქ ხალხი გამოდის, უბანში, დგას და ბირჟაობს, რამდენიმე ადამიანი ერთად ვერ დადგება და ვერ დაილაპარაკებს. ეგრევე მოდის პოლიცია(მესაზღვრე) და გეკითხება რას აკეთებ, რატო დგახარ. რანაირი დამოკიდებულებაა, ყველაფრის უფლებას გართმევენ”(სოფელი გუგუთი, ქართველი, მამაკაცი 1).*

გარდა მოსახლეობის კოლექტიური თუ ინდივიდუალური კონტროლის საშუალებით დამკვიდრებული შეზღუდვებისა სასაზღვრო პოლიცია ზღუდავს მოსახლეობის გადაადგილებას საქონლის სადოვარზე გაყვანის შემთხვევაშიც. ამ შემთხვევაში თუ ცხოველმა საზღვარი დაარღვია, მესაზღვრე არ აძლევს უფლებას მეპატრონეს გაყვეს მას და უკან დააბრუნოს, ამას გარდა, არც თავად უწევს დახმარებას.

*“საქონელი თუ სომხეთის მხარეს გადავა, მესაზღვრე არ მოაბრუნებს, არც მოგეხმარება, არც შენ გადაგიშვებს და ჩათვალე დაკარგულია. [...] მე აქ მენახირე ხო არა ვარ-ო გეტყვიან. [...] ეგრე დაკარგეს საქონელი ხალხმა”. (სოფელი გუგუთი, ქართველი, მამაკაცი 1)*

გარდა ამისა, ადგილობრივებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სოფელში სტუმრის მიღება და სტუმრის დამოუკიდებლად გადაადგილების საკითხი. სოფელში მოსული უცხო პირს მარტო გადაადგილებისას ამოწმებს სასაზღვრო პოლიცია, გამოკითხვას ვიზიტის დეტალებს, ხანგრძლივობას, მიზანს, ვინ არის მასპინძელი და ა.შ. თუ სტუმარი კონკრეტულად რომელიმე ოჯახშია გაჩერებული, ამ შემთხვევაში მესაზღვრე პოლიციელი ამოწმებს მასპინძელს და გამოკითხავს ინფორმაციას სტუმრის შესახებ. ადგილობრივები ამბობენ, რომ ეს მათთვის უხერხულობას იწვევს და კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმია.



*“უცხო მანქანას თუ დაინახავენ შეიძლება ეგრევე არ მოვიდნენ მაგრამ რომ დაინახვენ წავიდნენ სტუმრები მოდიან და გეკითხებიან ვინ გყავდა სახლში, რა უნდოდა. გარეთ მარტო უცხოს თუ დაინახვენ ეგრევე აჩერებენ და ეკითხებიან ვინ ხარ, რა გინდა, რას აკეთებ, ვისთან ხარ სტუმრად და ასე. ამიტომ ვცდილობთ სტუმარი თუ მოგვდის მარტო არ გავუშვათ გარეთ”.(სოფელი გუგუთი, ქართველი მამაკაცი 1)*

სოფელში განხორციელებული კონტროლის პრაქტიკები მოსახლეობაში შიშის განცდას წარმოშობს. გარდა კონტროლის მაღალი ხარისხისა სოფელ გუგუთში რესპოდენტი საუბრობს ტერორისა და დაშინების სხვა ფაქტებზე. სასაზღვრო პოლიცია ხშირად სარგებლობს ადგილობრივებში საკუთარი უფლებებისა და სასაზღვრო პოლიციის ლეგიტიმური ძალაუფლების შესახებ ინფორმირებულობის და ცოდნის არ არსებობით. ისინი ადგილობრივებს ემუქრებიან დაჭერით, საქონლის ჩამორთმევით, რაც ადგილობრივებში შიშს აჩენს და აძლიერებს, ეს კი თავის მხრივ მნიშვნელოვანი მექანიზმია ადგილობრივების დასაქვემდებარებლად.

*“მერე გეტყვიან დაგიჭერ. რას დამიჭერს [...] მესაზღვრეები სოფელში ვერავის დაიჭერენ. ხალხს კიდევ ეშინია”. (სოფელი გუგუთი, ქართველი მამაკაცი 1)*  
*“საქონელი სომხეთისკენ თუ გადავიდა არ აბრუნებენ, რომ მიხვალ და ეტყვი ძროხა გამეცა, მე აქ მენახირე ხო არა ვარ-ო გეტყვიან და ისევ დაჭერით დაგემუქრებიან. [...] მერე თუ დაგინახეს ძროხა გყავს გადაყვანილი გეუბნებიან, “მაგ ძროხას იცოდე, სულ ჩამოგართმევ, ნუ დაგყავს აქ” და ხალხსაც ეშინია”.(სოფელი გუგუთი, ქართველი მამაკაცი 1)*

გარდა სოფელში არსებული კონტროლისა და ტერორისა, მოსახლეობა საუბრობს იქ არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ მოწყვლადობაზე. სოფელში ცოტა ახალგაზრდა შემორჩა, იმის გამო, რომ იქ ბევრი შესაძლებლობა მათთვის არ არსებობს, “ეს სოფელი სულ დაიცალა თითქმის, აღარავინ ცხოვრობს, მოსაწყენი ადგილი გახდა”(სოფელი გუგუთი, ქართველი ქალი 1). შემოსავლის ძირითად წყაროს მესაქონლეობა წარმოადგენს. გარდა ამისა, ნაწილი დასაქმებულია სკოლაში და სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მუშაობენ. დამატებით, მოსახლეობა დასაქმდა სოციალურად დაუცველების დასაქმების პროგრამით, რამაც გარკვეული შედეგატი და სტაბილურობის განცდა მისცა იქ დასაქმებულებს. თუმცა, ამ პროგრამამ დღის წესრიგში კიდევ უფრო მწვავედ დააყენა საზოგადოებრივი ტრანსპორტის არ არსებობის პრობლემა, რადგანაც, ამ პროგრამაში ჩართულ პირებს ყოველთვიურად უწევთ დმანისში ასვლა და იძულებულები არიან თავად დააორგანიზონ საკუთარი ტრანსპორტირება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ 2024 წელს ადგილობრივი აქტივისტების აქტიური მუშაობის შედეგად, ადგილობრივმა გამგეობამ კვირაში ერთი დღე დანიშნა ავტობუსის რეისი სოფელი გუგუთიდან ქალაქ დმანისში.

გუგუთის კარგი მაგალითია იმის საჩვენებლად თუ როგორ მუშაობს სახელმწიფოს ადგილობრივი სტრუქტურები მოქალაქეებთან ძალაუფლების გამოყენების და

კონტროლის მიზნით. სასაზღვრო პოლიცია საკუთარ ძალაუფლებას გადამეტებულად იყენებს, რათა დანერგოს შიში და გააძლიეროს მოსახლეობის ჩაგვრა.

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ სასაზღვრო სოფლებში გუგუთსა და ირგანჩაიში კონტროლის არსებობას ადასტურებს მსგავსი სასაზღვრო ინფრასტრუქტურა. ასევე, ადგილობრივების სიჩუმე სოფელ ირგანჩაიში ქმნის ვარაუდს, რომ იქ არსებულ ტერორს ბევრად მასშტაბური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. თუმცა, გუგუთის მაგალითი კარგად აჩვენებს, რომ სახელმწიფო სოფელში კონტროლისა და ტერორის დასამყარებლად იყენებს ადგილზე არსებულ ადმინისტრაციულ რესურსს და დაშინების მეთოდებს.

#### 8. სოციალური მოწყვლადობის ინსტრუმენტალიზება და კონტროლი

დმანისში განსაკუთრებით მოწყვლადი მოსახლეობა ცხოვრობს, როგორც ადგილობრივები ამბობენ, *“ვინც წავიდა, წავიდა, იშოვა სამუშაო სხვაგან, დანარჩენი აქ არის”*(კაცი, ქვემო ოროზმანი). რაიონში კონტროლის ინფრასტრუქტურა და სისტემაში შემავალი თითოეული აქტორის მუშაობა, სწორედ, მოსახლეობის მოწყვლადობით საზრდოობს. მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური და ეკონომიკური დაქვემდებარება და გარიყულობა არის ის ძირითადი ბერკეტი, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ადგილობრივებში შიშის დანერგვაში. გაბატონებული ეკონომიკური უთანასწორობის ფონზე, დაშინების ბერკეტად არის ქცეული არა მხოლოდ სოციალური შემწობის მიღება, არამედ საჯარო სამსახურში დასაქმება ან მცირე ბიზნესის ფლობა. ამ თავში განხილული იქნება ის სოციალური ფაქტორები, რომელის ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ კონტროლისა და დაშინების განხორციელებას.

ადგილობრივ დონეზე კონტროლი ყველაზე გავრცელებულია იმ ჯგუფებში, რომლებიც სახელმწიფოსგან გარკვეულ სოციალურ შემწეობ

ას იღებენ, დასაქმებული არიან ადგილობრივ მერიაში ან რომელიმე სტრუქტურულ ერთეულში. კონტროლი და დაშინება მოიცავს ეკონომიური რესურსებით მანიპულაციას, რაზეც მიბმულია ოჯახების სტაბილურობა. ამდენად, საჯარო სექტორში დასაქმებული პირები ერთის მხრივ, წარმოადგენენ ინსტრუმენტს დააშინონ სხვა მოქალაქეები, ხოლო მეორეს მხრივ, თავადაც მარტივად აღმოჩნდებიან მოწყვლად და დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, როგორც დაშინებისა და კონტროლის ობიექტი.

*“ყველას ეშინია ვინც რამე დახმარებას ან ხელფასს იღებს სახელმწიფოსგან. მაგით აშინებენ ყოველთვის”*(აზერბაიჯანელი, საჯარო მოხელე, 1).

2025 წლის თებერვლის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, დმანისში საარსებო შემწეობას 2277 ოჯახი იღებს. ამას გარდა,

სხვადასხვა სოციალურ პაკეტს 826 ოჯახი იღებს. სოციალური შემწეობის მიმღები და მათი ოჯახები ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს წარმოადგენენ, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ სხვადასხვა შესაძლებლობებზე. აზერბაიჯანელი და ქართველი რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო თემის შიგნით ადგილობრივების მიზანმიმართულად აყენებს უთანასწორო მდგომარეობაში, რათა ერთის მხრივ, ზოგიერთი ჯგუფის წახალისებით მათდამი ერთგულება გააჩინონ; და მეორეს მხრივ, იზრდება მოწყვლადობის ხარისხი უკიდურესად გაჭირვებულ ჯგუფებში. ამ შემთხვევაში, პრივილეგიის სახით დახმარებას იღებენ ისეთი ოჯახები, რომლებსაც უკვე აქვთ შემოსავლები, ან არიან საჯარო სამსახურში, ან ამ პირებთან დაახლოებული პირები და არ ეკუთვნით მსგავსი დახმარების მიღება. შესაბამისად, რწმუნებულებისა და სხვა რგოლების მხრიდან დაშინების პროცესში მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს ზოგისთვის - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსის, ზოგისთვის კი შერჩევითად დანიშნული, დამატებითი შემოსავლების შეწყვეტა.

2023 წლის 13 ოქტომბერს სოფელ იფნარში მომხდარი ინცინდენტი, რომელიც ორგანიზაცია სალამის აქტივისტების ჩასვლამ გამოიწვია აჩვენებს, თუ როგორ აშინებენ სოფლის რწმუნებულები სხვადასხვა სოციალური შემწეობის მიმღებ პირებს ამ დახმარებების მოხსნით, თუ ისინი შემჩნეულნი იქნებიან ისეთ ქმედებებში, რომელიც ააშკარავებს სახელმწიფოს უთანასწორო მიდგომებს ადგილობრივი ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ. ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში წერია: *“მოუისმინა ჩვენს საუბარს და შემდეგ ჩვენგან განრიდების მიზნით დაიწყო იმ ქალბატონზე ზეგავლენა, ყვირილი, საჯარო მუქარა, დაშინება. ის იმუქრებოდა აუტისტური სპექტრის მქონე შშმ ბავშვის ყოველთვიური სახელმწიფო გასაცემლის მოხსნით. მან შეახსენა ქალბატონს, რომ ის ასევე, იყო დასაქმებული სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე და ხვალთანვე მას გაანთავისუფლებდნენ სამსახურიდან”(პლატფორმა სალამი, 2023).*

დმანისში სოციალურ შემწეობას მოსახლეობის დიდი ნაწილი იღებს. ამდენად, ეკონომიკურად და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის სოციალური დახმარების საკითხი აქტუალურია. დმანისში, როგორც ქართველი, ისე აზერბაიჯანელი რესპოდენტები საუბრობენ, რომ ეს მინიმალური რესურსიც კი არათანაბრად და არასამართლიანად ნაწილდება და არ ხმარდება მინიციპალიტეტის ყველაზე მოწყვლად მოსახლეობას. ეს თავის მხრივ აძლიერებს, ჩაგვრის შეგრძნებასა და მოწყვლადობის ხარისხს ადგილობრივ ჯგუფებში.

*“საერთოდ, ეს დახმარებებიც არ არის თანასწორად გადანაწილებული. ვისაც სჭირდება დახმარება ისინი არ იღებენ და ბევრი ვიცი ჩემს სოფელშიც ხელფასი ან შემოსავალი აქვს და სოციალურ დახმარებასაც იღებენ. ამ დროს ვისაც მართლა სჭირდება - ისინი არა.(მამაკაცი, აზერბაიჯანელი, საჯარო მოხელე, 1)*  
*“ზოგი უსამართლოდაც იღებს, ჩემზე უკეთესადაც ცხოვრობენ, ფულიც აქვთ, მაგრამ ოფიციალურად უმუშევარია.”(მამაკაცი, ქართველი, საჯარო მოხელე 1)*

სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა მოსყიდვის და დაქვემდებარების კიდევ ერთ შემთხვევას წარმოადგენს სოციალურად დაუცველთა დასაქმება საჯარო სამსახურებში, მინიმალური ანაზღაურების სანაცვლოდ. 2023 წელს, პრემიერ ღარიბაშვილის ინიციატივით, ქვეყნის მასშტაბით დაიწყო სოციალური შემწეობის მიმღებთა დასაქმების კამპანია საჯარო სამსახურებში. მოქალაქეებს, რომლებიც იღებენ სოციალურად დაუცველებისთვის განკუთვნილ შემწეობას, საშუალება მიეცათ დასაქმდნენ სხვადასხვა საჯარო სამსახურში დაბალ პოზიციებზე, მათ შორის სკოლაში, ბაღში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბაზაზე არსებული სხვა სამსახურებში. დასაქმებულთა სამუშაო, ძირითადად, მოიცავს დალაგება-დასუფთავებას ან სხვა ტიპის ადმინისტრაციულ, საორგანიზაციო საქმეს. ასევე ცნობილია, რომ ამ პროგრამის გაგრძელება რამდენიმე წლის განმავლობაში კვლავ იგეგმება. *“ახლა შემოიყვანეს სოციალურად დაუცველები ყველგან, მაგათ სახელმწიფო აძლევს ხელფასს და 4 წელი გაგრძელდება”*, ამბობს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირი. ამ პროგრამის ფარგლებში ყოველთვიურად 300 ლარიან ანაზღაურებას იღებენ. დმანისში ამ პროგრამამ, დაახლოებით, 800 ადამიანი დაასაქმა, რომელმაც მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი მოიცვა. *“ბევრი დასაქმდა ჩვენი სოფლიდანაც, სადაც 15 კაცი. ეს ის ხალხი დაასაქმეს, ვინც სოც.დახმარებას იღებდნენ”* გვიყვება აზერბაიჯანელი საჯარო მოხელე. ასევე, არასაპატიო გაცდენის შემთხვევაში, მათ ეჭრებათ შესაბამისი თანხა ამ ანაზღაურებიდან.

*“აქ დასაქმებულ ადამიანებს თავდაპირველად უფორმდებათ ხელშეკრულება, მერე ყოველდღიურ გამოცხადებაზე ყოველდღე აწერენ ხელს, სადაც დასაქმებულები არიან, მერე სამუშაოს თუ გააცდენს, იმ 300 ლარიდან დღიური თანხა ეკავება”.*(ადგილობრივი ქართველი, მამაკაცი 1)

ამ ინიციატივას ადგილობრივები დადებითად აფასებენ და თვლიან, რომ ის მნიშვნელოვნად ეხმარება ადგილობრივებს დასაქმდნენ და ჰქონდეთ სტაბილური შემოსავალი, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც მაღალია უმუშევრობის დონე. არსებული სისტემა განსაკუთრებით ფორმალიზებულია. თითოეულ დასაქმებულს აქვს ვალდებულება, რომ ყოველდღიურად მოაწეროს ხელი დასაქმების ადგილას, გარდა ამისა, თვეში ერთხელ დმანისშიც უნდა ჩავიდეს თავისი ხელმოწერის დასაფიქსირებლად.

*“ხალხი სოფელში დასაქმებულია, გამგეობამ დაასაქმა დასუფთავებაზე, დალაგებებზე სხვადასხვა ადგილას და 300 ლარს უხდიან. ეგ ჩვენთვის დიდი რამეა, იმიტომ რომ აქ სამუშაოები საერთოდ არ არის. [...] უბრალოდ ის არის რომ ყოველ თვე დმანისში უწევთ ასვლა ხელმოწერაზე.”* (სოფელი გუგუთი, ქართველი მამაკაცი 2)

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოცემული პროგრამა ისე დაგეგმა, რომ მას მოეცვა ყველა სოფელი, ყველა ეთნიკური თუ სოციალური ჯგუფი. სოფლების მაგალითის გაანალიზების საფუძველზე ნათელია თუ როგორი მეთოდით მუშაობს ეს სისტემა. ყველა დასახლებული პუნქტის და ამ დასახლებებში სხვადასხვა უბნის

მოცვა აჩენს ეჭვებს, რომ ეს რესურსი აქტიურად იქნება გამოყენებული არჩევნების პერიოდში მმართველი პარტიის მიერ. ამ პროგრამის ფარგლებში ადგილობრივები დასაქმებულები არიან არსებულ საჯარო სამსახურებში, სკოლასა და ზაღში. ამას გარდა, ადგილობრივებს დაავალეს სოფლის ტერიტორიის დასუფთავება. მაგალითად, ქვემო ოროზმანის შემთხვევაში, სოფლის ტერიტორია დაყოფილია უბნებად და ქუჩებად, რომელთა მოვლაც დაევალათ ამავე უბნის მაცხოვრებლებს.

*“ყოველ დღე ვუყურებ როგორ მიდიან ჩქარი ნაბიჯით ჯგუფ-ჯგუფად ქალები დილით და საღამოს ხელის მოსაწერად, ალბათ არჩევნებისთვის აქედანვე ემზადებიან(იცინის)” (დმანისი, ადგილობრივი აქტივისტი, მამაკაცი)*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ გარიყულობასა და მოწყვლადობას ადგილობრივებში მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფო და საპოლიციო სისტემების მიმართ ნდობის ნაკლებობა. აზერბაიჯანელ თემში პოლიციისადმი უნდობლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის კონფლიქტებისა და დაპირისპირების შემთხვევებში ადგილობრივები ცდილობენ თავად გადაჭრან წამოჭრილი საკითხები ან მიმართონ ქურდულ ავტორიტეტებს.

*“ჩვენ და აქაური კაცები პოლიციას არ მივმართავთ, არ გვჭირდება, ისეთი არაფერი არ ხდება და როცა ჩხუბია, აქ კაცები თვითონ აგვარებენ, და თუ საჭიროა ქურდებს რთავენ ხოლმე.” (ქალების ჯგუფი, ვაკე)*

ქურდების ჩართვა, თავის მხრივ, გულისხმობს სხვადასხვა პროცედურის გავლას და მათთვის თანხის გადახდასაც კი. როგორც ზემოთ აღინიშნა, კრიმინალური ავტორიტეტები ძირითადად ჩხუბის და კონფლიქტის დროს ერთვებიან ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფების მორიგებისთვის. მხარეები უკავშირდებიან ე.წ. ქურდს, რომელიც ისმენს ინფორმაციას მომხდარი დაპირისპირების შესახებ და გამოაქვს გადაწყვეტილება მტყუან-მართლის შესახებ. თუ ეს პირი იმყოფება ციხეში, მასთან შეაქვთ ამბავი და ციხეში გამოაქვს გადაწყვეტილება. ამდენად, ისინი საკუთარი სიმართლის დაადგენად და პრობლემების მოსაგვარებლად, არაფორმალურ და არასანდო სისტემებში აღმოჩნდებიან.

*“სოფელში როცა ერთი ჩხუბი მოხდება, ჩვენი სოფლიდანაც არის ქურდი და ეხლა ციხეშია და ეხლა ის ამბავი იმ ბიჭზე წავა[ციხეში] იმისთვის ორივე მისი სოფლელია და იმან უნდა გადაწყვიტოს და მოარიგოს”.(კაცი, სოფელი ამამლო)*

*“ისეთი რალაცები ხდება ქურდებისგან რომ ფული მოგთხოვონ. კაი ბიჭები, მოვლენ, გეტყვიან “მომეცი ფული”, შენც თუ მისცემ მერე შეგეშვებიან.” (კაცი, სოფელი ამამლო)*

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელები, რომლებიც მუდმივად დმანისში ცხოვრობენ და ხედავენ დამკვიდრებულ პრაქტიკებს დარჩენილი არიან განსაკუთრებით მოწყვლად და უიმედო მდგომარეობაში. ადგილობრივების ხელში არ არსებობს ბერკეტი,

რომელიც გაბატონებული მოწყვლადობისა და დაქვემდებარების დაძლევაში დაეხმარებათ.

*“აზერბაიჯანელებმა იციან ყველაფერი, დღესაც ხედავენ როგორი კონტროლი ხდება, მაგრამ ვერაფერს აკეთებენ. თან ეს სიჩუმეც არის გამოსავალი”. (კაცი, აზერბაიჯანელი საჯარო მოხელე)*

დმანისის მაგალითზე კარგად ჩანს თუ როგორ ცდილობს ადგილობრივი ხელისუფლება ისარგებლოს მოქალაქეების სიღარიბითა და მოწყვლადობით, რათა შეინარჩუნოს სხვადასხვა ბერკეტი მათი დაშინების მიზნით. სახელმწიფოს მხრიდან დაჩაგრული სოციალური ჯგუფები კი კარგავენ ნდობას მათდამი, ვინც უნდა ზრუნავდეს მოსახლეობის კეთილდღეობასა და მარგინალური ჯგუფების გაძლიერებაზე. თუმცა რადგან ამ შემთხვევაში ეს ასე არ ხდება, ადგილობრივები კრიმინალური მენტალიტეტების მიერ შექმნილი არაფორმალური ჯგუფებისგან ცდილობენ მიიღონ სამართლიანობა. ეს კი ზოგ შემთხვევაში მათ უფრო მეტი ჩაგვრის წინაშე აყენებს.

## 9. კონტროლის ეთნიკური ჩტრიხები

როგორც წინა თავებში იყო განხილული, სუს-ი აქტიურად აკონტროლებს დმანისის მუნიციპალიტეტს, კონტროლდება, როგორც ეთნიკურად ქართველი, ისე აზერბაიჯანული მოსახლეობა. მიუხედავად ამისა, განსახვადება სახელმწიფოს მიდგომა ადგილობრივი ქართული და აზერბაიჯანული თემის მიმართ. სახელმწიფოს კონტროლი ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის ბევრად ძლიერი და მკაცრია. კონტროლის ხარისხი ეთნიკურად აზერბაიჯანელებში ბევრად მაღალია, როგორც ერთ-ერთი რესპოდენტი ამბობს, *“ზოგადად, კონტროლი აზერბაიჯანელების მიმართ ბევრად ძლიერია, ვიდრე ქართველების მიმართ. ქართველებს ეგრე არ უყურებენ(აკონტროლებენ)”*. ამის მთავარი საფუძველი არის გავრცელებული სტერეოტიპი აზერბაიჯანელების პოლიტიკურ სურვილებზე, რომლითაც არაერთი ხელისუფლება ხელმძღვანელობს.

დმანისში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა მუდმივად გრძნობს მათი თემის მიმართ უთანასწორო მიდგომებსა და პოლიტიკას. სახელმწიფო მათ მიმართ განსხვავებულ ჩაგვრასა და გარიყვაზე ორიენტირებულ მიდგომებს ახორციელებს. ნიშანდობლივია, რომ ზოგ შემთხვევაში უთანასწორო მიდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა გამართლებულია მისი ეროვნული მიზნებითა და უსაფრთხოებით. ეს მიდგომა თავის მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკის არგუმენტი, რომელიც სავარაუდოდ, ზოგიერთ ეთნიკურ აზერბაიჯანელ ჯგუფებამდეც მივიდა. ისინი კი ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ მათთვის ეს პოლიტიკა არის გასაგები და, ამავე დროს, მისაღები.

*“ორმაგი სტანდარტია ყველგან უფლებების მხრივ. აქ სადაც გინდა მიხვიდე, როცა აზერბაიჯანელი ხარ, იმდენი უფლება უკვე აღარ გაქვს, თავისთავად. არ ვიცი ალბათ ეგ იმის ბრალია რომ საქართველოში ვართ და საერთოდ ეს სახელმწიფოს და ქვეყნის შენარჩუნებაც ეგრე კონტროლით უნდა მოხდეს.”(კაცი, აზერბაიჯანელი საჯარო მოხელე)*

როგორც უკვე ითქვა წინა თავებში, აზერბაიჯანელ მოსახლეობაში პოლიციისადმი ნდობა ნაკლებია, რაც ეთნიკური მიზეზებით არის განპირობებული. “აზერბაიჯანელი ხალხი პოლიციას არ ენდობა და ეგ სწორიც არის, რადგან პოლიციას ორმაგი სტანდარტები აქვს” - ამბობს აზერბაიჯანელი საჯარო მოხელე. პოლიციის შერჩევითი მუშაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა ჩხრეკა, რომელიც აზერბაიჯანელების მიმართ ხორციელდება. პოლიცია აზერბაიჯანელ მამაკაცებს აჩერებს და ამოწმებს, მხოლოდ იმ საბაზით, რომ ისინი ეთნიკურად აზერბაიჯანელები არიან.

*“ქალაქში რომ გახვალ და აზერბაიჯანელი ხარ უმეტეს შემთხვევაში გაჩერებენ და გამოწმებენ. ეს წლები მე რასაც ვუყურებ ქართველებს ესე არ ექცევიათ”.(კაცი, აზერბაიჯანელი საჯარო მოხელე)*

რესპოდენტი, რომელიც საპოლიციო სისტემაში არსებულ ორმაგ სტანდარტებზე ყვება, ამბობს, რომ ყველა სტრუქტურაში, რომელიც პოლიციასთან რაიმე გადაკვეთაშია აზერბაიჯანელების მიმართ სისტემის შიგნითაც კი ორმაგ სტანდარტებს ატარებს, რაც უფრო მკაცრ და უთანასწორო მიდგომებში გამოიხატება, ვიდრე ამას ქართველები განიცდიან. ასევე, ხაზგასასმელია, რომ მას, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის ნაწილს, არ შეუძლია ჰქონდეს რაიმე ზეგავლენა სისტემის მუშაობაზე, ამას გარდა, ზედმიწევნით იცავს კონფიდენციალურობის პრინციპს.

*“პოლიციაშიც და ზოგადად, ყველას ვისაც პოლიციასთან სამსახურეობრივად შეხება აქვს, შიგნით აზერბაიჯანელის მიმართ ორმაგი სტანდარტებია. ხალხის მიმართაც პოლიციის მხრიდან. ბევრ რამეს ვერ მოვყვები ბევრი რამე კონფიდენციალურია. მაგრამ ეგ არის ჩემი დაკვირვება”.*

*(კაცი, აზერბაიჯანელი საჯარო მოხელე)*

თუმცა უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები აცნობიერებენ სისტემაში ეთნიკურად აზერბაიჯანელების ყოფნის აუცილებლობას, რათა უკეთ გააკონტროლონ და დააშინონ.

*“პოლიციაშიც, გამგეობაშიც ასაქმებენ აზერბაიჯანელებს, იმიტომ, რომ საჭიროა. [...] ამხელა მოსახლეობაა და იმათთან მუშაობა გინდა, მოგწონს ისინი, არ მოგწონს, თავისიანი უნდა გყავდეს, მითუმეტეს ესეთ საპოლიციო ორგანოებში.”(კაცი, ქართველი საჯარო მოხელე 1)*

გარდა ამისა, ადგილობრივი ხელისუფლება ეთნიკურ ნიშნით აქტიურად იყენებს დაქვემდებარების პოლიტიკას. ეს გულისხმობს იმას, რომ რაც უფრო მეტად ეზღუდებათ რესურსებზე ხელმისაწვდომობა აზერბაიჯანელებს, პრივილეგიები და შესაძლებლობები მათ თემში შერჩევითია და, ძირითადად, ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ძალაუფლებას ეთნიკურად ქართველები ფლობენ, მით მეტად ჩაგრულ და უიმედო მდგომარეობაში ვარდება აზერბაიჯანელი თემი. შესაბამისად, მათი კონტროლი და დაშინება ბევრად მარტივი ხდება.

*“სადოვრები ჩაიკეტა, სადაც ადრე შეგვეძლო გაგვეყვანა საქონელი, ცხვარი, ახლა აღარ შეგვიძლია და ხალხს საკმარისი მიწა აღარ აქვს. ჩვენ ამაზე ვერაფერს ვაკეთებთ, რადგან უკვე გაყიდულია. [...] მთავრობასთან გარიგების შემთხვევაში, შესაძლებელია სადოვარი მიწების სახნავ-სათესად მიყიდვა მთავრობასთან დაახლოებულ პირებთან. ამ მხრივ, მეტი პრივილეგია ეთნიკურად ქართველებს ენიჭებათ, მაგრამ მათ შორის აზერბაიჯანელებიც არიან.”(კაცი, ქვემო ოროზმანი)*

ამდენად, თემში არის დაქვემდებარებული და გაკონტროლებული უმრავლესობა და მცირე ჯგუფი, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლებისგან იღებენ გარკვეულ პრივილეგიებს თემის შიგნით კონტროლის განხორციელების სანაცვლოდ. *“ესეც რაღაც ორმაგი სტანდარტია, ოღონდ თვითონ აზერბაიჯანელებში. ვიღაცებს მეტს აძლევენ, ვიღაცებს ნაკლებს.”(კაცი, აზერბაიჯანელი საჯარო მოხელე)*

უნდა ითქვას, რომ არჩევნებსაც მნიშვნელოვანი ეთნიკური განზომილება აქვს. არსებობს განცდა, რომ აზერბაიჯანელებს ხელისუფლება მეტ დაპირებებს აძლევს, ვიდრე ქართველებს, მაგრამ რეალურად საქმე ასე არ არის და უშიშროება აქტიურად იყენებს დაშინებას, როგორც მექანიზმს.

*“თითქოს აზერბაიჯანელებს უკეთეს სოციალურ სერვისებს, უკეთეს პირობებს პირდებიან მაგრამ მერე აღმოჩნდება ხოლმე, რომ უშიშროება სხვანაირად მუშაობს[იყენებს დაშინებას, რწმუნებულების რესურსს].”  
(კაცი, ქართველი საჯარო მოხელე 2)*

## 10. კონტროლის პრაქტიკა წინა ხელისუფლებების დროს

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინა ხელისუფლებების პერიოდში აზერბაიჯანელების მიმართ დღეს არსებული კონტროლისა და ტერორის მსგავსი მექანიზმები მუშაობდა, იმ განსხვავებით რომ რესპონდენტების თქმით, დღეს არ ხდება პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ღიად დევნა და შევიწროება.

კვლევამ აჩვენა, რომ საბჭოთა კავშირიდან დღემდე დმანისში ეთნიკური ნიშნით აზერბაიჯანული თემის დევნა, კონტროლი და დაშინება სისტემური სახისაა. ამ ტენდენციას მნიშვნელოვნად აძლიერებდა დმანისის საჯარო სამსახურებში



დამკვიდრებული სტერეოტიპი “აზერბაიჯანელებს მეთვალყურეობა და მაგარი ხელი სჭირდება”(კაცი, ქართველი საჯარო მოხელე). ეს დამოკიდებულება თავშივე დისკრიმინაციულია და ეფუძნება შეთქმულების თეორიებს უმცირესობების მიმართ. ეს დამოკიდებულება მძლავრი იყო საბჭოთა კავშირში დაწყებული ეთნოცენტრული ნაციონალიზმის პოლიტიკაში, რომელიც შემდგომ გამსახურდიას ეთნო-რელიგიურმა ნაციონალიზმმა გააძლიერა და დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ზოგადი მიდგომები გამსახურდიას შემდგომ პერიოდში არ გადახედილა და არ შეცვლილა.

*“90-იანებამდე და მის შემდეგ, დღემდე არსებული საპოლიციო მიდგომები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და ისევ მსგავს მეთოდებს იყენებენ.  
(კაცი, საჯარო მოხელე 1)*

აღსანიშნავია, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიციურ სტრუქტურებში დასაქმების კუთხით ანალოგიური მიდგომა მოქმედებს საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დღემდე. “ადრეც ასე იყო საბჭოთა კავშირში და ეხლაც ეგრეა, პოლიციაშიც, გამგეობაშიც ასაქმებენ აზერბაიჯანელებს”(კაცი, ქართველი საჯარო მოხელე).

მძიმე კვალი დატოვა 90-იანი წლების ძალადობრივმა გამოცდილებებმა, რასაც ნაკლებად ეხებიან და ამაზე თითქმის არ საუბრობენ. თუმცა, ნათელია, რომ შევარდნადის ხელისუფლებამ სწორედ, მკაცრი საპოლიციო პოლიტიკით შეძლო ლეგიტიმური ძალაუფლების ხელში აღება, “მერე უკვე შევარდნაძემ ბეტეერებით შემოიყვანა ჯარი და დამთავრდა“-ამბობს ერთ-ერთი აზერბაიჯანელი რესპოდენტი.

საკაპშილის მმართველობის პერიოდში ტერორისა და კონტროლის განსახორციელებლად ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად იყენებდა საპოლიციო რესურსს და ბევრად უფრო მკაცრი დევნის პოლიტიკას ახორციელებდა. “მეუბნებოდნენ - გაჩუმდი, ხმა არ ამოიღო. ერთი არ დამიჭირეს, თორემ სხვა ყველაფერი ქნეს”(კაცი, ქართველი საჯარო მოხელე 2).

ამავე პერიოდში მიღებული იყო ე.წ. “ჩადებები”, რაც დღეს აღარ ხდება. ამის მიზეზი კი, პოლიციის მიმართ საერთაშორისო ყურადღების გააქტიურებაა. უშუალოდ, პოლიცია მეტ სიფრთხილეს იჩენს, როცა ადგილობრივებთან მუშაობს.

*“ისე ჩადებები, რაც ადრე ხდებოდა ეხლა აღარ ხდება რადგან ძან აკონტროლებს ევროკავშირი. პოლიციაც უფრო ფრთხილადაა.”(კაცი, აზერბაიჯანელი საჯარო მოხელე)*

2012 წლის არჩევნებისთვის ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა დაშინება, დევნა და შევიწროვება მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების მიმართ. ამას უშუალოდ და პირდაპირ ახორციელებდნენ პოლიციის და სხვა საჯარო სტრუქტურების წარმომადგენლები.

*“მე გავაქირავე ოფისი ოპოზიციურ პარტიას მივაქირავე, და როცა დეტალებს ვაგვარებდი ოფისში, დილით მომაკითხა პოლიციამ, იქამდეც ვგრძნობდი, რომ კონტროლის ქვეშ ვიყავი. მოვიდა პოლიცია და მითხრა რომ არ გამექირავებინა [...] ჩავიდა მერე იმასთან, ვინც დასაშინებლად გამოგზავნა, მოახსენა და რამდენიმე საათის შემდეგ გაზის ჩასაჭრელად მოვიდნენ, შეცდომით ჩავრთეთო- ასე მითხრეს.” (ქალი, ეთნიკურად ქართველი, დმანისი)*

## ნაწილი IV: კონტროლი და დევნა ჯავახეთში

### 1. მცირე ისტორიული ექსკურსი - სომეხი თემი ჯავახეთის რეგიონში

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, რუსეთის იმპერიამ, ოსმალეთის იმპერიასთან სასაზღვრო ზონებში, ერთგული მოსახლეობის ჩამოსახლების პროცესი დაიწყო.<sup>172</sup> კერძოდ, 1830 წლიდან, ჯავახეთის რეგიონში სომეხი მოსახლეობის გადმოსახლება დაიწყო. გენერალ პასკევიჩის მეთაურობით, სომეხების ჩამოსახლების პროცესი აღმოსავლეთ ანატოლიის სომხური მოსახლეობით დასახლებული პროვინციებიდან მიმდინარეობდა. XIX საუკუნის დასასრულისკენ, სომეხები მესხეთის უდიდეს ჯგუფს წარმოადგენდნენ.<sup>173</sup> ხოლო 1915 წლის სომეხთა გენოციდის შემდეგ მიგრაციის მეორე ტალღა დაიწყო, რის შედეგად არაერთი დევნილი ოჯახი სამცხე-ჯავახეთში დასახელდა.<sup>174</sup>

გასაბჭოების შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, ჯავახეთის რეგიონი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის „ტერა ინკოგნიტოს“ წარმოადგენდა. ვინაიდან, თურქეთთან საზღვრის გამო, სამცხე-ჯავახეთი „ჩაკეტილ ზონად“ და „სპეც-რეგიონად“ იქცა, რომელიც „გამძაფრებულ კონტროლს საჭიროებდა“.<sup>175</sup> რეგიონისადმი უსაფრთხოების ინტერესი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, სსრკ-ს პერიოდში გაჩნდა. 1952 წელს, თურქეთის „ნატოში“ გაწევრიანების შემდეგ რეგიონი „კაგებეს“ კონტროლის ქვეშ მოექცა. ნატოს წევრი, თურქეთის სიახლოვე, ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საფრთხეებს ააქტიურებდა. სსრკ-სა და დასავლეთის საზღვარი ჯავახეთზე გადიოდა, რის გამოც ახალქალაქში რუსული ბაზა გაიხსნა.<sup>176</sup> საბჭოთა პოლიტიკის შედეგად, რეგიონში ჩასვლა სპეციალური საშვებით იყო შესაძლებელი. ხოლო, საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სამცხე-ჯავახეთის რეალობა უცხო იყო.<sup>177</sup> სსრკ-ს დაშლის შემდეგ, გაუცხოების განცდა კიდევ უფრო გამძლიერდა. რაც უმეტესწილად, განპირობებული იყო ზვიად გამსახურდიას ეროვნული პოლიტიკით, რომელშიც არაქართველი ჯგუფებისთვის ადგილი თითქმის არ დარჩა.<sup>178</sup> ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები დომინანტური დისკურსის დღის წესრიგიდან გამოირიცხნენ.<sup>179</sup>

<sup>172</sup> დუნდუა, სალომე, აბაშიძე, ზვიად, *ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, გამომცემლობა ინტელექტი*, 2009.

<sup>173</sup> Sanikidze, G., & Walker, E. W. (2004). Islam and Islamic practices in Georgia. Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies, UC Berkeley. <https://escholarship.org/uc/item/7149d486>

<sup>174</sup> დუნდუა და აბაშიძე, 2009

<sup>175</sup> Wheatley, J. (2004). Obstacles Impeding the Regional Integration of the Javakheti Region of Georgia. ECMI Working Paper #22. European Centre for Minority Issues.

<sup>176</sup> Pelkmans, M. (2006). Defending the Border: Identity, Religion, and Modernity in the Republic of Georgia. Cornell University Press.

<sup>177</sup> Bardin, L. (2015). Security and identity in the South Caucasus: A case study of the Armenian minority of Samtskhe-Javakheti [Master's thesis, Central European University]. ETD CEU Dissertations and Theses. [https://www.etcu.edu/2015/bardin\\_lucile.pdf](https://www.etcu.edu/2015/bardin_lucile.pdf)

<sup>178</sup> Jones, S. F. (2013). Georgia: A Political History Since Independence. I.B. Tauris.

<sup>179</sup> Nodia, G. (2009). Components of the Georgian National Idea: An Outline. *Identity Studies*, 1(1), 84-101.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, კავკასიის რეგიონში, ნაციონალიზმის ტალღამ, რეგიონი ეთნო-კონფლიქტამდე მიიყვანა.<sup>180</sup> ძირითად აქტორს, „საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი“ (შემდეგში „კოსტავას საზოგადოება“) წარმოადგენდა, რომელიც რეგიონის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობით დასახლებას ისახავდა მიზნად.<sup>181</sup> თუმცა, არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის, ადგილობრივ მოსახლეობასთან ნეგატიური დამოკიდებულებებისა და ჯავახეთის მკაცრი კლიმატის გამო რეგიონში ფონდის მიერ ჩამოსახლებული მოსახლეობის მცირე ნაწილი დარჩა (ტრიერი და ტურაშვილი, 2007). აქვე, საყურადღებოა, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგაც, ახალქალაქში რუსული ბაზა ფუნქციონირებდა, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა იყო დასაქმებული.<sup>182</sup> ადგილობრივი მაცხოვრებლების ნაწილისთვის, რუსული ბაზები ეკონომიკური შემოსავლის წყაროსა და უსაფრთხოებასთან ასოცირდებოდა.<sup>183</sup> რუსეთისადმი ლოიალური განწყობა, რეგიონს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად აქცევდა. ხოლო ჯავახეთის ავტონომიის მომთხოვნი ჯგუფების გაააქტიურება კი, ცენტრის მიერ, სეპარატიზმის გამოვლინებად შეფასდა.<sup>184</sup>

საკაშვილის მმართველობის პერიოდის დაწყება, ჯავახეთის რეგიონიდან, რუსი ჯარისკაცების გასვლასთან ასოცირდება, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაძლიერებული მუშაობა მოჰყვა.<sup>185</sup> რუსული ბაზების გაუქმება, ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ ნეგატიურად შეფასდა, ვინაიდან სამხედრო ბაზებში დასაქმებული მოსახლეობა უმუშევარი დარჩა. ამასთან ერთად, მოსახლეობის ნაწილი რუსეთში წავიდა სამუშაოდ<sup>186</sup>. ამავდროულად, რუსეთმა 2008 წლის შემდეგ, რუსული პასპორტების მიღების პროცედურა გაამარტივა, რითაც მოსახლეობის ნაწილმა ისარგებლა.<sup>187</sup>

დღეს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კვლევისას, უმეტესწილად, განიხილება ისეთი საკითხები, როგორც არის: სეპარატიზმის ფარული საფრთხე<sup>188</sup>, რუსეთისადმი ლოიალური განწყობა,<sup>189</sup> ავტონომიის შექმნის სურვილი,<sup>190</sup> ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის,<sup>191</sup> აკულტურაციის პრობლემები<sup>192</sup> და სტერეოტიპებით გაჯერებული

<sup>180</sup> Cornell, S. (2006). Small nations and great powers: A study of ethnopolitical conflict in the Caucasus. Routledge.

<sup>181</sup> Лом, Х. (2006). Джавахети после Революции роз: Прогресс и регресс в поисках национального единства в Грузии. Рабочий доклад ЕСМИ №38, Тбилиси: 45.

<sup>182</sup> Wheatley, 2004;

<sup>183</sup> Ter-Matevosyan, V., & Currie, B. (2019). A conflict that did not happen: Revisiting the Javakhs affair in Georgia. *Nations and Nationalism*, 25, 340-360. <https://doi.org/10.1111/nana.12454>

<sup>184</sup> Broers, L. (2008). Filling the Void: Ethnic Politics and Nationalities Policy in Post-Conflict Georgia. *Nationalities Papers*.

<sup>185</sup> Kopeček, V. (2019). Trapped in informality? A study of informal politics in Georgia's Javakheti. *Caucasus Survey*, 7(1), 60-78. <https://doi.org/10.1080/23761199.2018.1480191>

<sup>186</sup> Лом, 2006

<sup>187</sup> Kopeček, 2009.

<sup>188</sup> Bardin, 2015

<sup>189</sup> Kopeček, 2009.

<sup>190</sup> Cornell, 2006.

<sup>191</sup> Wheatley, J. (2009). The integration of national minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli provinces of Georgia. EMCI Working Paper №44. [https://www.files.ethz.ch/isn/106670/working\\_paper\\_44\\_en.pdf](https://www.files.ethz.ch/isn/106670/working_paper_44_en.pdf)

<sup>192</sup> Mateu, S. V. (2016). The Armenian minority in the Samtskhe-Javakheti region of Georgia: Civic integration and its barriers. *Grass Policy Paper*. <https://grass.org.ge/wp-content/uploads/2016/08/Samtskhe-Javakheti-Policy-Paper-proofread-20160723.pdf>

რეალობა, რომელიც სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების წყაროს წარმოადგენს.<sup>193</sup> ამავედროულად, პოპულარულ საჯარო დისკურსში, არსებობს ჯავახეთის, როგორც „სპეც-რეგიონის“ ხატი, რომელიც კონსპირაციული თეორიების, „სსრკ-ს დროინდელი ნაღმების“, სტერეოტიპების, ფობიებისა, თუ ეჭვების საფუძველზე შეიქმნა. მსგავსი უნდობლობა ჯავახეთის მოსახლეობის, როგორც „სეპარატისტული განწყობების მქონე“, „ფლიდი“ და „არასანდო პარტნიორის“ აღქმასაც აძლიერებს.

აღსანიშნავია, ისიც, რომ გაბატონებული დისკურსის ეჭვებს ამძაფრებს სომეხი მოსახლეობის მხრიდან ქართული ენის არცოდნა, სომხეთის რესპუბლიკასთან ტერიტორიული სიახლოვე, ქართულთან ერთად რუსული და სომხური პასპორტის ფლობა, რუსეთში სეზონური მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები და სხვა, რაც საბოლოოდ, ჯავახეთში მცხოვრები სომეხი თემის საკითხების პოლიტიზებას იწვევს.

## 2. უნდობლობა - ველში შეღწევის სირთულე

საველე სამუშაოების დასაწყისში, უსაფრთხოებასა და კონტროლზე საუბარს მოსახლეობის დიდი ნაწილი სიფრთხილით ეკიდებოდა. სოფლებში ჩასვლისას, სრულიად უცნობ მკვლევარის თხოვნას, ადგილობრივებს სამართალდამცავების მუშაობაზე ესაუბრათ, 30-მდე უარი მოჰყვა. სოფლებში მუშაობისას კი, ადგილობრივების წინ, ტელეფონის ამოღებისას, მათ დაძაბვას ვგრძნობდი. რამდენჯერმე მკითხეს: - „*ხომ არ გვიწერ? ჩაწერა არ გვინდა*“. იყო შემთხვევები, როდესაც რესპონდენტი აუდიო ჩაწერაზე დამთანხმდა, თუმცა ჩაწერის დაწყებისთანავე, წინა საუბრისგან განსხვავებით, მთავრობის და მისი წარმომადგენლების ქებაზე გადავიდა. რაც ჯავახეთის რეგიონის მაცხოვრებლებში უცხოებისადმი უნდობლობასა და კრიტიკის გამო „დასჯის მოლოდინზე“ მიუთითებს. ამასთანავე, რამდენიმე ადგილობრივმა, ინტერვიუზე უარის მიზეზად, „ცხოვრების გართულება“ და „პრობლემების შექმნის“ საფრთხე დაასახელა. ვინაიდან სოფელში უცნობებს ადვილად სცნობენ, „ინფორმატორებმა იციან, უცნობები სად და ვისთან ჩერდებიან“. ვფიქრობ, რეგიონში მოსახლეობის განწყობას შემდეგი მონაკვეთიც ადასტურებს:

*„წინაზეც იყვნენ მოსული. ჯავახეთზე ფილმს იღებდნენ, პრობლემებზე ვესაუბრეთ. 2 დღის შემდეგ კაგებს (სუს-ის) თანამშრომლები დაგვადგნენ, აინტერესებდნენ ვინ იყვნენ, ჩვენთან რატომ გაჩერდნენ და რაზე ვისაუბრეთ“  
(სოფ. კარწახის მაცხოვრებელი).*

მსგავს პირობებში სოციოლოგიური კვლევის ჩატარება არაერთ სირთულეს წარმოშობს, იქნება ეს „სოციალური სასურველობის“ ეფექტი, ნაკლები მონაცემების პრობლემა თუ რეალობის ობიექტურად შესწავლის შეუძლებლობა.

<sup>193</sup> Democracy and Freedom Watch, 2015.

ამიტომ კვლევისთვის ანთროპოლოგიური მიდგომა შეირჩა, კერძოდ ეთნოგრაფია, რომლის დროსაც მკვლევარი გარემოსთან და საკვლევ ველთან მჭიდრო კავშირს ამყარებს. მართლაც, ჯავახეთის ველთან მჭიდრო კავშირმა, ადგილობრივებთან მეგობრულმა დამოკიდებულებამ, სოფლებში ხშირმა ვიზიტებმა და ყოველდღიურმა საუბრებმა უნდობლობის განცდის გადალახვა შესაძლებელი გახადა.

### 3. კონტროლის და თვალთვალის ინფრასტრუქტურა

ჯავახეთის რეგიონში, პირველი მოგზაურობისას, პოლიციის თუ უსაფრთხოების სამსახურის ყოფნა ნალებად შეიგრძნობა. წალკა-ნინოწმინდის გზაზე, პოლიციის შენობა მხოლოდ წალკაში და სოფელ განძასთან გვხვდება. ნინოწმინდის შემოსასვლელთან, პოლიციის, დიდი, გამჭვირვალე შენობაა. ახალქალაქში- პოლიციის შენობა ქალაქის შესასვლელთან, საბჭოთა კავშირის დროინდელ, ძველ, შენობაშია განლაგებული, რომელსაც ნაკლებად გამჭვირვალე კედლები აქვს. სულ, ჯავახეთის რეგიონში, პოლიცია 6 შენობით არის წარმოდგენილი. ნინოწმინდის რაიონული სამმართველოს შემადგენლობაშია: ნინოწმინდის, გორელოვკის და განძის პოლიციის განყოფილებები, ხოლო ახალქალაქში: ახალქალაქის, ბარაღეთის (სოფ. კოთელია) და ვაჩიანის (სოფ. სულდა) პოლიციის განყოფილებები. უსაფრთხოების სამსახური ნინოწმინდას და ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურის მხრივ, უსახურია (კონკრეტული შენობა არ აქვთ, პოლიციის (შ.ს.ს) შენობით სარგებლობენ). „როგორც კი შენობაში შეხვალ, იქ, სუს-ის, 5 კაცი ზის“ (ნინოწმინდელი რესპონდენტი).

დაკვირვების შემდეგ, რეგიონში კონტროლისა და თვალთვალის ინფრასტრუქტურა უფრო თვალსაჩინო ხდება. ქ. ნინოწმინდის მთავარი გზაზე, 100-მეტრიანი დაშორებით, ვიდეო მეთვალყურეობის კამერები არის დამონტაჟებული. წარწერა/ნიშანი, რომელიც, 24 საათიან რეჟიმში, კონტროლზე მიუთითებს, მხოლოდ „ჭკვიან კამერებთან“ გვხვდება. მცირე ზომის კამერების შემთხვევაში, მოძრაობის მონიტორინგის აღმნიშვნელი, ნიშანი არ არის დამონტაჟებული. ახალქალაქში, რომელიც ჯავახეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია, თვალთვალის საშუალებები იმატებს. ადგილობრივები, ახალქალაქს „100 კამერის“ ქალაქად მოიხსენიებენ. ამბობენ იმასაც, რომ ქალაქში, მუნიციპალურ და კერძო, საკუთრებაში, მთლიანობაში, 250 კამერაზე მეტია. ქუჩების უმრავლესობაში, მინიმუმ, 1 კამერა არის დამონტაჟებული. „იმდენად მივეჩვიეთ, რომ არ გვეკითხათ, აღარც გვახსოვდა რომ გვიყურებენ“ (ახალქალაქის მკვიდრი).

ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით, ახალქალაქის მონიტორინგი, ოფიციალურად, 2017 წელს დაიწყო, როდესაც ქალაქის 9 მონაკვეთზე, გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის დაფიქსირების მოტივით, 18 „ჭკვიანი კამერა“ დაამონტაჟეს. კამერების

მონტაჟი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტ „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რაიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ ფარგლებში განხორციელდა, რომელიც დანაშაულისა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის პრევენციასა და საგზაო უსაფრთხოების განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ადგილობრივები იხსენებენ, რომ კამერების რაოდენობა, კოვიდ პანდემიის შემდეგ, საგრძნობად, გაიზარდა. კამერებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მუდმივი თვალთვალის პირობებში ცხოვრება მოსახლეობაში ამბივალენტურ განცდებს აჩენს. მოსახლეობის ერთი ნაწილი კამერების პოზიტიურ ასპექტზე საუბრობს. აღნიშნავს, რომ კამერების დამონტაჟების შედეგად ქალაქში კრიმინალის დონემ იკლო, ქალაქი უფრო დაცული გახდა. უცხოების გამოჩენის შემთხვევაში, ადვილია მათი იდენტიფიცირება.

*„ერთი მხრივ- კარგია, ქურდობებმა იკლო. მეორე მხრივ, პოლიციელებს ქუჩაში ნაკლებად ვხედავთ. მხოლოდ მანქანით პატრულირებენ. მაგრამ როგორც კი ვინმეს შევეკამათებო, ცოტა ხმას ავუწევთ...თუნდაც ახლობელთან. მაშინვე ჩნდებიან. გვაკონტროლებენ“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი).*

*„ცუდი ის არის რომ კამერის დამონტაჟებაზე ნებართვას არ იღებენ. მეზობლის სახლის კედელზე, ისე დაამონტაჟეს, არ უკითხავთ. კარგი იქნებოდა, ხალხსაც წინასწარ რომ უთახმდებოდნენ, სად აყენებენ. სხვა მხრივ მომწონს, მანქანის გაჩერება არ მემშინია. მთავარია პირად ცხოვრებაში არ ჩაერიონ. კამერა დაცულობის განცდას გვმატებს. ზოგმა თავისიტაც დააყენა, ვისაც მაღაზია ან სხვა ბიზნესი აქვს“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი).*

კამერების არსებობა, პოზიტიურად შეფასდა, მკოიანისა და პეტროსიანის კლანების დაპირისპირების დროს, როდესაც ენზელ მკოიანი, ოპონენტს, იარაღით მისდევდა. როგორც ადგილობრივები იხსენებენ, 2020წლის 26 მარტს, მკოიანის სახლთან, იარაღის სროლის ხმა გაისმა. „ნაციონალური მოძრაობის“ იმ დროინდელი დეპუტატი - სამველ პეტროსიანი - „ქართული ოცნების“ დეპუტატს - ენზელ მკოიანს ესროდა, რაზეც, მკოიანის სახლიდან, სროლით უპასუხეს. პეტროსიანი და, მკოიანის ძმიშვილი, არმენ მკოიანი, „ხულიგნობისა და იარაღის უკანონო ტარების“ ბრალდებით დააკავეს. კამერის ჩანაწერები საჯაროდ გავრცელდა. „მკოიანის დაპატიმრებით გვაჩვენეს, რომ არავინ არის ხელშეუხებელი. კლანებს შეახსენეს, რომ მათი ავტორიტეტი სახელმწიფოსთან (პარტიასთან) თანამშრომლობაზეა დამოკიდებული“ (ახალქალაქის მკვიდრი).<sup>194</sup>

კამერების პოზიტიური აღქმის კიდევ ერთი მაგალითი, ჯავახეთში, ჰესების მშენებლობას უკავშირდება. მოსახლეობის გარკვეული ნაწილის აზრით, ჰესების მშენებლობის დაწყებამ კამერების დამონტაჟების საჭიროებაც გააჩინა. ვინაიდან ჰესი მნიშვნელოვანი ენერჯო რესურსია, შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან

<sup>194</sup> საყურადღებოა, რომ ცეცხსასროლ გარჩევამდე, 2020წლის, გაზაფხულზე, სამველ პეტროსიანის მომხრეებმა, მკოიანისთვის საპარლამენტო მანდატის მოხსნის მიზნით, ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. პეტიციაში, მიზეზად დასახელებული იყო: „მკოიანის და მისი გარემოცვის მიერ მოქალაქეების დაშინება (კერძოდ რობერტ ჯაგაცპანიანის - ნინოწმინდის პოლიციის ყოფილი უფროსი), ვ. სტამბოლიანის (ნინოწმინდის რაიონული საბჭოს ყოფილი თავჯდომარე), ნარინე ვინოსიანის შევიწროვება (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი). ყველა სახელმწიფო ტენდერში გამარჯვება და „ადგილობრივ ფეოდალად ყოფნა“.

გამართლებულია ამ რესურსის სწორი და ეფექტური გამოყენების მონიტორინგი და კონტროლი. „*ჰესებისკენ მიმავალ გზაზე ბევრი კამერაა. განსაკუთრებით, მკოიანის ჰესთან. ახალ ჰესებთან<sup>195</sup> კი მთავრობა სამუშაოების მიმდინარეობას აკონტროლებს*“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი). მოსახლეობის მეორე ნაწილი კი, კამერების სიმრავლეს „სამხედრო ბაზით“ ხსნის:

„*თუ დააკვირდებით კამერები ბაზისკენ მიმავალ გზაზეა. თუნდაც, ახალქალაქის და სამხედრო გარადოკის ხიდთან რამდენი კამერაა*“ (ახალქალაქის მკვიდრი).

ძირითადად, კამერები დამონტაჟებულია: გზებთან, სახელმწიფო (სკოლებთან, ადმინისტრაციული თვითმართველობის) დაწესებულებებთან და კერძო საკუთრებაში არსებულ შენობებთან. ახალქალაქში, ვიდეოკამერების დიდი ნაწილი მერიის საკუთრებაშია. ოფიციალური ინფორმაციით, ვიდეო სამეთვალყურეო კამერების საშუალებით, მერია ქალაქში მართლწესრიგის და სისუფთავის მონიტორინგის ახორციელებს. ხოლო, ვიდეო ჩანაწერების გაცემა, დანაშაულის შემთხვევაში, პოლიციის თხოვნის საფუძველზე ხდება.

ქალაქებისგან მოშორებით, სოფლებისკენ მიმავალ გზებზე, სამეთვალყურეო ინფრასტრუქტურა იკლებს. სოფლების ნაწილში, კამერები, ძირითადად, სკოლებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან არის დამონტაჟებული. თუმცა, კონტროლის ინფრასტრუქტურა და თვალთვალის საშუალებები სასაზღვრო სოფლებში იმატებს. სამებას და კარწახის სოფლების მოსახლეობა „*მუდმივი კონტროლის პირობებში ცხოვრებაზე*“ საუბრობს. მაგალითად, კარწახის გზაზე, თბილისი-თურქეთის მაგისტრალზე, „*ჭკვიანი კამერები*“ არის დამონტაჟებული.<sup>196</sup> უშუალოდ, საზღვრისპირა სოფლებში, სასაზღვრო ზონასთან, ადგილობრივების მონაყოლის მიხედვით, განლაგებულია: ფოტო-ხაფანგები, მოძრაობის მაკონტროლებელი სენსორები, ღამით ხედვის სისტემა და სხვა სათვალთვალო აპარატურა, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, გადაადგილებას აკონტროლებს. მაგალითად, სამების მოსახლეობა აღნიშნავს, რომ კრიმინალის, დაბალი დონის, „*პრაქტიკულად არარსებობის*“, მიუხედავად, სოფელში კონტროლის საშუალებები მრავლად არის. სასაზღვრო ზონაში გადაადგილებისთვის კი მოსახლეობა ე.წ. „*საშვებით*“ სარგებლობს. საყურადღებოა, რომ ნინოწმინდის და ახალქალაქის სასაზღვრო სოფლებში კონტროლის ინფრასტრუქტურისადმი, ადგილობრივების დამოკიდებულება განსხვავებულია. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში კრიმინალის დაბალ დონეზე და მესაზღვრეების ოპერატიულ მუშაობაზე საუბრობენ. ამავდროულად, ადგილობრივებს აქვთ განცდა, რომ „*ყველგან გვაკონტროლებენ, ისე ვერ გაივლი სოფელში*“. თუმცა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლებთან შედარებით, უსაფრთხოების განცდა მეტად აქვთ, ვინაიდან „*ქურდობა იშვიათია*“.

<sup>195</sup> ჰესების მშენებლობის შესახებ, ახალქალაქში ინფორმაცია 2019წელს გავრცელდა. „ახალქალაქი 1“ და „ახალქალაქი 2“ ჰესების მშენებლობა 2021წელს დაიწყო და 2022წლის ოქტომბერში დასრულდა, ჰესები სოფ. დილისკას, ორჯასა და კორხის მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს.

<sup>196</sup> სოფელ კარწახის გარდა, „ჭკვიანი კამერები“, სასაზღვრო სოფლებთან, სულდასთან და ხავეთან არის დამონტაჟებული.



სომხეთის საზღვართან განლაგებული სოფლების მაცხოვრებლები „ამდენი კამერებით, საშვებით და კონტროლით დალლახე“ მსჯელობენ, ხოლო თურქეთის საზღვართან მცხოვრები მოსახლეობა, „აქტიურ კონტროლის საჭიროებაზე“ საუბრობს. რაც ქურდობის ფაქტის პრევენციის საჭიროებასთან ერთად, თურქულ-სომხური ურთიერთობების ისტორიით, გენოციდის მეხსიერებით და „ეთნო-ფობიით“ შეიძლება აიხსნას.

2015 წელს, საქართველო-თურქეთის საზღვარზე, საბაჟო გამშვები პუნქტი „კარწახი“ გაიხსნა. ადგილობრივები იხსენებენ, რომ სასაზღვრო ზონა, ინფრასტრუქტურის არ არსებობის მიზეზით, სსრკ-ს შემდეგ, გაუქმებული იყო. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის ფარგლებში, კარწახის მაგისტრალი გარემონტდა და მთავრობამ სასაზღვრო ტერმინალი აღადგინა. სოფ. კარწახის მოსახლეობა საბაჟო ტერმინალის გახსნას არამხოლოდ უნდობლობით, არამედ იმედგაცრუებით შეხვდა. „ადგილობრივები გახსნის ცერემონიაზეც კი არ მოგვიჩიეს. სოფლიდან, 50 ადამიანი წავიდა, თუმცა არ შეუშვეს. მხოლოდ 3 კაცის შეშვებას დათანხმდნენ: ადგილობრივი დეპუტატის, სოფლის რწმუნებულის და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის.... გვითხრეს, სტუმრების რაოდენობა შეზღუდულია-ო და ხალხი უკან გამოაბრუნეს.“ მოსახლეობის უნდობლობა, გახშირებულ ქურდობებს უკავშირდება. „დაახლოებით 2014 წლიდან, როცა ტერმინალის გახსნაზე ალაპარაკდნენ, პირუტყვის გატაცებამ იმატა“. საქართველო-თურქეთის სასაზღვრო და საბაჟო გამშვებ პუნქტის გახსნის შემდეგ, ადგილობრივები „პირუტყვის საზღვარს იქით გადარეკვის“ პრაქტიკაზე საუბრობენ, რაც, სოფლებში, დაუცველობის განცდას ამძაფრებს. „ლამით გვეშინია, რომ ვინმე შემოვარდება. ბევრი ბოსელი დააყაჩაღეს. ქურდობები თითქმის არც გამოუძიებიათ. რამდენჯერმე გააჩერეს პირუტყვი საზღვარზე და ეგ იყო. მესაზღვრეები დაგვიანებით გვატყობინებენ, პოლიცია იშვიათად იძიებს, რადგან ქურდები თურქეთში გადადიან. ძველად სოფელში სიმშვიდე იყო. ღამით, კარსაც კი არ ვკეტავდი, თუმცა საბაჟოს გახსნასთან ერთად ეს დაცულობის განცდა გაქრა. უცხოელებიც გაჩნდნენ“ (კარწახის მაცხოვრებელი). ადგილობრივების ინფორმაციით, 2015 წელს, საზღვრის გახსნამდე, პირუტყვის გახშირებული გატაცების ფაქტების გამო, საზღვარზე კამერები დაამონტაჟეს, რომელიც მოძრაობას 7კმ-ის მანძილზე აფიქსირებდა. „თუმცა ქურდობებმა მხოლოდ იმატა. იცოდნენ ვინ იყო მდიდარი ფერმერი და მას პარავდნენ.... ბოლო წლებში, მდიდარმა გლეხებმა ბოსლებთან დაიწყეს კამერების და სიგნალიზაციის დამონტაჟება“ (კარწახის მკვიდრი).

უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, 2018 წლის მაისში, კარწახის, სულდის, დადემის, ბოზალის და ხავეთის სოფლის მაცხოვრებლებმა საქართველო-თურქეთის მაგისტრალი გადაკეტეს. მოთხოვნებად სახელმწიფოსგან საზღვრის კონტროლის გაზრდა და მესაზღვრეების დამატება დასახელდა. „მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ყოველდღე პატრულირებს, სოფელს სერიოზულად აკონტროლებს, ქურდობები ხდება. ბოსლები სოფლისგან მოშორებით არის და ღამით, საზღვრიდან გადმოსულები, ახერხებდნენ ჩვენს დაყაჩაღებას. თურქეთში ძროხები გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე აქ...“ (კარწახის მაცხოვრებელი).

ამავდროულად, მაგისტრალთან შეკრებილმა მოსახლეობამ „საზღვრის უკეთ დაცვის მიზნით“ სახელმწიფოს წარმომადგენლებს შესთავაზა იდეა, რომლის მიხედვით, ადგილობრივ ახალგაზრდებს, სამხედრო წვევამდელებს, სასაზღვრო ტერმინალზე, სამხედრო სამსახურის (ჯარის) მესაზღვრეებად მოხდის შესაძლებლობა ექნებოდათ, ვინაიდან „ადგილობრივები სოფლის ტერიტორიას კარგად იცნობენ და უკეთ დაიცავდნენ“. ნეიტრალურ ზონაში, მოძრაობას კანონი ზღუდავს, ადგილობრივების სასაზღვრო ტერიტორიაზე გადაადგილებას კი მესაზღვრეები აკონტროლებენ. საჭიროა სპეციალური ნებართვის, „საშვის“ ქონა. „ნეიტრალურ ზონაში ან საზღვარზე ვერ გადახვიდოდი. თუმცა საზღვარზე არც მავთულხლართი, არც კამერა, არაფერი იყო... არ მუშაობდა. იყო პირუტყვის გატაცების შემთხვევები. ღამით ესხმოდნენ სოფელს თავს, სანამ ყველას ეძინა, ნაქურდალი საზღვარზე გადაჰყავდათ. ცხვარს და ძროხებს იტაცებდნენ, თურქეთში გადარეკავდნენ და იქ ვინღა მოძებნიდა... პოლიცია 2-3საათის დაგვიანებით მოდიოდა. მესაზღვრეები „ვერაფერს ამჩნევდნენ“. მოსახლეობამ, კონტროლის გაძლიერების მიზნით, ხელისუფლებას არაერთხელ მიმართა.

აქციის შემდეგ, საზღვარზე კონტროლის ინფრასტრუქტურამ იმატა. გზებზე - „ჭკვიანი კამერები“, ხოლო საზღვართან- სასაზღვრო კონტროლის სხვა საშუალებები დაამონტაჟეს. „ძველად, საზღვარზე არც მავთულხლართი იყო, საბჭოთა დროინდელი (მავთულხლართები) დაზიანებული იყო... სიგნალიზაცია გამორთული იყო. საზღვართან სათვალთვალო პუნქტი კი იყო, მაგრამ მესაზღვრეები ხან ამჩნევდნენ და ხან ვერა. ქურდებიც ამით სარგებლობდნენ. ახლა, სიტუაცია გამოსწორდა. აღარ გაგვივია“ (ოკამის მაცხოვრებელი). საზღვრისპირა სოფლებში კონტროლის გამკაცრებას მოსახლეობის ნაწილი პოზიტიურად აფასებს. ამასთანავე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის, საზღვრისპირა სოფლების მაცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ ცენტრალურ მაგისტრალზე „ჭკვიანი კამერის“ არსებობის მიუხედავად, სოფელში სიჩქარის მარეგულირებელი ბარიერების ნაკლებობაა.

*„გასულ წელს, თურქეთიდან მომავალმა ტრაილერმა, სულდაში, ბავშვი გაიტანა. მას მერე დაგვიპირდნენ ბარიერების დამონტაჟებას. სულდაში დაამონტაჟეს, მაგრამ სხვაგან ნაკლებადაა. ...მანქანები, დიდი ტრაილერები, სწრაფად დადიან. კიდევ რამდენი ადამიანის, ბავშვის, სიცოცხლე უნდა შეეწიროს?“ (ოკამის მაცხოვრებელი).*

#### 4. კონტროლის და თვალთვალის პრაქტიკები

##### 4.1. პოლიცია

ჯავახეთის რეგიონში, მაცხოვრებლების აღქმით, კრიმინალის დონე დაბალია. „მშვიდად და წყნარად ვცხოვრობთ. კრიმინალი ჩვენთან ნაკლებად ხდება“. ადგილობრივები, ხშირად დაფიქსირებულ კანონდარღვევებად ასახელებენ:

ქურდობის/მარცვის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის, იარაღის უკანონო ტარების, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების ფაქტებს და სხვა. „ძირითადად, მოძრაობის წესები ირღვევა და ქურდობები.“ რეგიონში მართლწესრიგს პოლიცია იცავს. დანაშაულის გამოვლენის ეტაპზე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მოიაზრებს: პატრულირებას, მოწმეების ძიებას, ეჭვმიტანილების დაკითხვაზე დაბარებას და ა.შ. პოლიციის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების ყოველდღიური პრაქტიკები კი მოიცავს:

- 1- ქალაქების და სოფლების მთავარ გზებზე პატრულირება (სპეციფიკურ სიტუაციებში, საქართველოს სხვა რეგიონებიდან, საპატრულო პოლიციის მანქანების დამატება).
- 2- ქალაქის შემოსასვლელებთან, ქალაქში შემავალი/გამავალი მანქანების კონტროლი (შესაძლოა მძღოლსა და მგზავრებს პირადობის დამადასტურებელი საბუთები მოსთხოვონ, ვინაიდან ადგილობრივები, ქართული დოკუმენტების გარდა, რუსულ/სომხური პასპორტებით და მართვის მოწმობებით სარგებლობენ).
- 3- შეკრებების მონიტორინგი - ქუჩაში, 5-ზე მეტი ადამიანის შეკრება, რაიმე საკითხზე მსჯელობა ან „ხმამალალი საუბარი“ პოლიციის ინტერესს აღძრავს. ცალკეულ შემთხვევებში, მოქალაქეებს თავშეყრის მიზეზს ეკითხებიან და პირადობის დამადასტურებელ საბუთებს სთხოვენ.
- 4- დანაშაულის ფაქტის შემდეგ, ოპერატიულ-საგამომძიებო სამუშაოები. ახალგაზრდა მამაკაცების დაკითხვაზე დაბარება. ნარკოტიკების მოხმარებაზე ეჭვის დროს, მათი ახალციხეში გადაყვანა, ნარკოტესტის ჩატარება, მრავალ საათიანი დაკითხვა. ცალკეულ შემთხვევებში, ძალის გამოყენება, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

კრიმინალის დონე, შედარებით მაღალია, ქალაქებში. სოფლების მაცხოვრებლები, უმეტესად, კრიმინალისგან დაცულობის შეგრძნებაზე საუბრობენ. მაგალითად, სოფ. ოკამში იხსენებენ, რომ „*ბოლო მკვლელობა 90-იანებში მოხდა, მას შემდეგ სიმშვიდეა. მკვლელობა ჯავახეთში იშვიათად ხდება... როცა ხდება ყველა ვიგებთ, იმდენად იშვიათია. პოლიცია მუშაობს*“. სოფლებში, პოლიციის მუშაობას მოსახლეობა პოზიტიურად აფასებს. აღნიშნავენ, რომ კრიმინალის დონე ისედაც დაბალია, თუმცა მოქალაქეებს შორის ნებისმიერი დაპირსპირებაზე პოლიცია, ოპერატიულად, რეაგირებს. დანაშაულის პრევენციისათვის პოლიცია, სოფლისკენ მიმავალ გზებზე, ხშირად პატრულირებს, რაც დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, სოფელში, მათ სწრაფად გამოჩენას უზრუნველყოფს. სოფლებში, პოლიცია წესრიგის, დაცულობისა და კონტროლის მექანიზმად აღიქმება. ქალაქების მაცხოვრებლებს პოლიციისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. პოლიციის მუშაობის პოზიტიურ ასპექტებად დასახელდა: მართლწესრიგის კამერებით კონტროლი, ხშირი პატრულირება (დაცულობის განცდას აძლიერებს), ოჯახზე ძალადობის ფაქტებზე სწრაფი რეაგირება (იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ძალადობის მსხვერპლი პოლიციას მიმართავს) და ნაადრევ ქორწინებასთან (ე.წ. „მოტაცების პრაქტიკებთან“) ბრძოლა: „*90-იანებში ხშირი იყო ქალების მოტაცება, 15-16 წლის გოგოებს იტაცებდნენ, თუმცა დღეს ეს შეიცვალა.*

...რამდენიმე მცდელობა იყო, რომლის დროსაც გოგოს ოჯახმა პოლიციაში განაცხადა, პოლიციამ დაოჯახების დაძალებზე, მალევე, დააკავა. ახლა კანონის შიშით აღარ ბედავენ“ (ახალქალაქის მკვიდრი). მთავარ პოზიტიურად მოვლენად აღიქმება ის ფაქტი, რომ „უმეტესად ქალაქში სიმშვიდე და წესრიგია“. მეორე მხრივ, ადგილობრივები სამართალდამცავების მუშაობით უკმაყოფილებას გამოხატავენ, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, ჯავახეთის მაცხოვრებლები „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ დარღვევის ფაქტებს იხსენებენ.

მოსახლეობის უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი, მოძრაობის წესების დარღვევის გამო-დაჯარიმებაა. ე.წ. „ჭკვიანი კამერების“ დაყენებამდე, საპოლიციო სისტემის წარმომადგენლებსა და ქალაქის მაცხოვრებლებს შორის, კამათის წყაროს, საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნები და დაჯარიმების პრაქტიკა წარმოადგენდა:

*„უმეტესად სიმშვიდეა. თუმცა პოლიციასაც უპირისპირდებიან ხოლმე. მაგალითად, ქალაქში ბევრგან მოძრაობის ნიშნები საკამათოა. ...მძღოლს გააჩერებდნენ, მოძრაობის წესებისთვის ჯარიმას უწერდნენ. ყოფილა შემთხვევები მძღოლი მანქანიდან გადმოსულა, შეეპასუხა... ხალხი შეიკრიბა. ამ ქართველ პოლიციელს ენა არ ესმის, ჩხუბი იწყება, ჯარიმებზე ბევრჯერ უკამათიათ. რამდენჯერმე ჩხუბშიც გადაიზარდა. ადგილობრივებმა კანონი ისე არ იციან, ეკამათებიან, ეგ წინააღმდეგობის გაწევა ყოფილა... რაზეც პოლიცია იძაბება, დეპარტამენტში გადაყვანას ცდილობს და მაგაზე საერთოდ... იწყება ჩხუბი და გინება. ჩვენებმა იციან რომ თავისიანი პოლიციელებს არ უნდა გააყოლონ, პოლიციელებს ამათი არ ესმით, რუსულ-ქართულ-სომხურად მიდის გარჩევა და ბოლოს იძაბება სიტუაცია. ამის გამო პოლიციას არ ენდობიან.“*

უშუალოდ პოლიციის თანამშრომლებს შორის ეთნიკური ნიშნით განსხვავებაზე იშვიათად საუბრობენ. ვინაიდან, პოლიციის დეპარტამენტში, როგორც ქართველი, ისე სომეხი თემის წარმომადგენლები არიან დასაქმებული. თუმცა, რესპონდენტები დასძენენ, რომ ეთნიკური ნიშნით „მცირედი განსხვავება“ არსებობს. „ყველა პოლიციელი თანასწორია, თუმცა ქართველები ცოტათი უფრო მეტად“- იხუმრა ერთ-ერთმა ადგილობრივმა. მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთის პოლიციის სამმართველოებში ხშირად სომეხი თემის წარმომადგენლები მსახურობენ. ადგილობრივი მოსახლეობა „მეტ ზაფრსა და პატივისცემას“ ქართველი პოლიციელებისადმი გამოხატავს. ისინი ეთნიკურად სომეხ პოლიციელებზე „ოდნავ უფრო მაღალ საფეხურზე“ დგანან, „რის გამოც მათ უპირობოდ ემორჩილებიან.“

*„ქართველი პოლიციელი რომ გაგაჩერებს და საბუთს მოგთხოვს, უმაღვე აჩვენებენ. ადგილობრივის შემთხვევაში, უყურებ ნაცნობი ხომ არ არის. ქართველი შესაძლოა თბილისიდან იყოს და უფრო საფრთხილოა“ (ნინოწმინდელი რესპონდენტი).*

ამავდროულად, პოლიციის უფროსად, „თითქმის ყოველთვის ქართველს ნიშნავენ-თბილს ასე ურჩვენია. თავის კაცად უფრო თვლიან.“ (ახალქალაქელი რესპონდენტი).

პოლიციის უფროსი თითქმის ყოველთვის ეთნიკურად ქართველია. ეთნიკურად სომეხი სამართალდამცველები ხშირად პოლიციის უფროსის მოადგილეებად ინიშნებიან.

ქართველ პოლიციის უფროსებზე საუბრისას, ინტერეს იწვევს, ახალქალაქში, ახლანდელი პოლიციის უფროსის - შალვა ლომსაძის- პიროვნება. ლომსაძე ახალქალაქის პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსად, 2014-2016წლებშიც მსახურობდა, თუმცა „ხანდოს სკანდალის“ შემდეგ, თანამდებობიდან მალევე გაათავისუფლეს. 2021წელს, ის თანამდებობაზე აღადგინეს. „ხანდოს სკანდალი“ ახალქალაქმა რესპონდენტმა ახსენა. როგორც ირკვევა, 2016 წელს, ახალქალაქის რაიონის, სოფელ ხანდოში, 78წლის ქალი გარდაცვლილი იპოვეს, მას ძალადობის ნიშნები აღენიშნებოდა. მკვლელის ძიების ნიშნით, პოლიციამ სამმებრო-საგამოძიებო სამუშაოები დაიწყო. პოლიციის ეჭვქვეშ, ხანდოს „სოფლის თითქმის სრული მოსახლეობა აღმოჩნდა“. ბრალდების აღიარების მიზნით, პოლიციის მხრიდან, ადგილობრივების ცემა, გინება, დამცირება და დამინება მოჰყვა. „მკვლელის ძიება“ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციის ნიშნებს ატარებდა. ადგილობრივები ჰყვებოდნენ, რომ მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში, ახალქალაქის პოლიციის უფროსიც მონაწილეობდა. სამართალდამცველების მხრიდან, არაადამიანურ მოპყრობაზე, ტელევიზიებმა სიუჟეტი მოამზადეს. „*ინფორმაცია თბილისამდეც მივიდა.*“ სიუჟეტების შემდეგ ლომსაძე თანამდებობიდან, მალევე, დაითხოვეს. თუმცა 2021 წელს ისევ აღადგინეს.

ხანდოს სკანდალის შემდეგ, ჯავახეთის მოსახლეობა, პოლიციის მხრიდან, „საქმის ჩაფარცხვის პრაქტიკებზე“ ალაპარაკდა. „*პოლიცია არ ემსახურება ხალხს, უფრო აკონტროლებს. ხშირად მტრულად განწყობილი და აგრესიულია.*“ მიზეზად კრიმინალთან ოპერატიულად ბრძოლის და გახშირებული ძარცვის ფაქტების გამოძიება დასახელდა. „*დანაშაულის ჩადენისას პოლიციისთვის მნიშვნელოვანია საქმის სწრაფად გამოძიება და საქმის დახურვა, რისთვისაც „განტევების ვაცს“ ეძებენ. იყო შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდებს, დაკითხვაზე იბარებდნენ, სცემდნენ, აიძულებდნენ იმ ბრალის აღიარებას, რაც არ ჩაუდენიათ. ზოგ შემთხვევაში, ეუბნებოდნენ, რომ ერევანში შეუძლიათ წასვლა, სანამ ბრალს დაუმტკიცებენ. შემდეგ ათავისუფლებდნენ და წასვლის შანსს აძლევდნენ.*“

ამასთანავე, ინტერესს აღძრავს ის ჭორები, რომლებზეც მოსახლეობა „კულისებში“ საუბრობს. ბოლო ათწლეულის მანძილზე (განსაკუთრებით კოვიდ პანდემიამდე), რეგიონში ძარცვის/ბინის გაქურდვის შემთხვევებმა იმატა. „*ქურდებმა იცოდნენ, ვისი გაქურდება ღირდა და ვის სახლს არ უნდა შეხებოდნენ.*“ უმეტესად, მდიდარი ოჯახების სახლებს ქურდავდნენ ან დაკეტილ ბინებს, რომლის მეპატრონეებიც იმ პერიოდში ადგილზე არ იმყოფებოდნენ. „*ყველამ ვიცოდი, რომ ყოველთვის, სახლში, ერთი ადამიანი მაინც უნდა დარჩენილიყო. არ ჰქონდა მნიშვნელობა ქორწილი იყო, ნათლობა, თუ რა. მთელი ოჯახი ვერ მიდიოდა. ...სახლის დაკეტვა და მერე გაქურდულ ბინაში დაბრუნება ერთი და იგივე იყო.*“ ახალქალაქის

შემთხვევაში, როგორც ადგილობრივები დასძენენ, ქურდობის პრობლემა კამერების დამონტაჟებით მოგვარდა, „ქურდობის ფაქტებმა იკლო“. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში, ძარცვის ფაქტები ისევ ფიქსირდება: „ქურდავენ, მაგალითად სავალუტო ჯიხურის მეკატრონეს ან მევახშეს. ...იციან როდის არ არის სახლში. თითქოს წინასწარ გამოძიებას ატარებენ, იკვლევენ... დახვეწილი ქურდები არიან. სახლშიც არაფერს რევენ, ზუსტად იციან სად უნდა ეძებონ. რაც ძალიან საეჭვოა. ვფიქრობთ, მეტალოდეტექტორი აქვთ ან რაღაც ხელსაწყო, რომელიც ძვირფას ლითონზე რეაგირებს. სხვანაირად, საიდან უნდა იცოდნენ, ადამიანი ფულს და ოქროს სად ინახავს?!“. ქურდობის ფაქტების გამოძიების მხრივ, პოლიციის მუშაობა, უმეტესად, ნეგატიურად ფასდება. „სწრაფად მოდიან, ადგილზე, დაკითხვენ დაზარალებულს და მერე სულ იმახიან ვიძიებთ, ვიძიებთო. თუმცა ამათი გამოძიებული საქმე ცოტა გვინახავს. პრობლემა იმაშია, რომ ვინმეს იშვიათად თუ დაიჭერენ. უფრო სხვებისთვის დაზარალებას ცდილობენ“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი). რესპონდენტების მიხედვით, ძარცვის შემთხვევების მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა გამოძიებული, „ცოტა ხნის წინ, ერთერთი ადგილობრივი დააკავეს. სიმართლე გითხრა, „შეკერილ საქმეს“ ჰგავს. მივიდნენ, უთხრეს, ყველა ნივთმტკიცება შენზე მიუთითებს. სხვა გზა არ გაქვს, აღიარეო. იმანაც აღიარა. თუმცა, რეალურად, არცერთი ნაქურდალი ნივთი არ ჰქონდა. მსგავსი შემთხვევა 2021წელსაც იყო, ადამიანი სომხეთში წავიდა და მეორე დღეს ქურდობაში ბრალდებულად გამოაცხადეს. თუ მასზე ეჭვი ჰქონდათ, სანამ საზღვარს გადაკვეთდა რატომ არ დააკავეს?!“ (ახალქალაქელი რესპონდენტი). დახვეწილი ქურდობის შემთხვევების სიხშირე მოსახლეობაში ეჭვს ბადებს და პოლიციისადმი უნდობლობას აღვივებს. ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევებში, მოსახლეობაში ქურდებსა და პოლიციის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის შესახებაც ლაპარაკობენ.

„ერთხელ, ერთი ეჭვიმტანილი დააკავეს, თუმცა, მალევე, პირობითით გამოუშვეს. იმანაც ისარგებლა და, ოჯახით, სომხეთში წავიდა. იყო შემთხვევები, როცა ხალხი, თავისი ოქროს ნაკეთობებს გადამყიდველთან პოულობდა... პოლიციას მიმართავდა, თუმცა ნივთებს არ უბრუნებდნენ, არც გადამყიდველებს იმახებდნენ დაკითხვაზე, არ ინტერესდებოდნენ, ეს ნივთები, მათთან, საიდან გაჩნდა.“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი). მსგავსი პრეცედენტები და ეჭვები ადგილობრივებში პოლიციის წარმომადგენლებისა და ქურდების თანამშრომლობის შესახებ წარმოდგენას ამყარებს.

საყურადღებოა, რომ 2017 წლის დეკემბერში, ახალქალაქის საკრებულოსთან, 100-მდე ახალგაზრდა პოლიციის გამძაფრებულ კონტროლს აპროტესტებდა. აქციის ლოზუნგი - „თავი დაგვანებეთ!“ - იყო. როგორც ადგილობრივები იხსენებენ, „ახალქალაქში ყოველი ქურდობის შემდეგ, ახალგაზრდებს, უსაფუძვლოდ, დაკითხვაზე იბარებდნენ. განსაკუთრებით მათ, ვინც რუსეთში მუშაობს ან რუსეთის მოქალაქეა. დანაშაულის აღიარებას სთხოვდნენ, ყველანაირი ნივთმტკიცების გარეშე.“ ახალქალაქის მოსახლეობა გახშირებული ქურდობებით და მათი გამოძიების მხრივ, პოლიციის უმოქმედობით აღშფოთებული იყო. რამაც „განტევების ვაცის“ ძიების საჭიროება გააჩინა: „თავად გამართულად არ

მუშაობდნენ და ვინმესთვის ხომ უნდა დაებრალეხინათ?! ყოფილა შემთხვევა, ადამიანი ნახევარი წელი რუსეთში იყო, ჩამოვიდოდა და დაკითხვაზე გამოიძახებდნენ. შემოუთვლიდნენ, ვიცით, რომ ქურდობ. საკმარისია, ბრალი აღიარო. ფაბრიკაციაც იყო, სჭირდებოდათ დამნაშავე, ვისაც ყველა ქურდობაზე პასუხისმგებლობას დააკისრებდნენ. კარწახში ქურდობის გამოძიების ნაცვლად, ჩვენს ახალგაზრდებს დასდევდნენ... არადა, ახალგაზრდობა ისეა დამინებული ღამით ზედმეტად სიარულს ერიდება. ზოგი გააფრთხილეს, გაკვირდებითო, ზოგს პირობითი მიუსაჯეს, საუბრის ბევრს ემინია, რადგან ემუქრებიან, შეიძლება ნარკოტიკები ან იარაღი ჩაუდონ...“.

2017 წლის, ახალგაზრდების აქციაში, მონაწილეობდა - კიმ კულოიანი იყო, რომელმაც ადგილობრივ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა: „შემომითვალეს, რომ გობია ქვეყანა დავტოვო, თორემ დამიჭერენ“. ზოგიერთი, რესპონდენტის აზრით, კულოიანის საქმე, პოლიციის მიერ „საქმის ჩაფარცხვის“ და „განტევების ვაცის“ ძიების თვალსაჩინო მაგალითია 2019 წელს, კიმ კულოიანი დააპატიმრეს. 2020 წელს, მას „იარაღის უკანონო შენახვისა და გამოყენებისთვის 4,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რასაც კულოიანის ნათესავების მხრიდან, მერიის შენობასთან პროტესტი მოჰყვა. საყურადღებოა, რომ აქციის მონაწილეები პოლიციის ყოფილ უფროსს „იარაღის ჩადებაში“ ადანაშაულებდნენ. აგრეთვე, ბრალს სდებდნენ, მაშინდელ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელს.

„დაკითხვის პრაქტიკები“ კი შემდეგნაირად ხორციელდებოდა:

„ნებისმიერ ეჭვზე გაგაჩერებდნენ, გთხოვდნენ გამოყოლას, ჩავსვამდნენ მანქანაში და დაკითხვაზე მიჰყავდი. ძირითადად, ახალციხეში, რადგან ცენტრი იქ არის. იქ გამოწმებდნენ ნარკოტესტზე, თუ ადრე რაიმეში ბრალდებული იყავი, შანსი იყო, რომ დაგიჭერდნენ. კულოიანი, 3-4წლის წინ ერთ-ერთი ქურდობის გამოძიების დროს, დაკითხვაზე დაიბარეს. ამბობდა, რომ 10-მა კაცმა სცემა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის ბრალი წაუყენეს, გაასამართლეს, 500ლარიანი ჯარიმა გამოუწერეს და ამის შემდეგ გაათავისუფლეს. ასე პოლიციის „შავ სიაში“ მოხვდა. „შავი სია“ აქვთ, სადაც ისეთი ადამიანები ხვდებიან, რომლებიც რაღაც დაპირისპირებაშია (ხულიგნობას ეძახიან) შემჩნეული, ზოგი „შავ სამყაროსთან“ სიახლოვეში, ზოგი ნარკოტიკების მოხმარებაში, ზოგი ზედმეტად კრიტიკულია და ამიტომ მოხვდა სიაში, ზოგი რაღაცის გამო არ მოსწონთ... პირველ რიგში მათ იწვევენ დაკითხვაზე, ან პირდაპირ სახლებში მიდიან. ხშირად აფრთხილებენ, 48 საათში ქვეყანა დატოვეთ, თუ არადა დაგიჭერთ. რომ დატოვოს, გამოდის, რომ ნამდვილად დამნაშავეა, შეეშინდა და გაიქცა, მერე საკუთარი სიმართლის დამტკიცება გაცილებით უფრო რთული იქნება.“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი).

კიდევ ერთი გახმაურებული საქმე, ახალქალაქში 2020წლის 8 აგვისტოს მოვლენებს უკავშირდება. სოფ. კულიკამის ახალგაზრდებსა და ახალქალაქელ ბიზნესმენებს შორის შეკამათება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დასრულდა, რომლის დროსაც სოფ. კულიკამის, 27 წლის ახალგაზრდა, ვარდ მირანიანი გარდაიცვალა. ამ შემთხვევას ახალქალაქში არეულობა მოჰყვა. ახალგაზრდების ჯგუფმა 4 სახლს და

სასტუმროს ცეცხლი წაუკიდა. სიტუაციის დასარეგულირებლად ქალაქში სპეც. დანიშნულების წარმომადგენლები გამოიძახეს. მკვლელობის ბრალდებით, ადგილობრივი ბიზნესმენი, არტურ გაბრიელიანი, დააკავეს. მართლწესრიგის დასარეგულირებლად, სპეცრაზმის დამატება გახდა საჭირო. „ასეთ დროს, ყოველთვის სპეცრაზმს ეძახიან. მორჯულების საუკეთესო საშუალებაა“ (ახალქალაქელი რესპონდენტი). მთლიანობაში, მოსახლეობამ, სამართალდამცველების მხრიდან, არეულობის ფაქტზე, ოპერატიული რეაგირება, პოზიტიურად შეაფასა.

სოფლების შემთხვევაში, პოლიციის მიერ არაადამიანური მოპყრობის ფაქტების მხრივ, ადგილობრივებმა, სოფ. ხანდოსთან ერთად, სოფ. ვაჩიანის შემთხვევაც გაიხსნეს:

*„ადამიანი, ვისზეც ეჭვი ჰქონდათ, დაკითხვაზე მიჰყავდათ და სანამ არ აღიარებდა სცემდნენ. ყოფილა შემთხვევები დაიჭერდნენ, სადღაც მიჰყავდათ (წამების ადგილზე), რამდენიმე დღის შემდეგ არეგისტრირებდნენ დაჭერის ფაქტს. ადამიანი ისეთი ნაწამები იყო, ბოლოს ყველაფერს აღიარებდა. დაახლოებით 6-7წლის წინ, ასეთი შემთხვევა ვაჩიანში მოხვდა, როდესაც ქურდმა, ოჯახი, დედა სამი ბავშვით, ამოწყვიტა. ...დაიჭირეს, აწამეს და მხოლოდ ამის შემდეგ აღიარა დანაშაული. როგორც ვიცი, იმ გამომძიებელს ბრალდება წაეყენა, სამსახურიდან გაათავისუფლეს და დააკავეს. ახლა ნაკლებად გამოგია.“* (ოკამის მაცხოვრებელი).

პოლიციის მუშაობას ადგილობრივები საპროტესტო აქციების კონტექსტითაც აფასებენ. მნიშვნელოვანი პრობლემების დროს, სოფლის მოსახლეობა ერთიანდება და პროტესტს გამოხატავს. პროტესტი ხშირად პოლიციის წარმომადგენლების დასწრებით მიმდინარეობს. ამავდროულად, პროტესტს ესწრებიან „ინფორმანტები“ (სუს-ის აგენტები), რომლებიც უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობენ. ერთ-ერთი ასეთი აქცია, 2020წლის იანვარში, სოფელ გორელოვკაში ჩატარდა, როდესაც გორელოვკის მოსახლეობამ, წყლისა და სამოვრების მოთხოვნით, ნინოწმინდა-სომხეთის ცენტრალური გზა გადაკეტა. პროტესტის დროს, ადგილზე, პოლიცია იყო მობილიზებული. პროტესტი მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდა, საპროტესტო ტალღამ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლები: ჟდანოვი, ორლოვკა, საღამო, ტამბოვკა, ემტია, ოროჯალარი და სხვა მოიცვა. სოფლის მაცხოვრებლები - სოფლების სარეზერვო სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების გამო უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. რამდენიმე სოფელში პროტესტი სიტყვიერი დაპირსპირების ფონზე მიმდინარეობდა, რის გამოც, მეორე დღეს, პროტესტის მონაწილეებს ნინოწმინდის პოლიციის განყოფილებაში, დაკითხვაზე, იბარებდნენ. მოსახლეობასთან მოლაპარაკებებზე მოსულ ხელისუფლების წარმომადგენლებს ხშირად თან ახლდა პოლიცია, რომელიც მართლწესრიგს აკონტროლებდა. ეს ყველაფერი, ადგილობრივებში აძლიერებდა განწყობას, რომ პოლიცია ადგილობრივი კლანების ინტერესების დაცვას ემსახურება, მოსახლეობაში საპროტესტო განწყობის ჩანშობას ცდილობს და ნიჰილიზმს აძლიერებს.



„ხალხს პროტესტის და უკმაყოფილების განცდა როგორ არ აქვთ, თუმცა იციან, რომ აზრი არ აქვს. მაგ. კიურელიანთან რას გახდებიან? სუსი მისია, პოლიცია მის უფლებებს იცავს, თავად - სახელმწიფოს წარმოადგენს. ერთხელ ტელევიზია მასზე სიუჟეტს აკეთებდა... გაიგო, გააჩერა, თბილისის გზიდან, უკან გააბრუნა. ალბათ, ფული გადაუხადა. უკანონობაა რეგიონში“ (სოფ. სპასოვკის მაცხოვრებელი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ყოფილი თანამშრომელი).

მსგავს განწყობას იზიარებენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში:

„ჩივილს აზრი არ აქვს. პოლიცია ისევ მათ ემსახურება.. გავლენიან პირებს. იციან ვინ რომელ პარტიას ემხრობა და ამის მიხედვით, ადამიანებისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია. ოპოზიციას თუ ემხრობი, არავის მხარდაჭერის და დაცვის იმედი არ უნდა გქონდეს. ამიტომ შევეშვი პოლიტიკას და სოფლის მეურნეობას მივსდევ. ჯერ გემუქრებიან, ნაცნობის პირით შემოგითვლიან, რომ დასაკარგი ბევრი გაქვს. თუ მაინც არ დაუჯერებ, შეიძლება გცემონ. წლების წინ, როცა ოცნება ახალი მოსული იყო, ადგილობრივი საკრებულოს დეპუტატთან მქონდა დაპირისპირება, ერთხელ შუა გზაზე გამაჩერეს, მცემეს.. ყველამ ყველაფერი იცოდა... მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. სარჩელიც არ დამიწერია. ყველამ იცოდა, რომ ნაცების კაცი ვიყავი, ახლა, კი ოცნების დრო იყო. ამიტომ შევეშვი. საერთოდ აღარ ვერევი პოლიტიკაში.“ (სოფ. ჩამძვრალა).

#### 4.2. სუს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ის ინსტანციაა, რომელსაც რეგიონში კარგად იცნობენ, თუმცა მასზე საუბარიც იშვიათად სურთ. სუს-ის ხსენება ადგილობრივების დაძაბვას იწვევს. კითხვის ავტორისადმი კი უნდობლობა ძლიერდება: „რატომ მეკითხები, ვინმემ ხომ არ გამოგ ზავნა?“. მოსახლეობა მუდმივ კონტროლს მოელის და იცის, რომ სუს-ის კრიტიკულ შეფასებას მათი ოჯახისთვის ნეგატიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრები საჯარო სამსახურში არიან დასაქმებული. ადგილობრივების აზრით, ჯავახეთში, სუს-ის წარმომადგენლების სამსახურეობრივ მოვალეობაში შედის: საზღვრის მონიტორინგი (ქვეყანაში იარაღის, ოქროს, ნარკოტიკების თუ სხვა არალეგალური საშუალებების შემოტანის ფაქტების კონტროლი და აღკვეთა), პრო-რუსული ან სეპარატისტული განწყობების მქონე ადამიანების კონტროლი, სახელმწიფოს ინტერესების დაცვა და „სხვა საქმეები“, „რისთვისაც, ადგილობრივებთან თანამშრომლობენ, „სპეციალისტები“, „ინფორმატორები“ ჰყავთ“. მათი ძირითადი კონტროლის ინსტრუმენტი - მიყურადება და თვალთვალია, ამიტომ „მოქალაქეებს ხშირად უსმენენ“. ჩამწერი საშუალებები აქვთ, როგორც სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, ისე კონკრეტული (ავტორიტეტული ან ცნობილი) პირების სახლებში და სამსახურებში. „უსმენენ მობილურით საუბარს.“ დაზვერვის მიზნით, სამოქალაქო ტანსაცმლით, დადიან.

ჰყავთ საიდუმლო აგენტები. ეწვეიან საკადრო პოლიტიკას, მათი რეკომენდაცია მნიშვნელოვანია საჯარო მოხელისთვის.

რესპონდენტები აღნიშნავენ იმასაც, რომ სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების საკითხების ნაცვლად, მოქალაქეების „საყოფაცხოვრებო დონეზე, კონტროლამდე დავიდნენ“:

*„რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ სასაზღვრო ზონაა, სუს-ის კონტროლის ქვეშ სულ ვიყავით. თუმცა დღეს, საყოფაცხოვრებო დონეზე არიან დასული. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა. უკვე პარტიული ნიშნით არჩევენ ხალხს და აკონტროლებენ. თუმცა ზოგადად, სუს-ის საჭიროება არის რეგიონში. მაგ. ვიღაცების უკან რუსეთი დგას. ადგილობრივს ეუბნება, რკინიგზასთან მიწა მაინტერესებს, მოდი, შენი სახელით ვიყიდოთ. ასეთი თურქეთის მოქალაქე იყო, რუსეთთან თანამშრომლობდა. სუს-მა გამოიკვლია და აღკვეთა. ეს პოზიტიური მოვლენაა, ასეც უნდა იქცეოდეს უსაფრთხოების სამსახური. მივესალმები, ამ მხრივ, მათ მუშაობას. თუმცა სოფლების დონეზე, როცა მიწას არ აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა და ჩვეულებრივი ხალხის სოფლის მეურნეობის საკითხებში ერევი, ეს არასწორია. იყო ნაცნობობის მომენტი, იციან, რომ პარტიის მომხრეა და მას მიწის მიღებაში ეხმარებიან.“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი).*

ეთნიკური ნიშნით, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს შორის განსხვავდება არ ფიქსირდება:

*„არიან როგორც სომხები, ისე ქართველები. ყველამ იცის სუსი ვინ არის, ვინ ვისთან თანამშრომლობს და იქ ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია სად მუშაობს“ (ნინოწმინდელი რესპონდენტი).*

სუს-ის მუშაობის სპეციფიკა სოფელსა და ქალაქად მცირედით განსხვავდება. უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები, ქალაქში, ძირითადად „უჩინარი“ არიან, თუმცა, კონტროლის იერარქიაში, უზენაეს ინსტანციას წარმოადგენენ. ძირითადად, ფარულ თვალთვალსა და მიყურადებას ეწვეიან და ინფორმატორებთან თანამშრომლობენ. „აკონტროლებენ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) მუშაობას, არჩევენ და წინასასარჩევო პროცესს, შეუძლიათ ცესკოს წევრები აარჩიონ და დანიშნონ. ყველაფერი რაც რეგიონში ხდება, თბილისიდან კონტროლდება. თბილისიდან წამოსულ ბრძანებებს ასრულებენ. რეგიონზე დიდი გავლენა აქვთ. მათ გარეშე არაფერი წყდება.“ - ამბობს ახალქალაქელი რესპონდენტი და განმარტავს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, კონკრეტულ პერიოდში (მაგალითად, წინასასარჩევო პერიოდში, საპროტესტო აქციის დროს, მოსახლეობის თავშეყრისას) ადგილზე სამოქალაქო ტანსაცმლით მოძრაობენ.

სოფლებში, უმეტეს წილად, წარმომადგენლები ჰყავთ და სოფლის ზოგიერთ მაცხოვრებლებთან აქტიურად თანამშრომლობენ. „ინფორმატორებად“,

ძირითადად, სოფლებში ავტორიტეტის მქონე პირებს არჩევენ, იქნება ეს სოფლის რწმუნებული, კონკრეტული პარტიის საარჩევნო აგიტატორი, წარმატებული ახალგაზრდა თუ სხვა. „სუსი ყველა სოფელშია. რა თქმა უნდა, ყველამ ვიცით ვინ არიან. სოფელში ერთი ადამიანი მაინც თანამშრომლობს მათთან, ინფორმაციას გადასცემს... მოსახლეობის განწყობაზე, ვინ მოდის, მიდის და ა.შ.“ (სოფელი ოკამი). ძირითადი მიზანი, ინფორმაციის შეგროვება და მოქალაქეებთან გასაუბრებაა. სოფლებში კი „ხშირად დადიან და წესრიგს კურირებენ. ნინოწმინდაში 5 ადამიანია, რომელიც დადის და აკონტროლებს, რომ ყველაფერი წესრიგში იყოს.“ - (ნინოწმინდელი რესპონდენტი). გარკვეულ შემთხვევაში, მათ მიერ სოფლების მონიტორინგს მოსახლეობა პოზიტიურად აფასებს:

*„ერთი მხრივ, უცხოების დაცულობასაც უზრუნველყოფენ. სოფელში ყოფნისას, შეიძლება გაგაჩერონ, გკითხონ, რა მიზნით დადიხარ, რის შესახებ ატარებ გამოკითხვას... თუმცა შენთვისაც კარგია, არავინ გაგიბედავს რამეს... მთავარია არ მოატყუო და უთხრა რა თემას იკვლევ“ - (ნინოწმინდელი რესპონდენტი).*

ხოლო „ინფორმატორების“ მუშაობის სპეციფიკას ადგილობრივი მოსახლეობა შემდეგნაირად აღწერს: „მაგალითად, როცა სოფელში მოსახლეობა რამე პრობლემაზე სამსჯელოდ იკრიბება, დაახლოებით 5 წუთში მოდის ინფორმატორი და აკვირდება ვინ რას ამბობ, თავად ჩუმდება. ეგეთი ადამიანია, როგორც კი სოფელში ვინმე უცნობი მოდის, უნდა გაიგოს ვინ არის, რატომ მოვიდა. ერთხელ ჟურნალისტები იყვნენ, მაღაზიაში შევიდნენ, სოფლის ბირჟაზე გაჩერდნენ, სტუდენტურ პროექტზე მუშაობდნენ, აინტერესებდათ სოფელს ორი სახელი (ჩამდურა და ჩამძვრალა) რატომ აქვს. ინფორმატორს დაუგვიანდა მოსვლა და რამდენიმე დღე არკვევდა ვინ იყვნენ, რაზე ისაუბრეს და საერთოდ, რატომ დაინტერესდნენ ჩამდურათი, ყველას გვეკითხებოდა, არადა უმტკივნეულო საკითხი იყო“ (სოფ. ჩამძვრალას მაცხოვრებელი).

საინტერესოა, ის „საფრთხეები“, რომლის მეშვეობით ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი უსაფრთხოების სამსახურის მიერ რეგიონში „კონტროლის საჭიროებას“ ხსნის. ჯავახეთში, სუს-ის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ადგილობრივები, რუსულ გავლენას ასახელებენ. რაც რუსეთში, სეზონური, სამსახურეობრივი მიგრაციით და ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის მიერ რუსული პასპორტების ფლობით აიხსნება. რუსეთში სამუშაო მიგრაცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის, სახელმწიფოსთვის პოტენციურ რისკად განიხილება.

*„რუსული ფული, რუსული ენის ცოდნა და რუსეთთან კავშირი რუსეთისადმი ადგილობრივი სომხების სიმპათიას და რუსული ბაზებისადმი ნოსტალგიას აძლიერებს. ამიტომაც მათდამი უნდობლობა დიდია.“ (ეთნიკურად ქართველი რესპონდენტი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ყოფილი თანამდებობის პირი).*

ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის რუსეთში მუშაობა შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

*„სამწუხაროდ, რუსეთში მუშაობა - ცხოვრებაში რაიმის მიღწევის ერთადერთი პერსპექტივაა, აქ სამსახური არ არის. განვითარების და ნორმალურად ცხოვრების*

*სამუალებმა რომ გვექონდეს, ნაკლები ადამიანი წავიდოდა (წინოწმინდის  
მაცხოვრებელი, სომეხი თემიდან).*

ხოლო “რუსეთისადმი სიმპათიის“ ერთ-ერთ მახასიათებლად - რუსული ენის ცოდნა და რუსული ტელეარხების ყურება მიიჩნევა.

*„მშობელს ურჩევნია, სომხურზე მეტადაც კი, რომ ბავშვმა ჯერ რუსული ისწავლოს. რომ გაიზრდება ისიც ხომ, სამუშაოდ, რუსეთში უნდა წავიდეს. ამიტომ რუსულ არხებს უყურებენ“ (სოფ. სპასოვკის მაცხოვრებელი).*

ამასთანავე, ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ რეგიონში არიან კონკრეტული პირები, რომლებიც რუსეთისადმი ლოიალურები არიან და რუსულ ნარატივს იზიარებენ,

*„2008წლის ომის დროს, ახალქალაქში რუსეთის დროშას აფრიალებდნენ.“  
(წინოწმინდელი რესპონდენტი).*

ამავდროულად, არ გამორიცხავენ ჯავახეთში რუსეთის ყოფილი „კაგებეს აგენტების“ მუშაობასაც.

*„არიან ისეთებიც, ვინც რუსეთთან თანამშრომლობენ. ინფორმაციას აწვდიან და აქაც იმ იდეას აზიარებენ, რომ რუსეთის გარეშე არაფერი გვეშველება. ამ პირებს უნდა აკონტროლებდეს სუსი, ჩვეულებრივ ხალხის ნაცვლად. თუმცა, მათ პასუხს არავინ სთხოვს. უფრო მეტიც, ისინი ორივე მხარესთან თანამშრომლობენ.“*

*(ახალქალაქელი რესპონდენტი), სომეხი თემის წარმომადგენელი.*

ბოლო ათწლეულებზე და სუს-ზე საუბრისას, ადგილობრივები რუსულ ბაზებს ახსენებენ. რუსული ბაზები სააკაშვილმა ქართულით ჩაანაცვლა, რის შედეგადაც ჯავახეთის მოსახლეობის ყოველდღიურობაში ახალი ეტაპი დაიწყო. ვინაიდან რუსულ ბაზებში ჯავახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობდა, რეგიონში რუსების ბაზების გაყვანის ფაქტს ნეგატიურად შეხვდნენ, რადგან უმუშევრობის დონე გაიზარდა და შიმშილის საფრთხე გაჩნდა. ,

*„რუსულ ფულზე და რუსულ პროდუქტზე ვიყავით დამოკიდებული. მაშინ წალკის გზა საერთოდ არ იყო, თბილისთან მცირე კონტაქტი გვექონდა. პროდუქტი რუსეთიდან და სომხეთიდან შემოდიოდა. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით უკეთესად ვცხოვრობდით. ხოლო რუსების წასვლით ეს ყველაფერი გაქრა. მეც ბაზაზე ვმუშაობდი, უმუშევარი დავრჩი და არ ვიცოდი თავი და ოჯახი როგორ გამოგვეკვება. რუსებისადმი კარგი მოგონებები გვექონდა. ამის შემდეგ ალაპარაკდნენ სეპარატიზმზე. ქართული ბაზა გაიხსნა და ახლა, ქართველები გვაკონტროლებენ. ქართული კაგებე რეგიონში 90-იანებშიც იყო, თუმცა რუსების წასვლის შემდეგ, კონტროლი გაძლიერდა“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი).*

საკაშვილის პერიოდში, „ჯავახური სეპარატიზმის“ იდეით მანიპულირებამ და ნაციონალურმა პოლიტიკამ მოსახლეობაში ქართული სახელმწიფოსადმი უნდობლობა გააღვივა. სახელმწიფოს მხრიდან მათგან „მტრის ხატის“ შექმნას, ახალქალაქში „უშიშროების კომიტეტის დეპარტამენტის“ გახსნა მოჰყვა. ახალქალაქელებს სჯერათ, რომ მსგავსი დაწესებულება, ოფიციალურად, მხოლოდ ჯავახეთშია და სხვა რეგიონებისთვის უცხო პრაქტიკას წარმოადგენს. „ახალქალაქის შესასვლელში, ცენტრალურ გზაზე ქართული ბაზაა, შ.ს.ს., პოლიცია

მანდ არის. მანდ, უშიშრობის სამსახურს სპეციალური სივრცე აქვს. იქ სხედან, გვისმენენ და გვაკონტროლებენ. რეალურად, სეპარატიზმის ნაკლებად ემინიათ. ჩახალიანს თუ არ ჩავთვლით, არც არასდროს ყოფილა მსგავსი განწყობა. უფრო მეტად რუსეთისადმი სიმპათიები იყო. სავარაუდოდ, ამას აკონტროლებენ. რეგიონში რუსეთიდან ბევრი ფული შემოდის. სომხეთის ნაცვლად, ადგილობრივები რუსეთში მიდიან სამუშაოდ“ (ახალქალაქის მკვიდრი).

ყარაბაღის ომისადმი სოლიდარობა და სომხეთის რესპუბლიკასთან ურთიერთობა-კიდევ ერთი საკითხია, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა მათ მიმართ უსაფრთხოების სამსახურის მზერას ხსნის. ჯავახეთის სომეხ თემის არაერთ წარმომადგენელს, სომხეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ სომეხ მოსახლეობასთან ნათესაური კავშირი აქვს. ჯავახეთში, ყარაბაღის ყოველ ომსა თუ კონფლიქტს თვალყურს ადევნებენ, სომხეთს კი სოლიდარობას უცხადებენ.

„არჩახი ჩვენი ტკივილია, ყველა სომეხის. არ აქვს მნიშვნელობა სად ვცხოვრობთ“ (ნინოწმინდელი რესპონდენტი). ყარაბაღის კონფლიქტის დროს, ადგილობრივი სომეხი თემი, კონფლიქტით დაზარალებული პირების დახმარებას ცდილობს. „ვკრებთ ფულს, ვაგ ზავნით თანხას, პროდუქტებს, წინაზე რამდენიმე უაზ-იც გავგ ზავნეთ. იყო დრო, ჩვენთან ჩამოდიოდნენ დევნილები, რადგან აქაურების ნათესავები იყვნენ. ჩვენი ძმები არიან და ვეხმარებით.“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი).

ყარაბაღის კონფლიქტისადმი მოსახლეობის ინტერესი და სოლიდარობა სუს-ის კონტროლს იწვევს.

„ინტერესდებიან სად და ვინ აგროვებს თანხებს. რას ვგ ზავნით. ვინმე თუ ჩამოდის იქიდან, რატომ ჩამოვიდა და ა.შ.“ (ნინოწმინდელი რესპონდენტი).

„თბილისში, უყვართ სეპარატიზმი. ამიტომ, სომხეთის რესპუბლიკასთან კავშირს იძიებენ. კი, არიან კლანები, რომლებიც ერევანთან მჭიდრო კავშირში არიან. ჯავახკის სომხეთთან მიერთებაზე არ იტყოდნენ უარს. არიან რუსეთის მომხრეებიც. ისინი ცდილობენ მოსახლეობის აზრით მანიპულირებას, მაშინ როცა ჩვეულებრივი ხალხი ოჯახის რჩენაზე ფიქრობს. ეგენი არიან აგენტები. ალბათ, მათ აკონტროლებენ. თორემ ჩვენ რა საფრთხეს წარმოვადგენთ? მშვიდად და კანონმორჩილად ვცხოვრობთ“ (ახალქალაქის მკვიდრი).

სომხეთის რესპუბლიკასთან ჯავახეთის მიერთების სურვილს, ადგილობრივები ჩახალიანის სახელს უკავშირებენ. „სეპარატიზმი ჩახალიანის დროს იყო. აქ, ბევრი იცნობდა, თუმცა იმაზე ნაკლები მომხრე ჰყავდა, ვიდრე ტელევიზიებში აჩვენებდნენ. მიშას დაუპირისპირდა, მერე სუს-მა გააშავა და გააფუჭა. სააკაშვილს აწყობდა რეგიონის გაპრობლემატურება. დასავლეთს აჩვენებდა, რომ აქ მტრები ჰყავს და რამდენად გამართულ პოლიტიკას ატარებს. მისი პრეზიდენტობის ბოლო წლებში, ეს განსაკუთრებით გამოჩნდა. ახალ ყარაბაღზე და დაპირისპირების წყაროზე საუბრობდა, მაშინ, განსაკუთრებით, ძლიერი იყო პოლიცია და სუსი. თითქმის ყველაფერს აკონტროლებდნენ, ვინ მოდიოდა და მიდიოდა. ახლანდელმა

*მთავრობამ მისი კურსი გააგრძელა, თუმცა, რა თქმა უნდა, მეორე ყარაბაღზე არ საუბრობენ. ახლა, ყველამ ვიცით, რომ გვისმენენ. შეიძლება, ახლაც, ამ ოთახში, სადმე მოსმენის ფარული მოწყობილობა იყოს დამონტაჟებული. ამ მთავრობის ერთადერთი პლიუსი ის არის, რომ რეგიონში სიმშვიდეა. იმის მოლოდინი არ გვაქვს, რომ არჩევნების წაგების შიშით, სეპარატისტები ხართ ბრალდებებით მოგვადგებიან.“ (ახალქალაქის მკვიდრი).*

## 5. ჯავახური სეპარატიზმის მითი თუ რეალობა- ისტორიული ექსკურსი

უსაფრთხოების სამსახურის მზერის მოპყრობა ჯავახეთის რეგიონისადმი, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

- სსრკ-ს დრო და „საბჭოთა ნაღები“ - სსრკ-ს მიერ ჯავახეთის რეგიონისადმი ინტერესი თურქეთთან საზღვრს უკავშირდება. 1952 წელს, თურქეთის „ნატოში“ გაწევრიანების შემდეგ რეგიონი „კაგებეს“ კონტროლის ქვეშ მოექცა.
- 90-იანი წლები- მხედრიონი, ნაციონალიზმი და დაუცველობა - სსრკ-ს დაშლის შემდეგ, კავკასიის რეგიონში, ნაციონალიზმის ტალღამ, რეგიონი ეთნო-კონფლიქტამდე მიიყვანა. ძირითად აქტორებს, „მხედრიონი“ და „კოსტავას საზოგადოება“ წარმოადგენდა, რომელიც ქართველ და სომეხ მოსახლეობას შორის ეთნო-კონფლიქტების გაღვივებას ცდილობდა. *„მხედრიონის საქმიანობა კი ძირითადად მოსახლეობის დაყაჩაღებით შემოიფარგლებოდა. პოლიცია მოიშალა“* (სოფ. სამების მკვიდრი).
- ე. შევარდნაძის დრო და რუსული ბაზები - სსრკ-ს დაშლის შემდეგაც, ახალქალაქში რუსული ბაზა ფუნქციონირებდა, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა იყო დასაქმებული. *„ჯავახეთში, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ. დაცულობის შერძნება, რუსულ ბაზებთან სიახლოვესთან იყო დაკავშირებული.“* (ახალქალაქის მაცხოვრებელი).
- სააკაშვილის მმართველობის პერიოდი/ სეპარატიზმის იდეის გამლიერება - სააკაშვილის მმართველობის პერიოდის დაწყება, კერძოდ, კი რუსი ჯარისკაცების რეგიონიდან გასვლას და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამლიერებული მუშაობა მოჰყვა. *„რუსული კონტროლი, ქართულმა სპეცსამსახურებმა ჩაანაცვლა“.* *„საკაშვილმა რამდენჯერმე სცადა საკითხით სპეკულირება, ბოლოს 2012 წელს, ოცნების მიერ ჩახალიანის გათავისუფლების მერე, რეგიონში სეპარატიზმზე ალაპარაკდა“* (ახალქალაქის მაცხოვრებელი).
- თანამედროვეობა - მმართველი პარტია, სააკაშვილის დროს, რეგიონში ჩამოყალიბებულ უსაფრთხოების სამსახურის მუშაობის სტილს, გარკვეულწილად, აგრძელებს. მოსახლეობამ იცის, რომ კონტროლის ქვეშ არის. მათი პრობლემები „არჩევნების მოახლოებისას ახსენდებათ.“ მათგან კი „მმართველი პარტიის მხარდაჭერას მოელიან“. ამავდროულად, პოზიტიურ ფაქტად სახელდება, ქართული ენის მცოდნე საჯარო მოხელეების დანიშვნა.

კიდევ ერთ „საფრთხეს“, ჯავახეთში, საზღვარი წარმოადგეს. ჯავახეთი, ორ სახელმწიფოს შორის, სასაზღვრო რეგიონია, რაც არაერთ უნდობლობას და „სახელმწიფოებრივ საფრთხეს“ წარმოქმნის. ჯავახეთის რეგიონის მაცხოვრებლებისთვის კონტროლისა და სეკურიტიზაციის პრაქტიკები სიახლეს არ წარმოადგენს. რეგიონისადმი უსაფრთხოების მზერის ინტერესი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, სსრკ-ს პერიოდში გაჩნდა. ნატოს წევრი, თურქეთის სიახლოვე, ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საფრთხეებს ააქტიურებდა. სსრკ-სა და დასავლეთის, ნატოს, საზღვარი ჯავახეთზე გადიოდა, რის გამოც ახალქალაქში რუსული ბაზა გაიხსნა. ადგილობრივი მოსახლეობა კაგებესთან თანამშრომლობის ფაქტებს იხსენებს: *„სსრკ-ს დროიდან გვაკვირდებოდა, რომ არავინ გავიდეს ან შემოვიდეს, უკანონოდ. ხშირად პროდუქტებიც შემოჰქონდათ, კაგებე ამას აკონტროლებდა“* (კარწახის მაცხოვრებელი).

მოსახლეობის აზრით, ჯავახეთში, სუს-ის ინტერესის ერთ-ერთ წყაროს კრიმინალური ავტორიტეტები და ქურდული სამყარო წარმოადგენს. სხვადასხვა სოფლის მაცხოვრებლებმა, სოფელში მათი ავტორიტეტის გაზრდის კონტექსტით, რამდენჯერმე კრიმინალური ავტორიტეტები ახსენეს. მაგალითად, ელოიანებიდან ერთ-ერთი ძმა, რომელიც რუსეთში კრიმინალური ავტორიტეტია და სხვა. *„ისინი იმდენად მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან ჯავახეთში, ფლობენ ბიზნესებს, აქვთ მოსახლეობაზე გავლენა, რომ არც პოლიცია და არც სუსი არ ეხება“*. თუმცა, „მათ ხელშეუხებლობას“ ადგილობრივები ამართლებდნენ იმ ფაქტით, რომ ეს პირები კრიმინალურ საქმიანობას რუსეთში ახორციელებენ, ადგილობრივ სამართალდამცველებთან კი თანამშრომლობენ. ამავდროულად, ქურდული სამყაროს წარმომადგენლებზე საუბარი, კონკრეტული ადამიანების დასახელება, „ცუდ ტონად“ ითვლება. უფროსი თაობის წარმომადგენლები, დამწუხრებით, აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ დღეს, „ქურდული სამყაროს წევრობა“ ბევრი ახალგაზრდისთვის მისაბამ იდეოლოგიას წარმოადგენს. *„ახალგაზრდები უყურებენ და უნდათ, რომ მათი ემინოდეთ. გავლენა და ძალაუფლება ჰქონდეთ. ასეა, როცა რეგიონში განვითარების სხვა შესაძლებლობა არ არის“* (ახალქალაქის მკვიდრი).

ყურადსაღებია ასევე ის ე.წ. „ჭორებიც“, რომელიც სუს-ის შესახებ სოფლებში ვრცელდება. მაგალითად, სუს-თან კავშირი, „სუს-თან თანამშრომლობა“ ის ბრალდებაა, რომელიც რეგიონში მცხოვრებ სომეხ და ქართველ მოსახლეობას შორის შუღლის გასაღვივებლად გამოიყენება. მაგალითად, სომეხ თემში, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ *„ქართველი ეკო-მიგრანტები გარკვეული საზღაურის ფასად, ხშირად თანამშრომლობენ სუს-თან“*. (განძელი რესპონდენტი, სომეხი თემის წარმომადგენელი). მსგავსი ჭორი პოპულარულია, ქართველი, ეკო-მიგრანტებით დასახლებულ სოფლებში, სადაც მოსახლეობა სომეხი თემის და სუს-ის მიერ თანამშრომლობაზე, ნეპოტიზმსა და „დაკრიმინაციის“ პრაქტიკაზე საუბრობს. მსგავსი ეჭვები და კონსპირაციული თეორიები შესაძლოა რეგიონში ეთნო-ნაციონალისტური განწყობის გასაძლიერებლად გამოიყენებოდეს. ამავდროულად, როგორც სოფლის, ისე ქალაქების მოსახლეობას აქვს ეჭვი, რომ სუსი, რეგიონში

პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტი, რომელიც ჯავახეთში, მოსახლეობის არამხოლოდ კონტროლს და მოსმენას კურირებს, არამედ, პოლიტიკური პრეფერენციების მიხედვით, მათ „დაიარლიყებას“ ეწევა.

## 6. პოლიტიკური ძალაუფლების ინსტრუმენტალიზაცია და უსაფრთხოების თანაკვეთა

კონტროლისა და თვალთვალის რეალობა რეგიონში ძალაუფლების იერარქიას აჩენს. პოლიცია ამ ძალაუფლების ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფება, მას ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა (კლანები) მოსდევს, ხოლო უმაღლეს საფეხურზე - სუს-ია, რომელიც რეგიონში „სახელმწიფოებრივ ინტერესს“ წარმოადგენს. ის არამხოლოდ მოქალაქეთა ცხოვრების კონტროლის მექანიზმია, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების უზენაეს ინსტანციას წარმოადგენს. ვინაიდან სუსი ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში საკადრო პოლიტიკას კურირებს, აკონტროლებს პოლიტიკურ კლანებს და არჩევნების მიმდინარეობაზე გავლენას ახდენს.

საკადრო პოლიტიკის მხრივ, მერიაში, საკრებულოებში თუ სხვა საჯარო სამსახურში, სამუშაოს დაწყება უსაფრთხოების სამსახურის რეკომენდაციაზე არის დამოკიდებული. თანამდებობის დაკავების დროს, გასაუბრების ეტაპზე, მნიშვნელობა ენიჭება კანდიდატის პოლიტიკურ შეხედულებებს. პოლიტიკურმა შეხედულებებმა, სამოქალაქო აქტივიზმმა შეიძლება პოზიციის დაკავებაში ხელი შეუშალოს

*„გასაუბრების ერთ-ერთი ნაწილია, რომ სუს-ისგან თანხმობა უნდა მოვიდეს, რომ ეს ადამიანი სანდო პირია, პარტიას ემხრობა. ისე ცოდნას და დიპლომებს არ აქვს აზრი. ვინც პარტიულ ინტერესებს იცავს და სუს-ს მოსწონს, იმას ნიშნავენ. ასეთი ბევრი შემთხვევა იყო, ამიტომაც ახალგაზრდების დიდმა ნაწილი ხელი ჩაიქნია პოლიტიკაზე. ზოგი საერთოდ საქართველოდან წავიდა ან წასვლაზე ფიქრობს“*  
(ახალქალაქელი რესპონდენტი).

ადგილობრივები დასძენენ, რომ საკადრო პოლიტიკით შერჩეულ პირთა „კონტროლი და მართვა მარტივია“.

*„მერიის თანამშრომლებს შორის ბევრი ახალგაზრდაა, თუმცა არა-კრიტიკული. წლების განმავლობაში, ყველამ იცოდა, რომ თუ სახელმწიფო სამსახურში გინდა მუშაობა მმართველი პარტიის მხარდამჭერი უნდა იყო. ბიუჯეტიდან ხელფასის მიღება ახლანდელი მთავრობის მხარდამჭერას გულისხმობს. ის 1000ლარიანი ხელფასი კი, ოფიციალურად, მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს აქვთ, ამიტომ სამსახურის დაკარგვის საფრთხის გამო, უმრავლესობა მორჩილებას ირჩევს.“*  
(ნინოწმინდის მაცხოვრებელი). მსგავს პრაქტიკაზე საუბრობენ სოფლებშიც, სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს ირჩევენ: „ხშირად ისეც ხდება, რომ ქართული ენის მასწავლებელმა ქართული არ იცის, თუმცა პედაგოგად მუშაობს,



*ვინაიდან მისი შვილი „ავიტატორია“, პარტიისთვის ხმებს აგროვებს და ოჯახი იმსახურებს“ (სოფ. განძა).*

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებად, ხშირად ყოფილი პოლიციელები და სუს-ის თანამშრომლები ინიშნებიან. მაგალითად, ყოფილმა დეპუტატმა სამველ პეტროსიანმა კარიერა ახალქალაქის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობით დაიწყო. დღეს, მისი შვილი, ანდრანიკ პეტროსიანი, ახალქალაქის რაიონული სამმართველოს პოლიციის უფროსის მოადგილეა. „პარტიების ლიდერებადაც, თავის ხალხს ნიშნავენ. რომელი ერთი გავიხსენო. ზოგმა პარტია შეიცვალა და მთავრობაშია. ზოგმა - არ. ბევრი, ვანოს (მერაბიშვილი) დროს, ჯერ პოლიციელი იყო, შემდეგ სუს-ში მუშაობდა. ახლა, მმართველ პარტიაშია“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი).

ამასთან ერთად, სუსი, როგორც რეგიონში ძალაუფლების უზენაესი ინსტანცია-მოსახლეობაში კონფლიქტების გადაწყვეტის წყაროა. ადგილობრივი ელიტები ხშირად მიმართავენ მათ. სოფლის მაცხოვრებლებში კი „თუ სუს-ის წარმომადგენელი იტყვის, მაშინ სოფელში ასე იქნება (პრობლემა მოგვარდება)“ - ნარატივი არის გავრცელებული. სუს-ის ადგილობრივ თანამშრომლებზე საუბრისას, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ:

*„ერთიდაიგივე ოჯახების ხალხია. პარტიები იცვლება, თუმცა ხალხი იგივე რჩება.“* კერძოდ, „ჯავახეთისთვის სპეციფიკურია „კლიშეები“. კონკრეტული გვარების და ოჯახების პატივისცემა. 30 წლის განმავლობაში, ჯავახეთში მმართველი ელიტა არ შეცვლილა. იცვლიან პარტიებს, თუმცა, ყოველთვის მმართველ ძალას ემხრობიან. სუს-შიც მათი შვილები, ბიძაშვილები, სიძეები სხედან. მთელი კლანებია შექმნილი. ადგილობრივ დონეზე საკუთარი ოჯახის ძალაუფლების გაძლიერებაზე მუშაობენ. სულ ერთიდაიგივე ხალხია, როგორც სუს-ში, ისე პოლიციაში“ (ახალქალაქის მაცხოვრებელი). იმავე განწყობა ფიქსირდება სოფლებშიც: „სახლი და კარგი მიწა, რომ მოგცენ სუსი-ს სიტყვაც გეხმარება. რა თქმა უნდა, ბიძაშვილი როცა სუს-ში მუშაობს, სოფელში საუკეთესო მიწა და სახლი შენია. ისე, უნდა ელოდო, როდის მოვა შენი დრო და როდის ჩავთვლიან მიწის ღირსად“ (სოფ. სამება).

ადგილობრივები საუბრობენ იმაზეც, რომ სუსი პოლიტიკური ძალაუფლების მქონე კლანების კონტროლის მექანიზმის ფუნქციას ასრულებს.

*„კონტროლის მეთოდები ძველი და აპრობირებულია. კაგებს მეთოდებს და ხერხებს იმეორებენ. ...ქვეყნის და კლანების ინტერესებს იცავენ. თბილისი ყოველთვის გვაკონტროლებდა. თუმცა, თბილისის ნაკლებად აინტერესებს, აქ, რა ხდება, მთავარია სიმშვიდე იყოს. ხალხმა არ იხმაუროს და არაფერი გააპროტესტოს. ამას კურირებენ, ამ მიზანს ემსახურებიან. ურჩევნიათ რეგიონი ერთ კლანს ჩააბარონ და იცოდნენ, რომ არჩევნებში ეს კლანი ხმებს მოუტანს. სხვა მხრივ თბილისს არ ვაინტერესებთ. თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა კლანის წარმომადგენლებს საკუთარი ძალაუფლება აბრმავენს. ავიწყდებათ რაღაცები. ამის შესახებ ვერც არის სუსი. კლანებსაც კი სუს-ის ეშინიათ. სუს-ის სიტყვა, მათი რეკომენდაცია, ძალიან ბევრს ნიშნავს. აქ, არავინ არის ხელმეუხეველი.“*

მოიანსაც დაავიწყდა... თუ დააკვირდებით ყველაზე მეტი კამერა, ცენტრალურ გზაზე და მთავარ ქუჩებზეა. ცენტრალური გზა ჰესებისა და ქართული ბაზებისკენ მიდის. ცენტრალურ ქუჩებზე კი მდიდარი და გავლენიანი ხალხი ცხოვრობს. ჩვეულებრივი ხალხი ნაკლებად აინტერესებთ, სანამ მშვიდად და წყნარად არიან“.  
(ახალქალაქის მკვიდრი).

„რეგიონში უშიშროებაც არის, სუსიც არის... სუსი საკადრო პოლიტიკას აწარმოებს. ისევ მათი კადრები იკავებენ თანამდებობებს. მათ კვებავენ. რაც არ უნდა განათლება გქონდეს, არავის სჭირდება, თუ პარტიულ შეხედულებებს არ იზიარებ. სხვანაირად გამორიცხულია. ქალაქლომანიაა აქ, როგორც საბჭოთა კავშირში იყო, რაღაცები ქალაქდისთვის რომ იწერებოდა, გეგმას მიჰყვებოდნენ, ისეა ახლაც. ბევრი რამ ქალაქზე იწერება. თბილისისთვის წერენ, რომ აქ ყველაფერი წესრიგშია, ვაკონტროლებთ. ყველაფერი რიგზეა, თუმცა მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტისთვის არაფერი კეთდება. ტენდერი გამოცხადება და პრივილეგიებულ ხალხს აგებიან... რასაც ვერ ვიტყვი ისაა, რომ ჩემი დაშინება არ უცდიათ. ვერ გამიბედავენ. ჩემი შვილი, გახარას პარტიიდან, იყრიდა კენჭს და არც არავის გამოუვლია, არაფერი უთქვამთ. არ უკითხავთ, რატომ იყრის კენჭს და ა.შ. იმიტომ, რომ იციან ჩვენი პრინციპები. ვინც პატიოსნად ცხოვრობს, იმათ იციან, რომ ვერ შეაშინებენ. ვერ დამიძახებენ დაკითხვაზე და ვერ მომთხოვენ პასუხს“.  
(სოფ. სპასოვკის მაცხოვრებელი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ყოფილი თანამდებობის პირი)

გარდა ამისა, მოსახლეობაში არსებობს ეჭვი, რომლის მიხედვით, უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები აუქციონების და ბიზნესს გარიგებების მონიტორინგს ახდენენ. კერძოდ, ადგილობრივები, ტენდერებისა და აუქციონების დროს, კონკრეტული პირებისადმი პრიორიტეტების მინიჭების ე.წ. „დაკრიშვის“ პრაქტიკებზე და ეკონომიკური რესურსების გადანაწილებაში, სუს-ის მონაწილეობის შესახებ საუბრობენ.

„აუქციონებზე, საუკეთესო, სახნავ-სათესი მიწები ისე გამოაქვთ, ადგილობრივი მოსახლეობა გვიან ვიგებთ. თან ვინ იგებს? ისევ მათი ხალხი. ჩვეულებრივ ადამიანებს ამ აუქციონებზე ხელი არ მიუწვდება. არავინ მოგაგებინებს თუ „ზემოდან“ სიტყვა არ წაგაშველეს“ (კარწახის მაცხოვრებელი). ამავდროულად, სოფლის მოსახლეობა სუს-ის და პოლიციის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე საუბრობს. სოფელ ოკამში, საუბრობენ მსხვილ მიწათმფლობელზე, რომლის შვილიც პოლიციაში მუშაობს და სამსახურეობრივ ძალაუფლებას, ოჯახის გასაძლიერებლად იყენებს. „შვილი ძალოვან სამსახურს წარმოადგენს და სოფლის სარეზერვო მიწების დიდი ნაწილი მისაკუთრდა, ახლა, ადგილობრივებს აქირავებს. ვინც გაპროტესტებას ცდილობს, ზოგს ატყუებს, კანონიერად ჩემიაო. ზოგი შეიძლება ცემოს, დააშინოს. არავის აქვს მასთან გარჩევის თავი. რადგან შვილი პოლიციაში მუშაობს“ (სოფ. ოკამის მკვიდრი).

ადგილობრივების მიხედვით, ამ სამართალდამცველის ოჯახი სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდ ნაწილს ფლობს, სოფელში ჩასახლებულ, ეკო-მიგრანტებს

კი მიწის გარეშე ტოვებს. იმავე პრობლემას აწყდებიან, ვაჩიანის თემში, სადაც ადგილობრივი პოლიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი სოფლის სახნავ-სათესი მიწების დიდ ნაწილს დაეუფლა. პოლიციაში მუშაობასთან ერთად, ის სოფლის მეურნეობას ეწევა. სამსახურეობრივ ძალაუფლებას კი საკუთარი ბიზნეს ინტერესების დასაცავად იყენებს. საზღვართან ახლოს მდებარე, ვაჩიანის პოლიციის სამმართველო, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის, 27 სოფელს ემსახურება.

ჯავახეთის რეგიონში, სამართალდამცველებისადმი მოსახლეობის უნდობლობას, წინასაარჩევნო პერიოდში, მათი მუშაობის სპეციფიკაც განსაზღვრავს. „*ხშირად, პროფესიონალიზმს პარტიული ერთგულება ანაცვლებს.*“ ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიცია საარჩევნო გარემოს მონიტორინგისა და რეგულირების ინსტრუმენტი. ის, ძირითადად, მმართველი ელიტების უფლებადამცველ მექანიზმთან ასოცირდება.

*„გავლენიანი ჯგუფების უფლებებს იცავენ ყველაზე მეტად. მათ ემსახურებიან. პოლიცია ზემოდან იღებს ბრძანებს და ასრულებს. განსაკუთრებით არჩევნების დროს“* (ახალქალაქის მაცხოვრებელი). ცალკეულ შემთხვევაში, არჩევნების დროს, პოლიციას „თვალის დახუჭვაში“ ადანაშაულებენ. *„ყველა კარგად იცნობს აგიტატორებს... ყველა სოფელში პარტიას თავის აგიტატორი ჰყავს, რომელსაც ხალხი მოჰყავს, წინასწარ უთანხმდება, ვის უნდა მისცენ ხმა და ა.შ. აგიტატორები უბანზე მისულ ამომრჩევლებს აფიქსირებენ, ინიშნავენ. თუმცა ცესკოს და პოლიციის წარმომადგენელს ამაზე რეაგირება არ აქვს. უბანზე მუშაობაში ხელს არ უშლიან. „სიტყვა შემოუთვალეს“ ამიტომ ამ გადაცდომაზე თვალს ხუჭავენ“.*

ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ უსაფრთხოების სამსახურის და პოლიციის მუშაობა განსაკუთრებით აქტიურდება წინასაარჩევნო პერიოდში. მაგალითად, ცესკოში მომუშავე პირები, დაშინების ფაქტებზე და „შემოთვლის“ პრაქტიკებზე საუბრობენ:

*„გახსენებენ, რომ ბევრი გაქვს დასაკარგი. ეს საქმე არ ღირს ოჯახის წევრების ჯანმრთელობის ფასად. წინასწარ ვიცით, უბანზე ვინ მოიგებს. სუს-ის წარმომადგენელი, ვინმე ნაცნობის პირით, შემოგითვლის, „შეგახსენებს“ როგორ მოქცევა საჭირო“* (სოფ. განძის მაცხოვრებელი). ადგილობრივები, წინა საარჩევნო პერიოდში, სუს-ის მიერ კონტროლზეც საუბრობენ: *„არჩევნების დროს, მთელი სოფელი ეუბნებოდა ჩემს შვილს, რომ შენ გაძლევთ ხმას. თუმცა ნელ-ნელა დაიწყეს... ზოგმა გვთხოვა, რომ მათი სახლის კედლებიდან საარჩევნო პლაკატები მოგვეხსნა. გვითხრეს- დამიბარეს, გამესაუბრნენო.. რაღაც იყო... ხალხთან მუშაობდნენ. თუმცა ჩემმა შვილმა ჩვენს სოფელში გაიმარჯვა, სხვაგან არ. 6 სოფელში იყრიდა კენჭს და სხვაგან ვერაფერს გახდა. კლანი- კლანია, რთულია შერკინება.“* (სოფ. სპასოვკას მაცხოვრებელი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ყოფილი თანამშრომელი).

## 7. მოქალაქეობა და კონტროლის გადაკვეთა

ინტერვიუების დროს, კრიტიკულად განწყობილი რესპონდენტებიც კი იძაბებოდნენ სუს-ზე კომენტარის გაკეთებისას და კითხვებზე პასუხის გაცემისას. ინტერვიუს, უპირველესად, სუს-ის მუშაობის პოზიტიური მხარეების აღნიშვნით იწყებდნენ. კრიტიკასთან ერთად, ყურადღების პოზიტიურ ასპექტებზე გამახვილებას ცდილობდნენ. მაგალითად, „რკინიგზის ტერიტორიაზე სუს-ის მიერ, თურქი, ინვესტორის არ შეშვების“ ფაქტს, ან რეგიონში კრიმინალის დონის შემცირებას აღნიშნავდნენ და სხვა. აგრეთვე, ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ „ნაცმოდრობის დროსთან შედარებით“ ახლა უკეთესი სიტუაციაა, ვინაიდან *„მაშინ ყველაფერი მერაბიშვილის ტოტალურ კონტროლს ემორჩილებოდა“*. ამავდროულად, ხუმრობით კი დასძენდნენ, რომ შესაძლოა ახლაც გვისმენდნენ, ვინაიდან სუს-ის მიერ მოქალაქეების, კონტროლი „საყოფაცხოვრებო დონეზე“ მიმდინარეობს.

მოქალაქეობისა და კონტროლის გადაკვეთა რამდენიმე ასპექტით არის საინტერესო:

ჯავახეთის რეგიონში სამოქალაქო ცნობიერება და აქტივიზმი ნელ-ნელა ძლიერდება. განსაკუთრებით, ახალგაზრდები შემთხვევაში, რომლებიც რეგიონში არსებულ პრობლემებზე საუბარს იწყებენ. თუმცა კონტროლისა და დაშინების პრაქტიკები მათ მუშაობაზე ნეგატიურად აისახება. *„შეიძლება გაგაჩერონ და გკითხონ:- რა საქმით ხარ დაკავებული და რატომ“* (ნინოწმინდელი ახალგაზრდა). ამასთან ერთად, ახალგაზრდების რწმენით, სამართალდამცველები, მათი და მათი ოჯახების შესახებ ინფორმაციას აგროვებენ ცალკეულ შემთხვევაში საუბრობენ, ადგილობრივი ავტორიტეტების გამოყენების ფაქტებზე (მათი ენით *„შემოთვლაზე“*)- „ვიცით რას საქმიანობ“.

ადგილობრივების აზრით, აქტივისტების და ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების დაშინება, ჯავახეთის რეგიონში, ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული რეალობაა. განსაკუთრებით, წინასარჩევნო პერიოდში. რამდენიმე ადგილობრივმა გაიხსენა, 2018 წლის მოვლენები, როდესაც პარტია „ძალა ერთობაშია- გიორგი ვაშაძის“ საარჩევნო შტაბის წარმომადგენლებსა და მკოიანის მოკავშირეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

*„მკოიანს დაუსჯელობის განცდა ჰქონდა. მისი ხალხი (ნათესავები) სცემდა, შემდეგ კი ემუქრებოდა, გაჩუმდით თორემ უარესი იქნებაო. პოლიციაც თვალს ხუჭავდა. საქმე აღიძვრებოდა, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ, ნივთმტკიცებების ნაკლებობის გამო „ჩაიფარცხებოდა“. ვინმეს მიუგზავნიდნენ, შეაშინებდნენ, დაემუქრებოდნენ და სარჩელზე უარს ამბობდნენ. მკოიანი მაშინ ოცნების დეპუტატი იყო და თავისიანს ხომ არ დაიჭერდნენ?!“.*

ამასთან ერთად, პირად საუბრებში, რესპონდენტებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ პოლიცია ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების დასაშინებელ იარაღად

გამოიყენება, რაც მოქალაქეებში პოლიციისადმი უნდობლობას აძლიერებს, ამავედროულად, დაშინებული პირები, მუქარის დროს, პოლიციას აღარ მიმართავენ, ვინაიდან სახელმწიფოს ამ ინსტიტუტის ლეგიტიმურობისადმი რწმენა ნაკლებად აქვთ:

*„თავიდან მეც დამემუქრნენ, შენი შვილი თბილისში სწავლობს, რამე არ მოუვიდესო... არჩევნებში რატომ იღებ მონაწილეობასო. ვუთხარი- ხომ იცით შანსი არ მაქვს, ფული არ მაქვს, ხალხს რომ გადავუხადო, უბრალოდ ჩემი სამოქალაქო უფლებაა და ვიყენებ-თქო. უსამართლო არჩევნები იყო. აქ ოპოზიციას ძალა არ აქვს. კომისიის თავჯდომარემ მითხრა, რა ვქნა, მთავრობის წარმომადგენელმა უნდა მოიგოს, ზემოდან დაგვაგაღეს-ო. მართალია, ადგილზე კარგად ჩატარდა არჩევნები, დარღვევები არ ყოფილა. მაგრამ არჩევნებამდე ისე დაამუშავეს ხალხი... მითხრეს ოპოზიცია ხარ და ბევრი უფლებები არ გაქვს. აქ, ზოგადად, ყოველთვის ეგრეა. ჩვენ ეთნიკურ უმცირესობას წარმოვადგენთ, მიუხედავად იმისა რომ საქართველოს მოქალაქეები ვართ, იმდენი უფლება არ გვაქვს, ამიტომ ყველა მმართველი პარტიისკენ არის. ძალაუფლება თუ გინდა, მთავრობას უნდა მიემხრო სხვა გზა არ არის... საერთოდ, საქართველოში ოპოზიცია არის? აქ ოპოზიცია არ არსებობს.“ (სოფ. ჩამდურელი რესპონდენტი).*

თუმცა, დაშინებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა:

*„ვერ ვიტყვი, რომ ყველას ეშინია. არის ხალხი ვინც შიშის გამო ვერ საუბრობს, მათზე კომპრომატები აქვთ. თუმცა მე ყველგან ვსაუბრობ, ვწერ, ინტერვიუებზეც დავდივარ, იმიტომ, რომ სუფთა ვარ, ვერ დამაშანტაჟებენ. 8 წელი ნინოწმინდას მუნიციპალიტეტში ვიმუშავე. მაგრამ იქიდან ისე წამოვედი, დასაშანტაჟებელი მასალა არ დავუტოვე, რადგან ხელფასზე ვმუშაობდი. სხვები კი ასე არ არიან, ისინი, დღესაც, მათი კონტროლის ქვეშ არიან. (სოფ. სპასოვკის მაცხოვრებელი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ყოფილი თანამშრომელი).*

ახალგაზრდების შემთხვევაში, ადგილობრივების აზრით, პოლიცია ხშირად იქცევა განსხვავებული აზრის კონტროლისა და ჩახშობის იარაღად.

*„ერთი ახალგაზრდაა, ცემეს კიდევ. მეღია, ვაშაძე და ა.შ. ჩამოვიდნენ, ისეთი ამბავი იყო. პოლიციამ სცემა, მისი მოკვლაც სურდათ. ერთხელ ტელევიზიით გამოვიდა... დეპუტატზე ისეთი რამეები თქვა, სულ სიმართლე, თუმცა ამ მიწების მიმტაცებლის შვილები, გზაზე, დახვდნენ და ლამის ცემაში მოკლეს. ერთ-ერთი პოლიციელიც იყო. ძალიან დარიბი ბიჭია. მართალია, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ დაამთავრა, თუმცა სამსახურს ვერ შოულობს. აქ ყველაფერი ნაცნობობით არის. ცოდნა არ სჭირდებათ“ (სოფ. ჩამძვრალა).*

## 8. კონტროლის გავლენა მოქალაქეებზე - უჩინრობის სტრატეგიები

რეგიონში არსებული კონტროლი და უსაფრთხოების მზერა ადგილობრივ სომეხ თემში სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი უნდობლობას, ხოლო საქართველოში

ცხოვრებისადმი უიმედობის განცდას აღძრავს. ახალგაზრდებისთვის, პოლიტიკაში მონაწილეობაზე მეტად, სხვა ქვეყანაში მიგრაციის იდეა არის აქტუალური. უფროსის ასაკის მოსახლეობა კი ნიჰილიზმს სჯერდება და მცირედი მეურნეობის წარმოებით, „21-ე საუკუნისთვის აუტანელ პირობებში თავის გატანას ცდილობს“. ითმენს თითქმის ყველაფერს, სანამ თვითგადარჩენის ერთადერთ საშუალებას, სასოფლო-სამეურნეო მიწას დაეუფლებიან. მოსახლეობის, ბოლოდროინდელი საპროტესტო ტალღა, სწორედ მიწების „პრიხვატიზაციის“ ფაქტს უკავშირდება. ამ პირობებში, სომეხი თემის წარმომადგენლები, რომლებიც პოლიტიკურ კლანებს და ბიზნესს ელიტას არ მიეკუთვნებიან, თავს „ნაკლულ მოქალაქეებად“ გრძნობენ. „ბევრმა ადამიანმა არც იცის მათი უფლებების დარღვევისას ვის მიმართოს. არ აქვთ მოლოდინი, რომ მიმართვას შედეგი მოჰყვება“ (ახალქალაქის მკვიდრი). ამავდროულად, მოქალაქეები, თავდაცვის მოტივით, ხშირად მიმართავენ თვით-ცენზურას. პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურის კრიტიკულად შეფასებას, სოციალური მოწყვლადობის ინსტრუმენტალიზაციით და დასჯის მოლოდინით, მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს არიდებს. რაც „მცირედის დაკარგვის შიშით“ აიხსნება. „ერთადერთი დედაჩემის პენსია გვაქვს, იმას ვერ მომიხსნიან. ამიტომაც თავისუფლად ვლაპარაკობ. აი, სხვებს კი აქვთ დასაკარგი და ჩუმად არიან.“ (ადგილობრივი სოფელი ოკამიდან).

ადგილობრივ ადმინისტრაციაში და საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებსაც აკონტროლებენ.

*„მასწავლებლებს ხშირად სთხოვენ შეკრებებზე მონაწილეობას. აგრეთვე, არჩევნებისას მათგან პარტიის მხარდაჭერას მოელოან. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან დაითხოვენ. რაც არაერთხელ მომხდარა“ (სოფ. განძა).*

რესპონდენტები, პირად საუბრებში, აღნიშნავენ იმასაც, რომ ადგილობრივი თვითმართველობის დაწესებულებებში მუშაობის დასაწყებად, გავლენიანი ნაცნობის ყოლა არის მნიშვნელოვანი. ასეთ ნაცნობად - ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები გვევლინებიან. ძალაუფლების ასიმეტრია და ნეპოტიზმი, მოსახლეობაში უსამართლობის განცდას აძლიერებს.

*„ბევრი მდიდარი ადამიანი, სუს-ის თანამშრომლის ბიძაშვილი, სიძე და ა.შ. არის, ნათესავები არიან და ამ ნათესაობას კარგად იყენებენ. ყველა გავლენიან ოჯახს, სუს-ში ვიღაც კრიშავს. ვისაც მსგავსი ნათესავები და მეგობრები არ გვყავს კი ვცხოვრობთ პენსიით“ (სოფ. ოკამი).*

გარდა ამისა, „პოლიციასა თუ სუს-ში ნაცნობის ყოლა“ ეკონომიკური სტაბილურობისა თუ ძალაუფლების მოპოვების მნიშვნელოვანი წყაროა. რესპონდენტების დიდი ნაწილი, ნეპოტიზმის გავრცელებულ ფაქტებზე საუბრობს. ნეპოტიზმი, განსაკუთრებით, კარგად ჩანს მატერიალური დოვლათის

მოპოვებისას. კონკრეტულად კი სახნავ-სათესი მიწებისა თუ სხვა ძვირადღირებული ქონების დაუფლების დროს.

რეგიონში არსებული რეალობა, მოქალაქეობრივი „უჩინრობის“ შემდეგ სტრატეგიებს მოიცავს: მოქალაქე არის მორჩილი, იცის როდის უნდა იყოს ჩუმად, იცავს პარტიის ინტერესებს. არასდროს არის კრიტიკული.

## 9. მოქალაქეობა საზღვრისპირა სოფლებში

მოქალაქეობისა და კონტროლის ურთიერთქმედება, საზღვრისპირა სოფლების ასპექტიტაც არის საინტერესო. ვინაიდან, სასაზღვრო ზონაში მცხოვრები, მოქალაქეები აქტიურ კონტროლზე საუბრობენ. მაგალითად, სოფელ სამებაში მოქალაქეებზე მრავალმხრივი კონტროლი მიმდინარეობს. ერთი მხრივ, სასაზღვრო ზონის გამო, სოფელი სუს-ის ინტერესს იწვევს. მეორე მხრივ, კი სოფელს „კოსტავას საზოგადოების“ ფონდი აკონტროლებს. სოფელში სპეციფიკური გარემოა შექმნილი, აქ, როგორც სომეხი თემის წარმომადგენლები, ისე, ბოლო ათწლეულებში, სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსახლებული ქართველები ცხოვრობენ. ნაციონალისტური იდეის გამზიარებელი „კოსტავას ფონდი“ მოსახლეობას შორის უნდობლობას აღვივებს, მიჯნავს ქართველ და სომეხ მოსახლეობას. სოფლის მაცხოვრებლები „ფონდის სახლებში“ ცხოვრობენ, ამიტომ „ფონდის წარმომადგენლები“ მათ ხშირად აკონტროლებენ. გავრცელებულია დარეკვის, სტუმრების შესახებ ინფორმაციის გამოკითხვის პრაქტიკები და ა.შ. ამავდროულად, ფონდის წარმომადგენლები, ადგილობრივების პოლიტიკური პრეფერენციებით ინტერესდებიან. ლატენტურ დონეზე, მოქალაქეს ფონდისადმი ლოიალურად ყოფნა მოეთხოვება, ხოლო მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილ მოქალაქეებისადმი კი სახლებიდან გამოსახლების არაერთი პრეცედენტი ყოფილა. ამავდროულად, მოქალაქეებს აზრით, ფონდის წარმომადგენლები სუს-თან თანამშრომლობენ.

*„ყოფილა შემთხვევები, რომ რაღაც არ მოეწონათ ოჯახში. ჟურნალისტებთან, რაღაც კრიტიკული თქვეს, მთავრობა ან ვინმე გააკრიტიკეს. მერე დაურეკავთ, სახლი დააცარიელო. ვერაფერს იზავ, მათ საკუთრებაშია და ამის უფლება აქვთ. ყველგან უნდა თქვა, რომ მადლობელი ხარ ახლანდელი მთავრობის და ივანიშვილის... რომ ქვეყანა შენდება“ (სოფელი სამება). ამ ინტერვიუს დროსაც, რესპონდენტი მეუღლემ გააფრთხილა: „ბევრი არ ილაპარაკო, არ გადაგვასახლონ“.*

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასაზღვრო ზონაში, სახელმწიფო მიწის განკარგვის უფლება თუ ქონების ფლობის შესაძლებლობა მოქალაქეებისთვის შეზღუდულია. ამიტომ სოფელ სამების მოსახლეობა „ფონდის სახლებში“ ცხოვრობს. ამასთანავე, „კოსტავას ფონდის“ საკუთრებაშია არამხოლოდ სოფელში არსებული სახლები (რომლებიც ფონდმა 90-იან წლებში, დუხობორებისგან, შეიძინა), არამედ, არაოფიციალურად, ფონდის წარმომადგენლები სახნავ-სათესი მიწების და საძოვრების გაცემას კურირებენ. ამავდროულად, მიწის დამუშავებაზე უფლების მოსაპოვებლად, საჭიროა სუს-ის

თანხმობა. „არაოფიციალურად სუსი წყვეტს რამდენად იმსახურებს ოჯახი მიწას. სუს-მა სიტყვა უნდა წაგაშველოს, რომ მიწა მოგცენ. ნაცნობი თუ გყავს საერთოდ... მადარჩის უკისრებ და ეგაა.“ (სოფ. სამების მაცხოვრებელი).

საზღვრისპირა სოფლებში, გამმაფრებულ კონტროლს მოსახლეობა არაერთი მიზეზით ხსნის. ეკო-მიგრანტებით დასახლებულ სოფლებში, ყველაზე პოპულარული ეთნიკური კონფლიქტისგან თავდაცვის იდეაა.

*„გვიცავენ, რომ აღარ განმეორდეს 90-იანები, როდესაც სოფლებში შეიარაღებული პირები, ავტომატებით დარბოდნენ, მოსახლეობა სახლებს ვერ იყოფდა. ..სახლებს ტრაქტორებით ანგრევდნენ, რომ ქართველები არ ჩამოსახლებულიყვნენ“.*

ეთნიკურ ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივების ნარატივს, „კოსტავას ფონდის“ წარმომადგენლები ავრცელებენ. სათვალთვალო ინფრასტრუქტურაზე დაკვირვებისას კი, სოფელში კამერები ნაკლებად ჩანს/ ან სულ არ ჩანს, თუმცა მოსახლეობა მინიატურულ კამერებზე და ფოტო-ხაფანგებზე საუბრობს, რომელიც სოფლის ბოლოს, საზღვართან არის დამონტაჟებული. ამავედროულად, ხშირია პირუტყვის მიერ, სასაზღვრო ზონაში გადასვლის ფაქტები, რომლის დროსაც მესაზღვრეები პირუტყვის მეპატრონეს უკავშირდებიან და სოფელში დაბრუნებას სთხოვენ. ამ მიზნით, ადგილობრივები „საშვებს“ ფლობენ. სოფლის მაცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ მიწისძვრების გამო, სოფელი სამება ჟურნალისტების ინტერესის ობიექტად ხშირად ექცევა. ინტერვიუების შემდეგ, ფონდის წარმომადგენლები მათ უკავშირდებიან და ჟურნალისტებთან განხილული საკითხებით ინტერესდებიან.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი კარწახის შემთხვევაში, უშუალოდ სოფელში კონტროლი ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის წარმოდგენილი. კამერები ცენტრალურ მაგისტრალზე და საბაჟო გამშვებ პუნქტთან არის განლაგებული. თუმცა მოსახლეობა სუსი-ს მიერ აქტიურ კონტროლზე საუბრობს. კონტროლი ერთი მხრივ, სასაზღვრო ზონით, საბაჟო ტერმინალით, გახშირებული ქურდობებით, მეორე მხრივ კი მოსახლეობისადმი უნდობლობით აიხსნება. კარწახელები აღნიშნავენ იმასაც, რომ კონტროლი მათი ყოველდღიურობის ჩვეული მოვლენაა, ვინაიდან ათწლეულების განმავლობაში კონტროლის და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების მხერის ქვეშ ცხოვრებას მიჩვეული არიან.

*„საბჭოთა კავშირის დროს, ჩაკეტილი ზონა იყო, მაშინ საშვებით მოძრაობდნენ. უცხოებს, ვინც აქ არ ცხოვრობდა, საერთოდ არ უშვებდნენ. კაგებე იმ დროიდან აქტიურად მუშაობს. სსრკ-ს დროს გვაკონტროლებდნენ რომ თურქეთში არ გადავპარულიყავით. განსაკუთრებით, მას შემდეგ რაც თურქეთი ნატოს წევრი გახდა.“* ამავედროულად, სასაზღვრო სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა პოლიციის ინტენსიურ მუშაობას, მონიტორინგს, სასაზღვრო ქვეყნებიდან (თურქეთი და სომხეთი) აკრძალული პროდუქტის უკანონოდ (უაქციზო) შემოტანის ფაქტების აღკვეთაში ხედავს. *„იყო შემთხვევები, როცა სიგარეტი,*



*ოქრო და ნარკოტიკები შემოჰქონდათ. ძირითადად, ამას აკონტროლებენ. ახლაც, სომხურ სიგარეტს ბევრგან იპოვი. ბევრი მას ეწევა, რადგან უფრო იაფია“.*

საბაჟო ტერმინალების ახლოს ცხოვრება კარწახის მაცხოვრებლების ყოველდღიურობაზე ნეგატიურად აისახება. ქურდობის გახშირებასა და კონტროლთან ერთად, მათი არარეგისტრირებული სახნავ-სათესი მიწებისადმი ინტერესი გაჩნდა. სოფელში მოარული ექვია, რომ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ინფორმაციას სოფლის საუკეთესო მიწების შესახებ ფლობენ, ამ მიწებს ყიდულობენ და კერძო საკუთრებად აქცევენ. ასე, ერთ-ერთი სახნავი მიწა, საპარკინგე სივრცედ გადაიქცა. მეორე პრობლემა, უცხოელ ინვესტორებზე მიწის არენდით გაცემაა. მოსახლეობა ექვობს, რომ დაინტერესებული პირები ინფორმაციას კარგი მიწების შესახებ, სუს-ის ადგილობრივი წარმომადგენლებისგან ან მათთან დაახლოებული პირებისგან იღებენ. „სუს-თან და მთავრობასთან კავშირის გარეშე, აქ, ვერაფერს იზავ, ვერაფერს იყიდი“ (სოფ. კარწახი). საზღვრისპირა სოფლის მაცხოვრებლები საუბრობენ იმაზეც, რომ პოლიციის კონტროლის მონიტორზე, აქციების დროს ჩნდებიან. ბოლო პროტესტი 2020 წელს, ყარაბაღის ომს უკავშირდება. მაშინ სომეხი თემის წარმომადგენლებმა თურქეთიდან მომავალ ტრაილერებს გზა გადაუკეტეს „იყო ჭორი, რომ თურქეთიდან, აზერბაიჯანში, ტრაილერებით იარაღი გადაჰქონდათ, რაც გავაპროტესტეთ“. პოლიციისადმი მუშაობის შეფასებისას, სოფლის გზებზე ხშირ პატრულირებას აღნიშნავენ, თუმცა ქურდობის ფაქტების გამოძიების მხრივ, უკმაყოფილებას გამოთქვამენ. კონტროლის მიუხედავად, მოსახლეობაში ძლიერია დაუცველობის გარდა.

# ნაწილი V: უმცირესობის რეგიონებში სამოქალაქო სექტორის კონტროლის არაფორმალური პრაქტიკები

## 1. შესავალი

თანამედროვე, დემოკრატიულ სახელმწიფოებში სპეციალური სამსახურების მუშაობას ეროვნული უსაფრთხოების და შესაბამისად ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.<sup>197</sup> სპეციალური სამსახურების ძირითადი ფუნქციაა ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და გავრცელება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლიტიკის შემქმნელ პირებს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვაში.<sup>198</sup> სპეციალური სამსახურების მანდატი მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული და მისი საქმიანობა მიემართება მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირებას და უსაფრთხოების დაცვას.<sup>199</sup> როგორც წესი, ქვეყნების უმრავლესობაში სპეციალური სამსახურებს არ გააჩნიათ საგამომიებო და პრევენციული უფლებამოსილებები, ვინაიდან ჩნდება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკები<sup>200</sup>.

საქართველოში, უსაფრთხოების დაცვაში რამდენიმე ძირითადი უწყება მონაწილეობს, მათ შორისაა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში სუს-ი). თითოეულ უწყებას აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო მანდატი<sup>201</sup>.

კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციებიდან გამომდინარე, სუს-ის ორმაგი ბუნება (საგამომიებო და ანალიტიკური ფუნქციები) უწყებისთვის ფაქტობრივად უკონტროლო ძალაუფლების საფუძველია<sup>202</sup> და ხშირად უფლებამოსილების

<sup>197</sup>UN, Compilation of good practices on legal and institutional frameworks and measures that ensure respect for human rights by intelligence agencies while countering terrorism, including on their oversight, 2010, p.4. <https://issat.dcaf.ch/mkd/Learn/Resource-Library/Policy-and-Research-Papers/Compilation-of-good-practices-on-legal-and-institutional-frameworks-and-measures-that-ensure-respect-for-human-rights-by-intelligence-agencies-while-countering-terrorism-including-on-their-oversight>  
[https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/International\\_Standards\\_Eng\\_23-10.pdf](https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/International_Standards_Eng_23-10.pdf), გვ. 10, 1 practice

<sup>198</sup> იქვე.

<sup>199</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1402 (1999) შიდა უსაფრთხოების სამსახურების კონტროლი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, პუნქტი 5-6.

<sup>200</sup> იქვე.

<sup>201</sup> სოციალური სამართლებრივი ცენტრი, მარიამ გობრონიძე, თამაზ წვერაიძე, „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა“, 2023, გვ. 5

<sup>202</sup> დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური - კომპეტენციათა დუბლირება და პარალელური საგამომიებო სისტემები, თბილისი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.democracyresearch.org/geo/367/>; საქართველოს კანონის „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ მე-5 მუხლი.

ბოროტად გამოყენების მექანიზმი ხდება<sup>203</sup>. სუს-ის ამგვარი ბუნება ხშირად ხდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის კრიტიკის საგანი, თუმცა, ამ დრომდე უწყების არსებითი რეფორმა არ განხორციელებულა.

სუს-ის ხელში თავმოყრილ ჭარბ უფლებამოსილებებთან ერთად სამოქალაქო სექტორი ხშირად მიუთითებს სუს-ის არაფორმალურ გავლენებზე და ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო, პოლიტიკური პროცესების არაფორმალურ კონტროლზე.<sup>204</sup> სუს-ის მხრიდან არაფორმალური კონტროლის მცდელობები განსაკუთრებით შესამჩნევია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და კონტროლის სუბიექტები ხშირად სამოქალაქო აქტივისტები, ჟურნალისტები და ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანები ხდებიან. მათი კონტროლის ფორმები მრავალგვარია და დაშინების, დასჯის და ზოგჯერ სხვადასხვა ბენეფიტების შეთავაზებაში გამოიხატება.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის დაკვირვებით, სუს-ის არაფორმალური კონტროლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ხელისუფლებისთვის ან ბიზნესისთვის არახელსაყრელი, ადგილზე დაწყებული სამოქალაქო პროცესების კონტროლი, განეიტრალება, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სამოქალაქო აქტივისტების დაშინება და გამოთიშვა აქტივიზმიდან, რაც საბოლოო ჯამში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კრიტიკული აზრის ჩახშობას და ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად მართვას ემსახურება.

სუს-ის არაფორმალური კონტროლის მიღმა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები აგრეთვე უთითებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების (პოლიციელების) მხრიდან საპოლიციო კონტროლის ფორმალური ღონისძიებების გადაჭარბებული ფორმით განხორციელებაზე. აქტივისტების შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ შსს როგორც წესი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში რჩება, ფორმალური კონტროლი მათ მიმართ განსაკუთრებით აგრესიული და ჭარბია, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში შსს მოქმედებს როგორც სუს-ის იარაღი არაფორმალური კონტროლის განსახორციელებლად.

მოცემული თავის მიზანია, აჩვენოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სუს-ის მუშაობის მეთოდოლოგია, მისი არაფორმალური გავლენები ადგილზე დაწყებულ სამოქალაქო პროცესებზე და ამ პროცესში ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, კრიტიკულად განწყობილი პირების კონტროლის, მათზე გავლენის მოხდენისა და დასჯის მექანიზმები. ნიშანდობლივია, რომ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში აქტივისტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი არსებითად ემთხვევა დმანისის და ჯავახეთის რეგიონში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებს

<sup>203</sup> სოციალური სამართლიანობის ცენტრი, მარიამ გობრონიძე, თამთა წვერაიძე, „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა“, 2023

<sup>204</sup> იქვე.

სახელმწიფო აპარატის მხრიდან კონტროლის და დაშინების პრაქტიკის განხორციელების თვალსაზრისით.

## 2. ვის და რატომ აკონტროლებს სუსი?

2021 წლის 13-14 სექტემბერს საჯაროდ გავრცელებულმა ე.წ. სუს-ის კრებსებმა<sup>205</sup> (რომელიც ასახავდა საქართველოს საპატრიარქოს და სხვა კონფესიების სასულიერო პირების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების, სამოქალაქო აქტივისტების სატელეფონო საუბრებს) კიდევ უფრო ცხადი გახდა სუს-ის არაფორმალური კონტროლი და მისი მასშტაბები. ამ შემთხვევამ აჩვენა, რომ სუს-ის არაფორმალური კონტროლის სუბიექტები სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებია, მათ შორის სამოქალაქო აქტივისტები. შესაბამისად, მისი ინტერესი კიდევ უფრო დიდია, როდესაც საქმე ეხება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სამოქალაქო აქტივისტებსა თუ უფლებადამცველებს. კვლევის ფარგლებში გამოკითხული, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების შეფასებით, სახელმწიფო უწყებები (მათ შორის სუს-ი) ეთნიკურ უმცირესობებს ავტომატურად საფრთხედ განიხილავენ, რის გამოც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მუდმივი კონტროლის ქვეშ არიან. სამოქალაქო აქტივისტი პანკისის ხეობიდან უთითებს: „*სუს-ის კონტროლი ყველა ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. სამოქალაქო აქტივიზმს რომ თავი დავანდებოთ, ნებისმიერ საჯარო სამსახურში, თუნდაც მცირე პოზიციებზე, სუს-ის მიერ განიხილება შესაბამისი კანდიდატურა. ადამიანის შესაბამისობა ამ პოზიციაზე ფასდება არა ადამიანის პროფესიული კვალიფიკაციიდან, არამედ გადაწყვეტილებას იღებს სუს-ი იმის მიხედვით რამდენად ლოიალურია ეს ადამიანი ხელისუფლების მიმართ.*“

ამ პირობებში კონტროლი კიდევ უფრო ჭარბი ხდება, როდესაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სამოქალაქო აქტივიზმით ანდა იმგავრი უფლებადაცვითი, ჟურნალისტური საქმიანობით არიან დაკავებულები, რაც მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესებს არ შეესაბამება. კვლევის ფარგლებში გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ სუს-ის ინტერესი აშკარა და შესამჩნევი გახდა, როგორც კი სამოქალაქო პროცესებში ჩაერთვნენ ან ჟურნალისტური თუ უფლებადაცვითი საქმიანობა დაიწყეს.

ჟურნალისტი და სამოქალაქო აქტივისტი პანკისის ხეობიდან აღნიშნავს „*როდესაც მუშაობა დავიწყე და 2-3 თვის შემდეგ მასალების გამოქვეყნება დავიწყე სუსი მაშინვე დაინტერესდა ჩემი ვინაობით და პირველი მეგობრული შემოთავაზება*

<sup>205</sup> ინ ფორმაცია კრებსების გავრცელების თაობაზე <https://formulanews.ge/News/56536>

ჰქონდათ, რომ სამსახურის პარალელურად მათთან უნდა მეტუმრავა სანაცვლოდ კი დამატებით ჩემი ანაზღაურების ორმაგ ოდენობას მომცემდნენ“.

ანალოგიურად, ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში მომუშავე ჟურნალისტები უთითებენ, რომ მათი პერსონით სუს-ი ჟურნალისტური საქმიანობის დაწყებისთანავე დაინტერესდა და დაიწყო გამუდმებული კონტროლი. „15 წელზე მეტია ამ სფეროში ვარ. მუშაობის დაწყების პერიოდში კი იყო არაფორმალური კონტროლი არ ვიცოდით ძირითადად ვისთან გვაქვს საქმე, როგორ უნდა დავიცვათ ასეთ შემთხვევაში საკუთარი თავი. ახლა უფრო გამოცდილები ვართ ყველას ვიცნობთ, ჩვეულებრივი ამბავია მოსმენები და სხვა ამბები და არ გვეშინია.“ (ჟურნალისტი ჯავახეთიდან)

„მისტიური არსებობაა სუს-ის და პოლიციის მუშაობა. ასე პირდაპირ კონტაქტი არ აქვთ. 2007 წელს, როცა არ გვაძლევდნენ ლიცენზიას, ჩვენ გადავწყვიტეთ პრეზიდენტისთვის მიგვეწერა წერილი. ჩემმა მაშინდელმა თანამშრომელმა [...] პრეზიდენტს ხელში გადასცა ეს წერილი და ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი კონტროლი. [...] მუდმივად მოდიან, გვიღებენ ფოტოებს, უშუალო შეხება არ გვქონია და არ გვქონია მტკიცებულება რომ ეს ადამიანები არიან სუს-ის თანამშრომლები. უბრალოდ ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ ამ კონტროლს. ასევე სხვა ადამიანებიც, მუდმივად არის განცდა, შიშის ფაქტორი“ (ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან)

სამოქალაქო აქტივისტების შემთხვევაში კი როგორც წესი სუს-ი მათ მიმართ ინტერესს კონკრეტული სამოქალაქო პროცესის დაწყების ან მონაწილეობის ეტაპიდან ავლენს. „2014 წლიდან მქონდა პრობლემა სუს-თან. რადიკალური ცვლილებები მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ჩემს იდეოლოგიაში და ჩემი ცხოვრების სტილში. კერძოდ, მე დავიწყე სოფლის მოსახლეობის თვითორგანიზება და რადგან ეს პროცესი აღმოჩნდა წარმატებული, ამან გამოიწვია პრობლემა სუს-თან.“ - აღნიშნავს სამოქალაქო აქტივისტი ქვემო ქართლიდან.

„20 ივნისის აქციების შემდგომ ბაქოდან დამირეკა ჩემმა ნათესავმა რომელმაც მითხრა რომ მას დაუკავშირდნენ და უთხრეს რომ რატომ ვმონაწილეობდი აქციებში, რა ჩემი საქმე იყო, შემეწყვიტა აქციებში მონაწილეობა თორემ პოლიცია დამაკავებდა. ჩემმა ნათესავმა არ მითხრა კონკრეტულად ვინ ესაუბრა მას. ამ ფაქტის შემდგომ კიდევ რამდენჯერმე ვიგრძენი ჩემი არაფორმალური კონტროლი, ჩემს სოფელში, დარბაზში ჩემმა მეზობელმა და ბიძაჩემმა სხვადასხვა დროს დედაჩემს უთხრეს, რომ ჩემს შესახებ ინფორმაციას აგროვებდა ვინმე მეველუდი, რომელიც როგორც მოგვიანებით გავარკვეე არის სუს-ის თანამშრომელი და დედას უთხრეს რომ ფრთხილად ვყოფილიყავი და შემეწყვიტა ჩემი აქტივისტური საქმიანობა თორემ დამაკავებდნენ.“ (სამოქალაქო აქტივისტი ქვემო ქართლიდან)

სუს-ის კონტროლი სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მიმართ როგორც წესი მუდმივია, თუმცა იგი უფრო აქტიური და თვალსაჩინო ხდება, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს/იწყება ცალკეული სამოქალაქო პროცესები, პროტესტი, მოსახლეობის თვითორგანიზების პროცესი ან დგება საარჩევნო პერიოდი. კვლევაში მონაწილე პირების შეფასებით, მსგავს პერიოდებში სუს-ი განსაკუთრებით აქტიურია და იყენებს კონტროლის

ყველა მეთოდს ვითარების მართვისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სუს-ის კონტროლის მიზეზებიც განსხვავებულია. ზოგჯერ, კონტროლის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული სამოქალაქო პროცესის შეჩერება სამოქალაქო აქტივისტების, უფლებდამცველებისა და ჟურნალისტების განეიტრალების გზით, ზოგჯერ კი არჩევნებში მმართველი პოლიტიკური ძალის გამარჯვების უზრუნველსაყოფა, ცალკეულ შემთხვევებში კი მოსახლეობამდე ობიექტური ინფორმაციის მიტანის შეფერხება და ყოველგვარი კრიტიკული აზრის მოსპობა.

*„ძალიან რთულია თქვა კონკრეტულად რა მიზანი შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ ზოგადი მიზანია რომ ხეობაში {პანკისის ხეობა ავტორის შენიშვნა} არ უნდა არსებობდეს ალტერნატიული ან კრიტიკული ხმა. მაგალითად, მე მომისმენია თვითონ უხუცესთან საბჭოსგან რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ყველა ხელისუფლების მიმართ ლოიალურები და მივიღოთ ყველა ბენეფიტი. შესაბამისად, წინა ხელისუფლებაც მიჩვეული იყო კრიტიკული აზრის არ არსებობას და როცა ეს გაჩნდა გაჩნდა დიდი კონტროლიც. მიზანი არის ის რომ ყველა ჩუმად იყოს, ხმა არავინ არ ამოიღოს. ხელისუფლება ცდილობს თავისი ინტერესები გაატაროს. ეჭიდებიან ყველაფერს რომ თავისი ძალაუფლება შეინარჩუნოს და ყველას ანახოს რომ ის არის მთავარი და გაიტანენ საკუთარს. ძალის დემონსტრირება სურთ.“ (სამოქალაქო აქტივისტი პანკისის ხეობიდან)*

*„ყველაზე ხშირად უკავშირდება (კონტროლი) არჩევნებს, ასევე, მათ ძალაუფლებას, რომელსაც ხშირად არამიზნობრივად და უკანონოდ იყენებენ, ასევე, მათ არ აწყობთ საზოგადოებაში აქტიური წევრების ყოფნა და ცდილობენ მათ გაჩუმებას.“ (სამოქალაქო აქტივისტი ჯავახეთიდან)*

*„უნდათ რომ უფრო მართვადი მექანიზმები ჰქონდეთ ადგილზე. არ უნდათ ხალხთან მივიდეს საჭირო ინფორმაცია. მაგალითად ადგილობრივი თვითმმართველობა მუშაობს მარნეულის ტელევიზიასთან, იმიტომ რომ მათთვის არ წარმოადგენს საშიშროებას, რადგან აკონტროლებენ, იციან მათი კონტენტი და ა.შ. იმიტომ როცა რაღაცას ვერ აკონტროლებენ ბუნებრივია საფრთხეს გრძნობენ.“ (ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან)*

დასახელებულ მიზეზებთან ერთად, კვლევაში მონაწილე ყველა პირი უთითებდა, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სუს-ის კონტროლის ზოგად მიზანს წარმოადგენს ძალის დემონსტრირება და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საფრთხედ მონიშვნა. „აჩვენებენ რომ აქ არიან, ახსენებენ ხალხს, რომ ისინი აქ არიან, უყურებენ, ყველაფერი იციან, ყველაფერს უყურებენ“ (ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან)

*„ ზოგადად ეთნიკური უმცირესობების მიმართ შიში და მათი კონტროლის სურვილი აქვთ. მე მგონია, რომ უმცირესობებს ხედავენ საფრთხედ“ (სამოქალაქო აქტივისტი პანკისის ხეობიდან).*

### 3. კონტროლის ფორმები - გადაბირება და დასჯა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან სამოქალაქო პროცესების არაფორმალურ კონტროლს სამოქალაქო აქტივისტები, უფლებადამცველები და ჟურნალისტები რამდენიმე ფორმით გრძნობენ. კონტროლის ფორმები, როგორც წესი ერთმანეთის მსგავსია და ყველა რეგიონში გამოიყენება. კვლევაში მონაწილე პირები აღწერენ, რომ სამოქალაქო პროცესების არაფორმალური კონტროლისთვის სუს-ი იყენებს აქტივისტების ფარული მოსმენის, თვალთვალის, გადაბირების, მუქარისა და დასჯის მეთოდებს.

კვლევაში მონაწილე პირების განმარტებით, სამოქალაქო აქტივისტების საქმიანობისა და სამოქალაქო პროცესების არაფორმალური კონტროლისთვის სუს-ი აქტიურად იყენებს ფარული მიყურადების მექანიზმს და შესაბამისად უკანონოდ ახორციელებს მათი კერძო კომუნიკაციის მოსმენას. სამოქალაქო აქტივისტებს და ჟურნალისტებს აქვთ განცდა, რომ სუს-ს ყოველთვის აქვს ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ. სამოქალაქო აქტივისტებსა და ჟურნალისტებს ამგვარ განცდას უქმნის სახელმწიფო უწყებების ინფორმირებულობა მათ მიერ დაგეგმილ საქმიანობებზე, რაზეც უწყებებს ინფორმაცია არ უნდა ჰქონდეთ. მაგალითად, ქვემო ქართლში მცხოვრები სამოქალაქო აქტივისტი აღნიშნავს, რომ მისი და მისი ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლის ფორმად სუს-ი სავარაუდოდ აქტიურად იყენებს ფარულ მოსმენას და თვალთვალს, რაც არაერთ შემთხვევაში დადასტურდა. ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უკავშირდებოდა, როდესაც აქტივისტმა მეგობარს ტელეფონით საუბრის დროს მოუყვა არჩევნების მიმდინარეობისა და სავარაუდოდ „კანონიერი ქურდების“ მონაწილეობაზე. ტელეფონზე საუბრიდან რამდენიმე საათში მას დაუკავშირდნენ მისთვის უცნობი პირები და უთხრეს „ბევრი არ ელაპარაკა“.

ანალოგიურად, ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხები ფიქრობენ, რომ „ყველაფერი ისმინება“ და მათი აქტივობების შესახებ ყოველთვის აქვს ინფორმაცია სუს-ს.

ჟურნალისტებისა და აქტივისტების შეფასებით, ფარული მოსმენისა და თვალთვალის გარდა, მათი საქმიანობის კონტროლისთვის სუს-ი აგრეთვე იყენებს მედია ან არასამთავრობო ორგანიზაციაში თანამშრომლებს შორის მათთვის სასურველი პირების ჩანერგვის მეთოდს და ამ გზით იღებს ინფორმაციას ორგანიზაციის შესახებ. ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან აღნიშნავს, რომ „[მედია ორგანიზაციაში] პერიოდულად მოდიოდნენ ხოლმე სხვადასხვა თანამშრომლები და მოგვიანებით გავარკვიეთ რომ ისინი თანამშრომლობდნენ სუს-თან და ჩვენთან თანამშრომლობით იღებდნენ ინფორმაციას რადიოში მიმდინარე ამბების, დაფინანსების, ჩვენთან კავშირში მყოფი პირების შესახებ. მაგალითად აინტერესებდათ ჩვენი სითამამე საიდან მოდიოდა და ა.შ.“ მსგავს პრაქტიკასთან ერთად, ჯავახეთში მცხოვრები აქტივისტები და ჟურნალისტები ასევე უთითებენ, რომ არის შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ აქტივობაში მონაწილეობის მისაღებად მიდიან უცნობი პირები, ინტერესდებიან აქტივობის დეტალებით, აგრეთვე რეგიონში მომუშავე არაერთი მედია საშუალება

სავარაუდოდ თანამშრომლობს სუს-თან და აწვდიან სხვადასხვა ინფორმაციას. „როდესაც ოფისში რაიმე აქტივობება ვგეგმავთ მოდიან უცხო პირები და ადევნებენ რა ხდება, რა შეხვედრაა და ა.შ. მე კი უკვე ვიცნობ ვინ არიან და ყავაზე დაგვპატიჟებ ყოველთვის და ამ დროს მადლობას ამბობენ და ტოვებენ ოფისის ტერიტორიას {...} მე ვიცი ადგილობრივი მედია ორგანიზაციები, რომლებიც სუს-ისთვის მუშაობენ, მოდიან ვითომ რეპორტაჟს აკეთებენ და შეხვედრის ბოლომდე დარჩებიან კამერა ან მიკროფონი ჩართული. ასე მუშაობს რეგიონში სუს-ი.“

სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების საქმიანობის კონტროლისთვის ფარული მოსმენის, თვალთვალისა და სხვადასხვა პირებიდან ინფორმაციის მიღებასთან ერთად, კვლევაში მონაწილე ყველა პირი აღნიშნავს, რომ მათზე გავლენის მოხდენის მცდელობისა და საქმიანობის კონტროლის მთავარ მექანიზმს გადაბირება, სხვადასხვა (ოჯახის წევრები, ახლობლები, თემის ლიდერები, თანამშრომლები და ა.შ. ) ადამიანების მეშვეობით გავლენის მოხდენა ან დასჯა წარმოადგენს.

ჟურნალისტები და სამოქალაქო აქტივისტები აღნიშნავენ, რომ მათი საქმიანობის კონტროლს სუს-ი როგორც წესი გადაბირებით იწყებს. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე სამოქალაქო აქტივისტი აღმოჩნდება საინტერესო სუს-ის წარმომდგენლები მასთან მიდიან თანამშრომლობის შეთავაზებით და ამაში შესაბამის ანაზღაურებასაც სთავაზობენ. თავის მხრივ, თანამშრომლობა გულისხმობს სუს-ისთვის ინფორმაციის მიწოდებას იმ ორგანიზაციის შესახებ, სადაც მუშაობს აგრეთვე თემის შესახებ. „როდესაც მუშაობა დავიწყე, 2-3 თვის შემდეგ სუსი მაშინვე დაინტერესდა ჩემი ვინაობით და პირველი მეგობრული შემოთავაზება ჰქონდათ რომ სამსახურის პარალელურად მათთან უნდა მემუშავა სანაცვლოდ კი დამატებით ჩემი ანაზღაურების ორმაგ ოდენობას მომცემდნენ“ (სამოქალაქო აქტივისტი პანკისის ხეობიდან). ჟურნალისტი სამცხე-ჯავახეთიდან აღნიშნავს „ როდესაც დავიწყე მუშაობა, დაუკავშირდნენ მამაჩემს და შესთავაზეს ჩემთვის სამუშაო სკოლაში. მე კი უარი თქვი, რადგან არ ვარ პროფესიით მასწავლებელი და ვიცოდი რაში მდგომარეობდა მათი სამუშაოს შეთავაზების შედეგი - შემდგომი თანამშრომლობა მათთან“. თანამშრომლობის შეთავაზების გარდა, საწყის ეტაპზე სუს-ის წარმომადგენლები ცდილობენ აქტივისტები უბრალოდ საქმიანობის შეწყვეტაზე ან ნაკლებად კრიტიკულ პოზიციებზე ყოფნაზე დაითანხონ და ცხადია ამ შემთხვევაშიც მათ გარკვეულ ბენეფიტებს სთავაზობენ- ეს შეიძლება იყოს დასაქმება, მათთვის მნიშვნელოვანი პირადი ან საყოფაცხოვრებო საკითხების მათთვის სასურველი გზით გადაწყვეტა და ა.შ.

„აქტიურობა გამოიხატება თავდაპირველად აქტივისტებთან კომუნიკაციაში, მცდელობაში რომ დაგითანხმონ შეწყვიტო აქტიურობა, როცა ამას თვითონ ვერ აღწევენ, შეიძლება უახლოეს მეგობრებზე გავიდნენ და მათი მეშვეობით შეეცადონ რომ გაგაჩერონ, როცა ეს მეთოდიც არ გამოიღებს შედეგს აქვთ სხვა მეთოდებიც“ (სამოქალაქო აქტივისტი პანკისის ხეობიდან )

„ჩემთან იყო შემოთავაზება, რომ თუ ჰესების მიმართ არ ვიქნებოდი კრიტიკული დამასაქმებდნენ ამ პროექტში, მექნებოდა ხელფასი, თანამდებობა და ა.შ.“ (სამოქალაქო აქტივისტი პანკისის ხეობიდან ).



გადაბირების, თანამშრომლობისა და საქმიანობის შეწყვეტაზე დათანხმების მცდელობების წარუმატებლობის შემთხვევაში, როგორც კვლევის ფარგლებში მონაწილე პირები აღნიშნავენ, სუს-ი იწყებს კონკრეტული აქტივისტების რეპუტაციის დაზიანებას და მუქარას. რეპუტაციული ზიანის მიყენების მიზანს აქტივისტის მიმართ თემში უნდობლობის გაჩენა და მისი გარიყვაა. მუქარა კი როგორც წესი მიემართება მათი და მათი ოჯახის წევრების თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობას, სამსახურიდან გათავისუფლებას, სხვადასხვა მიმართულებით პრობლემების შექმნას.

*„შეიძლება გოგოების მეშვეობით შეგიყოლიონ რაღაც ამბებში. მერე იწყებენ პიროვნების „გამავებას“. მაგალითად ჩემს შემთხვევაში ხალხში ეუბნებოდნენ რომ მას ფულს უხდის სოროსის დაფინანსებული ორგანიზაცია. ამისთვის იბარებენ ხალხს სუს-ში და ეუბნებოდნენ რომ ჩვენ გვაქვს მტკიცებულებებიო რომ თითქოს მე დაფინანსებდა კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციები. ასე ცდილობს სუსი. პოლიცია პირდაპირ მუშაობს როგორც წესი, მაგალითად ჰესების საქმეზე პირდაპირ დამიბარეს კახეთის სამმართველოში, თუმცა მათაც აქვთ სხვა მეთოდები. მაგალითად მე მირეკავდნენ როცა სახლში ვიყავი და მეუბნებოდნენ რომ უნდოდათ ჩემთან ლაპარაკი, მე ვთავაზობდი სხვა ადგილას შეხვედრას, თუმცა მაინც სახლში მოდიოდნენ. ამით ცდილობდნენ ხალხში უნდობლობა გაეჩინათ ჩემს მიმართ, შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ თითქოს მე ვძმაკაცობ პოლიციასთან, სახლში მოდიან ჩემთან და ვთანამშრომლობ მათთან.“(სამოქალაქო აქტივისტი პანკისის ხეობიდან)*

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში სუს-ი პირდაპირ არ მოქმედებს და მათ სხვადასხვა პირების მეშვეობით ემუქრება. როგორც კვლევაში მონაწილე პირები უთითებენ, მათ სუს-ის მუქარას ზოგჯერ ოჯახის ახლობლები, ნაცნობები ან რეგიონში სხვადასხვა უწყებაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი პირების მეშვეობით გადასცემენ და გაჩუმებას ურჩევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პრობლემების შექმნით ემუქრებიან.

*„ორგვარი მეთოდი აქვთ, ერთია როცა შეფარული მუქარით ცდილობენ გაჩერებას, მაგალითად კარგი ბიჭია, რატო იქმის პრობლემას, გაჩერდეს, ნუ შეაფერხებს კარიერულ განვითარებას და მეორე როცა პირდაპირ გემუქრებიან, რომ თუ არ გაჩერდები შენთვის ყველა კარი დაკეტილი იქნება, ვერცერთ საჯარო სამსახურში ვერ იმუშავე. მაგალითად, ერთ-ერთ აქტივისტთან იყო შეათავაზება რომ დასაქმებულიყო ერთ-ერთ საჯარო სამსახურში, თუმცა როცა ნახეს რომ ჰესებზე კრიტიკული პოზიცია ჰქონდა, მაშინვე უთხრეს რომ ვერ დასაქმდებოდა. ასევე ჩემთან იყო შემოთავაზება, რომ თუ ჰესების მიმართ არ ვიქნებოდი კრიტიკული დამსაქმდებდნენ ამ პროექტში, მექნებოდა ხელფასი, თანამდებება და ა.შ.“(სამოქალაქო აქტივისტი პანკისიდან)*

*„არჩვენების პერიოდში მამაჩემთან იყო მერიის მოქმედი თანამშრომელი მოსული, მათ შორის საუბარი იყო ჩემზეც, მომავალში თუ მინდოდა აქ სამსახური მქონოდა სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავი.“(ქურნალისტი ჯავახეთიდან)*

სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მათი მისამართით მუქარის მიღმა ხშირია შემთხვევები, როდესაც სუს-ი მათი აქტიურობის გამო, ოჯახის წევრებს ემუქრება ან პრობლემებს უქმნის და ცდილობს ამ გზით აიძულოს აქტივისტები ან ჟურნალისტები შეწყვიტონ საქმიანობა.

*„2017 წლამდე მამაჩემი მუშაობდა მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში, მამაჩემზე წავიდა ზეწოლა, როცა მე მარნეულში დავიწყე მუშაობა, რომ გავჩერებულიყავი, თორე გაუშვებდნენ სამსახურიდან და მართლაც საბოლოოდ გაუშვეს და აქამდე ვერც ერთ სამსახურში ვერ დასაქმდა.“ (ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან)*

*„როდესაც ვიღაცების გამოგ ზავნით ვერ შეძლეს ჩემი გაჩერება, მერე ახლობლებთან ნათესავების მიმართ იყო მუქარები. მაგალითად მამიდაჩემი მუშაობს საბავშვო ბაღში, რომელსაც რამდენჯერმე დაემუქრნენ სამსახურიდან გაშვებით, რომ გავჩერებულიყავი, ასეთი შემთხვევა იყო დედაჩემთანაც. თავს არ ვიქებ, მაგრამ ამ კუთხით მაშინ პრინციპულობა გამოვიჩინე და მაინც არ გავჩერებულვარ.“ (სამოქალაქო აქტივისტი პანკისის ხეობიდან)*

სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტებისა თუ მათი ოჯახის წევრების მიმართ მუქარის შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ კვლავ გრძელდება სუს-თვის არასასურველი საქმიანობა, როგორც კვლევაში მონაწილე პირები აღწერენ, სუს-ი პირდაპირ იერიშზე გადადის და მათთვის პრობლემების შექმნას იწყებს. მეორე მხრივ კი კვლავ აგრძელებენ მათი რეპუტაციის შელახვას და სხვადასხვა პირების მეშვეობით მათთან დაკავშირებით ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ. თუმცა, როგორც კვლევა აჩვენებს, სუს-ი პანკისის ხეობაში უფრო აქტიურობს და ადგილზე მომუშავე ჟურნალისტებს, სამოქალაქო აქტივისტებს პერიოდულად სამართლებრივ პრობლემებს უქმნის, ხოლო სხვა რეგიონებში უმეტესად ცრუ ინფორმაციის გავრცელებით შემოიფარგლება.

*„2022 წელს სოფელ მუშევანში საპროტესტო აქციის სუს-თან მოთანამშრომლე ადამიანები ჩემს წინააღმდეგ ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ვიყავი არასანდო და ფული მქონდა აღებული.“ (სამოქალაქო აქტივისტი ქვემო ქართლიდან)*

*„კონტროლი ყველაზე მეტად განვიცადე ჰესების პროტესტის დროს. თუმცა ამ კონტროლის გამო უარი არ მითქვამს ჩემს პოზიციებზე, ბოლომდე კრიტიკულად ვიდექი. თუმცა, არიან ადამიანები ვისაც ამ კონტროლმა უარი ათქმევინა. შემდგომ როცა რადიოში დავიწყე მუშაობა ეს უკვე რთული იყო ჩემთვის, იმიტომ რომ უკვე პირდაპირი მუქარები მოდიოდა ჩემზე, როცა რაღაც კრიტიკული იწერებოდა, ან გვარებს შორის დაპირისპირებაზე რადიოში უკვე პირდაპირ აგრესია მოდიოდა ჩემზე. ძალიან რთული იყო, ყველა მხრიდან იყო ზეწოლა, მაგალითად შორტების საკითხზე ისეთი თემაა, რომ ხეობაში ადვილად განაწყობდნენ ჩვენს წინააღმდეგ, მაგალითად, ამბობდნენ რომ ჩვენს გამო დააკავეს კონკრეტული პირები. ასეთ პოპულისტურ განცხადებებს აკეთებდნენ, ცდილობდნენ რომ თემის წარმომადგენლები ჩვენს წინააღმდეგ განეწყობოთ.“ (ჟურნალისტი პანკისის ხეობიდან)*

*„ჩემს თანამშრომლებზე სულ არის ეს ზეწოლა, მათ მშობლებს ხშირად ეუბნებიან რომ რა უნდათ მათ შვილებს თათრებთან, ლანძღავენ საჯაროდ, აბულინგებენ და ა.შ.“ (ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან)*

კვლევა აჩვენებს, რომ პანკისის ხეობაში ხშირია, როდესაც აქტივისტებს ჟურნალისტებს საქართველოდან გასვლის დროს სახელმწიფო საზღვარზე რამდენიმე საათით აყოვნებენ და დაყოვნების საფუძველს არ უმარტავენ, ამოწმებენ მათ საბანკო ანგარიშებს, იბარებენ პოლიციის განყოფილებებში, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის დროს ხშირად აჩერებენ, პირადად ჩხრეკენ ან ჩხრეკენ მათ კუთვნილ ავტომობილს. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეების საზღვარზე დაყოვნება.

*„იყო შემთხვევა როდესაც შემიზღუდეს გზავნილის მიღება. გამაცნეს რომ ჩემს მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩაატარეს და ხელი მომაწერინეს დოკუმენტზე, მიზეზი არ უთქვამთ, მერე როგორც თავად ვესტერნ უნიონისგან მიღებული წერილით გავიგე პოლიციის მხრიდან შემჩნეული ვიყავი ტერორიზმის ხელშეწყობაში და საბოლოოდ გამიუქმეს ანგარიში“ (ჟურნალისტი პანკისის ხეობიდან)*

*იყო პოლიციაში დაბარების შემთხვევები როგორ ჩემი, აგრეთვე, ჩემი და ჩემი მეუღლის ოჯახის წევრების. 2011 წლიდან მუდმივად იყო ეს პრობლემები. თვალთვალი, მანქანა გამიხსნეს, მუქარა, დაპირებები. გაჩერდეს თორემ პრობლემებს შევუქმნით. იყო შემთხვევები როდესაც თანხა გადმოირიცხავთ და მირეკავდნენ თითქოს ბანკიდან იყვნენ და მეკითხებოდნენ საიდან დაირიცხა თანხა. იყო შემთხვევა ჩემი ახლობელი მირეკავდა, რომ თითქოს ჩხუბი მოუვიდა და ჩამოდი გვერდით დამიდექიო, როგორც ვხვდებოდი მიზანი ჰქონდათ ჩავრთულიყავი ჩხუბში და მერე პროვოკაცია მოეწყოთ.“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან).*

*„რადაცნაირად ასეთი რეჟიმია მოწყობილი. ასე იყო წინა ხელისფლების დროსაც შეიძლება უფრო მეტი სიმკაცრითაც. მათ შორის შევარდნაძის პერიოდშიც და დღემდე ასე გრძელდება. მნიშვნელოვანი პრობლემაა საზღვარზე შემოშვებაც. ვინც ევროპაში წავიდა და ზაფხულში ჩამოსვლა სურთ ხდება ამ თემით ვაჭრობა. შემოშვების სანაცვლოდ მათ სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებს სუსი. მთავარი მოთხოვნა მაინც მმართველი პარტიისთვის არჩევნების პერიოდში მიხმარება და მათთვის ინფორმაცორად მუშაობაა.“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან).*

როგორც კვლევა აჩვენებს, სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიმართ მუქარას, მათთვის სამართლებრივი პრობლემების შექმნას სხვადასხვა მიზანი აქვს. როგორც კვლევაში მონაწილე პირები აღწერენ სუს-ის მუქარის ან მათთვის პრობლემების შექმნის მიზანი განსხვავდება კონკრეტული პროცესების მიხედვით. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ რეგიონში იწყება დიდი სამოქალაქო პროცესები, რომლებსაც თვითორგანიზების ფორმა აქვს და ამ პროცესში ჩართულები არიან სამოქალაქო აქტივისტები, სუს-ი როგორც წესი მათგან სამოქალაქო პროცესიდან სრულ გამოთიშვას და პროტესტში მონაწილეობაზე უარის თქმას ითხოვს. ამავე

დროს, ჟურნალისტებისგან ითხოვს არა საქმიანობის შეწყვეტას, არამედ ამბების იმგვარ გაშუქებას რაც მმართველი პოლიტიკური ძალისთვის იქნება სასურველი.

*„ხშირად მითვლიან ხოლმე ნათესავების მეშვეობით, რომ გავჩერდე, ნუ ვაკეთებ ამ საქმეს, ნუ ამბობს მერიაში დასაქმებულ პირებზე ცუდს, მერე რა რომ კორუფციულ ამბებში არიან ჩართულები. იმას არ მეუბნებიან რომ საერთოდ შევწყვიტო მუშაობა, უბრალოდ მეუბნებიან როგორ ვიმუშავო, რა თემები ავიღო.“ (ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან)*

*„ძირითადად მიზანი მაინც კრიტიკის შესუსტებაა. აქტიური ადამიანების ემინიათ და მუდმივად ცდილობენ მათ გაკონტროლებას. თუნდაც მაგალითისთვის პრესის შემთხვევა რომ ავიღოთ ადრე მეტად კრიტიკულები იყვნენ მთავრობის საქმიანობის მიმართ და აქტიურად აშუქებდა სხვადასხვა პრობლემებს, ბოლო პერიოდში ეს ერთგვარად შესუსტდა, რაც შეიძლება სწორედ მათ კონტროლს უკავშირდებოდეს.“ (ჟურნალისტი ჯავახეთიდან)*

*„ძირითადი მოთხოვნა იყო კონკრეტულ თემებზე აქტივობისგან თავის შეკავება სტატიის მომზადებისგან თავის შეკავება. ჰესების საკითხზე თემის გააქტიურებამდე ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე ვამზადებდი მასალა, მაშინ არ იყო ეს თემა მათთვის საინტერესო და იმდენად დიდი დაინტერესება და ხელშეშლა სუს-ის მხრიდან არ ყოფილა, მაგრამ როდესაც რეალურად პროცესები დაიწყო, ამ პერიოდში ბევრი მიმართულებით ცდილობდნენ ჩემს შეჩერებას, მათ შორის ახლობელების დაშინებით.“ (ჟურნალისტი პანკისის ხეობიდან)*

#### 4. სუს-ის არაფორმალურ კონტროლში მონაწილე აქტორები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო პროცესების კონტროლს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან კონკრეტული ფიზიკური პირების მეშვეობით ცდილობს. როგორც კვლევაში მონაწილე პირები აღნიშნავდნენ, კონტროლის პროცესში ერთ-ერთ მთავარ რგოლს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლები, საჯარო სკოლების დირექტორები და პოლიციის თანამშრომლები წარმოადგენენ. მითითებულ პირებთან ერთად, რეგიონებში სამოქალაქო პროცესების სიმძაფრის გათვალისწინებით, პროცესების შესუსტებას შესაძლოა თემში გარკვეული ავტორიტეტის მქონე პირების, სასულიერო პირების, ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენების ან კრიმინალური ავტორიტეტების მეშვეობით შეეცადონ.

ჟურნალისტებისა და სამოქალაქო აქტივისტების განმარტებით, საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში და სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლების უმეტესობა სუს-ის ყოფილი თანამშრომელია, მოქმედი თანამშრომლის ოჯახის წევრია ან თავად თანამშრომლობს სუს-თან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლების სუს-თან აფილაცია ყველასთვის ცნობილი ფაქტია და ასეც რომ არ იყოს, როგორც კვლევაში მონაწილე პირები აღნიშნავენ, იმ შემთხვევაში თუ აქტივისტური ან კონკრეტული ჟურნალისტური საქმიანობა სუს-თვის მიუღებელია, ოჯახის ახლობლების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლები ცდილობენ მათ დარწმუნებას, რომ შეწყვიტონ საქმიანობა, რაც მათ აფიქრებინებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლებს სუს-თან მჭირდო კავშირი აქვთ.

*„ზოგი ვიცით რომ სუს-ის ოფიციალური თანამშრომლები არიან. თუმცა ზოგი მათთან დაახლოებული პირია და არაოფიციალურად თანამშრომლობს. სუსთან კომუნიკაცია აქვს ყველას, ადგილობრივი თვითმმართველობაში ძალიან მაღალ დონეებზე არიან სუს-თან დაახლოებული პირები“.* (ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან)

*„პირდაპირ, რა თქმა უნდა, არავინ ამბობს რომ სუსზე მუშაობს, მაგრამ მათი ქმედებებიდან ჩანს, რომ ისინი იქ მუშაობენ. თუნდაც მაგალითისთვის არიან ისეთი ადამიანები, ვინც ძალიან სწრაფად ყოველგვარი კვალიფიკაციის გარეშე დაიწყო მერიაშიმუშაობა, მაშინ როდესაც სხვას ვისაც შესაბამისი განათლებაც და გამოცდილებაც აქვს დაუსაბუთებლად უარს ეუბნებიან. მათი დასაქმების ერთადერთი ასხნა შეიძლება იყოს ის რომ ისინი მუშაობენ სუსზე.“* (ჟურნალისტი ჯავახეთიდან)

*„ნათლად არავინ არ ამბობს, რომ სუსზე მუშაობს, ვინმემ რომ თქვა ძალიან გართულდება მათთვის სოფელში ცხოვრება, მაგრამ დანამდვილებით ვიცით რომ ადგილობრივი დეპუტატები და საჯარო მოხელეები თანამშრომლობენ მათთან და მათ დავალებებს ასრულებენ“.* (აქტივისტი ქვემო ქართლიდან).

კვლევაში მონაწილე პირების შეფასებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლების გარდა, სუს-თან აქტიურად თანამშრომლობენ საჯარო სკოლების, საბავშვო ბაღების დირექტორები. მათი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესების დროს და რეგიონებში მმართველი პარტიის სასარგებლოდ საარჩევნო ხმების მობილიზების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ამასთან, საჯარო სკოლების დირექტორები ცდილობენ თანამშრომლებზე გავლენის მოხდენას იმ შემთხვევაში თუ ისინი ან მათი ოჯახის წევრები სამოქალაქო აქტივიზმით არიან დაკავებულები და როგორც წესი ურჩევენ ზედმეტი პრობლემების თავიდან არიდების მიზნით თავი შეიკავონ სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობისგან წინააღმდეგ შემთხვევაში უქმნიან იმგვარ სამუშაო პირობებს, რომ აიძულონ სამსახურიდან წასვლა.

*„მე {...} აქციების დროს ხშირად ვიყავი ტელევიზიაში, ამ დროს სკოლის დირექტორმა მითხრა რომ მასწავლებელი არ უნდა ყოფილიყო ასეთი აქტიური ამიტომ დამერეგულირებინა ეს საკითხი. ასევე როგორც ვიცი რესურს ცენტრის უფროსმა დააბარა სხვებს რომ გავჩერებულიყავი. სკოლაში ხშირად მაკონტროლებს დირექტორი, მაგალთად აკონტროლებს ჩემს მიერ დაწერილ*

ნიშნებს, თუ გავაცდინე სკოლა ოფიციალურად უნდა დავადასტურო მიზეზი და ა.შ.“ (აქტივისტი ქვემო ქართლიდან)

„ყველა მუშაობს ერთი ადამიანის მიერ დაწერილი სისტემით, თუ რომელიმე დასახელებაში რაიმე ხდება, ყველაფრის შესახებ ჯერ ინფორმირებული უნდა იყვნენ სოფლის რწმუნებელი, სკოლის დირექტორი, თემის წარმომადგენელი საკრებულოში და სხვა ეგეთი ტიპის ადამიანები. ზოგადად ზუსტად ზემოთაღნიშნული ადამიანები აკონტროლებენ სოფლებს. სანაცვლოდ, სკოლის დირექტორი ერთამს აიღებს ვინმეს სკოლაში მასწავლებლად ასაყვანად. ასე მუშაობს ეს სისტემა, სოფლებში ძალიან რთული ვითარებაა, ჩვენც რომ მივდივარ იმ წუთში დარეკავენ, რომ ჟურნალისტები მოვიდნენ სოფელში და ეგრე ხდება კონტროლი. შემდეგ ყველაფერზე კონსპექტს ამზადებენ და გაგზავნიან სუს-ში“ (ჟურნალისტი ჯავახეთიდან)

„ყველა სადავე სუს-ის ხელშია და ის მუშაობს პოლიციის ადმინისტრაციის თუ სხვა უწყების საქმეზე. თუნდაც სკოლაში, ბაღში, საჯარო სამსახურში მათი ჩართულობით ხდება ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა.“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)

ლიდერების გარდა სუს-ს აქვს ყველგან აგენტურა. სოფელში, არასამთავრობოში, მედიაში, სავადმყოფოში, ბანკში და ყველგან. ყველა იცის რომ სკოლის დირექტორი სუს-ის აგენტია, არც ერთ დირექტორს არ აქვს დირექტორობის სერტიფიკატი და გაფლანგავენ სკოლის ინვენტარს, როგორ მუშაობენ დღემდე? - სუს-ის მფარველობით.“ (აქტივისტი ჯავახეთიდან)

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების, განსაკუთრებით სოფლებში მერის წარმომადგენლების და საჯარო სკოლების, ბაღების თანამშრომლების სუს-თან თანამშრომლობის ფაქტები გარკვეულწილად განსხვავებულად არის წარმოდგენილი პანკისის ხეობაში. როგორც კვლევაში მონაწილე პირების აღნიშნავენ, საჯარო სკოლების, ბაღების ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა რა თქმა უნდა თანამშრომლობს სუს-თან და სუს-ის თანხმობის გარეშე ფაქტობრივად არ მიიღება ხეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, იქნება ეს კონკრეტული ადამიანის აყვანა სამსახურში თუ რაიმე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, მაგრამ ადგილზე მაინც არიან თვითმმართველობის ორგანოში თუ სკოლებში/ბაღებში დასაქმებული პირები, რომლებიც საკუთარი შეხედულებებით მოქმედებენ და ცალკეულ საკითხებზე აქვთ სუს-ისგან განსხვავებული პრინციპული პოზიციები. აღნიშნული კარგად გამოჩნდა პანკისი ხეობაში ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ არსებული პროტესტის დროს, როდესაც საპროტესტო აქციაში თავად სოფლებში მერის წარმომადგენლები ან სკოლების დირექტორები იღებდნენ და აპროტესტებდნენ ჰესების მშენებლობას.

„არის შემთხვევები მერის წარმომადგენლებიც არიან ჩართულები, თუმცა ერთი წარმომადგენელი შეიძლება იყოს ჩართული, მეორე წარმომადგენელი პირიქით ხალხთან იყოს, აკრიტიკებდეს. ასევე სკოლის დირექტორებიც ანალოგიურად.“

*მერის წარმომადგენლებს და დირექტორებს როგორც წესი არჩევნებზე, საპროტესო აქციებზე ხალხის მობილიზებისთვის იყენებენ. (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)*

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სუს-ის არაფორმალური კონტროლში აგრეთვე შესაძლოა ჩართულები იყვნენ სასულიერო პირები, რელიგიური ლიდერები, თემის უხუცესები ან ადგილობრივი ბიზნესმენები. კვლევაში მონაწილე პირების ინტერვიუებით დგინდება, რომ ცალკეულ შემთხვევებში სამოქალაქო პროცესების ხელისუფლებისთვის სასურველი მიმართულებით წასაყვანად სუს-ი რელიგიური ლიდერების ან უხუცესების მეშვეობით ცდილობს მოსახლეობაზე გავლენის მოხდენას. პანკისის ხეობაში და სამცხე-ჯავახეთში კი ხელისუფლებასთან დაახლოებული ადგილობრივი ბიზნესმენებიც მონაწილეობენ ამ პროცესში.

*„მუსლიმ თემში არის ორი ორგანიზაცია. ერთ ორგანიზაციასთან ვერ არის სუს იმდენად ჩართული, ვერ ახერხებენ მის გაკონტროლებას, თუმცა მეროე ორგანიზაციას, რელიგიის საკითხთა სააგენტოს მეშვეობით აკონტროლებენ. რაც შეეხება ადგილზე მართლმადიდებლურ ეპარაქიას, ერთმანეთთან არიან გადაჯაჭვულები“ (ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან)*

*„არჩევნების პერიოდში სოფლის რწმუნებული, ადგილობრივი დეპუტატები, ასევე მმართველი პარტიის მიერ დაქირავებული აქტივისტები ასევე უხუცესთა საბჭო, რომელიც კიდევ მოქმედებს ქვემო ქართლში, სუსის არ მაგრამ, უხუცესების გავლენით ცდილობენ აზრი შეაცვლევინონ ოჯახის წევრებს. (აქტივისტი ქვემო ქართლიდან)*

*„ძირითადად თემის ლიდერებს იყენებენ, ადგილობრივი ბიზნესმენები, უხუცესები. არის შემთხვევები მერის წარმომადგენლებიც არიან ჩართულები, თუმცა ერთი წარმომადგენელი შეიძლება იყოს ჩართული, მეორე წარმომადგენელი პირიქით ხალხთან იყოს, აკრიტიკებდეს. ასევე სკოლის დირექტორებიც ანალოგიურად. მერის წარმომადგენლებს და დირექტორებს როგორც წესი არჩევნებზე, საპროტესო აქციებზე ხალხის მობილიზებისთვის იყენებენ.“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)*

ჟურნალისტებისა და სამოქალაქო აქტივისტების კონტროლის მიზნით სუს-ი ზემოთ აღწერილ მეთოდებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თითქმის ყველა რეგიონში იყენებს, თუმცა, როგორც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ქვემო ქართლში მცხოვრები აქტივისტების საქმიანობის კონტროლისთვის სუს-ი იყენებს ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტსაც. კვლევაში მონაწილე სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების განმარტებით, კანონიერი ქურდები ჩართულები არიან როგორც წინასაარჩევნო პროცესებში<sup>206</sup> და არჩევნების მიმდინარეობაში, აგრეთვე რეგიონში ხელისუფლებისთვის არასასურველი სამოქალაქო პროცესებისა და ხალხის

<sup>206</sup> კრიმინალური ავტორიტეტების / არაფორმალური ჯგუფების გავლენა საარჩევნო პროცესზე, პრევენცია პროგრესისთვის“ (PFP) (ყოფილ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“ RIVG) და „დემოკრატიისა და უსაფრთხოების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2022, გვ. 23

თვითორგანიზების განეიტრალებაში. გავლენის მოხდენის საშუალებად ისინი საკუთარ ავტორიტეტს იყენებენ და მოსახლეობისგან ითხოვენ ხელისუფლებისთვის, სუს-თვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას. ქვემო ქართლში მცხოვრები ერთ-ერთი სამოქალაქო აქტივისტი აღნიშნავს, რომ „ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც უშუალოდ ახორციელებდა ჩემზე ზეწოლას. ვინაიდან მე ვცდილობდი მოსახლეობის თვითორგანიზებას, მითხრეს რომ არ უნდოდათ ამ პროცესების ორგანიზება, ამიტომ უნდოდათ რომ შემეწყვიტა აქტიურობა და გავჩერებულიყავი, თორემ თუ ამ ფორმით გავაგრძელებდი მუშაობას, ცუდი შედეგით დამთავრდებოდა. ამიტომ მითხრეს იმედია გავიგებდი და მეორედ მოსვლა აღარ გახდებოდა საჭირო. მოგვიანებით ამ ბიჭმა ქურდული სამყაროს წევრმა კიდევ დამირეკა და მითხრა რომ იმედია სწორად გავიგე ყველაფერი“ {...}. აქტივისტი შეფასებით სუს-ი ე.წ. კანონიერ ქურდებს რამდენიმე მიმართულებით იყენებს „რადგან მთელი რეგიონი სუს-ის ხელშია და იცნობენ კანონიერ ქურდებს, იციან რომ მათ ბევრი არალეგალური საქმეები აქვთ, ეუბნებიან რომ რაღაც საქმიანობებზე სუს-ი თვალს დახუჭავს, ხელს არ შეუშლის ან რომელიმე მათიანი, რომელიც ციხეში ან გაუშვებენ ან უფრო კომფორტულ გარემოს შეუქმნიან. ამის სანაცვლოდ ისინი სუს-ს ადგილზე რაღაც საქმიანობებში უნდა დაეხმარონ. ეს ძირითადად გამოიხატება ხალხთან შეხვედრაში, მათთან დალაპარაკებაში, რომ დააარწმუნონ ან დაემუქრონ. როგორც არჩევნების დროს აღსაკალებს იყენებს სუსი ასევე იყენებს სხვა საქმიანობაში კანონიერ ქურდებს.“

##### 5. შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი არაფორმალურ კონტროლში

საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად არაფორმალურ კონტროლში ჩართულია აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტრო. თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის არაფორმალური კონტროლისგან განსხვავებით საპოლიციო კონტროლი რეგიონებში ღიად ხორციელდება და მას ზოგჯერ ყოველდღიური ხასიათი აქვს. თუმცა, კვლევაში მონაწილე პირების მითითებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პოლიციის როლი არსებითად სუსტია და ძირითადი მაკონტროლებელი ორგანო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურია.

*„ჩვენთან ყველა პოლიციელს სახეზე ვინცობთ და წინასწარ ვიცით ვინ არის პოლიციელი. პოლიცია ნაკლებად აქტიური, ძირითადად სუსი ახორციელებს ისეთ ქმედებებს რომელიც ამაკარა კონტროლს უკავშირდება.“(ქურნალისტი ჯავახეთიდან)*

*„მე მეჯერა რომ პოლიციის საქმიანობაც სუს-ის ხელშია, თუმცა ჰესებთან დაკავშირებულ პროცესებში ვამჩნევდი, რომ მთლიანი კონტროლი არ იყო სუს-ის ხელში და უფრო მეტად აქტიურობდა შინაგან საქმეთა სამინისტრო. იმ პერიოდში პოლიციის მხრიდან არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, შეიძლება კონკრეტულ პირებთან მიმართებით იყო, მაგრამ ზოგადად, რომ პოლიციას პირდაპირ ვინმე*



*დაეშინებინა. ალბათ სუს-ი მეტად რომ ყოფილიყო ამ პროცესში ჩართული უფრო მძიმე შედეგები შეიძლება დამდგარიყო“.* (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)

კვლევაში მონაწილე პირების შეფასებით ყოველდღიურ საპოლიციო კონტროლში რეგიონებში ძირითადად კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მონაწილეობენ და კონტროლის ხასიათი დამოკიდებულია რეგიონში მიმდინარე სამოქალაქო პროცესებზე. უფრო კონკრეტულად კი, კვლევაში მონაწილე სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების მტკიცებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საპოლიციო კონტროლს ორგვარი ხასიათი აქვს: 1) მათ მიმართ საპოლიციო კონტროლი ზოგადად ჭარბად ხორციელდება რადგან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არიან და 2) საპოლიციო კონტროლი კიდევ უფრო ინტენსიური და რეპრესიული ხდება, როდესაც რეგიონში მოსახლეობა კონკრეტული სამოქალაქო პროცესების ირგვლივ ორგანიზდება და სუს-ი მსს-ს ადგილზე აქტივისტების დასჯის მიზნით იყენებს.

ორივე შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფები „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საპოლიციო კონტროლის ფორმებს იყენებენ და როგორც წესი კონტროლის ეს ფორმები უმეტესად სამოქალაქო აქტივისტების, მათი ოჯახის წევრების მიმართ, ხოლო ყველაზე ნაკლებად ჟურნალისტების მიმართ გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით საპოლიციო კონტროლის ფორმებს წარმოადგენს ა) პირის გამოკითხვა; ბ) პირის იდენტიფიკაცია; გ) პირის მოწვევა; დ) ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; ე) სპეციალური შემოწმება და დათვალიერება; ვ) სპეციალური საპოლიციო კონტროლი; ზ) ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა; თ) პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა; ი) ავტომატური ფოტოტექნიკის (რადარის) და ვიდეოტექნიკის გამოყენება; კ) ტექნიკური საშუალებების შექმნა და გამოყენება; ლ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება<sup>207</sup> და მათი მიზანი საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დარღვევის თავიდან აცილება ან აღკვეთა წარმოადგენს. თუმცა, კვლევაში მონაწილე პირების შეფასებით, მათ მიმართ საპოლიციო კონტროლის ეს ფორმები არა რაიმე სამართალდარღვევის პრევენციისთვის, არამედ მათი შეშინების, გავლენის მოხდენის ან დასჯის მიზნით გამოიყენება. სამოქალაქო აქტივისტების მტკიცებით, პოლიციის თანამშრომლები მათ ხშირად აჩერებენ, იდენტიფიკაციის მიზნით უღებენ ფოტოებს, ჩხრეკენ მათ ან მათ სატრანსპორტო საშუალებას, იბრაებენ პოლიციის განყოფილებაში, აჯარიმებენ დაუსაბუთებლად. როგორც კვლევაში მონაწილე პირები აღწერენ მათთან კომუნიკაციის დროს პოლიციის თანამშრომლები ხშირად უხეშად, მბრძანებლური ტონით საუბრობენ, მაგრამ სიძულვილის ენას (ეთნიკური ნიშნით) ნაკლებად იყენებენ.

*„ძირითადად პოლიცია მაჩერებს და მეუბნება რომ ფოტო უნდა გადამიღონ. თბილისშიც ხდება ეს და დმანისშიც. მემუქრობდნენ პოლიციელები რომ თუ*

<sup>207</sup> პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლო

ფოტოს არ გადავალვინებდი განყოფილებაში გადამიყვადნენ.“ (აქტივისტი ქვემო ქართლიდან)

„კი ყოფილა ფოტოს გადაღების შემთხვევები, მაგრამ მე არ ვაპრობლემატ ხოლმე. შეურაცხმყოფელი ტონი არ ყოფილა. დაკავებული არ ვყოფილვარ.“ (აქტივისტი ქვემო ქართლიდან)

პოლიციელებთან არ მქონია პირდაპირი საქმე. რამდენიმეჯერ რამდენიმე სოფლიდან აქცია იყო დაგეგმილი იმ აქცებში პოლიცია ხალხს არ უშვებდა მერის შენობაში შესვლას, იმ დროს მეც გაბრაზებული ვიყავი და პოლიციას ვითხოვე, რომ გაეხსნათ კარი და ხალხს შეეშვათ შიგნით მერთან სასუბროდ, მათ კი აგრესიულად მიპასუხეს არა შენ ვინ ხარო?. მეტი არაფერი. (ჟურნალისტი ჯავახეთიდან)

„ზოგადად პოლიციის რიტორიკა როცა გაჩერებენ არის აგრესიული, მძანებლური ტონი აქვთ. გესაუბრებიან მკაცრი ტონით თუმცა ეს არ იყო კავშირი ჩემს ეთნიკურობასთან.“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)

კონკრეტულად ჩემს შემთხვევაში დაშინება და მუქარა არამართო პოლიციელებისგან არამედ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც. სამუშაოდან გათავისუფლება, წნეხი ოჯახზე ნათესავებზე. ამას არც დარწმუნება ჰქვია არც კომუნიკაცია. ეგენი სულ სხვანაირად მოქმედებენ და მოქმედებას სახელი არა აქვს. {...} შოვინიზმი ან ნაციონალიზმი არ ვიცი, გინებით საუბარი ან არაკორექტულად საუბარი კი, იყო შემთხვევები და ამაზე არ მინდა საუბარი.“ (აქტივისტი ჯავახეთიდან)

როგორც ზემოთ აღინიშნა, საპოლიციო კონტროლი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინტესიურად და აგრესიულად ხორციელდება ადგილზე სამოქალაქო პროცესების მიმდინარეობის დროს და ამ შემთხვევაშიც მოქალაქეთა დასჯის ინსტრუმენტად გამოიყენება. აღნიშნული კარგად გამოვლინდა 2019 წელს, პანკისის ხეობაში ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო პროტესტის დროს. ადგილობრივების შეფასებით, ჰესების წინააღმდეგ მიმართული პროტესტის დროს მოქალაქეებზე გავლენის მოხდენას შინაგან საქმეთა სამინისტრო ცდილობდა ყოველდღიური და ჭარბი საპოლიციო კონტროლით<sup>208</sup>, რის გამოც პროტესტში მონაწილე პირებს, მათ ოჯახს წევრებს, ხეობის უხუცესებს ხშირად იარებდნენ პოლიციაში და ადგილზე ცდილობდნენ მათზე ზეწოლას. აღნიშნულს ადასტურებენ კვლევაში მონაწილე პირები, რომლებიც უთითებენ, რომ ამ პერიოდში შსს განსაკუთრებით წინა პლანზე იყო და აქტიურად ცდილობდა პროტესტში მონაწილე პირების დაშინებას. სწორედ ამ მიზნით, მათ ხშირად იბარებდნენ პოლიციის განყოფილებაში, აჩერებდნენ და ამოწმებდნენ. კვლევაში მონაწილე პირები პანკისის ხეობიდან აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდში, რეგიონში პოლიციის ძალის დემონსტრირების მიზნით აშენდა სოფელ მიბახევში პოლიციის დიდი განყოფილება, როდესაც რეალურად ამის არავითარი საჭიროება არ არსებობდა.

<sup>208</sup> სოციალური სამართლიანობის ცენტრის წარმოებაში არსებული სამართლებრივი პრაქტიკა

„ჰესების მოვლენების დროს მთლიანად თუ არა 80% პოლიცია იყო ჩართული და ის ხელმძღვანელობდა პროცესებს, ალბათ იმიტომ რომ გარკვეული ინტერესები ჰქონდათ. ჩვენ მაშინ არაერთ სახელმწიფო უწყებას ვთხოვდით ჩამოსვლას, მათ შორის ეკონომიკის სამინისტროს, რომ კომპეტენტურ ადამიანებს დავლაპარაკებოდით, მაგრამ ყოველ ჯერზე მაინც პოლიცია მოდიოდა და ისინი ცდილობდნენ საკითხის მოგვარებას და ამას რა შედეგებამდეც მიგვიყვანა კარგად ვნახეთ“ (აქტივისტი პანკისი ხეობიდან)

„მე მეჯერა რომ პოლიციის საქმიანობაც სუს-ის ხელშია, თუმცა ჰესებთან დაკავშირებულ პროცესებში ვამჩნევდი, რომ მთლიანი კონტროლი არ იყო სუს-ის ხელში და უფრო მეტად აქტიურობდა შინაგან საქმეთა სამინისტრო. იმ პერიოდში პოლიციის მხრიდან არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, შეიძლება კონკრეტულ პირებთან მიმართებით იყო, მაგრამ ზოგადად, რომ პოლიციას პირდაპირ ვინმე დაეშინებინა. ალბათ სუს-ი მეტად რომ ყოფილიყო ამ პროცესში ჩართული უფრო მძიმე შედეგები შეიძლება დამდგარიყო.“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)

ამდენად, კვლევაში მონაწილე პირების დაკვირვებები აჩვენებს, რომ მიუხედავად შსს-ს ფორმალური ფუნქციებისა, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ძირითადად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუშაობს და ცალკეულ შემთხვევებში საპოლიციო კონტროლს კვლავ სუს-ის მხრიდან აქტივისტების დასჯის მექანიზმად გამოიყენება.

#### 6. სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების დამოკიდებულება არაფორმალურ კონტროლის მიმართ

სუს-ის არაფორმალური კონტროლი უმეტესად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სამოქალაქო აქტივისტებს და ჟურნალისტებს მიემართება და მის მთავრ მიზანს ეთნიკური უმცირესობების საფრთხედ მონიშვნა, მათი კონტროლი და ადგილზე სამოქალაქო პროცესების შესუსტება წარმოადგენს. კვლევაში მონაწილე სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები ინტერვიუების დროს აღნიშნავდნენ, რომ წლების განმავლობაში აქტივისტური და ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე გარკვეულწილად შეგუებულები არიან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის არაფორმალურ კონტროლს, დარწმუნებულები არიან იმაშიც, რომ მათ გამუდმებით უსმენენ, თვალყურს ადევნებენ და საჭიროების შემთხვევაში არც პრობლემების შექმნას მოერიდებიან. ამის მიუხედავად, მათი პრინციპები უცვლელია, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ სწორ საქმეს ემსახურებიან. თუმცა, ცხადია, რომ თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ და გამუდმებული კონტროლის, ზეწოლის, უპერსპექტივობის გათვალისწინებით ზოგიერთმა მათგანმა ქვეყანა უკვე დატოვა, ნაწილი კი აქტიურად განიხილავს ამას.

„ძალიან რთულია ამ ყველაფრის გადალახვა, ცუდ სიზმრებს ნახულობ. უსიამოვნოა რა თქმა უნდა, უსაფრთოდ არ გრძნობ თავს. ოჯახიც არ გრძნობს თავს კარგად. ფსიქოლოგიურად მძიმეა ეს ყველაფერი.“ (აქტივისტი ქვემო ქართლიდან)

„მე პირადად გააზრებული მქონდა რომ შეიძლებოდა ნებისმიერი რაღაც მომხდარიყო, შეიძლება პირადი ლიკვიდაციაც.“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)

„სამსახურის კუთხით არ მაქვს პრობლემები, პირადი სივრცის დარღვევა მაქვს. ადრე ღიაობა მქონდა, ეხლა სულ მგონია რომ ვიღაცა ჩემს ჩანაწერს კითხულობს. პირადი სივრცე შეიძლება გამოიყენონ ბოორტად და ეს მიქმნის დისკომფორტს და ამან იმოქმედა ჩემზე ძალიან, ჩემი ცხოვრების წესსზე. სულ მაქვს განცდა რომ თვალთვალი ხდება და ამას აკეთებენ იმისთვის რომ პირადი სივრცე დაარღვიონ.“ (ჟურნალისტი ქვემო ქართლიდან)

ამ პრაქტიკამ დამაკრვევინა სამუშაო ,დამატოვებინა საკუთარი სახლი და სოფელი და საერთოდ აღმოვჩნდი სულ სხვა რეალობაში. უფრო უარეს რეალობაში. ტაქსის მეშვეობით ძლივს ვინარჩუნებ ოჯახს. ინგლისურის საკმარისი დონის ცოდნის შემთხვევაში დავტოვებ ქვეყანას ასეთი განცდა მაქვს. (აქტივისტი ჯავახეთიდან)

კვლევაში მონაწილე პირების შეფასებით, მათთვის განსაკუთრებით მტკივნეულია ის ფაქტი, რომ მათი საქმიანობის გამო ოჯახის წევრებს ექმნებათ საფრთხე და პრობლემები. კვლევაში მონაწილე პირები უთითებენ, რომ განსაკუთრებულ დისკომფორტს ოჯახის წევრების ნერვიულობა უქმნით.

„ მე პირადად არ მეშინია, თუმცა დედაჩემის გამო ვნერვიულობ, იმიტომ რომ როდესაც მას ეუბებიან რომ მე დამაკავებენ ნერვიულობს და ეს არ მსიამოვნებს.“ (აქტივისტი ქვემო ქართლიდან)

„ბოლო პერიოდში კონკრეტულ ადამიანს ჰქონდა დედაჩემის დაშინების მცდელობაც. ეუბნებოდნენ, რომ შეიძლება შენს შვილს რაღაცა დაემართოს რაზეც დედაჩემი ძალიან ნერვიულობდა.“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)

სამოქალაქო აქტივისტებისთვის და ჟურნალისტებისთვის გამუდმებული კონტროლის და უსაფრთხოების განცდის არაარსებობის პირობებში სწორედ უსაფრთხოება ხდება მნიშვნელოვანი საკითხი და მათი შეფასებით ეს განცდა იქამდე არ იარსებებს სანამ ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ავტომატურად საფრთხედ მონიშნა არ დასრულდება. კვლევაში მონაწილე პირების შეფასებით, სუს-ის გამუდმებული კონტროლის პირობებშიც კი უსაფრთხოების შეგრძნება ექნებოდათ იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში დემოკრატიულ ინსტიტუტებს მუშაობის შესაძლებლობა ექნებოდათ და მიუკერძოებელი სასამართლო იარსებებდა, იქამდე კი გამუდმებული საფრთხის შეგრძნებით უწევთ ცხოვრება.

„პირადად მე თავს უსაფრთხოდ არ ვგრძნობ საქართველოში. სადაც არ უნდა ვიყო ყოველთვის მაქვს განცდა რომ უსაფრთხოდ არ ვარ. როდესაც საზღვარგარეთ გავდივარ თუნდაც რამდენიმე დღით ვისვენებ რადგან ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეს შიში არ მაქვს. {...} პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა გააკონტროლოს არა აქტივისტები და ჟურნალისტები, არამედ ის ადამიანები, ვინც რადიკალურ იდეებს ავრცელებს. ელემენტარულად ადამიანის უფლებებს უარყოფენ. რეალურად კი ხედავ, რომ ეს ადამიანები თავისუფლები არიან და არ ისჯებიან რაც არ უნდა ძალადობრივი ქმედება ჩაიდინონ. შესაბამისად ეს კონტროლი სახელმწიფომ უნდა

გამოიყენოს იმის წინააღმდეგ ვინც მართლაც რეალურად შეიძლება ქმნიდნენ სახელმწიფოსთვის საფრხეს. ჩვენ რაც არ უნდა მოვინდომოთ იმდენს ვერ დავაშავებთ, რასაც ეს რადიკალური დაჯგუფებები, რადგან ჩვენ ღირებულებები გაგვაჩნია. ვთვლი რომ მთავარი რეფორმა სუსი- დან უნდა დაიწყოს.“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)

„მე დღესაც გააზრებული მაქვს რომ ნებისმიერ დროს შეიძლება რაღაც მოხდეს. სამართლიანი სასამართლო და ნორმალური ხელისუფლება როცა არსებობს გრძნობ თავს უსაფრთხოდ“ (აქტივისტი პანკისის ხეობიდან)

„ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი პირის მიერ ჩადენილ კანონდარღვევაზე იქნება ეს რიგითი მოქალაქე თუ თუ თანამდებობის პირი ერთნაირი რეაგირება ხდებოდეს. თუკი კანონი თანასწორი იქნება ყველასთვის, მაშინ შედარებით მარტივი იქნება უსაფრთხოებაზე საუბარი. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი დამოუკიდებელი მედიის არსებობას. რეალურად სადაც თავისუფალი მედია არსებობს და ყველაფერი შუქდება რაღაც დონის რეაგირება ხდება დარღვევაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი და სამოქალაქო აქტივიზმში ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული არაფორმალური კონტროლი, კონტროლისა და აქტივისტებზე ზეგავლენის მოხდენის ფორმები, არაფორმალურ კონტროლში მონაწილე სახელმწიფო უწყებები და აქტივისტების უსაფრთხოების რისკები.

კვლევა აჩვენებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მუშაობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სრულად ეფუძნება არაფორმალურ კონტროლს და ადამიანის უფლებებში გაუმართლებელ ჩარევას. სუს-ის საქმიანობა ადგილზე არ არის ღია, იგი ფარული მეთოდებით მოქმედებს, კონტროლის პროცესში აქტიურად იყენებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, პოლიციას, საჯარო სკოლებისა და ბაღების ადმინისტრაციას. სუს-ის მიზანს უმეტესად წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კრიტიკული აზრის ჩახშობა და ამ მიზნით თავდაპირველად სუს-ი ცდილობს აქტივისტების გადაბირებას ან დასჯას.

კვლევის თანახმად, სუს-ის უკონტროლო ძალაუფლება საფრთხის შემცველია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის და მათთვის რთულია გამუდმებული კონტროლისა და დაუცველობის განცდის პირობებში ამ ქვეყანაში ცხოვრება, რის გამოც აქტივისტების ნაწილი ირჩევს დატოვოს ქვეყანა და საზღვარგარეთ გააგრძელონ ცხოვრება.

ამდენად, ცხადი ხდება, რომ სუს-ი საკუთარ უფლებამოსილებას თვითნებურად, სამოქალაქო პროცესების და მოქალაქეთა არაფორმალური კონტროლის მიზნით იყენებს, რითაც უწყების კიდევ უფრო მეტ პოლიტიზებას და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეების უფლებების შეზღუდას უწყობს ხელს.

## 7. დასკვნა

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა:

- სუს-ის არაფორმალური კონტროლის სუბიექტები სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებია, მათ შორის სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები, რომლებიც საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საქმიანობენ;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ჟურნალისტები და სამოქალაქო აქტივისტების სუს-ის თავალთახედვაში საქმიანობის დაწყებისთანავე ექცევიან და სუს-ი აქტიურად ცდილობს მათ გადაბირებას თანამშრომლობის მიზნით;
- სუს-ის კონტროლი როგორც წესი მუდმივია, თუმცა უფრო ინტენსიური ხდება, როდესაც რეგიონში სამოქალაქო პროცესების ორგანიზება იწყება;
- კონტროლის მიზანია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კრიტიკული აზრის ჩახშობა, ძალის დემონსტრირება და სამოქალაქო პროცესების ხელისუფლებისთვის სასურველი მიმართულებით განვითარება;
- სუს-ის არაფორმალური კონტროლში მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლები, საჯარო სკოლების, ბაღების ადმინისტრაცი და პოლიციის ორგანოები. ცალკეულ რეგიონებში სუს-თან აქტიურად თანამშრომლობენ რელიგიური ლიდერები და ადგილობრივი ბიზნესმენები;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო სუს-ის არაფორმალურ კონტროლში ჩართულია და ფორმალური მეთოდებით უწყობს ხელს აქტივისტების ჭარბ კონტროლს. ამ მიზნით აქტივისტებს ხშირად აჩერებენ, იბარებენ პოლიციის განყოფილებებში, უღებენ ფოტოებს;
- სუს-ი სამოქალაქო აქტივისტების გადაბირებისა და თანამშრომლობის შეუძლებლობის შემთხვევაში მათ დასჯას იწყებს. დასჯის მეთოდები მრავალგვარია თუმცა, როგორც წესი აქტივისტების შევიწროებაში, სამსახურის დაწყების შეუძლებლობაში, ოჯახის წევრებზე ზეწოლაში გამოიხატება;
- სუს-ი აქტივისტების რეპუტაციის შელახვის მიზნით ცრუ ინფორმაციებს ავრცელებს და ცდილობს აქტივისტების მიმართ თემში ნდობა შეარყიოს;
- სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ. ისინი გამუდმებული კონტროლის, თვალთვალის განცდით ცხოვრობენ.
- სუს-ის მხრიდან უმცირესობების რეგიონებში აქტივისტების და ჟურნალისტების კონტროლის პრაქტიკა არსებითად ემთხვევა უმცირესობის რეგიონებში ამ უწყების მუშაობის ზოგად მიდგომებს და ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად გამოვლენილ ტენდენციებს დმანისსა და ჯავახეთის რეგიონში.



# დასკვნითი ანალიზი და ძირითადი მიგნებები

კვლევითი ანგარიშის ბოლო თავი ანალიზებს ზემოთ წარმოდგენილი კვლევის შედეგებს და სახელმწიფო აპარატის მიერ უმცირესობის რეგიონების კონტროლის ძირითად ტენდენციებს და პრაქტიკებს, დმანისის და ჯავახეთის მაგალითებზე დაფუძნებით.

1. სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - ჯავახეთის და დმანისის მაგალითი

## 1.1 საზღვრისპირა რეგიონების სეკურიტიზაცია

იტალიელი ფილოსოფოსის ჯორჯიო აგამბენის წიგნში „საგანგებო მდგომარეობა“ განხილულია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მოტივით „საგანგებო ზომებს“ მიმართავს და საჭიროებისამებრ, „საგანგებო მდგომარეობას“ აცხადებს. საგანგებო ზომების გამოყენებისას, ზღვარი კანონსა და ძალადობის ლეგიტიმაციას შორის მყიდვია.<sup>209</sup> საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, კერძოდ ჯავახეთსა და დმანისში, მოსახლეობის ყოველდღიურობის მკაცრი კონტროლი, უწყვეტი მონიტორინგი, საზღვრისპირა სოფლებში გადასადგილებლად სამშენებლის საჭიროება და სამართალდამცავი ორგანოების სიჭარბე ჩანს. საქართველოს მთავრობა საზღვრისპირა რეგიონებში უსაფრთხოების ისეთ პოლიტიკას აწარმოებს, რომელიც სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის პრეცედენტების ნორმალიზებას ახდენს.

სეკურიტიზაციის ნარატივების მეშვეობით, საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები არა-დომინანტური ჯგუფები ასოცირდება სხვადასხვა ტიპის საფრთხესთან, იქნება ეს: ტერორიზმი, კრიმინალი, დაავადებები, ეკონომიკური ტვირთი და ა.შ. რაც სასაზღვრო ზონაში კონტროლისა და თვალთვალის საჭიროების იდეის ლეგიტიმაციას ახდენს.<sup>210</sup> საქართველოს შემთხვევაში, სეკურიტიზაციის და უსაფრთხოების პოლიტიკის ლეგიტიმაციის წყაროს, ეთნიკური უმცირესობებისადმი არსებული სტერეოტიპები წარმოადგენს. კერძოდ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად ნაკლებად აღიქმებიან. სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მხრიდან, მათ მიმართ, ნდობა დაბალია. ხოლო სეკურიტიზაცია ადგილობრივი ეთნიკური

<sup>210</sup> Chouliaraki, L., & Zaborowski, R. (2017). Voice and community in the 2015 refugee crisis: A content analysis of news coverage in eight European countries. *International Communication Gazette*, 79(6-7), 613-635. <https://doi.org/10.1177/1748048517727173>; Ibrahim, M. (2005). The securitization of migration: A racial discourse. *International Migration*, 43(5), 163-187.

<sup>210</sup> Chouliaraki, L., & Zaborowski, R. (2017). Voice and community in the 2015 refugee crisis: A content analysis of news coverage in eight European countries. *International Communication Gazette*, 79(6-7), 613-635. <https://doi.org/10.1177/1748048517727173>; Ibrahim, M. (2005). The securitization of migration: A racial discourse. *International Migration*, 43(5), 163-187.



უმცირესობების ყოველდღიური ცხოვრების კონტროლზე ვრცელდება. ჯავახეთის სომეხი და დმანისის აზერბაიჯანელი მოსახლეობა წარმოჩენილია, როგორც უსაფრთხოების პოტენციური პრობლემა, რომელზე დაყრდნობით სახელმწიფო ყოვლისმომცველი თვალთვალის და საზღვრის გამძაფრებული კონტროლის გამართლებას ცდილობს, რითაც საქართველოს მოქალაქეების უფლებებს ლახავს. სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის დისკურსის გამოყენებით მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფის მარგინალიზებას ახდენს, ამასთან ერთად აძლიერებს ნაციონალურ ნარატივებს და განსხვავებულ პოზიციებს ახშობს.

უფრო მეტიც, მოსახლეობის პერმანენტული მონიტორინგი და მეთვალყურეობა იმფაქტით აიხსენება, რომ რეგიონში ძლიერია პრო-რუსული, პრო-სომხური და პრო-აზერბაიჯანული განწყობები, რაც საქართველოს სუვერენულობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. მსგავსი დამოკიდებულება შეესაბამება ბიგოს კვლევის მიგნებებს, სადაც საზღვრების უსაფრთხოების პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, ეროვნული უსაფრთხოებისთვის, იდენტობისა და კეთილდღეობისთვის საფრთხედ წარმოაჩენდა.<sup>211</sup>

ამასთანავე, საზღვრისპირა რეგიონებში სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია სასაზღვრო ზონების სიახლოვეს ინტელექტუალური, სახის ამომცნობი, კამერების, რადარების, სენსორების, და მონაცემთა ბაზების (რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ემსახურება) ინტეგრაციაზე, ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ სასაზღვრო ზონა, ტექნოლოგიების გამოყენებით, მონიტორინგისა და პროგნოზირების ციფრულ სივრცედ იქცევა, რასაც სასაზღვრო კონტროლის კრიტიკული კვლევები აღწერს.<sup>212</sup> საზღვრების მონიტორინგის სისტემა უწყვეტი თვალთვალის სისტემის დანერგვას ემსახურება.<sup>213</sup> რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ფილტრაციას.<sup>214</sup> კერძოს, სასაზღვრო სოფლებში თვალთვალის ტექნოლოგიების გამოყენება „მაღალი რისკის მქონე“ ინდივიდების გამოვლენაზე არის ორიენტირებული. ამ დროს, საზღვარზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები შეიძლება კატეგორიზდნენ, როგორც „საფრთხის შემცველი“.<sup>215</sup> უწყვეტი კონტროლის და თვალთვალის ტექნოლოგიების გამოყენება მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო დისკურსი, ადგილობრივ ეთნიკურ უმცირესობებს, „არათანასწორად“, „ნაკლებად ინტეგრირებულად“ და უცხოდ მოიაზრებს.

<sup>211</sup> Bigo, D. (2002). Security and immigration: Toward a critique of the governmentality of unease. *Alternatives*, 27(1), 63-92; Huysmans, J. (2006). *The politics of insecurity: Fear, migration and asylum in the EU*. Routledge.

<sup>212</sup> Amoores, L. (2006). Biometric borders: Governing mobilities in the war on terror. *Political Geography*, 25(3), 336-351; Bigo, D. (2014). The (in)securitization practices of the three universes of EU border control: Military/Navy – border guards/police – database analysts. *Security Dialogue*, 45(3), 209-225; Epstein, C. (2007). Guilty bodies, productive bodies, destructive bodies: Crossing the biometric borders. *International Political Sociology*, 1(2), 149-164.

<sup>213</sup> Côté-Boucher, K., Infantino, F., & Salter, M. B. (2014). Border security as practice: An agenda for research. *Security Dialogue*, 45(3), 195-208.

<sup>214</sup> Guiraudon, V., & Lahav, G. (2000). A reappraisal of the state sovereignty debate: The case of migration control. *Comparative Political Studies*, 33(2), 163-195.

<sup>215</sup> Amoores, 2006. Popescu, G. (2012). *Bordering and ordering the twenty-first century: Understanding borders*. Rowman & Littlefield.

გარდა ამისა, სამეთვალყურეო კამერების საჯარო სივრცეში, ადმინისტრაციულ დაწესებულებებში თუ კერძო ინსტანციებში დამონატაჟება სეკურიტიზაციის ფართო ტენდენციაზე მიანიშნებს, როდესაც სახელმწიფო კონტროლი ოფიციალური მაკონტროლებელი ორგანოების უფლებამოსილებას სცდება და სამოქალაქო ცხოვრებაზე ვრცელდება. ამავდროულად, კერძო მფლობელობაში არსებული თვალთვალის ინფრასტრუქტურა კონტროლის ლანდშაფტს უფრო მეტად ართულებს. კერძოდ, კერძო დაწესებულებების თუ შინამეურნეობების მიერ კამერების მონტაჟი არამხოლოდ კრიმინალისგან თავდაცვის მოტივით აიხსნება, არამედ რეგიონში გავრცელებული უსაფრთხოების კულტურის გაგრძელებაა. მეთვალყურეობისა და კონტროლის პრივატიზება კონტროლის ბინარულ სისტემას ჰქმნის: პირველი- სახელმწიფოს, მეორე კი - ადგილობრივი სოციუმის მიერ იმართება.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გავრცელებული მეთვალყურეობის და კონტროლის პრაქტიკები პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული ფორმირების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. რუსი მკვლევარის, ოლეგ ხარხორდინის, მიხედვით, საბჭოთა თვალთვალის მეთოდებმა კონტროლის მდგრადი მოდელები შექმნეს, რომელიც მმართველობის მოდერნულ სისტემებშიც შენარჩუნდა.<sup>216</sup> დმანისისა და ჯავახეთის კვლევისას დაფიქსირებული დინამიკა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში მეთვალყურეობის თანამედროვე მოდელი, ერთი მხრივ ინარჩუნებს კავშირს საბჭოთა პრაქტიკებთან<sup>217</sup>, მეორე მხრივ ახალი ტექნოლოგიების<sup>218</sup> ადაპტირებას ახდენს.

## 1.2. საპოლიციო რეჟიმი, მეთვალყურეობა და კონტროლი:

ენტონი გიდენსის მიხედვით, მოდერნულმა სახელმწიფოებმა ადმინისტრაციული კონტროლის უპრეცედენტო საშუალებები მოიპოვეს, რისთვისაც ისინი საყოველთაო აღწერებს, იდენტიფიკაციის სტანდარტიზებულ სისტემებს და პროფესიულ სამხედრო და საპოლიციო ძალებს იყენებენ.<sup>219</sup> ტექნოლოგიების გამოყენებით, მოსახლეობის ქცევის კატეგორიზებით, განსახორციელებელი კონტროლის ზომებისა და საშუალებების ანალიზით, შესაძლო დევიანტური ქცევების აღწერით (ე.წ. „შავი სიების“ წარმოებით), სახელმწიფომ მოსახლეობა „ადვილად ამოსაცნობი“ გახადა, რაც მოსახლეობის კონტროლის შესაძლებლობას ზრდის.<sup>220</sup> ეს მიმდინარე ნაშრომის მიგნებებს ეხმიანება. ვინაიდან საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებში სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკა არამხოლოდ მართლწესრიგის,

<sup>216</sup> Kharkhordin, O. (1999). The collective and the individual in Russia: A study of practices. University of California Press. <https://doi.org/10.1525/9780520921801>

<sup>217</sup> მაგალითად, ჯავახეთი სსრკ-ს დროიდან „სპეც რეგიონად“ განიხილებოდა. ყოველთვის მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო.

<sup>218</sup> მაგალითად, სასაზღვრო რეგიონებში დამონატაჟებული ვიდეო-ხაფანგები.

<sup>219</sup> Giddens, A. (1985). The nation-state and violence. University of California Press.

<sup>220</sup> Scott, J. C. (1998). Seeing like a state: How certain schemes to improve the human condition have failed. Yale University Press.

მოსახლეობის და საზღვრის დაცვას მოიაზრებს, არამედ არა-დომინანტი ჯგუფების სოციალური კონტროლის მექანიზმს წარმოადგენს.

სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკა რეგიონში მაკონტროლებელი ორგანოების იერარქიით ხასიათდება, რომლის ქვედა საფეხურზე პოლიცია იმყოფება. პოლიციის მუშაობის შეფასების მხრივ დაფიქსირებული დინამიკა ერთი მხრივ, შეესაბამება ფილიფსის და ბოულინგის მიერ აღწერილი საპოლიციო პრაქტიკის ორ ფორმას: „ზეწოლას“ და „მსახურებას“.<sup>221</sup> იმ განსხვავებით, რომ საპოლიციო პრაქტიკები, რიგ შემთხვევებში, არის დისკრიმინაციული ან უთანასწორო, როგორც ეს შეკრებების მონიტორინგის და ახალგაზრდა მამაკაცების, ოპერატიულ-საგამომიებო სამუშაოებისას, დაკითხვაზე დაბარების შემთხვევების აღწერისას გამოვლინდა. ამავდროულად, ორივე საზღვრისპირა რეგიონში დაფიქსირებული დინამიკა მოწმობს, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები გაჯერებულია ეთნიკური კუთვნილების მიმართ სტერეოტიპული აღქმებითა და ქმედებებით.

ხოლო მაკონტროლებელი ორგანოების იერარქიის ზედა საფეხურზე, მყოფი საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ის) ქმედებები: ფარული თვალთვალი, მიყურადება, დაკითხვის მეთოდები და ინფორმანტების გამოყენება, იდეოლოგიური და რეპრესირებადი სახელმწიფო აპარატის<sup>222</sup> კარგი მაგალითია. ალთუსერის მიხედვით, იდეოლოგიური კონტროლი ისეთი ინსტიტუტების მეშვეობით მყარდება, როგორც არის რელიგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებები. ხოლო რეპრესირებადი კონტროლი მართლწესრიგის დაცვას და კონტროლს მოიცავს. ადგილობრივი თვითმართველობის დაწესებულებებში, სუს-ის მიერ, თანამშრომლების („სანდო კადრების“) შერჩევის და დანიშვნის პრაქტიკა და საჯარო შეკრებების მონიტორინგის პრეცედენტები, იდეოლოგიური და რეპრესირებადი მექანიზმების შერწყმაზე მიანიშნებს. საჯარო დაწესებულებების კონტროლისთვის გამოყენების პრაქტიკა, მოგვაგონებს მიშელ ფუკოს მიერ აღწერილ ინსტიტუციონალურ კონტროლს, როდესაც ინსტიტუტები კონკრეტული ქცევის ნორმალიზებას ახდენს და წარმოქმნის „მორჩილ სხეულებს“, რომლებიც სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება.<sup>223</sup>

რეგიონში არსებული უსაფრთხოების პოლიტიკა ერთგვარი ჰიბრიდია, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფო წყობის მიუხედავად, კონტროლისთვის, ავტორიტარული რეჟიმის მეთოდებს იყენებს. აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის კონტროლი, არამხოლოდ პირდაპირი ძალაუფლების განხორციელებით, არამედ ინსტიტუტების (სკოლა, საავადმყოფო, სამუშაო დაწესებულებები, სოფლის ბირჟა და ა.შ.) მეშვეობით ხორციელდება. ერთი მხრივ, ეს არის ინსტიტუციონალური კონტროლი, მეორე მხრივ კი ადამიანური რესურსის - ინფორმანტების გამოყენებით, მოსახლეობის კონტროლი. ორივე მეთოდი ჰიბრიდული რეჟიმების დამახასიათებელი ნიშანია. კერძოდ სუს-ს, ამ

<sup>221</sup> Phillips & Bowling, 2003.

<sup>222</sup> Althusser, L. (1970). Ideology and ideological state apparatuses. Monthly Review Press.

<sup>223</sup> Foucault, 1975.

ინსტიტუტებში, საკუთარი, სანდო კადრები ჰყავთ, რომლებიც ინფორმანტების როლს ითვისებენ.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კონტროლის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ინფორმანტებს უკავიათ. მათი არსებობა საზოგადოებრივ ნდობას და აზრის გამოხატვის თავისუფლებას ძირს უთხრის. ვინაიდან ადამიანებს მუდმივ შიშში უწევთ ცხოვრება, იმის გაცნობიერებით, რომ ისინი შეიძლება, კრიტიკული აზრის გამო, დაასმინონ. რაც ავტორიტარული რეჟიმებისთვის ჩვეული პრაქტიკაა. დიქტატორული რეჟიმები, ინფორმანტებს სამოქალაქო ერთობის ჩასახშობად და საკუთარი ძალაუფლების გასამდიერებლად იყენებენ.<sup>224</sup> მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმაც, რომ სახელმწიფო კონტროლის ტრადიციული პოლიტიკური კონტროლიდან, საჯარო და პირადი ცხოვრების კონტროლზე გადასვლა, ტოტალიტარიზმის ნიშანია.<sup>225</sup> მაგალითად, სტალინის მმართველობის პერიოდში, საბჭოთა სახელმწიფომ შექმნა „დასმენის“ კულტურა, რომელშიც მოქალაქეების მიერ ერთმანეთის მეთვალყურეობა და დასმენა, სახელმწიფოს მიერ წახალისებული იყო.<sup>226</sup> ამავდროულად, ნაცისტური რეჟიმი არამხოლოდ გესტაპოს მუშაობას ეყრდნობოდა, არამედ კონტროლის სისტემაში მოქალაქეების ნებაყოფლობით თანამშრომლობას მოიცავდა.<sup>227</sup> დასმენის და თანამშრომლობის კულტურა გავრცელებულია დმანისის და ჯავახეთის რეგიონშიც, როგორც ეს სოფლებსა თუ საჯარო დაწესებულებებში ინფორმანტების როლის კვლევისას გამოვლინდა.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საზღვრისპირა რეგიონებში, მონიტორინგი და კონტროლი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არჩევნების დროს პოლიტიკური კამპანიებსა და სამოქალაქო აქტივიზმზე. საყურადღებოა, რომ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მონიტორინგისთვის, აქტივისტების დასაშინებლად და პოლიტიკური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად სამართალდამცავი ორგანოების სტრატეგიული გამოყენება ავტორიტარული მმართველობის ჩვეული მახასიათებელია.<sup>228</sup>

საყურადღებოა, რომ პრემოდერნულ სახელმწიფო სტრუქტურებში, ბიუროკრატიული ინსტიტუტების ნაცვლად, ფეოდალური სისტემები, კონტროლისთვის იყენებდა პირად კავშირებს (ერთგულებას) და რელიგიურ სანქციებს.<sup>229</sup> პირადი კავშირების გამოყენება აქტუალურია საზღვრისპირა რეგიონებში, სადაც კლანური დაჯგუფებები და ელიტები არაფორმალურ მმართველ ძალად განიხილება. მათ მიმართ ერთგულება კი სოციალური და

<sup>224</sup> Arendt, 1951.

<sup>225</sup> იგივე.

<sup>226</sup> Fitzpatrick, S. (1999). *Everyday Stalinism: Ordinary life in extraordinary times: Soviet Russia in the 1930s*. Oxford University Press.

<sup>227</sup> Gellately, R. (2001). *Backing Hitler: Consent and coercion in Nazi Germany*. Oxford University Press.

<sup>228</sup> Levitsky, S., & Way, L. A. (2010). *Competitive authoritarianism: Hybrid regimes after the Cold War*. Cambridge University Press.

<sup>229</sup> Anderson, P. (1974). *Lineages of the absolutist state*. Verso Books.

ეკონომიკური სარგებლის მიღების წყაროდ განიხილება. განსაკუთრებით, საარჩევნო პერიოდში.

### 1.3. სახელმწიფო უსაფრთხოება: პირადი ინტერესების და ძალაუფლების სადარაჯოზე

სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკა, კოლონიალური და პოსტკოლონიალური გამოცდილების შედეგად, ხშირად ეთნიკური უმცირესობების უთანასწორობისთვის წინაპირობებს ჰქმნის. უთანასწორობა ეთნიკური, კლასობრივი და სოციალური იერარქიებით გამოიხატება.<sup>230</sup> ჰიბრიდული რეჟიმები კონტროლისთვის, აშკარა ძალმომრეობის აქტების ნაცვლად, სელექციურ კონტროლს მიმართავენ.<sup>231</sup> ჯავახეთსა და დმანისში, მოსახლეობის სელექციური კონტროლისთვის, უსაფრთხოების პოლიტიკა ადგილობრივ ელიტებს და კლანებს მიმართავს. უფრო მეტიც, ელიტის წარმომადგენლები ხშირად მაკონტროლებელი ორგანოების ყოფილი თანამშრომლები არიან. ხოლო სახელმწიფო ძალაუფლებასთან დაახლოებული ჯგუფები, რეგიონში სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს საკუთარი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის გასაუმჯობესებლად მიმართავენ. ისევე როგორც პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გასაჩუმებლად და დასაშინებლად. კლიენტელიზმის კვლევები ცხადყოფს, რომ მმართველი ჯგუფები ეკონომიკურ პრივილეგიებს (პენსიების, ბიუჯეტიდან ფულადი დახმარების გამოყოფა და ა.შ.) პოლიტიკური ქცევის კონტროლისთვის იყენებენ.<sup>232</sup> ხოლო კორუფციის კვლევები კი აჩვენებს, რომ საჯარო მოხელეები მათზე დაკისრებულ მარეგულირებელ უფლებამოსილებას პირადი კეთილდღეობისთვის იყენებენ.<sup>233</sup>

საყურადღებოა, რომ საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში, ელიტური კლანების წარმომადგენლების მხრიდან, მსგავსი ქცევები უსაფრთხოების სამსახურის მიერ წახალისებულია. „ერთგულებისთვის დაჯილდოვებას“ მოგვაგონებს. მსგავსი პრაქტიკები ზოგადად დამახასიათებელი ავტორიტარული რეჟიმებისთვის. ადგილობრივი კლანების მიერ ადმინისტრაციული რესურსების უკანონო დასაკუთრება, მიწის მითვისება, მოწინააღმდეგეების დაშინება და განვითარების შესაძლებლობების და სოციალური სიკეთეების არათანაბარი განაწილება სოციო-ეკონომიკურ უთანასწორობას ამძაფრებს.

### 1.4. საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიურობა: უნდობლობა და წინააღმდეგობა

<sup>230</sup> Chatterjee, P. (1993). *The nation and its fragments: Colonial and postcolonial histories* (Vol. 4). Princeton University Press. <https://doi.org/10.2307/j.ctvzqg88s>; Scott, J. C. (2009). *The art of not being governed: An anarchist history of upland Southeast Asia*. Yale University Press.

<sup>231</sup> Levitsky & Way, 2002.

<sup>232</sup> Stokes, S. C., Dunning, T., Nazareno, M., & Brusco, V. (2013). *Brokers, voters, and clientelism: The puzzle of distributive politics*. Cambridge University Press.

<sup>233</sup> Rose-Ackerman, S., & Palifka, B. J. (2016). *Corruption and government: Causes, consequences, and reform* (2nd ed.). Cambridge University Press.

კრიტიკული საზღვრების ანთროპოლოგების მიხედვით, სასაზღვრო ტერიტორიები, შეხვედრისა და მოლაპარაკების სივრცეა, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები ურთიერთობენ, ჰიბრიდულ კულტურულ პრაქტიკებს ჰქმნიან და სახელმწიფო ძალაუფლებას ცდიან.<sup>234</sup> თანამედროვეობაში, სასაზღვრო რეგიონში გამძაფრებული კონტროლი ეთნიკური უმცირესობების ყოველდღიურ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს. უსაფრთხოების აბსტრაქტული პოლიტიკა ადამიანების ცხოვრებაში ტრანსფორმირდება.<sup>235</sup> ამავედროულად, საზღვარი ფუნქციონირებს როგორც ექსკლუზიის და ინკლუზიის მექანიზმი, რომელიც ამ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების დიფერენციაციას ახდენს.<sup>236</sup> მეთვალყურეობა, ხშირი შემოწმება, გადაადგილების კონტროლი, სპეც საშვების საჭიროება და კონტროლი მათ სამოქალაქო უფლებებს ზღუდავს და მხოლოდ კონტროლის სფეროს სცდება.<sup>237</sup>

ციფრულმა ტექნოლოგიებმა ადამიანთა ცხოვრების მონიტორინგი სახელმწიფოსთვის კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადა.<sup>238</sup> ვიდეო-სამეთვალყურეო ქსელების<sup>239</sup> თუ მასობრივი ციფრული თვალთვალის შესახებ კვლევები ცხადყოფს, რომ თანამედროვე სახელმწიფოებრივი კონტროლის პირობებში, მოსახლეობას „უჩინრად ყოფნისთვის“ სივრცე აღარ რჩება.<sup>240</sup> სახის ამომცნობი სისტემების საჯარო სივრცეებში გამოყენების პრაქტიკა სულ უფრო იზრდება.<sup>241</sup> დევიდ ლიონის მიხედვით, თანამედროვე თვალთვალისა და მეთვალყურეობის საშუალებები, განსაკუთრებით ციფრული და ვიდეო-სისტემები, აძლიერებს სახელმწიფოს ძალაუფლებას ხილვადობის (Visibility) და მონაცემების მოპოვების (Data Collection) მეშვეობით.<sup>242</sup> ჰკვიანი, სახის ამომცნობი კამერების რაოდენობის ზრდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების ქალაქებსა თუ საზღვრისპირა სოფლებში შეესაბამება ლიონის თეორიას, როდესაც მეთვალყურეობა გამოიყენება არამხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, არამედ პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებზე დაყრდნობით, მოსახლეობის მონიტორინგისა და კონტროლისთვის.

საყურადღებოა, რომ სასაზღვრო თვალთვალი „დაეჭვების კატეგორიებს“ (categories of suspicion) ჰქმნის, რომელშიც ეთნიკური უმცირესობები ხშირად ხვდებიან, მათი ეთნიკური მიკუთვნების გამო.<sup>243</sup> მეთვალყურეობა და კონტროლი ის ძირითადი მექანიზმებია, რომლის დახმარებით სახელმწიფო მოსახლეობაზე უფლებამოსილებას ახორციელებს. მიშელ ფუკოს „დისციპლინასა და

<sup>234</sup> Scott, 1985.

<sup>235</sup> Asiwaju, A. I. (1985). *Partitioned Africans: Ethnic relations across Africa's international boundaries, 1884-1984*. C. Hurst; Reeves, M. (2014). *Border work: Spatial lives of the state in rural Central Asia*. Cornell University Press.

<sup>236</sup> Mezzadra, S., & Neilson, B. (2013). *Border as method, or, the multiplication of labor*. Duke University Press.

<sup>237</sup> Scott, 2009.

<sup>238</sup> Lyon, 2007.

<sup>239</sup> Norris, C., & Armstrong, G. (1999). *The maximum surveillance society: The rise of CCTV*. Berg.

<sup>240</sup> Greenwald, G. (2014). *No place to hide: Edward Snowden, the NSA, and the U.S. surveillance state*. Metropolitan Books

<sup>241</sup> Introna, L. D., & Wood, D. (2004). *Picturing algorithmic surveillance: The politics of facial recognition systems*. *Surveillance & Society*, 2(2/3), 177-198.

<sup>242</sup> Lyon, D. (2007). *Surveillance studies: An overview*. Polity.

<sup>243</sup> Epstein, C. (2007). *Guilty bodies, productive bodies, destructive bodies: Crossing the biometric borders*. *International Political Sociology*, 1(2), 149-164.

სასჯელში“<sup>244</sup> მეთვალყურეობა ადამიანების დისციპლინირებას ახდენს, კერძოდ, როდესაც ადამიანები აცნობიერებენ, რომ მუდმივი თვალთვალის ქვეშ იმყოფებიან, ისინი ქცევის თვით-რეგულირებას იწყებენ. ეს ფაქტი, თვალშისაცემია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ- ჯავახეთის და დმანისში, სადაც უსაფრთხოების სამსახურის პრეზენსი, საპოლიციო ძალების ხშირი მონიტორინგი და სათვალთვალო კამერების სიმრავლე ადამიანებში თვალთვალის ობიექტად ყოფნის განცდას აღძრავს, რასაც თვით-ცენზურა და საჯარო სივრცეში ქცევის ცვლილება მოჰყვება.

ძალაუფლების ხილვადი სტრუქტურები მოსახლეობის მორჩილებას, მაკონტროლებელ სტრუქტურებთან თანამშრომლობის პრაქტიკებს აჩენს.<sup>245</sup> თუმცა, ასეთ დროს, პროტესტის განცდა, უკმაყოფილება და დაუმორჩილებლობა, არაფორმალურ და პრივატულ სივრცეებში ინაცვლებს. საქართველოს ორ რეგიონში, მოსახლეობის უნდობლობა დამკვირვებლის მიმართ, მათ პრობლემებზე საჯაროდ საუბრის სურვილის არ ქონა და ჩაწერის დროს, პასუხების შეცვლა, სკოტის არგუმენტის თვალსაჩინო მაგალითია.

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ კონფლიქტებით, ტერიტორიული დავებით და კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეულ რეგიონებში, სახელმწიფოსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთ-უნდობლობა ჩამოყალიბდა. უნდობლობა (Mistrust) სახელმწიფოსა და ადგილობრივ არა-დომინანტურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობას ხელს უშლის და კონფლიქტებს აძლიერებს.<sup>246</sup> უფრო მეტიც, ის, ისტორიულ წყენებს, კულტურულ სტერეოტიპებს, სხვადასხვა ჯგუფებს შორის დამაბულობას ადვილებს, რაც საზღვრისპირა რეგიონში მშვიდობის მშენებლობის პროცესებსა და კოოპერაციის პერსპექტივებზე ახდენს გავლენას. უნდობლობა არაერთ აფექტს აჩენს, იქნება ეს: შიში, ზიზღი თუ პოლიტიკური ბრაზი, რომლითაც ეთნო-ნაციონალისტური განწყობა საზრდობს. ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების „წარმოსახვითი საფრთხე“ დომინანტურ ჯგუფებში შიშის აფექტს აჩენს.<sup>247</sup> უმცირესობების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა გლობალიზაციის კონტექსტში. გლობალიზაციამ კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური ჰომოგენურობისადმი წარმოსახვითი შიში გააღვივა, რასაც ნაციონალისტური იდეოლოგიების გაძლიერება, უსაფრთხოების პოლიტიკის გამძაფრება და ეთნიკურ უმცირესობათა შევიწროება მოჰყვა. აპადურაის მიხედვით, უმცირესობებისადმი შიში და ბრაზი დისკრიმინაციისა და ძალადობის გამართლებისთვის გამოიყენება და ექსკლუზიის პოლიტიკას ჰქმნის, რასაც აპადურაი „უმცირეს რიცხვთა შიშს“ უწოდებს.<sup>248</sup>

ამასთან ერთად, საინტერესოა მოსახლეობაზე მეთვალყურეობის პრაქტიკის გავლენის გააზრება. კ. ვერდერის მიხედვით, მეთვალყურეობის არქივები

<sup>244</sup> Foucault, 1975.

<sup>245</sup> Scott, 1999.

<sup>246</sup> Mühlfrid, F. (2010). Ethnopolitics in border areas: The impact of mistrust on political relationships. *Ethnopolitics*, 9(4), 405-422.

<sup>247</sup> Appadurai, A. (2006). *Fear of small numbers: An essay on the geography of anger*. Duke University Press.

<sup>248</sup> იგივე.

წარმოქმნის კოლექტიურ მეხსიერებას და სახელმწიფო კონტროლისადმი სპეციფიკურ დამოკიდებულებას.<sup>249</sup> მაგალითად, ჯავახეთში უფროსი თაობის წარმომადგენელთა დამოკიდებულება მეთვალყურეობისადმი საბჭოური გამოცდილებით დაღდასმულია, - ვინაიდან „მიჩვეული არიან კონტროლს“, რადგან, „ყოველთვის ასე იყო.“ ხოლო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ადაპტაციის ახალი სტრატეგიების შემუშავებას ცდილობენ, მეტი ინფორმაცია აქვთ თანამედროვე მეთვალყურეობის სისტემებზე და საკუთარ სამოქალაქო უფლებებზე.

სოფლებში ინფორმატორების არსებობა, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობენ და რიგითი მოსახლეობის უნდობლობა უცხოებისადმი, ნათელი მაგალითია იმის, თუ რა გავლენას ახენს უსაფრთხოების დისკურსი რეგიონის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

მუდმივი მონიტორინგისა და კონტროლის ქვეშ ცხოვრება შიშისა და თანამშრომლობის კულტურის შექმნას უწყობს ხელს. ადგილობრივების მიერ საჯარო სივრცეში ნარატივების კონტროლი, კრიტიკისაგან თავის შეკავების მცდელობები და უცნობებისადმი (მთავრობის შესაძლო ინფორმანტებისადმი) უნდობლობა შეესაბამება სეკურიტიზაციის თეორიებს. კერძოდ, მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი საზოგადოებები, მონიტორინგის პირობებში, საკუთარი ქცევის რეკონსტრუქციას ეწევიან. თუმცა, სკოტის „ფარული ტრანსკრიპტების“ (Hidden Transcripts) თეორიის მიხედვით, ოპრესიული სამეთვალყურეო რეჟიმების შემთხვევაშიც კი ინდივიდები ავტორიტარული სისტემისადმი წინააღმდეგობის გაწევის დახვეწილ მეთოდებს მიმართავენ.<sup>250</sup> დმანისისა და ჯავახეთის მოსახლეობის მხრიდან, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის სურვილის არ ქონა და პირად საუბრებში მათი კრიტიკა არაფორმალური დაუმორჩილებლობის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ამასთან ერთად, მეთვალყურეობის წნეხისგან თავდასაცავად, ადგილობრივები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ, იქნება ეს: საუბრის დროს მინიშნებების გამოყენება, მოჩვენებითი მორჩილება და თანამშრომლობა, პირად საუბრებში სახელმწიფოს ნარატივებისადმი დაუმორჩილებლობის მიუხედავად. ეს ყველაფერი ლატენტური დაუმორჩილებლობის აქტებია, რომელიც ტოტალური კონტროლის შემსუბუქებას ემსახურება. ამასთან ერთად, მსგავსი აქტების მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ: მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლებისადმი არასრული ინფორმაციის მიწოდება, სახელმწიფო დირექტივების სელექციური შესრულება და თვალთვალისგან თავისუფალი, პრივატული სივრცეების შექმნა, რაც დმანისისა და ჯავახეთის მაცხოვრებლების ყოველდღიურობის ნაწილად იქცა.

<sup>249</sup> Verdery, K. (2018). My life as a spy: Investigations in a secret police file. Duke University Press. <https://doi.org/10.2307/j.ctv1220jzc>

<sup>250</sup> Scott, 1990.



შეჯერებისა სახით შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, არსებული მეთვალყურეობის და კონტროლის პრაქტიკები ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, პოლიტიკურ მონაწილეობას და გადაადგილების თავისუფლებას. მონიტორინგის და ზედამხედველობის პრაქტიკების და საჭიროებების გაუმჭვირვალობა ეწინააღმდეგება დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს, წარმოშობს კითხვის ნიშნებს სამართლიანობისა და უსაფრთხოების რაციონალური ზომების შესახებ.

## 2. ძირითადი მიგნებები

კვლევამ წარმოაჩინა, რომ სახელმწიფო კონტროლი საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებზე ხშირად ეფუძნება არა მხოლოდ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, არამედ შიშზე და მოლოდინებზე დაყრდნობილ სტრუქტურულ მიდგომებს. უსაფრთხოების მიდგომებზე საფუძნებული პოლიტიკა და პრაქტიკა კი განსაკუთრებით ცენტრიდან მოშორებულ რეგიონებში, უფრო მეტად კი საზღვრისპირა რეგიონებში და იგი არა მხოლოდ განსაზღვრავს ადგილობრივ პოლიტიკას, არამედ ახდენს გავლენას ყოველდღიურ სოციალურ ურთიერთობებზე.

უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში შექმნილი პოლიციური რეჟიმები მიანიშნებს აშკარა უთანასწორობაზე სამართალდამცავი სტრუქტურები ხშირად მოქმედებენ ეთნიკური ნიშნით დიფერენცირებულად, რაც აყალიბებს უნდობლობას სახელმწიფოს მიმართ. ადგილობრივებში მძლავრად არის იმის აღქმა, რომ სახელმწიფო აპარატი მათ არ მიიჩნევს თანასწორ, თანაბარულფლებიან მოქალაქეებად, და ისინი მუდმივად საფრთხის, და უცხოს პრიზმით არიან დანახულები. ასეთი პრაქტიკა კი საზოგადოების შეკრულობაზე და მდგრადი მშვიდობის ჩამოყალიბებაზე ნეგატიურად მოქმედებს და საზოგადოებაში იერარჩიებას და მის დანაწევრებას იწვევს.

დმანისის და ჯავახეთის რეგიონებშიც, კონტროლის მექანიზმები დაფუძნებულია როგორც ოფიციალურ-პოლიციურ, ისე არაფორმალურ სტრუქტურებზე, რაზე გავლენაც ძირითადად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტროლის უხილავ მექანიზმებს აქვს. კონტროლის კიდევ ერთ მძლავრი ბერკეტი ამ რეგიონებში არის სოციალური მოწყვლადობა - სახელმწიფო აპარატი მისი ფორმალური და არაფორმალური განშტოებებით აქტიურად იყენებს ადგილობრივი მოსახლეობის სიღარიბეს და ეკონომიკურ მოწყვლადობას, უფრო მეტად ხდის მას დამოკიდებულს ბიუჯეტზე, როგორც სტაბილურ შემოსავლის წყაროზე და შესაბამისად კონტროლის მეტ არეალს იქმნის. ეთნოგრაფიულმა კვლევამ და სიღრმისეულმა ინტერვიუებმა გამოავლინა რომ კონტროლი ვრცელდება ყველა დონეზე და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა იერარქიული დონის მონაწილეობით.

უსაფრთხოების სამსახურების როლი ამ რეგიონებში მომუშავე კრიტიკული აქტორების ჩასახშობად კიდევ უფრო მეტად არის მობილიზებული, რაც სამოქალაქო სექტორის და რეგიონული მედია საშუალებების კონტროლის და დაშინების პრაქტიკაში ვლინდება.

შესაბამისად, ვინაიდან ამ რეგიონებში მცხოვრებმა მოსახლეობამ იცის, რომ მუდმივად კონტროლის, დამატებითი მეთვალყურეობის ქვეშ არიან, მათ შემუშავებული აქვთ თვითდაცვით სტრატეგიებიც - თვითცენზურა, სიჩუმის ტაქტიკა, ფარული წინააღმდეგობა, რაც ადგილზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის და მედიის კრიტიკულ საქმიანობაში ვლინდება.

აშკარაა, რომ ამ რეგიონებში სახელმწიფო ანგარიშვალდებულების აღქმა პრაქტიკულად მოშლილია, სახელმწიფო აპარატი სრულად არის გადასული უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში და მოშლილია აქ მცხოვრები მოსახლეობის აღქმა როგორც მოქალაქეებისა, რომლის მიმართაც მას აქვს ვალდებულებები, მათ შორის მათი უფლებების დაცვის მიმართულებით. კონტროლის ასეთი პოლიტიკით მოქმედება კი საბოლოოდ ამ რეგიონების დემოკრატიზაციას უშლის ხელს და მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩამორჩენას განაპირობებს. პოლიციის და უსაფრთხოების ორგანოების მუშაობის ტაქტიკა და პრაქტიკა კი არ შეესაბამება იმ საერთაშორისო სტანდარტებს, რასაც უმცირესობების რეგიონებში მომუშავე ორგანოები უნდა აკმაყოფილებდნენ აქ მცხოვრები მოსახლეობის ნდობის გასაძლიერებლად, სამართლიანი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების მშენებლობისთვის. მეტიც ამავე ორგანოების საქმიანობა აქ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვასაც ვერ უზრუნველყოფს, რადგან ადგილობრივი თემები აღქმულია, როგორც საფრთხე სახელმწიფოსთვის და ის დამუხტულია იმ ისტორიული სტერეოტიპებით, რომელიც წლებია კულტივირდება სხვადასხვა აქტორების მხრიდან.